იოსებ ომაძე

მხიარული ოთახი

სალაღობო რომანი 42 წკიპურტად

გამომცემლობა “რაეო”,
თბილისი, 2002 წ.

Copyright: იოსებ ომაძე, 2002 წ.

ISBN 99928-30-20-4

ს ა რ ჩ ე ვ ი

I წკიპურტი. ყველაფერს აქვს დასაწყისი;
II წკიპურტი. გავრბივართ, გავრბივართ. . .;
III წკიპურტი. ცირკია თუ ზოოპარკი?;
IV წკიპურტი. ვარ პესიმისტი!;
V წკიპურტი. კანიბალი;
VI წკიპურტი. დისერტაციის დაცვა;
VII წკიპურტი. ჰოკუს პოკუს, ბატონო სანდრო!;
VIII წკიპურტი. ძაღლუკა;
IX წკიპურტი. მკლავჭიდი;
X წკიპურტი. სილიას გაღმერთება;
XI წკიპურტი. გიგანტური ნამარხი გველი;
XII წკიპურტი. სამუშაო დღე;
XIII წკიპურტი. შევდივართ პარტიაში!;
XIV წკიპურტი. ძმაკაცობა;
XV წკიპურტი. აირწინაღი;
XVI წკიპურტი. ნაკვეთი;
XVII წკიპურტი. იაპონური აპარატი;
XVIII წკიპურტი. ოცნება პენსიაზე;
XIX წკიპურტი. რეიგანი, ჯერი, ჰიპოკრატე;
XX წკიპურტი. ლხინი;
XXI წკიპურტი. ბიჭი 1000 მანეთამდე დამიჯდა!;
XXII წკიპურტი. სასადილო “არ დამივიწყო”!;
XXIII წკიპურტი. ინტერსპარინგპარტნიორები ფეხბურთის მოედანზე;
XXIV წკიპურტი. დემონსტრაცია;
XXV წკიპურტი. სანდროს “თეატრი”;
XXVI წკიპურტი. ლამაზი გოგო მოგოგმანობს ქუჩაში;
XXVII წკიპურტი. ბოზბაში ჯობს თუ ჩიხირთმა?;
XXVIII წკიპურტი. ტრიუმფის შემდეგ;
XXIX წკიპურტი. ჯამაგირს არ მოგვიმატებენ?;
XXX წკიპურტი. ბაბუცის რომ მისცე მილიონი;
XXXI წკიპურტი. მილიონი და გალია;
XXII წკიპურტი. ბაიყუშები;
XXXIII წკიპურტი. გიჟია?;
XXXIV წკიპურტი. სანდრო და ავტომობილი;
XXXV წკიპურტი. სანდრო აშენებს;
XXXVI წკიპურტი. კომისია მოდის;
XXXVII წკიპურტი. რა დროს ზღაპრებია!;
XXXVIII წკიპურტი. ჭადრაკულადაა საქმე!;
XXXIX წკიპურტი. ძეხვის პატარა ნაჭერი;
XL წკიპურტი. სიყვარულო, ძალსა შენსა;
XLI წკიპურტი. მაღალი სტუმრები ჩამოდიან!;
XLII წკიპურტი. საახალწლო ნაძვის ხე.

I წკიპურტი. ყველაფერს აქვს დასაწყისი

ერთხელ სანდროს რაღაცის ჩაწერა უნდოდა და მე მთხოვა ქაღალდი. ამოვიღე უჯრიდან მცირე დასტა და რამდენიმე ფურცელი მივაწოდე იქვე მდგომ სილიას (გვარი არ გეგონოთ _ ბატონ სილიბისტროს მოფერებითი სახელი გახლავთ) _ მიეცი სანდროს, ოღონდ ჯერ ნახე, ზედ შემთხვევით ჩემი რაიმე გენიოსური ნააზრევი ხომ არ არის დაწერილი-მეთქი.

სილიამ ჩამომართვა ფურცლები, არც დაუხედავს, ისე გადასცა სანდროს და თან დაატანა:

_ ყველაზე გენიოსური _ სუფთა ქაღალდია!

ამაზე გენიოსური სილიას ჯერ არაფერი უთქვამს!

მე კი, ცოდვილი, ვბედავ ჩემი ნაჯახირევის ქაღალდზე გადატანას, ვბღალავ უმანკო ფურცლებს, რომელზედაც, ვინ იცის, როგორი დიდებული აზრები შეიძლებოდა დაწერილიყო (სხვათა მიერ, რასაკვირველია).

შესავლის შესავალი გამომივიდა, იმედია, მაპატიებთ,პ ვაგრძელებ კი არა, ვიწყებ, როგორც იქნა.

მხიარული ოთახი!

სად არის ეს ოთახი? სად და... …ჩვენს ღირსშესანიშნავ დაწესებულებას ისეთი საკმაოდ გრძელი და დახუჭუჭებული სახელი აქვს, წაკითხვის წინ გთხოვთ, წინასწარ ღრმად ჩაისუნთქოთ, რომ სული არ შეგიგუბდეთ: ”დიდი და მცირე ელექტრული მანქანების მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში აქტიურად და მიზანსწრაფულად დანერგვის სამეცნიერო-საკვლევი, საკონსტრუქტორო-საცდელი და საპროექტო ინსტიტუტი”!

უფ! თავბრუ ხომ არ დაგეხვათ? არა? კეთილი, მაშინ ავდივართ ჩვენი ინსტიტუტის ხუთსართულიანი შენობის მესამე სართულზე, გავუხვევთ მარცხნივ, ვივლით, ვივლით გრძელთაგრძელი დერეფნით (ზოგნი ამბობენ, ციხის დერეფანს ჰგავსო), _ კარგი გასეირნება გამოგივათ! თავს ნუ შეიწუხებთ აქეთ-იქით თვალების ცეცებით (რა თქმა უნდა, თუ ლამაზი გოგო არ შემოგხვდათ!) და კარებებზე წარწერების კითხვით; დიახ, მიაღწევთ დერეფნის ბოლომდე და სწორედ იქ, მარცხენა მხარეს, მიადგებით ჩვენი ოთახის ხის თეთრ კარს.

მართალია, გარედან კარს აწერია: “ოთახი N65 – კომბინირებულგადამცემიანი დანადგარების გაანგარიშების ლაბორატორია N5”, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ოთახს უპრიანია, ვუწოდოთ “სალაყბო”, “საფიხვნო”, “საჭორაო ოთახი”, “აზრთა გაზიარების ბიურო” ან თუნდაც “სადისკუსიო კლუბი” _ დღის განმავლობაში ვინღა არ შემოდის აქ! ზოგი _ ერთი წუთით, სხვა _ ნახევარი საათით, ბევრი _ რამდენიმე საათითაც კი; ხან შეჯიბრია ანეგდოტების მოყოლაში, ხან _ “კონფერენცია” საერთაშორისო საკითხებზე, და ყოველდღე _ “სიმპოზიუმი” ჩვენი ყოველდღიურობის მწვავე პრობლემებზე. აქ შეგიძლიათ გაიფართოვოთOთქვენი თვალსაწიერი სულ სხვადასხვა საკითხზე, ენა მოიფხანოთ და აზროვნება გაიმახვილოთ, გაიგოთ, სად შეიძლება იაფად ხორცის შოვნა, რა ღირს ავტომანქანები შავ ბაზარზე, რომელ გაზეთშია გამოქვეყნებული სენსაციური წერილი და კიდევ რა აღარა!..

მოდით, ჯერ ოთახში მიმოვიხედოთ.

არც ისე დიდი ოთახია, სულ ოთხი მაგიდა დგას და ერთიც _ წიგნების კარადა. ერთადერთ დიდ ფანჯარასთან ორი შეტყუპული მაგიდა დგას, ასევე ერთადერთ კართან ტანსაცმლის საკიდი ადგილია _ პირდაპირ კედელში ჩაჭედებული ოთხი მოზრდილი ლურსმანი. ოთხ მაგიდას, ალბათ მიხვდით, ოთხი დიდი მეცნიერი უზის ხოლმე; თუმცა, სხვა-

დასხვა გარემოებათა გამო, ზოგჯერ ნაკლებიც შეიძლება დაითვალოთ. დიდები ვართ აქ მოღვაწე მეცნიერები თუ პატარები, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ მეცნიერები გვქვია, "ვზივართ" მეცნიერულ თემაში, ვწერთ ღრმადმეცნიერულ ანგარიშებს, რისთვისაც, ხელფასის გარდა, ზოგჯერ პრემიასაც გავკრავთ კბილს, აბა!

დილაობით ერთმანეთს ასე მივმართავთ:

_ სალამი ლომებს!

_ ვეფხვებს გამარჯვება!

_ დათვია არ მოსულა?

_ მგელიკა როგორ გვყავს, რა ხასიათზეა? მადაზე როგორაა?

_ მელიკო არ გამოჩენილა?

ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ აქ სამეცნიერო დაწესებულება კი არა, ზოოპარკიაო; ამაზე თავის დროზე მოგახსენებთ, რადგან აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი _ ზოგი ცირკს უფრო ამგვანებს.

ბოდიში, უსაგნო ლაქლაქს მოვყევი, უპირველესად კი ამ ოთახის დიდი მეცნიერები უნდა გამეცნო თქვენთვის.

როგორც მოგახსენეთ, ფანჯარასთან ორი მაგიდა დგას მიტყუპებული; ერთს დიდი მეცნიერი სანდრო კაიკაცაძე უზის, მეორეს _ მე, თქვენი მონა-მორჩილი, რომელსაც პეპეს მიწოდებს დიდ-პატარა. მესამე დიდი მეცნიერი გახლავთ ლადიკო ბედოვლათაძე, მეოთხე, არანაკლებ დიდი მეცნიერი კი _ ქალბატონი ბაბოა, ჩვენი ოთახის მარგალიტი!

კიდევ ბოდიშის მოხდა მიხდება _ უკვე მერამდენედ მეშლება! _ რა თქმა უნდა, ბაბუცით უნდა დამეწყო!

მაშ, ბაბოთი ვიწყებ. ისე, კი მიკვირს, ჩვენი ბაბო ჭიჭინობელიძე ნამდვილი ქალია _ თუ დასჭირდება, ნებისმიერ ჭუჭრუტანაში შეძვრება, მისთვის არ არსებობს საიდუმლო ჩვენს სამსახურში: პირველი იგებს ყველა და ყოველგვარ ჭორებს თუ ნამდვილ ამბებს; განსაკუთრებით არ გამოეპარება, ვინ სად გადაიყვანეს, დააწინაურეს თუ ხელფასი გაუდიდეს; ვის რამდენი შეხვდა პრემია, ვისი ნათესავია ახალმიღებული თანამშრომელი და ასე შემდეგ... ჰოდა, მიკვირს, ქალბატონი ბაბო აქამდე არ შემოიჭრა ჩემს თხრობაში _ პირველობა აქაც ეკუთვნოდა!

ო-ო-ო, ბაბო მაგარია, ძალიან მაგარი! ერთხელაც გავიმეორებ _ არაფერი გამოეპარება, ნემსის ყუნწში გაძვრება, გაუჩენელს გააჩენს, ყველაზე დაცულ საიდუმლოს გამოჩხრიკავს, "დამჩაგვრელს" ჯიქივით მივარდება, წყენას არავის შეარჩენს!.. ო, ეგ რომ კაცად დაბადებულიყო, დიდ მეცნიერობას არ დასჯერდებოდა, უფრო დიდ რასმე მიაღწევდა! რატომაც არა? ენერგიულია, ნიჭიერი, ხატვაც ეხერხება, ლამაზი კალიგრაფია აქვს, გადასარევად ქსოვს _ ქმარსა და მოსწავლე შვილებს (ორი ვაჟი ჰყავს) სულ მისი მოქსოვილი (რა თქმა უნდა, სამსახურში!) ჯემპერ-სვიტრები აცვიათ. ახლა ყავაზე მისი მკითხაობა მოგასმენიათ! ან რა ნამცხვრები მოაქვს შინიდან!

რაც მართალი მართალია, კარგად შევეწყვეთ; ხან გვთათხავს, როცა, მისი შეხედულებით, თავს ნებას მივცემთ საუბარში მეტისმეტად თავისუფლად ვიგრძნოთ თავი, ზოგჯერ დაგვიცაცხანებს კიდეც: "შე თავხედო, გაბრძანდი გარეთ! დერეფანში შეიგინე, რამდენიც გინდა!" ისე კი, ჩვენი ბაბო ჩვენსავით სიცილისა და ხუმრობის დიდი მოყვარულია და ცოცხალი თავით არ გადავა სხვა ოთახში (კაცებმა რამდენჯერმე შევთავაზეთ სხვა ოთახში გადაბარგება ქალთა ბრწყინვალე საზოგადოებაში, მაგრამ ფანდი არ გაგვივიდა!).

ბაბო დიდი მეცნიერია, რაღა თქმა უნდა, ანუ უკავია უმცროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობა, მონაწილეობას იღებს თემების დამუშავებაში და აქედან გამომდინარე, პრემიების განაწილებაშიც... თუ ყურს გარეშე ვინმე არავინ გვიგდებს, საიდუმლოდ იმასაც გეტყვით, რომ ბაბო უფრო მხაზველად, გადამხაზველად, სხვადასხვა ანგარიშებიდან და წიგნებიდან

საჭირო ცნობების ამომწერად გვყავს, აგრეთვე ჩვენი ლაბორატორიის უფროსისა და თემის ხელმძღვანელის, ბატონ ღუტუშა ტუშაშვილის ყოველგვარი ნაწერის გადამთეთრებელი გახლავთ (ღუტუშას ისეთი წამხდარი ხელი აქვს, რომ ხშირად საკუთარ ნაჯღაბნს თვითონ ვეღარ კითხულობს).

ქალბატონი ბაბუცი გარეგნობით ვერ დაიკვეხნის _ მხიარული ოთახის მამაკაცები და ბატონი სილია (ამ უკანასკნელს თავის დროზე გაგაცნობთ) ინსტიტუტის ლამაზ ქალთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად არც გაიხსენებენ; ისე კი კოხტად იცვამს, მოხდენილად დადის, კითხვა-პასუხი უჭრის და, რაც მთავარია, მხიარული ოთახის ჰარმონიას არ არღვევს... ახლა ყველაფერს ხომ არ ჩამოგიკაკლავთ ბაბუციზე, ზოგი რამ მერეც მათქმევინეთ. თუ მაინცდამაინც დაიჟინეთ, მის გარეგნობაზე შემდეგს მოგახსენებთ: ამშვენებს უსაშველოდ მრგვალი სახე, უსაშველოდ დიდი (მხრებამდე!) საყურეები, რასაკვირველია, მრგვალი; უსაშველოდ დაწვრილებული, ამოქნილი, მორკალული წარბები; მრგვალ-მრგვალი, დიდ-დიდი, ცნობისმოყვარე თვალები... საკმარისია?.. ჰო, კიდევ _ სიცილისას აჩენს წვრილ, თეთრ კბილებს, სიცილი კი, როგორც მოგახსენეთ, უყვარს, აბა არა?!.

ჩვენი ოთახის მამაკაცებიდან ყველაზე კოლორიტული პიროვნება და ყველაზე დიდი მეცნიერი უეჭველად ბატონი სანდრო კაიკაცაძე გახლავთ, უფროსი მეცნიერ-მუშაკი. თითქმის საპენსიო ასაკს მიაღწია, თითქმის ოცი წელია, საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობს, თითქმის 100 კილოგრამს იწონის და თითქმის ხარის ღონე აქვს. სანდროზე მეტი რაღა გითხრათ? გულმშვიდი, მარად მოღიმარი, ოხუნჯი; უყვარს უწყინარი მისტიფიკაციები, მოსაუბრის გულუბრყვილობის გამოყენება; ხშირად ვერც გაარკვევ, ხუმრობს თუ სერიოზულად ლაპარაკობს. საუბრის დიდოსტატია _ გზად მიმავალს ვინც გინდა შეხვდეს, აუცილებლად მუსაიფი უნდა გაუბას. დილაობით უფრო ხშირად აგვიანებს ხოლმე და რომ დაინახავ ფანჯრიდან, ინსტიტუტის ეზოში მოაბიჯებს აუჩქარებლად, გგონია, ხუთ წუთში ოთახშიც შემობრძანდება... გაგიგონია!.. ზოგჯერ საათზე მეტიც გაივლის ხოლმე და, როგორც იქნება, სანდროს თეთრთმიანი და თეთრულვაშებიანი თავიც გამოჩნდება ოთახის კარებში _ გზად ვიღაცა შეხვდა და საუბარს შეჰყვა! სარწმუნო წყაროებით დასტურდება, რომ რამდენჯერმე (ზუსტ რიცხვს ნუ მათქმევინებთ!) ბატონ სანდროს სამუშაოს დამთავრებამდე ვერ მოუხერხებია ჩვენს ოთახამდე მოღწევა, ისე გართულა გზა-გზა შემხვედრებთან მუსაიფში... ამავე დროს საქმის კაციცაა: ფუსფუსაა, სულ რაღაც-რაღაცეების კეთებით გატაცებული _ განსაკუთრებით უყვარს შინაური საქმის კეთება, ზოგ ხელოსანსაც კი აჯობებს! შინ გაუთავებელი შეკეთება აქვს _ ხან აბაზანას ცვლის, ხან ახალ შპალერს აკრავს, ხან _ ეს, ხან _ ის... გაუთავებლად! ახლა მის ავტომანქანას არ იკითხავთ? (ძველთაძველი “მოსკვიჩის” მფლობელია). ო, ეს მთელი ეპოპეაა! გატაცებით უამბობს შინაურსა თუ გარეულ მოცლილს _ რა გამოუცვალა, სად წავიდა იმ ნაწილის საშოვნელად, როგორ ელაპარაკა საწყობში ვიღაცას, მერე ხელოსანთან როგორ მივიდა და რა ცეცხლის ფასი მოსთხოვა, მერე თვითონ რა კოხტად გააკეთა ყველაფერი თავისი ხელით, მარტო ბიჭი დაიხმარა (მისი შვილი უკვე ოცდაათი წლისაა და მაინც “ბიჭს” ეძახის). და ასე დაუსრულებლად... ისიც გულახდილად უნდა აღვნიშნო, რომ კითხვა მაინცდამაინც არ იზიდავს _ წიგნი ან გაზეთი თუ ხელში აიღო, მოკლე ხანში თვლემა ერევა _ და გული მწყდება, რომ ამ ჩემს ნაჯახირევსაც ალბათ არ წაიკითხავს.

სულ ზეპირად ვიცით მისი მეზობლების ვინაობა, ვის რა შეემთხვა და ასე შემდეგ, ვინ მივიდა მასთან ოჯახში, რატომ და რისთვის, იმ დღეს ქუჩაში ვინ შეხვდა ან რისი მოწმე გახდა...

მისი უამრავი სასაცილო მონათხრობი მახსოვს. საერთოდ, ვერ დავიკვეხნი, ამგვარ ამბებს კარგად ვიმახსოვრებ-მეთქი, მაგრამ სანდროს ერთი, ჩემთვის ბედნიერი თვისება აქვს

_ თითო ამბავს ხუთ-ექვსჯერ მაინც მოჰყვება ხოლმე. და ხშირად ისეც ხდება, რომ სანდროს დაწყებულ ამბავს რომელიმე ჩვენთაგანი აგრძელებს...

მესამე დიდი მეცნიერი, რომელიც ჩვენს ოთახს ამშვენებს, გახლავთ მეცნიერ-მუშაკი ლადიკო ბედოვლათაძე. ლადიკო თითქმის სანდროს სიმაღლისაა, ჯანიანი, მაგრამ გამხდარი. რატომღაც სულ რაღაც-რაღაცეების ავადობას უჩივის, რაღაც მანქანებით ახერხებს და წელიწადში ორ-სამჯერ მიდის დასასვენებლად (საგზურით!). მისი ყველაზე დამახასიათებელი თვისება კამათისკენ ლტოლვაა. რაზედაც უნდა იყოს საუბარი, თუნდაც თემაზე, რომლის არსებობაც ამ წუთს პირველად გაიგო, მაინც თავისი უნდა თქვას, გაუთავებელი დავა გაუმართოს ამ საკითხის კარგად მცოდნესაც კი... ამის გამო ზოგჯერ სასაცილო მდგომარეობაშიც ვარდება და ვერ კი ამჩნევს, სულ უფრო ფიცხდება. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ლადიკოს საკმაოდ ნატიფი ჰუმორის გრძნობა ახასიათებს. აი, პარადოქსი!

სულ ეჭვებშია, ჰგონია, რომ ყველა გაფაციცებულია მის მოსატყუებლად. სულ ცდილობს, თავისი წახდენილი საქმე სხვას გადააბრალოს. მაგალითად, სანდრომ წაიყვანა ხელოსანთან ლადიკოს მანქანის (მამის "ვოლგით" დაბრძანდება!) წესრიგში მოსაყვანად. გზად მცირე რამ ხიფათი შეემთხვათ, ვთქვათ, ავტოინსპექტორმა დააჯარიმა, _ ლადიკო წუწუნებს: "აი, შენ რომ არ წამოგეყვანე ახლა, ხომ არაფერი დამემართებოდა!" ამიტომ მისთვის რჩევის მიცემას ყველა ერიდება, სანდროც კი, რომელიც ამ მხრივ გამოირჩევა _ "ყველას მამიდაა", გაჭირვების ტალკვესია.

მეოთხე დიდი მეცნიერი, როგორც მოგახსენეთ, მე გახლავართ _ პეპეს რომ მიწოდებენ. ჩემზე რაღა გითხრათ? მყავს ცოლი და ორი შვილი (სხვათა შორის, მხიარული ოთახის სხვა მდგმურებივით), არაფრით განსაკუთრებულით არ გამოვირჩევი _ ცუდს, ცხადია, არაფერს ვიტყვი და კარგი თუ რამ მახასიათებს, ჯობს, სხვამ თქვას...

ერთსაც აღვნიშნავ _ ჩვენს ასაკობრივ მდგომარეობას. სანდრო, როგორც მოგახსენეთ, სამოც წელს უკაკუნებს, მე მასზე ათი წლით ვარ უმცროსი; ჩემზე ათი წლით გვიან დაიბადა ლადიკო და ლადიკო კი ათი წლისა იყო, როცა ქვეყნიერებას მოევლინა ჩვენი ოთახის ყვავილი _ ბაბუცი! მხოლოდ სილიაა ამოვარდნილი ამ კანონზომიერებიდან _ ლადიკოსა და ჩემს დაბადებებს შორის ესტუმრა ამ მშვენიერ და გაუტანელ ქვეყნიერებას!

ეს სილია ვინღააო, იკითხავთ...

ო, სილია რომ მხიარულ ოთახში შემობრძანდება, შეიძლება, ბილეთები გაყიდო _ ნამდვილი საცირკო წარმოდგენა იწყება!

ჰო, როგორ დამავიწყდა! ჩვენი ოთახის იმ კედელთან, რომელზეც რამდენიმე სხვადასხვა წლის კედლის კალენდარია გაკრული (ყველაზე ოთხი ლამაზი ლეკვია გამოსახული, საყვარლად შემოგვცქერიან პირდაპირ ჩვენ ნაღვლიანი თვალებით), დგას კიდევ ერთი, მეხუთე სკამი _ მასიური, ძველებური, ახლა მასეთს სადღა იშოვი, თუმც კი დანჯღრეულ-გაუბედურებული _ პირადად სილიამ მოიტანა პირადად მისი ბრწყინვალების დასაბრძანებლად, როცა მხიარულ ოთახს ეწვევა. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა კი ყოველდღე ხდება, თუმცა სულ სხვა ლაბორატორიაში და სხვა სართულზეც კი მუშაობს... ბატონ სილიას ჩვენი ოთახის კოლექტივის წევრად ვთვლით და იმდენად მნიშვნელოვნად, რომ უდავოდ ისიც პერსონალურად წარდგენის ღირსია.

იფ, ოფ, უფ!.. ჩვენი დაწესებულების დერეფანში უზარმაზარი ნაბიჯებით მოგლიჯინობს ახმახი, ასოცკილოგრამიანი ყმაწვილი, მოაბრიალებს საცრისტოლა ცისფერ თვალებს, წინ კი ამაყად მიუძღვის მოზრდილი ცხვირი! ზანზარებს, საწყლობლად ჭრაჭუნობს N46 ზომის ფეხსაცმელებით თელილი იატაკი _ ბატონ სილიბისტროს, ყველანი რომ სიყვარულით სილიას ვეძახით, ოხშივარი ასდის _ სილიას დინჯი სიარული არ შეუძლია, სილიას არც იმის ძალა აქვს, გულგრილად ჩაუაროს ნებისმიერ ახალგაზრდა ქალს, ქალიშვილებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი! "ვაჰ, დღეს რა ლამაზი ხარ!" _ ცოტა ხნით ჩერდება, ადგილზე მა-

ინც მოუთმენლად ცმუკავს, _ “ბოდიში, ბოდიში, მარტო დღეს კი არა, შენ ყოველთვის მშვენიერი ხარ, ყოველთვის! მაგრამ ვერც იმას დაგიმალავ, რომ დღეს რატომღაც განსაკუთრებით მომხიბვლელი მეჩვენები! ჩემი ცოლი რომ მედგეს გვერდით, მაინც ამასვე ვიტყოდი!”

ჩვენს ოთახს რომ მოაგება, თითქმის შემოანგრევს კარებს, ლამის ანჯამებიდან ჩამოიღოს; შემოვა და ღიმილით პირგახეული, მარჯვენას მაღლა წევს ნოდარ დუმბაძის რომანის გმირივით:

_ ბანდიტებს, ჩაცვენილებს, მუქთახორებს, მამაძაღლებს, აფერისტებს, წყალწაღებულებს _ ჩვენი სალამი! სალამი გაფუჭებულისგან, ხელიდან წასულისგან, ქვეყნის დამაქცევარისგან!.. ეს ყალთაბანდი სად არას? _ სანდროს სკამზე უთითებს, მერე ჩემთან მოდის და ხელს დიდის ამბით მართმევს; მერე ლადიკოს მიაკითხავს, იმასაც ხელს გაუწვდის; ბოლოს ბაბოს მაგიდასთან ჩერდება, გრძელ მარჯვენას მოხვევს ქალს, მთასავით დაეზვინება მაგიდაზე, როხროხებს: _ შენ რომ გხედავ, აფროდიტა მაგონდება!

_ მომწყდი თავიდან! _ კრუხის ფრთის ქვეშ შეყუჟულ წიწილას ჰგავს ბაბუცი, სუსტ მუშტს გამეტებით უბრაგუნებს სილიას ზურგზე, თან სიცილით იჭაჭება: _ დაიკარგე იქით, უჯიშო!..

სილია ისევ ლადიკოსთან მიდის:

_ შენ რომ გხედავ, აფრიკა მაგონდება! _ ლადიკოს ოცნებაა, ალჟირში მოახერხოს წასვლა სამუშაოდ და ხშირად საუბრობს ამ თემაზე.

_ სანდრო? _ ვეკითხები, _ სანდრო რას გაგონებს?

_ სანდროს რომ ვხედავ, კარბიურატორი მაგონდება! _ სანდროს საყვარელი თემაა ავტომანქანებზე საუბარი.

ბოლოს ისევ ჩემს მაგიდასთან ჩერდება:

_ ბედოვლათო პეპე, შენ რომ გხედავ, ბიბლიოთეკა მაგონდება, თანაც ვირთხებით ავსებული! _ მერე მაგიდას ეყრდნობა იდაყვით (შეშინებული ავხედავ _ მაგიდა მეცოდება!): _ რაა, ბიჭო, სულ რომ ან კითხულობ, ან რაღაცას წერ?!. დაისვენე ცოტა. ამ სამსახურში შენს მეტს ვის ნახავ, კალამი ეჭიროს ხელში! დაანებე, ბიძია, თავი ქაღალდის ფუჭებას, ამდენ უსაქმურებში შენც უსაქმური ხარ და ვინმეს ანონიმური წერილების მთხზველი ეგონები!

_ რომანს დავწერ და ნახე, თუ არ გამოგაჭენო შიგ! მთელ შენს სიგრძე-სიგანეს დავანახვებ ხალხს! _ ვემუქრები ღიმილით.

_ ერთი ამხანაგი მყავს, ერთ მერხზე ვისხედით ათი წელი, _ იწყებს მორიგ ამბავს სილია. _ ხშირად მეუბნებოდა, შენ რომ არ მყავდე, პირველ ხუთიანს ჩემს დღეში ვერ მივიღებდიო. ახლა დიდი კაცია, თავი სერიოზულად უჭირავს, მაშინ შეხუმრებული ვიყავით. რომ შემხვდება, სულ იმას ვახსენებ, როგორ იყო, წერაში რომ თხუთმეტი შეცდომა დაუშვი, მე რომ გვერდზე არ გყოლოდი, რუსულში თავისუფალ თემაში ხომ დაიბრიდებოდი-მეთქი. ჩემი გამოისობით მაინც ხუთიანი დაუწერა მასწავლებელმა. იცი, რა თემა იყო? “მოი დრუგ პო პარტე”! აი, როგორი კაცი გეჯდა-მეთქი მერხზე გვერდით. “ჰოო”, _ მეუბნება. “თუ ჰო, მაშინ ახლავე გადამიყვანე შენთან სამსახურში, გვერდით დამსვი ძველებურად და მალე მინისტრის მოადგილედ მაინც გაგხდი-მეთქი”, _ ვებაზრები, ვაბრაზებ. ჰოდა, ჩემო პეპე, შენც გინდა, ჩემი ნალაპარაკევი საკუთრად გაასაღო და ფული და სახელი მოიხვეჭო?

_ იხტუნავე, რამდენიც გინდა, ჰონორარს მაინც არ გაგიყოფ! _ ვემუქრები ისევ.

_ ნეტა შენ ასეთი ენა არ გქონდეს, ყვავი მოგიტაცებდა! _ ბაბოც სილიას უტევს. _ ნახევარს რომ გინებას ურევ ლაპარაკში, შე უჯიშო, ქალი ვარ მე აქ თუ გუდურა? გაბრძანდი გარეთ!

(სილიას მართლაც ზომაზე მეტად გაეპარება ხოლმე საუბარში მაგარ-მაგარი სიტყვები თუ გამოთქმები, რომელთაც აქ, რა თქმა უნდა, იძულებული ვარ, შეველიო, რითაც სილიას ნათქვამს საგრძნობლად აკლდება მარილი).

_ მაგას ბოქლომი უნდა დავადო პირზე! _ ვაგრძელებ სილიას წინააღმდეგ შეტევას. მერე უფრო ფართოდ ვავითარებ იდეას: _ არის ბრწყინვალე პროექტი _ ყველა მოქალაქეს პირზე დავადოთ ბოქლომი, რათა ზედმეტი ლაპარაკით არ მოცდეს! ყოველ ბოქლომს ექნება განსაზღვრული ინდივიდუალური კოდი _ ამა და ამ მოქალაქეს ამა და ამ დროს ეხსნება ყადაღა ლაპარაკზე და შეუძლია გააღოს პირი: ჭამის დროს, ლექტორებსა და მომღერლებს გამოსვლის წინ და ასე შემდეგ. სილიას დღეში ნახევარი საათით ავხსნიდით ალიკაპს _ შინ რომ მივა საღამოს, ცოლთან საჩხუბრად!

ლადიკო უფრო პრაქტიკულად უყურებს საკითხს:

_ სილიას ლაპარაკს მაინც ვერ მოვაშლევინებთ და ჯობს, ყოველ აქ შემოსვლაზე ყულაბაში თითო აბაზი ჩააგდოს! როცა ყულაბა გაივსება, ვიქეიფოთ!

_ ცოდვაა, _ ექომაგება სილიას ბაბო, _ თვიური ჯამაგირი არ ეყოფა და ცოლ-შვილი რით არჩინოს?

სილია ფანჯარაში იხედება:

_ უყურე, უყურე, სანდროს თავი როგორ ქათქათებს! ზუსტად ერთ საათში აქ იქნება!

წამოვდექი, ეზოში გადავიხედე და მართლაც დავინახე სანდრო _ სანახევროდ დაშლილ ავტომანქანასთან იდგა შოფრებს შორის და რაღაცას ხელების შლით გაცხარებით ქაქანებდა.

ამჯერად არ გამართლდა ჩვენი ვარაუდი _ სულ მალე სანდრომ შემოაღო კარი. რაღაცაზე გაბრაზებული ჩანდა, გამარჯობაც კი არ უთქვამს:

_ მე ამ ცხოვრების დედა ვატირე!

_ რა იყო, ვინ გაგაღიზიანა? კარგი იქნება, თუ მეც არ გამაგდებ გარეთ! – ექილიკება ბაბო.

_ არა, შენ კარგ ადგილას ზიხარ, _ გაიღიმა სანდრომ, _ გამაში ზიხარ, კედლის ფონს უხდება შენი კაბის ფერი!

_ ხომ ეტყობა, რომ შინ რემონტს აკეთებს! _ იცინის სილია.

სანდრომ პასუხი არ დაახანა:

_ უყურე შენ ამ თავხედს! რა გინდა, ბიჭო, სხვის მაგიდას რომ მისჯდომიხარ, ჩემი იდეები გინდა მოიპარო?

_ როგორ თუ რა უნდა, _ ვექომაგები სილიას, _ დიდი მეცნიერის მაგიდას რომ უზიხარ, ხომ იცი, მაგიდაც კი ბევრს გასწავლის!

_ სანდრო, შე ძველო, რა არის, რომ მაგიდის უჯრები სულ ცარიელი გაქვს? _ ხმაურით აღებს და უკან შედგამს უჯრებს სილია.

_ თქვენ კი არ გგავართ, ყველაფერი ტვინში მაქვს, თავით დამაქვს, თავით! _ პასუხობს სანდრო და თავზე იტყაპუნებს ხელისგულს, მერე ცისფერ ქურთუკს კიდებს კედელზე.

სილია წამოდგება და მიდის მარჯვენაგაწვდილი სანდროსთან. სანდრო საპასუხოდ უწვდის ხელს, მაგრამ სილია უცებ შეუვარდება წელში, ამ ასკილოგრამიან კაცს ბუმბულივით აიტაცებს მაღლა და დაატრიალებს ოთახში. სანდრო ემუდარება, ჩამომიშვიო, სილია გაჩერდება, ფრთხილად დასვამს და ხელს მოხვევს (სანდრო ხომ მაღალია, სილია მასზე ნახევარი თავით უმაღლესია):

_ სანდრო, შე ძველო, როგორა ხარ, ჭირიმე!

_ კიდევ ვიტყვი _ ამ ცხოვრების დედა ვატირე! ბაზარში გავიარე, ხორცი მინდოდა, ცეცხლის ფასი ადევს. _ თავის ადგილზე ჯდება სანდრო, გადაშლილ წიგნს ახლოს მოიჩოჩებს, თითქოს წაკითხვას აპირებდეს (ეს გადაშლილი წიგნი აგერ თითქმის წელიწადია, სულ ერთ გვერდზეა გადაშლილი).

_ იყო კია? _ კითხულობს სილია. _ რამდენჯერაც შევედი საბურთალოს ბაზარში, ხორცი საერთოდ არ იყო.

_ რა გინდა, ბიჭო, საბურთალოს ერთი ციცქნა ბაზარში, არც შეეტევი შიგ! “დეზერტირის” ბაზარია საშენო! _ ეუბნება ბაბო.

_ პატარა კაცს რომ დიდი ქალი უყვარს, თუ იცი? კომპენსაცია უნდა! დიდ კაცს პატარა, კოხტა ქალი მოსწონს, ასეა, აბა! ხომ იცი, თუ ქმარი მამაძაღლია, ცოლია წესიერი, პატიოსანი; თუ ქალი არ ვარგა, ქმარი ჰყავს კარგი... ხომ სწორია? _ ეკითხება სილია.

ბაბო იცინის:

_ სწორია, სწორი!

_ თუ სწორია, მაშინ მითხარი, შენა ხარ მამაძაღლი თუ შენი ქმარი? _ როხროხებს სილია.

ბაბო ხის გრძელ სახაზავს ხმაურით უტყლაშუნებს სილიას მკლავზე:

_ გადი, შე უჯიშო, გარეთ!

სილია, ვითომც ბუზს შეეწუხებინოს სპილო, არაფრად აგდებს ბაბოს შემოტევას; სკეპტიკურად ათვალიერებს ლურსმნებზე ჩამოკიდებულ-ჩამორიგებულ ჩვენს სამოსს:

_ ამის პატრონი, ვატყობ, კაი გაკანკალებულ-გაპრიალებული “ვოლგის” პატრონია... ამის პატრონს ძველი, გაძვალტყავებული “მოსკვიჩი” ემსახურება... _ ჩემს ქურთუკს თვალმოჭუტვით ათვალიერებს: _ აი, ამის ბედოვლათ პატრონს კი, უეჭველად, ძველი “ზაპოროჟეციც” სიზმარში სანატრელი აქვს... ო, ეს წითელი პალტო კი განსაკუთრებით ბევრს მეუბნება: მისი პატრონი ერთ მშვენიერ მამაკაცს აზის კისერში და მიერეკება!..

და ფეხზე წამომხტარ, სახაზავმომარჯვებულ ბაბუცის დაყვავებით მიმართა:

_ჰო, კარგი, კარგი, თუ ეგრე მოგაბეზრეთ თავი, აღარ შეგიშლით მუშაობაში ხელს. წარმატებათ დაამუშავეთ წყლის ნაყვის თანამედროვეობის შესატყვისი ახალი, მოწინავე მეთოდები და მათი დანერგვის გადაუდებელი ღონისძიებანი... რა გაცინებთ? მართალია, სიცილი ვიტამინია, თანაც ყველაზე ძვირფასი, მაგრამ ამდენი ვიტამინის მიღებაც არ შეიძლება, გვაწყენს ზედმეტი სიცილი. გვეყოფა, წამალი მოზომილად უნდა მიიღო, შესაბამისი დოზით! _ სილია კარის სახელურს კიდებს ხელს: _ იშრომეთ, შვილებო, იშრომეთ _ შრომამ შექმნა სილია! თქვენც გქონდეთ იმედი!..

II წკიპურტი. გავრბივართ, გავრბივართ...

დიდი და მცირე ელექტრული მანქანების მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში აქტიურად და მიზანსწრაფულად დანერგვის სამეცნიერო-საკვლევი, საკონსტრუქტორო-საცდელი და საპროექტო ინსტიტუტის დირექტორს ბაქარ კრავიჭამიაშვილს სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად ერთი ზნეც ჭირს _ დილდილაობით დაწესებულების წინ დგას და მახრჩობელა გველის მომნუსხავი მზერით ხვდება სამსახურში თუნდაც ოდნავი დაგვიანებით მოსულ თანამშრომლებს (ზურგსუკან ბატონ ბაქარს მგელიკას ვეძახით). მერე, დირექტორის კაბინეტში დაბარებულებს, გულთბილი საუბარიც არ აგვცდება ხოლმე.

ამ დილასაც თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ მეტროს სადგურიდან სამსახურისკენ, თან ვფიქრობ, ნაცადი ხერხი ხომ არ ვიხმარო? _ ჯობს, ერთი თხუთმეტი-ოცი წუთი გადავაცილო და მაშინ მივიდე, როცა მგელიკა უკვე კაბინეტში იქნება დაბრუნებული. და ამ დროს ვიღაცა გრძელი ხელით გზას მიღობავს! კიდევ უფრო უნდა დავაგვიანო?

_ სად გარბიხარ, ჭირიმე, მგელიკა მოგენატრა?

მოვიხედე _ სილიას აბაშური სიმინდივით მსხვილ-მსხვილმა კბილებმა თეთრად შემომანათა.

_ მგელიკა დგას ალბათ უკვე პოსტზე.

_ ნუ გეშინია, ჭირიმე, მუშტი მოამზადე; პირს რომ დააღებს შენს გადასაყლაპავად, ატაკე ხახაში, ვეღარაფერს გიზამს! _ მამშვიდებს სილია.

_ შენი ბანჯგვლიანი მუშტი დაახრჩობს კიდეც, ჩემსას ვერც შეამჩნევს და ადვილი შესაძლებელია, წამჭამოს კიდეც...

_ ვაჰ, გუშინ რა ბედნიერი დღე გამითენდა _ მგელიკა მომესალმა! _ როხროხებს სილია, _ ცოცხალი მოწმეები მყავს, დერეფანში შემხვდა და მომესალმა!.. ყველაფერს გეფიცები!

_ რაღაც ვერ არის საქმე კარგად, ეგ შეცდომა ჯერ არ დაუშვია, კაცო!

_ რა ვიცი, რა დაეტაკა, გუშინ არაფერი უთქვამს, არც იმის წინ უკადრებია მისალმება...

_ მე მგონი, გუშინწინდელი შეხვედრა გაახსენდა და იმ დღის ვალი მოიხადა...

_ გამოსწორდა?

_ ხვალ, შესაძლოა, დღევანდელი გამარჯობა გითხრას და ასე, ნელ-ნელა დაგიბრუნებს ვალს, თუ ეგ სასიკეთო ცვლილება არ შეუბრუნდა. იქნებ გამდიდრდი, ამერიკელმა ძიამ მემკვიდრეობა დაგიტოვა, შენ კი ჯერ ბაიბურში არ ხარ? არც ის არის გამორიცხული, რომ რომელიმე შენი ნათესავი დააწინაურეს და ელიტის წევრი გახდი... აბა, კარგად დაფიქრდი, იქნებ გაიხსენო?

_ მოკლედ, რაღაც ამბავია ნამდვილად, უმიზეზოდ ასეთი სასწაულები არ ხდება...

_ მე მგონი, ნამთვრალევზე ვიღაცაში შეეშალე!

მე ისევ თითქმის გავრბივარ, სილია კი გრძელ-გრძელ ნაბიჯებს ადგამს, თითქოს არც ჩქარობს, მაგრამ მე კი მისწრებს.

_ ერთგან წავიკითხე, ვიღაც თურმე წამმზომით ხელში რეგულარულად აკვირდებოდა სამსახურში სირბილით მიმავალ ხალხს და დაადგინა, რომ გარკვეული ხნის შემდეგ ბევრმა თანამშრომელმა რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია სირბილში! _ ქოშინით ველაპარაკები.

_ როგორ ფიქრობ, ჩვენ რომელი სპორტული თანრიგი გვეკუთვნის? _ იცინის სილია.

_ მეორე! ან მესამე მაინც...

_ ჩვენს დირექტორს კი უნდა მივანიჭოთ რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება!

_ ერთია ცუდი _ მუსიკა უნდა იყოს ჩართული, ხალისიანი მარშებით უნდა ვირბინოთ! აუჰ, ხუთი წუთი გადავაცილეთ უკვე! _ საათს დავხედე.

_ მგელმა დააღო უკვე ხახა! ჩვენ გვიკბენს და ვინც მეტით დააგვიანებს, იმას დაუღეჭავად გადაყლაპავს!

_ მე მგონი, უკვე დროა, მგელიკას მივცეთ დამატებით კარისკაცის ხელფასიც. რას იტყვი?

_ ნამდვილად დაიმსახურა. გარდა ამისა, წინადადება შემომაქვს, დავუდგათ ეზოში პატარა ბუდრუგანა _ ყოველდღე ხომ არ იქნება ასეთი კარგი ამინდი!

_ იმედია, ცოტა ხანში ყეფასაც ისწავლის და კუდის ქიცინსაც!

_ მე რომ მკითხო, მაგას ორივეს სხვას ასწავლის. ჩვენ ხომ გვიყეფს, აბა, მოსკოვიდან ჩამობრძანებულ უფროსობასთან როგორ ლაქუცით ლაპარაკობს, ნეტავი გაყურებინა.

_ კაცო, ვერაფერი გამიგია, ჩვენი დირექტორი რა კაცია _ ძროხაა თუ მწველავი? როცა მოსკოვიდან კომისია ან უფროსობა ჩამოდის, მაგას "წველიან"...

_ მოდი, მგელიკას რეკორდსმენი ძროხის წოდება მივანიჭოთ და სახალხო მიღწევათა გამოფენაზე წარვაგზავნოთ!..

_ ...ეგ კიდევ ჩვენს ინსტიტუტს "წველის" _ გარაჟის გამგეს, მოადგილეს სამეურნეო ნაწილში, ბუღალტერიას _ "მკვდარი სულები" ჰყავს ბლომად გაფორმებული...

_ სავსებით დაიმსახურა რესპუბლიკის დამსახურებული მწველავის წოდება! მოკლედ, რამდენი წოდება ეკეთვნის?

_ მაგარია, მაგარი!

_ შენ მგელიკას ნუ ეხუმრები! ეგ უფროსობას აჭმევს მოსკოვში, ისინი კიდევ თემატიკაზე ფულს არ იშურებენ _ სიმბიოზია! შენ ამოდენა ინსტიტუტის გაძღოლა იოლი ხომ არ გგონია? მგელიკა ყველას მოუვლის, მტერსაც და მოყვარესაც, არაფერი შეეშლება. თავს მოვიჭრი, თუ ეგ სამინისტროს არ გაუძღვეს, ისეთი შებერტყილია!

_ მერე, ასეთი დონის კაცი თუა, კარებში რაღას დგას დილაობით ფინია ძაღლივით და ჩვენც გვარბენინებს პატარა ბავშვებივით?

_ ნახე, ტელევიზორში თხების შეჯიბრება ავსტრალიაში? შებმულნი არიან პატარა ორთვალებში _ მიდი, წვერებცანცარა! მიდი, პეტელა! ვინ წინა და ვინ უკანა! ერთი-ორი ასეთი თხა ჩვენს დაწესებულებასაც შეეძინა, კარგი იქნებოდა _ იმორიგევებდნენ მეტროს სადგურთან ტაქსივით და მოგვაცუნცულებდნენ ხელად სამსახურში!

_ ერთი დედალი თხა მგელიკასაც ვუყიდოთ! ყოველდღე შესვენებაზე თეთრი "ვოლგით" შინ რომ მიბრძანდება სასადილოდ 800 მეტრში, ცოდო არ არის? თხას ვუყიდით მანქანის მაგივრად, ჯიშიანს, სამლიტრიანს _ ხანდახან ჩავა ეზოში, მოწველის და ცხელ-ცხელ რძეს მიირთმევს! ნახე, მაშინ როგორ გაუძღვეს საქმეს! ჰო, შესვენებაზე ჩვენთან შემოდი, ჩაი დაგალევინო, ორცხობილაც მაქვს.

_ მოიცა, თუ ძმა ხარ, რას ამბობ, კუჭმა ხომ სიცილი დამაყარა!

_ რათა, კაცო?

_ იმათა, ჭირიმე, რომ ეს რა ცხელი წყალი ჩამოუშვა ამ შობელძაღლმაო! გინდა, შენსავით დამაჩიავო და მგელიკას ერთ ლუკმად არ ვეყო?

ასე, ქაქან-ლაქლაქით მივადექით ინსტიტუტის კარებს...

_ მგელიკა სადღაა?

_ გუშინ ალბათ ლეშს მიაძღა, ზედმეტი მოუვიდა და ახლა ძინავს, ინელებს.

_ ორი-სამი დღე თუ დასჭირდა მოსანელებლად, კარგი იქნება!

_ ამაოდ მოვრბოდით, ტყუილად ამოვიგდეთ გული... ეჰ, მგელიკა, მგელიკა, როგორ დაგვაღალატიანა! ენდე ახლა ასეთ კაცს!

_ სულ დაკარგა ნამუსი!..

III წკიპურტი. ცირკია თუ ზოოპარკი?!.

დღესაც შემოანათა თუ არა სანდრომ თავისი თეთრთმიანი თავით, მისალმების მაგივრად მაგარი რამ გვაჯახა (ხელის აწევით, თეატრალური პათოსით):

_ ვაჰ, კაცი დავბერდი და ახლა მოვედი აზრზე, რომ სულელი ვყოფილვარ!

_ რა იყო, ხომ მშვიდობაა? _ ერთხმად მივაგებეთ გუნდური რეპლიკა.

_ ეს რა მივქარე, აქ რა მინდოდა, ამ დამპალ სამსახურში! ინსტიტუტი კი არა, ზოოპარკია! დილით პირველად რომ მგელიკა დაგხვდება კარებში, რა ხასიათზე დადგები?!.

ამ განცხადებას მოჰყვა ფართო და ცხარე დისკუსია, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მხიარული ოთახის მუდმივმა ბინადრებმა, აგრეთვე ბატონმა სილიამ.

_ გამოვუცვალოთ ჩვენს დაწესებულებას ფირნიში, ჩამოვკიდოთ: "წყლის ნაყვის ოპტიმალური მეთოდების დამდგენი სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ასე შემდეგ ინსტიტუტი"!

_ მე მგონი, "ჩერჩეტთა საკრებულო" ან "ჭკუასუსტთა თავშესაფარი" უფრო შესაფერისია.

_ ვაცხადებ კონკურსს ჩვენი მშობლიური დაწესებულების შესაფერისი დასახელების საუკეთესო ვარიანტზე!

_ “სულით ავადმყოფთა ბაგა-ბაღი”!

_ ეგ მეტისმეტი ხომ არ მოგივიდა? “ზოოპარკი”, ჩემი ფიქრით, ზედგამოჭრილია!

_ “ცირკი”!

_ “ახალი ზოოპარკი”! დირექტორი _ ლომი, მოადგილეები _ დათვები, განყოფილებათა გამგეები _ მგლები, მთავარი და წამყვანი მეცნიერ-მუშაკები _ კურდღლები...

_ არა, ვერ დაგეთანხმები _ საყოველთაო აზრით, დირექტორი ნაღდი მგელია!

_ რა ცხოველს არ ნახავ ჩვენთან, მართლაც ნამდვილი ზოოპარკია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მტაცებლებიც და ბალახის მძოვნიც ერთ გალიაში სხედან!

_ მაშ ცალ-ცალკე გალიებში დავამწყვდიოთ, ფული გავაკეთოთ!

_ მგელიკას დიდი გალია დასჭირდება _ ფართო კაბინეტს არის დაჩვეული!

_ არა, ჯობს, მტაცებლები დავყიდოთ, კარგ ფასს ავიღებთ!

_ მგელიკა გავასაღოთ პირველად, დირექტორ-მგელიკა! კარგი ჯიშისაა, ეშმაკია, მაგას ვერავინ მოატყუებს _ დააყენე საცა გინდა, კაი სადარაჯო ძაღლს თუ არ აჯობოს!

_ ოცდახუთ მანეთად დავუთმოთ?

_ ხუთ თუმანსაც სიამოვნებით მოგვცემენ, უეჭველად!

_ მგელიკაც მოგებული დარჩება _ უფასო ჭამა-სმა, ბინა და მოვლა-პატრონობა კიდევ სხვა იქნება.

_ პირველად რაღა მგელიკა-დირექტორს ვეცით?!. მაშინ მივაყოლოთ ყველა დანარჩენი: გარაჟის გამგე _ მელია, საწყობის გამგე _ ტურა, მომარაგების უფროსი კი ნაღდად დათვია, საზამთროდ რომ ქონს დაიკრავს, ისეთი!

_ ნამდვილად კარგი ზოოპარკი შეიკრიბა, რად გინდა ბევრი ჭიჭინი! ცოდოა ასეთი თაიგულის დაშლა-დანაწევრება, იქნებ ვინმემ ბითუმად მთელი ზოოპარკი იყიდოს? მშვენიერი ანსამბლის დაშლა არ ღირს!

_ ნახე, ბიჭო, გაზეთში განცხადებაა _ ჯიშიანი ლეკვები იყიდება.

_ ჯიში?

_ ო, დობერმან-პინჩერი, პუდელი, სპანიელი, კავკასიური ნაგაზი...

_ მე უკვე ამოვარჩიე, ფულს მაგაში არ გადავყრი.

_ რომელი ამოირჩიე?

_ ჩემი სიდედრი! ისე იღრინება, რომ შენი მოწონებული. ცოტასაც გავუძლებ და გაზაფხულზე ნაკვეთში უნდა დავაბა, ძაღლი რაღად მინდა. თანაც ნარგავებს მოუვლის _ მორწყავს, გათოხნის და ასე შემდეგ.

_ აბა აწყობილი გქონია საქმე!

_ გაეთრიეთ აქედან თქვე უჯიშოებო! _ თითქმის კივის ბაბუცი და სახაზავს უმარჯვებს ზურგზე სილიას.

_ ვეშაპაა, ვეშაპა!.. მაგარია! _ სილია ხელს ხვევს მოწრიპულ ქალს, თან როხროხით ავსებს ოთახს. _ მეორე ცოლიც რომ მყავდეს, სულ მთლად ავშენდებოდი! სიდედრს აღარ შევაწუხებდი, შენ ერთიც ეყოფოდი დარაჯად! ნახე, რა ავია, ხომ ვარ მართალი! _ სახაზავმომარჯვებული ბაბოსგან ყოველი შემთხვევისთვის მოშორებით დგება სილია.

_ ბიჭო, ავტობუსიდან დავინახე კოოპერატივის აბრა _ “ხაფანგი”, თურმე ძაღლების და ვირთხების დაჭერაზე იღებენ შეკვეთებს. ჩვენი მგელიკას და მისი დამქაში ვირთხების მისამართი ხომ არ მივცეთ?

_ პირველ რიგში ცეკას, მთავრობის, სასამართლოს და მილიციის მისამართებია მისაცემი! ნამეტანი მომრავლდა მეტისმეტად დიდ-დიდი, მსხვილ-მსხვილი ვირთხები!

_ მე კი მგონია, ჩვენს სამსახურში იერარქული კიბე ასეთია: დიდზე დიდი ჩაქუჩი _ დირექტორი, დიდი ჩაქუჩები _ მისი მოადგილეები, საშუალო ჩაქუჩები _ განყოფილებათა გამგეები, მომცრო ჩაქუჩები _ მთავარი და წამყვანი მეცნიერ-მუშაკები...

_ ჩვენ ვიღა ვართ?

_ ლურსმნები _ რიგითი თანამშრომლები. დიდზე დიდი ჩაქუჩი ურახუნებს დიდს, დიდი _ საშუალოს, საშუალო _ მომცროს, მომცრო საბოლოო წერტილს სვამს ლურსმნების თავზე ბრახუნით...

_ ჩემი შეხედულებით კი ჩვენი სამსახური პირწავარდნილი ცირკია! მეფოკუსეც გვყავს, ჟონგლიორიც, მანიპულატორიც და ბაგირზე მოსეირნეც! რამდენი "მკვდარი სული" არის გაფორმებული! ამ ცირკში ცხოველებიც მონაწილეობენ, ჩვენი დირექტორი ლომზე ნაკლებად კი არ ღრიალებს და არც მადაში ჩამორჩება.

_ არა, თეატრია, თეატრი! რა დრამებს, კომედიებს და ტრაგედიებს არ ნახავს კაცი! მომხვეჭელობის, ამპარტავნობის, მაამებლობის, ღალატის და ათასგვარი სხვა ყაიდის სცენებს თვლა არ აქვს.

_ ე-ე-ე, მარტო ჩვენი ინსტიტუტი კი არა, მთელი ქვეყანა ასე არ არის? საბოლოოდ ვერ გაარკვევ, ზოოპარკია, ცირკი, თეატრი თუ ბაზარი.

_ ეს ქვეყანა თეატრონია, ნაღდად! მაგრამ საქმე ისაა, რომ მთავარ როლებში უნიჭო მსახიობები იმანჭებიან _ ყაჩაღები, ძალით რომ აქვთ ხელში ჩაგდებული მთავარი როლები ქვეყნის პატრონებისა, რეჟისორებიც თვითონ არიან და მუსიკასაც თვით უკვეთავენ!

_ მთავარი როლის მისაღებად ნიჭი და მონდომება კი არ არის საჭირო, უნდა გქონდეს ძალა! ძალა კი _ ფულია! უფრო სწორად _ ფული ძალაა!

_ ბევრი რომ არ გავაჩმახოთ, ფულია ყველაფერი! ამიტომ, ჩვენი სამსახური გინდ თეატრი იყოს, გინდ _ ბაზარი, გინდ _ ცირკი და გინდ _ ზოოპარკი, ასეთ სანახაობას სხვაგან სად იხილავ? დროა, ჩავკეტოთ კარი და მოლარე დავსვათ _ ბილეთების გაყიდვას შევუდგეთ! ბაბო მაინც ტყუილად არის, მთქნარებისგან ყბა მოეღრიცა!..

_ მაგარი ხარ! მგელიკას ფული აკლია ვითომ? სადაც ფულის სუნს იყნოსავს, იქ სხვას არ გაახარებს, ყველაფერს თვითონ ჩაიჯიბავს!

_ მოლარედ ბაბო დავსვათ და ვნახოთ, ერთ კაპიკსაც თუ გაატანს!

ბოლო რეპლიკას მოჰყვა სახაზავის რამდენჯერმე ტყლაშუნი, სანამ სილია დერეფანში არ გავარდა...

IV წკიპურტი. ვარ პესიმისტი!

დილდილაობით სამსახურში მოსვლას ერთ ზონარგაყრილ საერთო რვეულში ხელმოწერით ვადასტურებთ. ეს რვეული N63 ოთახში დევს, რომელიც ჩვენი, N5 ლიბორატორიის გამგე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ბატონი ღუტუშა ტუშაშვილი ზის თანამშრომელთან ბახვა ვახვახაძესთან ერთად. ცნობისთვის: N5 ლიბორატორიაში მუშავდება ხუთი თემა, რომლებშიც შემსრულებლებად ირიცხება ოცამდე თანამშრომელი. ლაბორატორიის თანამშრომლები სხედან სამ ოთახში, რომელთა ნომრებია N63-დან N 65-მდე. ბატონი ღუტუშა იმავდროულად ხელმძღვანელობს იმ თემასაც, რომლის შემსრულებლებიც ჩვენ გახლავართ, მხიარული ოთახის ბინადარნი.

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღესხელის მოწერა ყველაზე გვიან მოახერხა ლადიკო ბედოვლათაძემ.

_ გავგიჟდები და ეგ არის! _ ოთახში შემოსვლისთანვე გაშალა ხელები ლადიკომ, _ ჩვენი პატივცემული უფროსი დამცინის, ნაღდად!

ეს სიტყვა _ “ნაღდად” _ ლადიკოს ძალიან უყვარს.

_ დილიდანვე ამრეზილია ბატონი ღუტუშა, ეგ ნუ გაგიკვირდება! _ ღიმილით ამშვიდებს სანდრო. _ ხომ იცი, ორშაბათობით ღუტუშა ვერ არის ხოლმე ხასიათზე; თანაც დღეს პატარა სპექტაკლის ნახვა მოგვიწევს _ ბატონი ღუტუშა თვითანგარიშს ჩაგვაბარებს!

_ მერე, მე რა დავუშავე, არ ვიცი _ თაღლითი არ ვარ, არც წესრიგის ავი დამრღვევი... რაც მევალება, ყველაფერს ვაკეთებ, როგორც შემიძლია, _ გაბუტული ბავშვივით ბუზღუნებს ლადიკო. _ მართალია, დილით ცოტა დამაგვიანდა; ხელს ვაწერდი და ღუტუშამ შემომიტია, სულ უბრალოდ, არაფრის გამო. არ ვიცი. რაღაცეები ხომ არ ელანდება, თუ საერთოდ აღრენილია ჩემზე?

_ არა, კაცო, ეგ როგორ იფიქრე, არა ხარ მართალი, არც ერთი შენი ვარაუდი არ არის სამართლიანი! _ ვამშვიდებ მე. _ “უმფროსი”, ჩემო საყვარელო, შენზე ზრუნავს, შენ კი ვერაფერს ხვდები!

_ ვერ გავიგე?

_ ბიჭო, ჩვენს ღუტუშას დღედაღამ არ ძინავს, სულ იმაზე ფიქრობს, ლადიკოს როგორ დავეხმაროო, შენ კი ბაიბურში არ ხარ!

_ მაინც ვერ გავიგე?!

_ შემოგიტია ხომ? ეგ კარგია, ბიჭო, შეგაჯანჯღარებს, გამოგაფხიზლებს, დაფარულ ძალებსა და ენერგიას გაგიაქტიურებს! შენი მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტი მკვეთრად გაიზრდება! ახლა ხომ ხეებს გლეჯ ძირფესვიანად შიშველი ხელებით, “უმფროსის” მხრივ სტიმულაციის შემდეგ მთებს შეეჭიდები! სახლის აშენებას რომ აპირებ ნაკვეთში, ამწე აღარ დაგჭირდება, შენ თვითონ გადმოცლი გადახურვის ფილებს და დააწყობ კოხტად. საკუთარი ხელით აშენებულ სახლს რა სჯობს!

_ სულ არ მაქვს სასაცილოდ საქმე... მეუბნება: დაწერე განცხადება, წაბრძანდი, სხვა ადგილას ხარჯე შენი ნიჭიო, წარმოგიდგენია?! არ ვიცი, რა ვქნა, ნაღდად!

_ ჯიგარ, მაგაზე დარდობ! როცა რეგვენი უფროსი რაიმე სისულელეს გეუბნება, შენ ყურსაც ნუ შეიბერტყავ, ფეხებზე დაიკიდე! ნერვებს მოუფრთხილდი!

_ როგორ, მეც ხომ ადამიანი ვარ, ჩემზე მოქმედებს!

_ შენც ადექი და ფსიქოთერაპიული სეანსი ჩაატარე! როცა ვინმე ყეყეჩი გედავება, შენ ერთი გემრიელი პანჩური ამოჰკარი, ან ყური აუწიე, თან ჭკუა დაარიგე, თითით დაემუქრე: “მეტს ნუღარაფერს მიჰქარავ, თორემ, ხომ იცი, შენისთანა მაიმუნს გალიაში ჩავსვამ!”

_ ი, ეგ როგორ?1

_ როგორ და მშვენივრად! მართლა კი არ უთავაზებ ჭიტლაყს _ გუნებაში, წარმოდგენით! თუ ერთხელ ამოკვრა არ დაგაკმაყოფილებს, შეიძლება სიამოვნებით გაიმეორო, ვინ დაგიშლის; მერე მესამეც უთავაზო, მეოთხეც მიაყოლო! წკიპურტიც შეგიძლია გაჰკრა ცხვირში, მერე კინკრიხოშიც მოუნაცვლო, თან დაამატო: “უჰ, კაცო, აქამდე როგორ ვერ დამწიფდა ეს გოგრა!”

აქ სანდრო ჩაერთო:

_ შეგიძლია, მეტი თერაპიული ეფექტისთვის ექსტრასენსთან მიიყვანო ბატონი ღუტუშა. ის ეტყვის: “დიახ, დიახ, თავი ბრწყინვალე გაქვთ, ჩემო კარგო, გამოჩენილი თავია დიდი მეცნიერისა, ჭეშმარიტად! განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თმები გაგცვივდათ და ნაბუქსავებ საბურავს დაემგვანა, თქვენს თავს მეტი ბრწყინვალება მიეცა!”

ბაბუცის რიგიც მოვიდა, ისიც ჩაერთო ლადიკოს დამშვიდების პროცედურაში:

_ დაწყნარდი, ჩემო ლადიკო, დაწყნარდი! წავიდეთ ახლა, ცოტა გავერთოთ, მოვისმინოთ წმინდა ღუტუშას აღსარება!

შევიკრიბეთ ყველაზე დიდ, N64 ოთახში. ამ ბოლო დროს მოდაში შემოვიდა ხელმძღვანელ მუშაკთა ეგრეთწოდებული თვითანგარიშები, რასაც უნდა ეჩვენებინა ჩვენი სოცია-

ლისტური საზოგადოების დემოკრატიული ხასიათი. ბატონმა ღუტუშამ, რა თქმა უნდა, ძირითადად თავისი მოღვაწეობის თუ პიროვნული თვისებების დადებით მხარეებზე ილაპარაკა. ეტყობა, “ზემოდან” გააფრთხილეს, მეტი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობისთვის საჭიროა, რომ მიღწევებთან ერთად აღნიშნო რაიმე უარყოფითი მხარეც საკუთარი თავისა, ხასიათის რაიმე ნაკლიცო...

_ არ არის დასამალი, მეგობრებო, რომ სულ მთლად ისე კარგად ვერ ვმუშაობთ, როგორც საჭიროა...

_ კარგად მუშაობა როგორ შეიძლება! _ მეტისმეტად სერიოზულად თქვა სანდრომ.

ღუტუშამ ცერად გადმოხედა სანდროს, აგრძნობინა, შენთვის სხვა დროს მოვიცლიო, და განაგრძო:

_ მუშაობაში ხელს მნიშვნელოვანწილად გვიშლის ჩვენი პიროვნული ნაკლოვანებებიც... მე, მაგალითად, უნდა გულახდილად ვაღიარო, რომ პესიმისტი ვარ... ეს ჩემი ხასიათის უარყოფითი თვისება ვერაფრით გამოვასწორე...

კრება განცვიფრდა, ემოციები ვეღარ დაფარეს.

_ ღუტუშიკო, რა უცნაურობას გვეუბნები? _ ამოქნილი წარბები აძგიბა პენსიისთვის კარგა ხნის წინათ მომწიფებულმა შინაბერამ მაყვალა ქიცმაცურაშვილმა. _ როცა ჩვენ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივი წყობილების ქვეყანაში ვცხოვრობთ და მუხლმოუღლელად ვშრომობთ ბრწყინვალე მომავლის ასაშენებლად, როგორ შეიძლება პესიმისტი იყო? მე პირადად მომავალს დიდი იმედით შევცქერი...

_ ვარ პესიმისტი და რა ვქნა? _ არ დაიშალა თავისი ღუტუშამ.

_ არა, ბატონო ღუტუშა, თქვენ არ შეიძლება პესიმისტი ბრძანდებოდეთ! _ უმტკიცებდა N11 ლაბორატორიის გამგე დიმიტრი არტაგიშვილი და გაწკეპილ ულვაშებზე გაისვა საჩვენებელი თითი, _ პესიმისტები თავს იკლავენ!

_ ვარ, ვარ! ვაჰ, შენ მასწავლი, ვარ თუ არა?!

_ შეხედე ერთი, თუ ღმერთი გწამს, რამდენი ლამაზი ქალი შემოგყურებს, ამ ყვავილეთში შეიძლება პესიმისტობა?! _ თვალებს უჟუჟუნებდა დამსწრე ქალბატონებს ბატონი დიმიტრი.

_ კარგით რა, ბატონო ღუტუშა, თქვენ და _ პესიმისტი?! _ თვალებს ნაზად ნაბავდა ბაბუცი. _ ვერ დავიჯერებ ვერაფრით, თუნდა მომკალით!

_ გინდ დაიჯერე, გინდ არა, რა ვქნა ახლა! ფაქტი ჯიუტია: არ მწამს არაფერი, გულსა და სულს სულ ეჭვის ჭია მიღრღნის, სულ ცუდის მოლოდინში ვარ, იმედის ნაპერწკალიც კი არ მიღვივის! _ ხმაში გაბრაზება დაეტყო ღუტუშას.

_ კვარტალური ან წლიური პრემიის მიღების შემდეგაც მასეთ გუნებაზე ხარ? _ ღიმილით იკითხა ბუღალტერმა ნათელამ.

_ პრემია რა შუაშია? _ აღშფოთდა ღუტუშა, _ სად ფული და სად სული!

_ შენ რაღაც თავს იკატუნებ! _ გაუწყრა ღუტუშას ნური, ერთ-ერთი ლაბორატორიის გამგე. _ შენ რა პესიმისტი ხარ, შემოდგომის მწყერივით ჩაპუტკუნებულხარ! პესიმისტს ლანდი გასდის ლოყებში, მაგას ვჭამთ ჩვენ?!

_ წადი შენც ჩემსავით ფსიქოლოგთან მიღებაზე და ნახავ, რამდენი ჩემზე მსუქანი პაციენტი დაუდის! _ არ შეეპუა ღუტუშა. _ შენ რომ იცოდე, პესიმიზმმა, შიშმა, უიმედობამ ზოგჯერ მადის მოკლება კი არა, მოჭარბება იცის!

_ კი მაგრამ, ერთი ეს მითხარი, სპორტულ ლატარიას ხომ თამაშობ? _ არ მოეშვა ნური, _ ერთხელ ერთადაც შევავსეთ ბარათები.

_ ყოველი გათამაშების წინ 10-15 ბილეთს მაინც ვყიდულობ და ჯერ სამი მანეთიც არ მომიგია, მოდი და ნუ იქნები პესიმისტი!

_ მერე, ჩემო ღუტუშა, ვიღას ატყუებ, პესიმისტი ვარო, პესიმისტი საერთოდ ერთ ბილეთსაც არ შეიძენდა!

ხარხარმა N64 ოთახი პირთამდე გაავსო.

_ რა გაცინებთ? სატირლად გვაქვს საქმე! _ კიდევ უფრო მოიღუშა ღუტუშა.

_ არ არის სასაცილო? _ დინჯად გაეპასუხა სანდრო. _ ჩვენ კი არა, ალბათ ღმერთიც იცინის ჩვენი შემხედვარე _ რამდენიმე დღით რომ დაგვიანდება ხელფასი, ან უნდა ვიშიმშილოთ, ან _ ვალებში ჩავვარდეთ... ღმერთსაც უყვარს სეირის ყურება!

_ მერე, ამის დედა ვატირე, აღარ მობეზრდა ამდენი სიცილი?! _ ავყევი მეც, _ გადმოხედოს ქვეყანას, სულ გაქექილ ადამიანებს რომ წყალობს!

_ უკეთესს რას ნახავს ან სად ნახავს სასაცილოს, _ განაგრძობდა სანდრო, _ ღმერთი რომ იყოს, აქამდე გასკდებოდა სიცილით!

_ ვის უნდა დავუჯეროთ? _ გავაგრძელე მეც, _ ლენინმა მოგვატყუა, 70 წელია, იცინის, კვდება სიცილითა! მას მხარს უბამს ულვაშა _ ხომ გაგაცურეთო, ხომ მაგარი ამბები ჩავახლაფორთე, ახლა ადექით და თუ ვაჟკაცები ხართ, ეგ ჩაბლანდული გორგალი გახსენითო!

ღუტუშა და მისი პესიმიზმი ვიღას ახსოვდა, _ ხალხი ყოველდღიურ ჭირ-ვარამზე ნაღვლიანი ხუმრობებით იოხებდა გულს.

V წკიპურტი. კანიბალი

ლადიკო ბედოვლათაძე ამ დილითაც დაგვიანებით შემოვიდა ოთახში. გაღიმებულმა, მაღლა აწეულ ხელში რაღაც ჟურნალი ააფრიალა:

_ ა, ბატონო, ახლაც იტყვით ადამიანი ადამიანის ძმა და მეგობარიაო? ბოულდერში, კოლორადოს შტატის უნივერსიტეტის არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში, ფონბრეგუას მღვიმეებში, ხოშიანად მიირთმევდნენ თანამოძმეთა ხორცს!

_ როდის, კაცო?! _ წამოვიძახეთ ოთახში მყოფებმა თითქმის ერთდროულად და სკამებიდანაც კი წამოვდექით.

_ დაახლოებით 6000 წლის წინათ რეგულარულად აგემოვნებდნენ ერთმანეთის ჩიჩიას! _ გამარჯვებულის იერით ისროლა სანდროს მაგიდაზე ჟურნალი ლადიკომ და მტვრის ბუღი დააყენა.

_ შენც თქვი რაღა! ჰმ, 6000 წლის წინათ, დიდი ამბავი! აგერ ახლა, ჩვენს დროს, თვით იმპერატორი მიირთმევდა ადამიანის ხორცს, თანაც ბრძოლაში დამარცხებული მტრებისას კი არა, როგორც მისი შორეული წინაპრები ერთი-ორი საუკუნის წინათ, არამედ საგანგებოდ მისთვის განკუთვნილებს! _ ამბობს სანდრო. _ არ უყურეთ ტელევიზორში? ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი, რომელმაც შემდეგ თავი იმპერატორად გამოაცხადა, ფაქტიურად კი _ დიქტატორი, ჟან-პიერ ბოკასა...

დიდი და მცირე ელექტრული მანქანების მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში აქტიურად და მიზანსწრაფულად დანერგვის სამეცნიერო-საკვლევი, საკონსტრუქტორო-საცდელი და საპროექტო ინსტიტუტის N5 ლაბორატორიის N65 ოთახში შეკრებილნი მორიგ დისკუსიაში ჩავებით.

_ როგორ არ გახსოვთ ბოკასა! _ განაგრძობს სანდრო, _ ტელევიზიით რამდენჯერმე აჩვენეს, _ ხნიერია, ჭაღარაწვერიანი, ევროპულად კოხტად გამოპრანჭული: პიჯაკი, ჰალსტუხი... და ამ კაცმა სულ ცოტა ათი კაცი მაინც შეჭამა!

_ რა იცი, იქნებ ქალებსაც მიირთმევდა? უფრო ნაზი ხორცი აქვთ, ნაღდად!

_ გაგიხმეს თავი!

_ სასამართლო პროცესზე განუცხადებია: მე ყველაზე დემოკრატიული პიროვნება ვარ და გთხოვთ მომცეთ უფლება, ვიცხოვრო, როგორც ჩვეულებრივმა ადამიანმაო.

_ ალბათ შეუჭმელი დარჩა ვიღაცა, ვისი ჯინიც ჭირს ან შესაჭმელად მოსწონს, თავისუფლად განავარდება მოუნდა!

_ არადა, სხვა ცოდვებიც აწევს: მკვლელობები, სახელმწიფო ქონების პირადი მიზნებისთვის გამოყენება და კიდევ ათასი სხვა.

_ მეც ვნახე ტელევიზორში ბოკასა, სასამართლოს წინაშე რომ წარსდგა. სულ არ ჰგავდა გამფლანგველს და ხულიგანს, მით უმეტეს _ კაციჭამიას. შეშინებული ჩანდა, ალბათ სრულებით არ ფიქრობდა, სასამართლოში მის გარშემო მყოფთაგან ვინ უკეთესი შესაჭმელიაო.

_ როგორ დავიჯერო, მართლა ადამიანის ხორცს ჭამდა?

_ რა, ყელზე დაადგებოდა? ხორცი ხორცია!

_ Fუი, გაგიხმა თავი! შე საძაგელო, ამ თემაზეც შეგიძლია ხუმრობა? _ ალბათ მიხვდით, ამ რეპლიკის ავტორი ბაბო იყო.

_ ჩვენს რაიონში 150 წლის ყორანი შეჭამეს, მგელიც შეახრამუნეს მონადირეებმა, მათი ხორცი რით არის უკეთესი ვითომ?

_ ის კაცი რამდენი წლისა იყო, ვინც დაადგინა ყორნის ასაკი? ალბათ პირადად დაესწრო ყორნის დაბადებას!

_ ალბათ იქ, იმ აფრიკულ ქვეყანაში, ბოკასას დროს არც იყო სიკვდილით დასჯა _ ჩასვამდნენ გალიაში გასასუქებლად... სუქებაზე დაყენებულს ქრთამიც ვერ უშველიდა!

_ წარმოიდგინე, რა დღეში იქნებოდი იმ გალიაში, ა? იცი, რომ ბოკასას ლუკმა ხარ! ყოველდღე ჩამოივლის მომვლელი მზარეულთან ერთად _ “არა, ცოტა კიდევ სჭირდება მოსუქება!” რა ფსიქოლოგიური განწყობა დაგეუფლება!

_ ბოკასას პირადი ექიმები დაჰფუსფუსებდნენ ალბათ შესაჭმელს _ ამოწმებდნენ გულს, წნევას, უზომავდნენ სიცხეს _ კლიენტი ჯანმრთელი უნდა იყოს!

_ ბოკასა ჯერ კარგად გაასუქებდა, მერე აშიმშილებდა 4-5 დღე _ ყველა ნაცარი უნდა დაეტოვებინა ორგანიზმს, _ მერე ჩააბარებდა მზარეულს, ისიც დატრიალდებოდა, ნაღდად!

_ ფუი, ფუი, ესეც ხუმრობაა? გაგონებაც არ შემიძლია! _ წიკვინებს ბაბო.

_ საინტერესოა, დანა-ჩანგალს თუ ხმარობდა? თუ ხორცს შიშველი ხელებით ხლეჩდა?

_ მარილს თუ აყრიდა?

_ მოუყვანდნენ მსხვერპლს, ბოკასა ახედ-დახედავდა, ხელს მოუსვამდა ამორჩეულ ადგილზე და მზარეულს ეტყოდა: “ეს ნაწილი მომიმზადე! ხომ იცი, მე როგორი გაკეთებულიც მიყვარს!”

_ წარმოიდგინე, რომ შენ ტიტლიკანა დგახარ ბოკასას წინაშე, ის კი ხარბად გათვალიერებს, ტუჩებს მსუნაგად ილოკავს და საჩვენებელ თითს დაატარებს შენს ტანზე _ ეს ნაწილი კარგი გამოვა საწებლითო, _ მერე იქვე მდგომ მზარეულს ეუბნება რეცეპტს, რომლითაც უნდა მოუმზადოს კერძი... თან დააყოლებს _ “იფ, იფ!”

_ ნაღდად, დიდად დახელოვნებული მზარეული ეყოლება, ბოდიში, ეყოლებოდა!

_ არა მგონია. ალბათ თვითონ ამზადებდა, არავის ენდობოდა, თვითონ იქნებოდა დაოსტატებული!

_ რა გაუჭირდა ისეთი, სხვა ხორცი ვერ იშოვა?

_ ალბათ დილიხორი ჰქონდა, პირადი მტრები შეეჭამა, გემოს იმას ჩაატანდა!

_ რას შეახრამუნებდა!

_ სასწაულია, სასწაული!

_ ბოკასასთან ერთი ერთზე, პირისპირ დარჩენა არ გინდა?

_ რომ დაიწყებდა ჭამას, შენ იმას გააჩერებდი?

_ დავიჯერო, არაფერი დარჩებოდა? ერთ ჯერზე ერთ კაცს როგორ მოერეოდა?!

_ რაც დარჩებოდა, მაცივარში შეინახავდა!

_ არა, კაცო, ახალი, ქორფა უყვარდა!

_ სტუმრებსაც დაჰპატიჟებდა, აბა, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, ხომ გაგიგონია. “აი, გენაცვალე, ეს ნაჭერი გადაიღე, ნახე, რა მშვენიერი დაბრაწულია!”

_ რას მიაჩიჩინდით ამ ბოკასას, ეგ გამონაკლისი კი არ იყო. ამას წინათ ჟურნალში წავიკითხე (სხვათა შორის, საბავშვო ჟურნალი იყო!) _ გაბონში (ესეც აფრიკაშია) გამოაშკარავეს კანიბალთა სექტა. იცით, რა ერქვა? “უშფოთველი ცხოვრება”! Fფრიად ხუმარა ხალხი შეყრილა პურის საჭმელად! მათი თავკაცი იყო სახელად მბა ტემი _ უბრალო კაცი არ გეგონოთ, უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული ევროპაში! დაპატიმრების წინ ის-ის იყო დაბრუნდა სამეცნიერო სემინარიდან, პარიზიდან, _ სხვა ადგილიდან კი არა! მხოლოდ ბოლო ხანს მისი მსხვერპლი გახდა ექვსი ადამიანი, მათ შორის ორი საკუთარი შვილი. თავისი ძმაკაციც კი შემოეჭამს _ მოადგილე , ანდრე ონდო ნდონგი. არც ის იყო პატარა კაცი _ ინგლისური ფილოლოგიის პროფესორი გახლდათ!

_ პროფესორს განსაკუთრებით ჩაატანდა გემოს!

_ ნაღდად!

_ ზოგს რომ მიუყვანდნენ, გვერდზე მოისვრიდა: “თქვენ მიირთვით, თუ კარგია, განათლება აკლია, ვერ არის კონდიციური!”

_ იკრიჭეთ, ჰო, ლესეთ ენები! მოიცათ, იცინეთ თქვენ და მალე, სულ მალე ჩვენც მოგველის მასეთი ამბავი. ხორცი სადაა მაღაზიებში, მალე ჩვენც დავერევით ერთმანეთს!

_ არა, ძმაო, მე ვერ დავეთანხმები ზემოხსენებულ პატივცემულ გურმანს _ ქალაქელი ხალხის ხორცი არ ივარგებს, მოწამლულნი არიან ბენზინის სუნით, კვამლით!

_ არც პაპიროსის მწეველები იქნებიან მაინცდამაინც დიდად გემრიელნი...

_ მთაში გაზრდილი იქნება კარგი, სუფთა ჰაერზე ნაპატივები.

_ ვინ შევჭამოთ პირველი?

_ ლომი, ლომი! სილია შევახრამუნოთ _ 120 კილოა, ყველას გვეყოფა, სხვებსაც ვუწილადებთ, გაჭირვებული ბევრია, მადლს მოვისხამთ!

_ არ ვარგა, ნამეტანი მსუქანია!

_ ვინ არის, ბიჭო, მსუქანი, ნახე, რა კუნთები მაზის!

_ სილია, შენ რომ ახლა აქ გაშიშვლდე, იცოდე, ვიკივლებ! _ წამოხტა სკამიდან და სახაზავი მოიმარჯვა ბაბუცემ. _ კარგი რა, არ გეყოფათ ასეთი უშნო ხუმრობა?

_ რა დროს ხუმრობაა, ბოკასას თუ ჰქონდა პირში გემო, ჩვენ მასზე ნაკლები რითი ვართ? _ მოჩვენებითი გაგულისებით იტყაპუნებს მუცელზე ხელს სანდრო.

_ მოდი, ბოკასას ღუტუშა მივყიდოთ _ თვითონაც გაუხარდება: დღეში, თუ მოისურვებს, თუნდაც ხუთჯერ აჭმევენ უფასოდ!

_ არა, ძმაო, ზოგი ადამიანი მყრალია, არ იჭმევა!

_ ღუტუშას არც ტვინი ვარგა? მოდი, მისი ტვინი გავყიდოთ... ვისზე გავასაღოთ?

_ საერთაშორისო აუქციონი გამოვაცხადოთ, ვალუტით გვექნება შემოსავალი!

_ გამიგონია, ჩინეთში მაიმუნის ტვინს მიირთმევენო, დელიკატესი ყოფილა, ღუტუშასი უკეთესი არ იქნება?

ბაბომ საათზე დაიხედა:

_ შესვენებაც მოსულა. ქვევით გოგოებმა დამპატიჟეს, ციურის დაბადების დღეა... ფუი, თქვენ შეგსანსლათ ბოკასამ, მშია მგელივით, თქვენი უშნო ხუმრობების შემდეგ კი ლუკმასაც ვეღარ ჩავიდებ პირში...

VI წკიპურტი. დისერტაციის დაცვა

დღეს ბატონი სანდრო უჩვეულოდ გვიან მოგვევლინა, უკვე შესვენების შემდეგ, სამაგიეროდ, სახეზე ისეთი ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა, რომ ყველას შეგვეხარბა.

_ ეს რა ბედნიერი დღე გაგვითენდა! _ შემოგვცინა ბავშვური აღტაცებით, _ ამას რას მოვესწარით!

_ პრემიების ფული ხომ არ მოუტანიათ? _ თვალები აენთო ბაბუცის და ქსოვაც კი შეწყვიტა.

_ იჰ, ფული და ფული! სულ ფული? სხვა არაფერი არსებობს ჩვენთვის?

_ მაინც რა? _ აგდებით მიუგო ბაბომ.

_ რა და, ცოტაა ამაღლებული, წმინდა?

_ ჰო, კარგი, ამოშაქრე ახლა, ნუ ამოგვხადე სული! _ შეუტია სილიამ.

_ ეს რა ყრუ ხალხში ვცხოვრობ, რა ბნელ საზოგადოებაში! ნუთუ მართლა არაფერი გაგიგიათ? ვერ დავიჯერებ! ჩვენი ინატიტუტის სამეცნიერო ცისკიდურზე ახალი ბრწყინვალე ვარსკვლავი უნდა ამონათდეს და თქვენ კი ჭურში ზიხართ! _ სანდრო შეჩერდა, ჩვენს სახეებზე მრავალმნიშვნელოვანი მზერა შემოატარა და საკმაო პაუზის შემდეგ მეტი ეფექტით განაგრძო: _ სულ მალე ჩვენი საყვარელი დირექტორი ბაქარ კრავიჭამიაშვილი, რომელსაც ზოგიერთი შეუგნებელი ამხანაგი მგელიკას უწოდებს რატომღაც, საჯაროდ იცავს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ფრიად საპატიო ხარისხს და მე კი ბედნიერება მხვდა წილად, დავსწრებოდი დისერტანტის მიერ წარმოდგენილი ბრწყინვალე ნაშრომის წინასწარ განხილვას სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე!.. დიახ!

_ ვაჰ, ბიჭო, რა საცირკო წარმოდგენას დავაკლდი! _ ამოიგმინა სილიამ. – ჩემმა ცოლმა შემაცდინა: სამსახურიდან გაპარულა და მირეკავს შინიდან, შენი საყვარელი ტოლმა გავაკეთე და სანამ ცხელია, მოდიო!

_ ჰო, უძახე შენ საცირკო სანახაობა და მხოლოდ რჩეულ, დიდ მეცნიერებს ხვდათ პატივი, დასწრებოდნენ ამ დაუვიწყარ მოვლენას. _ სანდრო დარბაისლურად მოკალათდა სკამზე და ჩვენც მოგვიწოდა: _ დაბრძანდით, პატივცემულებო, გთხოვთ, თქვენ ახლა სრულ, ამომწურავ ინფორმაციას მოგაწვდით თქვენთვის საინტერესო თემაზე; ჩათვალეთ, ვითომც თვით ყოფილხართ იქ...

_ ჯერ ის გვიბრძანე, რაში უნდა დაიცვას ბატონმა მგელიკამ სადოქტორო დისერტაცია, ფულების სწრაფ დათვლაში? _ სარკაზმით გაჟღენთილ კითხვას სთავაზობს ლადიკო.

_ მე, პირადად, კარგა ხნის წინათ მივანიჭებდი განგსტერიზმის მეცნიერებათა დოქტორის საპატიო ხარისხს!

_ ო, ეგ წოდება რომ დაიმსახურო, უნდა ჩააბარო გამოცდები: სროლაში, სირბილში, სმაშიც! _ დაიქოქა სილია. _ არადა, საკმაოდ დამძიმდა ბატონი მგელიკა, პატარა ღიპიკოც წამოეპარა.

_ ეგ არ არის პრობლემა, მის მაგივრად სხვები გაისვრიან, _ მხარს გვიბამს სანდრო. _ ერთი კაცი ეყოლება სროლის სპეციალისტი, მეორე _ ოსტატი კარატეში, მესამე _ სირბილში და ასე შემდეგ. ბატონი ბაქარ არ ჭამს სირცხვილს... ჰო, კიდევ _ ცურვაში! ამას თვითონაც ბრწყინვალედ შეძლებს _ რა ხანია, ფულის ზღვაში ცურავს! ცურვაც იცის საუცხოოდ და ყვინთვაც _ ბევრჯერ სცადეს მისი დაძირვა, მაგრამ _ ბოდიში! მაინც ამოყვინთა!

_ რა თქმა უნდა, რაც შეეხება ჩალიჩს, საქმეების ჩაწყობას, კონკურენტების დაძირვას და გაძრომ-გამოძრომას, ამ საგნებში თვით ჩააბარებს გამოცდებს და ფრიადებსაც დაირტყამს,

მაგრამ ცოდოა ამაზე მისი მოცდენა _ მისი კვალიფიკაციის სპეციალისტი თვით უნდა იბარებდეს გამოცდებს.

_ სწორია, ბატონ მგელიკას თამამად შეიძლება მივანიჭოთ განგსტერიზმის დოქტორის ხარისხი Honoris causa! ერთი ეს გვიბრძანე, სანდრო ბატონო, ჩვენ რომ არ დაგვასწრეს დისერტაციის წინასწარ განხილვას, მხოლოდ ლაბორატორიათა გამგეები და მათზე უფროსი ამხანაგები იყვნენ, შენ როგორღა შეძვერი? თუ იმ ხროვის წევრად მიგიღეს? _ ვეკითხები სანდროს.

_ ო, ეს ჩემი ფირმის საიდუმლოა! _ იღიმება სანდრო. _ რომ იცოდეთ, ხალხო, თავი გავწირე, ხომ უნდა მომეხსენებინა თქვენთვის, იქ რა მასხარაობაც დატრიალდა? თავიდანვე კინაღამ სიცილით გავიფხრიწე _ გამოვიდა ბატონი ბაქარი და ასე დაიწყო: "ნამდვილად არ მეგონა, თუ ასეთი კარგი ტექსტი გამოვიდოდა. ვინც კი დაინტერესდება და წაიკითხავს, დიდად კმაყოფილი დარჩება მისი დონით!" წარმოგიდგენიათ? თავისი "დისერტაციის" დამწერლებს აქებს!

ინსტიტუტში რა დაიმალება: რაღა თქმა უნდა, ყველამ ვიცით, რომ ბატონმა მგელიკამ საკანდიდატო დისერტაციაც ხელქვეითებს დააწერინა თავის დროზე, სადოქტოროზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია _ შეკრა თავისი "გუნდი", რომელსაც სათავეში ჩაუყენა ბატონი კვიპრიანე კურკუმია _ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საპენსიო ასაკს დიდად გადაცილებული და ბატონ ბაქარის მიერ ინსტიტუტში სამადლოდ კონსულტანტად მიღებული. ბატონი კვიპრიანე სამსახურში იშვიათად თუ გამოჩნდება, უმეტესად ჯამაგირის მისაღებად, უფრო "შინ მუშაობს". თუკი იშვიათად მაინც გამოჩნდა სამსახურში, შესვენებამდე კარგა ხნით ადრე წაბრძანდება შინ, კარგად ისადილებს, მერე წამოწვება, წაიძინებს, საღამოსპირს ისევ გამოივლის ინსტიტუტში, წაიხუმრებს, რამდენიმე ანეგდოტს მოჰყვება, წაიჭორავებს, ამბებს გაიკითხ-გამოიკითხავს; მერე წაბრძანდება, დინჯად დაივლის მაღაზიებს, შინ მისული დაისვენებს, მერე ივახშმებს, გაზეთებს გადაავლებს თვალს, ტელევიზორსაც მიაგებს საკადრისს და ადრიანად ჩაგორდება ლოგინში...

_ ჩვენი მგელიკა, იმედია, ბრწყინვალედ გამოვიდა, არ გაგიცრუა იმედი. ეს ისე, სხვათა შორის ვიკითხე, თორემ ეჭვიც არავის ეპარება... აბა, მოგვახსენე! _ ამბობს სილია.

_ როგორ არა! _ იცინის სანდრო. _ კითხვებს რომ აძლევდნენ, ბღინჯივით იბნეოდა. ჩემს გვერდით მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი ბატონი კვიპრიანე კურკუმია იჯდა და კინაღამ ფერდი ჩამინგრია იდაყვით, როცა კითხვის მიცემა დავაპირე: "გაგიჟდი? ჩუმად იჯექი, დაანებე თავი!" ესეც შენი პენსიონერი! არ მეგონა, თუ ასეთი ჯანი ჰქონდა შერჩენილი, მუმიასავითაა გამხმარი. ესეც შენი პროფესორი! კვიპრიანე ჩურჩულით კარნახობდა პასუხებს გაჭირვების ჟამს, მართალი გითხრა, კინაღამ სირცხვილით დავიწვი! თუმცა, გაჭირვების მომენტები კი არა, საცოდაობის ჯაჭვი იყო უწყვეტი!

_ მაინც, შენ რა უნდა გეკითხა? _ მაინტერესებს მე.

_ როგორც მოგეხსენებათ, ბატონ მგელიკას სადოქტორო დისერტაცია მიძღვნილია ელექტროძრავების მმართველი ცენტრების თეორიული საფუძვლებისადმი. არ გაგეცინება? თეორიული! _ აწია საჩვენებელი თითი ზევით სანდრომ. _ მე მინდოდა გამეგო, მოდულური კონსტრუქცია კი აქვს ამ სისტემას, დისტანციური კავშირიც, სიგნალიზაციაც, ინფორმაციული ბლოკიც _ სპეციალური რელე და ჩამწერი მოწყობილობა სასარგებლო ინფორმაციის შესაგროვებლად... ეს ედება საფუძვლად შემდგომში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის, კომპიუტერის მეშვეობით ხარისხობრივი ანალიზის ჩატარებას _ რაც საჭიროა დიაგნოსტიკისთვის და დამცავი სისტემის ნორმალური მუშაობისთვის. მე ასეთი კითხვით მინდოდა მიმემართა: ყველაფერი ეს მოცემულია ნორმალური მუშაობის პირობებისთვის და თუ გაქვთ-მეთქი კრიზისული სიტუაციების პირობებისთვის რაიმე გათვლილი, გათვალისწინებული, თეორიული ასპექტები გაანალიზებული მაინც...

_ ვაი, შე საწყალო! _ წამოვიძახე მე, _ დისერტაციის დაცვა, ბოდიში, წინასწარი განხილვა, ნორმალურ პირობებში იყო გათვალისწინებული, შენ კი კრიზისულ სიტუაციას უქმნიდი, მიკვირს, ბატონმა კვიპრიანემ არ გამოგაპანღურა.

_ აბა, კაცო! _ განაგრძობს სანდრო, _ მე ხმა არ ამომაღებინეს, სამაგიეროდ, კვიპრიანემ მისცა შეკითხვა, აი ეს იყო სასაცილო! შეიძლება, საკუთარ თავს შეეკითხო? დისერტაცია ხომ მისი დაწერილია! ალბათ წინასწარ რეპეტიციაც ჩაატარეს, პასუხებიც დაიზუთხა ბატონმა მგელიკამ, მაგრამ მაინც ოკრობოკროდ პასუხობდა.

_ ღუტუშა?

_ რა ღუტუშა? მანაც მისცა საგანგებოდ ბავშვური კითხვა, მაგრამ ნეტავი არ მიეცა _ დათვური სამსახური გაუწია! ენა ჩაუვარდა ბატონ დოქტორობის პრეტენდენტს და კვიპრიანეც კი სირცხვილისგან გაწითლდა! არ მეგონა, თუ მას შერჩენილი ჰქონდა კიდევ ეს რეფლექსი. უფრო სასაცილოდ ის მომეჩვენა, ჩვენი ღუტუშა ბატონი რა თავგამოდებით ცდილობდა "შეცდომის" გამოსწორებას! ვითომ თავისი კითხვის განმარტებით გამოვიდა და ფაქტიურად პასუხი უკარნახა მგელიკას, მაგრამ ის მაინც ვერაფერს პასუხობდა, ბაიბურში არ იყო... მერე უნდა გენახა, როგორ იქცეოდა ღუტუშა სხდომის დამთავრების შემდეგ _ ენაგადმოგდებული დარბოდა ამ ხნის კაცი, დირექტორის ნახაზებს კედლიდან საკუთარი ხელით ხსნიდა, არავის დაანება! ჭიკარტები სათითაოდ დააძრო და ნახაზებთან ერთად მგელიკას პირადად ჩააბარა, მგონი, დაუთვალა კიდეც... თვალებში ნაცემი ძაღლივით შესციცინებდა, ამხელა კაცს სულ არ ჰქონია თავმოყვარეობა...

_ თუ დაუფასდა ამაგი? გამოსწორებულად ჩაუთვალეს "შეცდომა"?

_ ჰმ, ძაღლადაც არავინ ჩააგდო! მგელიკამ დაიბარა, ნახაზებს ჩემი ხალხი მოუვლისო, _ ეს სხდომის დამთავრების შემდეგ მოხდა, რასაკვირველია, _ ჰოდა, შეკრიბა თავისი განგსტერული გუნდი, ჩასხა ორ მანქანაში და მოუსვა _ რესტორანში აღნიშნა ბრწყინვალე გამარჯვება!

_ დავიჯერო, ღუტუშას ერთი საწუწნი კამფეთი მაინც არ გადმოუგდო? _ წუხს ლადიკო.

_ ვერ დასცხო მერე ტაში? ხომ იცოდა, კითხვის მიცემას ტაშის დაკვრა ჯობდა? იქნება მგელიკას ორი კამფეთიც გაემეტებინა...

_ ნუთუ არავინ გამოდგა ისეთი გულმოწყალე, ტყუილუბრალოდ არ გაენერვიულებინა ბატონი მგელიკა და ეკითხა ის, რაც მან მართლა მშვენივრად იცის: "ბატონო ბაქარ, მეც მაინტერესებს და სხვებსაც, გთხოვთ მოგვახსენოთ, თვეში რამდენათასიანი ბრძანდებით? ანუ თვიურად თქვენს პირად ქისას რამდენი ემატება? აქ, ჩვენს შორის, აზრთა სხვადასხვაობაა: ერთნი ამბობენ, რომ თვეში 2000 მანეთს "ღუნავთ", სხვები არ ეთანხმებიან და ორჯერ დიდ თანხას ასახელებენ... რომელს დავუჯეროთ? სუფთად, სუფთად რამდენი გრჩებათ, რამდენს ჩაიჩხრიალებთ ჯიბეში? რა თქმა უნდა, თქვენისთანა სახელოვან კაცს ხარჯიც შესაბამისად დიდი აქვს _ იქით ქურდებს უნდა შენახვა, აქეთ მოსკოვში, სამინისტროში ხურჯინების და ბოცების წიკვა... წილში სხვაც ბევრი შედის, თითქმის ნახევარი ქალაქი თქვენი ხელის შემყურეა, რაიკომიდან და რაიაღმასკომიდან დაწყებული და მილიციით და სხვადასხვა ინსპექცია-კომისიებით დამთავრებული. საქმეში დამქაშ-ტაშისმკვრელებიც არ გაკლიათ, უფასოდ კი, მოგეხსენებათ, ჩიტიც არ სკინტლავს... ჰოდა, ჯიბეზე, ჯიბეზე ალალად დაირტყით ხელი, სუფთად რამდენი გრჩებათ?" _ არ მინდა შრომა დავუკარგო ასეთი გრძელი მონოლოგის წარმომთქმელს და მის ვინაობას გაგაცნობთ _ ლადიკო დავარდა ქადაგად.

_ ჯიგარ, სანამ მაგ კითხვის მიცემას გაბედავ, ჯერ ანდერძი უნდა დატოვო! _ ექილიკება სილია, _ ანდა ჯიბეში საერთაშორისო ხაზის თვითმფრინავის ბილეთი გქონდეს და კითხვის დამთავრებისთანვე, პასუხს აღარ დაუცადო _ კარებთან მანქანა უნდა გიცდიდეს და მაშინვე მოუსვა აეროპორტისკენ!

_ ჰო, თქვენ იფხანეთ ენები და ცხოვრების ძვალი ხორციან-ტვინიანად მგელიკასნაირებმა დაითრიეს და ლოღნიან, თქვენ კი შორიდან უცქერით და ნერწყვის ყლაპვით იხრჩობით! _ ნიშნის მოგებით გადმოგვხედა ბაბუციმ.

_ იცი, რას გეტყვი? _ თითქოს გაუბრაზდა სილია, _ ამ ოთახში ერთი შემოსვლა თუ მგელიკას ათასებს არ მერჩივნოს, უნამუსო კაცი ვიყო! ერთ გემრიელ გაცინებას არ გავცვლი მგელიკას სუფრაზე ქეიფში!

_ ვიცინოთ, მეგობრებო, გინდაც ვიტამინები მიგვიღია! _ უდასტურებს სანდრო. _ სიცილი სულის ვიტამინებია, ვინ არ იცის!

_ იცინეთ, მეტი რა დაგრჩენიათ, თქვე ბედოვლათებო! _ არ გვზოგავს ბაბუცი.

_ აბა, რომ ვიტიროთ, რა ხეირია! _ არ ვტყდებით კაცები.

_ "გოგოვ, გოგოვ, კისკისა, შენ ჩამოდი წყლის პირსა!" _ წაიმღერებს სანდრო და ხელების შლით წაიცეკვებს კარებისკენ, _ აბა, წაბრძანდით ყველანი შინ; დიდ მეცნიერთა სამეცნიერო სხდომას დახურულად ვაცხადებ, შენ დაუკარ!.

VII წკიპურტი. ჰოკუს-პოკუს, ბატონო სანდრო!

_ სად ხარ, ბიჭო, დაკარგული?! _ ერთხმად შევძახეთ ოთახში შემოსულ სილიას, რომელიც მხოლოდ ერთი დღე არ გამოჩენილა და უკვე ყველას თვალში მოგვაკლდა.

_ ფანქარს თლიდა, თითი გაიჭრა და ბიულეტენი აიღო! _ ატრიზავებს ბაბო.

_ არა, ეგ ძალად გაიჭრიდა თითს, გადაიღალა და დასვენება მოენატრა მაგ სიმულიანტს! _ ჩაერთო სანდროც.

_ ჩვენო ძმაო და მეგობარო, ეს რა ფოკუსების ჩატარება გისწავლია? _ ვეუბნები მეც. _ ჰო, სწორედ მეფოკუსეებზე წავიკითხე ამას წინათ წიგნი, მართალი გითხრათ, პატარა ბიჭივით დავინტერესდი!

_ შენ კიდევ არ დაიშალე წიგნების კითხვა? _ ცერად გადმომხედა სილიამ, _ ვინ გააფუჭა ეგრერიგად?

_ რა ვქნა, ბავშვობაში შემეყარა ეგ სენი და აქამდე ვერ მოვრჩი.

_ პატრონი არ გყავდა? ბავშვს თუ ხელში წიგნი დაუნახე, უნდა გამოღლიტო და თავში ჩასცხო, რომ მეტად არ გაიმეოროს!

_ რათა, კაცო?!

_ იმათა, ჭირიმე, რომ ცუღლუტობს! რა თავში იხლის იმ შენი უმაღლესი სასწავლებლის დიპლომს... წადი, შვილოსა, გინდაც მტვირთავად იმუშავე, _ ინჟინრის ან თუნდაც მაცნიერ-მუშაკის ხელფასს სამ-ოთხჯერ მაინც აჯობებ. წინათ რომ პროფესორი "პობედას" იყიდდა, ყველა იტყოდა, ვაჰ, ყოჩაღ, ნაღდი პროფესორი ყოფილა, ავტო იყიდაო; ახლა, დღეს, არა, პროფესორი თავისი ხელფასით ქეციან "ზაპოროჟეცსაც" ვერ იყიდის. აბა, გაიხედე _ ვინ დაჯლიგინობს "მერსედესებითა" და "ტოიოტებით", "შევროლეებითა" და "ვოლვოებით"? ვაჭრები, საქმოსნები, აღებ-მიცემობის ხალხი... უმრავლესობას უმაღლესი თვალითაც არ უნახავს, ვისაც კიდე უმაღლესი განათლება მიუღია, არა, ის ნაქები დიპლომი სანაგვეში აქვს გადაგდებული. აი, ასე, ჩემო კარგო, ლამაზო და ჭკვიანო! გაიგე? პრო-ფე-სორი! პროფესორი და ბედოვლათი დღეს ერთია! დღეს ხელობას აქვს ფასი. თუ ხელობა გაქვს, ხელოსანი ხარ _ მაშინა ხარ კაცი! პროფესორი ვის რად სჭირდება, რაში გამოადგება, ერთი მეთუნუქე ავტოპროფილაქტორიუმში ხუთ პროფესორს იყიდის და გაყიდის. ნახე, მასთან როგორი რიგი დგას _ ერთი კვირით ადრე უნდა ჩაეწერო, ეჯღანო, ხვეწნით ყელი გამოიგლიჯო; ის კიდევ გისმენს, არც შემოგხედავს _ სადღაც ბებიაჩემისკენ იყურება, თითქოს მის წინ ბუზი ბზუოდეს... იფიქრებ, ერთი გემრიელად ჩავაფარო მაგ ბრიყვ სიფათში-მეთქი!

არადა, მანქანა გასაკეთებელი გაქვს, სად წახვალ!.. პროფესორი! რა ჩემი ფეხებია დღეს პროფესორი. იკითხე, იკითხე, იქნებ შენც გახდე პროფესორი!

_ აბა, რატომ არის, რომ ყველა ტილიანი რაიკომის მდივანი დისერტაციას იცავს? _ ვკითხე მე სილიას. _ ყველა მინისტრს მეცნიერებათა დოქტორობა სურს...

_ ფული იშოვნეს ოხრად და ახლა სახელიც უნდათ: ასე ვთქვათ, ბრილიანტი შესაფერის ბუდეში ჩასვან. არადა, ორი წიგნი არ აქვთ წაკითხული.

_ შენ პროფესორობამდე ბევრი გიკლია და ამიტომ, დარწმუნებული ვარ, იმ წიგნს მეფოკუსეებზე სიამოვნებით წაიკითხავდი.

_ ე, ჭირიმე, წიგნი კი არა, ის არ გინდა? წიგნის საკითხავად სად მცალია. თუ ფოკუსები გაინტერესებს, ტელევიზორს უნდა უყურო, ჭირიმე. ხო, ხო, რა გაგიკვირდა. იქ რომ პოლიტიკოსები გამოდიან და შავს თეთრად ასაღებენ და ტყუილს სიმართლედ, რომელი მეფოკუსე შეედრება? იცი, რა სიამოვნებით ვუყურებ! _ სილიამ მოიფშვნიტა ხელები და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. _ უსმენ ვიღაც გენიოსი პოლიტიკოსების ლაქლაქს ტელევიზორში და ცდილობ, ორსაათიან ლაყბობაში ერთი ფრაზა მაინც დაიჭირო, რომელშიც რაღაც ახალი აზრი ან, უკიდურეს შემთხვევაში, ახალი ინფორმაცია უქნება. ე, ჭირიმე, აზრები ეგრე ოხრად კი არ ყრია ქუჩაში, სად არის, ბიჭო, ამდენი აზრები! აზრი _ ნაღდი, ჭეშმარიტი _ დიდი იშვიათობაა, ამიტომაც გაფაციცებული ვიჭერ ნალაპარაკევს ამისას, იმისას, ვცდილობ, შევაჯერო, ათასი კაცის ტყუილ-მართალში ჭეშმარიტების მარცვალი მოვიძიო! იცი შენ? ხანდახან სამი, ხუთი, ათი მატყუარის ქაქანიდან, მათი თავის მართლებიდან ან დეზინფორმაციიდან, სიმართლე შეიძლება წარმოიდგინო, ისიც დაახლოებით. ყველა რომ ტყუილს გაპარებს ცალ-ცალკე, ყოველის ნათქვამში ცოტ-ცოტა სიმართლის ნაპერწკალს დაიჭერ, ერთობლიობაში კი რაღაცა სინამდვილის ნამცეცსაც მიაგნებ... გაიგე? ანალიზი, სინთეზი, ჭკუის, ფანტაზიის გავარჯიშება _ ე-ე-ე, იცი, რა ბევრის შემძლეა! ოღონდ კარგად უნდა დაუკვირდე, როცა ვიღაცა რაღაცას ლაპარაკობს! მისი საუბრის ინტონაციიდანაც კი, მნიშვნელოვანწილად, შეგიძლია მიხვდე, როდის ტყუის, როდის წამოცდება სიმართლის ნაწილი, როდის უნდა სიმართლის თქმით, მეორეხარისხოვნის, რასაკვირველია, დიდ ტყუილში დაგაჯეროს, დიდი ტყუილი შეგაპაროს!.. რომელ წიგნში ნახავ ამას?

_ აბა, წიგნი უნდა გადაშენდეს, აღარავის ჭირდება? _ შევეპასუხე მე. _ ცოცხალ ტყუილში უნდა დაგიჭირო: შინ რომ დიდ ბიბლიოთეკას აქუჩებ, უმატებ და უმატებ წიგნებს, აქ თვალებს ვის უბამ? თუ ენას იფხან? ან საერთოდ, რა გინდა შენ აქ, რატომ ცდები ტყუილად? ჩამოაყალიბე ჭკუის კოლოფთა ინსტიტუტი და დაჯექ იქ დირექტორად!

_ სწორია! _ დამეთანხმა სილია. _ ბარემ ისიც თქვი, შენ რაღა გინდა აქ? აქ არის შენი ადგილი? წადი, იმოგზაურე, წერე წიგნები _ განათლდი და ჩვენც გაგვანათლე!

_ ჰო, მორჩით მაიმუნობას, _ ჩაერია ბაბუცი, _ პეპე, გვითხარი, რა იყო მაინც ისეთი იმ წიგნში მეფოკუსეებზე! _ ბაბო ბავშვივით ცნობისმოყვარეა.

_ კარგი, რამდენიმე მაგალითს მოვიტან... _ გემრიელად მოვკალათდი სკამზე და დანარჩენებს მივმართე: _ დასხედით; სილია, შენ ბოდიალი გეყოფა, ხომ ხედავ, პატარა გალიაში ვსხედვართ, ლომო, და შენს გარდა, კიდევ ოთხნი ვართ, დაბრძანდი შენს სკამზე... რომლიდან დავიწყო? კარგი, ჯოვანი ბოსკო იყოს პირველი. ეს ჯოვანი ბოსკო წარმოდგენის დროს მოაწყვეტდა თავებს ორ მტრედს _ შავსა და თეთრს, რის შემდეგაც ჩაატარებდა მანიპულაციებს, შეუთქვამდა თუ შეულოცავდა: “აბრაკადაბრა!”, მერე ჯადოსნური კვერთხით თუ წკეპლით შეეხებოდა და ისევ აცოცხლებდა მათ. ჯერ “შეცდომით” შავ მტრედს თეთრის თავს მოაბამდა, თეთრს _ შავის თავს. შემდგომ “ასწორებდა” თავის “შეცდომას”... ამრიგად, ორმაგ ფოკუსს აკეთებდა. გავაგრძელო?.. მაქს აუცინგერის “ჯადოსნური” ხელის აქნევით შავი ხავერდის ფონზე ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ საგნები. ჟოზეფ ბუატიე დე კოლტა უცნაურ ფოკუსს აკეთებდა: ხელოვნური ხელი ხატავდა სურათს, ჩიტიანი გალია უკვალოდ

ქრებოდა... იტალიელი პინეტი კიდევ უფრო განსაცვიფრებელ შედეგს აღწევდა _ მიწიანი ყუთიდან ამოიზრდებოდა ხე, ხეზე ჯერ იშლებოდა ფოთლები, შემდეგ ხე ყვავილობდა, ბოლოს კი გამოიბამდა ყვითელ ლიმონებს. ყველაფერი ეს მაყურებელთა თვალწინ ხდებოდა. ყველაზე ცნობილია სახელგანთქმული "ინდური ბაგირი", რომელსაც ინდოელი მეფოკუსეები აკეთებდნენ. ფაკირი ისვრიდა ზევით ჰაერში თოკს, რომელიც ამართული შეშდებოდა. მასზე აძვრებოდა ბიჭი და მაღლა ასული ცაში ქრებოდა... ზევიდან ცვივოდა მისი სხეულის ნაწილები, რომლებსაც ფაკირის დამხმარეები აგროვებდნენ ტომარაში; ბოლოს კი ამ ტომრიდან ამოძვრებოდა იგივე ბიჭი, სავსებით საღსალამათი. ჰო... გამოჩენილი ბულგარელი მეფოკუსე სენკო ტრადიციულ ნომერს თავისებურად ატარებდა: გამოდიოდა სცენაზე, ასისტენტი ესროდა ძველებურ გრძელლულიან ფიშტოს და მეფოკუსის კისრიდან მომძვრალი თავი გაგორდებოდა იატაკზე. სენკო იღებდა ამ თავს, ამოიდებდა იღლიაში და გამოდიოდა ავანსცენაზე. მის უკან ფარდა იხურებოდა. თავი იწყებდა საუბარს, იცინოდა, ხუმრობდა...

_ კალიოსტრო? მასზე არაფერი იყო ნათქვამი? _ კითხულობს სანდრო.

_ როგორ არა. ჯუზეპე ბალზამო, _ ეს მისი ნამდვილი სახელია, _ "კურნავდა" ყველა ავადობას, "ადიდებდა" ძვირფას ქვებს, რკინას ოქროდ "აქცევდა", ამზადებდა "მარადიული ახალგაზრდობის" ელექსირს... ის ყველას არწმუნებდა, რომ ამ ელექსირის სასწაულმოქმედი ძალის დამადასტურებელი თვითონ იყო _ ვითომ მოწმე იყო ქრისტეს ჯვარცმისა, მანამდე კი ნერონთანაც უსაუბრია, შეხედეთ _ ახლაც კი რა ნორჩია!

_ ახლა მომცა ეგ უნარი! _ მაწყვეტინებს ბაბო, _ ოქრო ძვირდება! ავიღებდი ჯადოსნურ წკეპლას, წკაპ! დავარტყამდი რკინას და შინ სულ ოქროს წყალგაყვანილობა მექნებოდა!

_ არა, ჯერ უნდა გეთქვა: "აბრაკადაბრა!" _ ისევ ვიგდებ ხელთ საუბრის სადავეს. _ ფული თუ შემოგაკლდათ, მაშინ ჟან-ეტიენ რობერ-უდენის ატრაქციონს უნდა დასწრებოდით. ასისტენტებს შემოჰქონდათ ბღუჯა-ბღუჯად ქაღალდის ფული და ტენიდნენ სკივრში. როცა სკივრი გაივსებოდა, კეტავდნენ მას და აცხადებდნენ, რომ ვინც ამ სკივრს აწევდა, მისი წაღებაც შეეძლო, ფულიც მისი იყო. რა თქმა უნდა, ძლიერი მაგნიტით მიჯაჭვულ სკივრს გოლიათიც ვერ უზამდა ძვრას. მერე გამოდიოდა რობერ-უდენი და იოლად მიჰქონდა "ნადავლი"...

_ ათხოვე რა სილიას ეგ წიგნი! _ მეხვეწება სანდრო და მერე სილიას მიმართავს: _ არ გინდა კვალიფიკაციის ამაღლება?

სილია აგდებულად იქნევს ხელს:

_ შენგან არ მიკვირს? მე მეგონა, რაღაცას საინტერესოს მოყვებოდა. ჩემი ჯამაგირით რომ ოჯახს ვარჩენ, ამაზე უკეთესი ფოკუსი მე არ მეგულება! ჰოკუს-პოკუს, ბატონო სანდრო!

VIII წკიპურტი. ძაღლუკა

გვიანი გაზაფხულის მოღრუბლული დილაა და საკმაოდ გრილა კიდეც.

დღეს რატომღაც არც სანდრო ჩანს, არც ლადიკო, ბაბოც სადღაც გაქრა; ალბათ ქვედა სართულზე მეგობარ ქალებთან ჭორაობს. მარტო დავრჩი და, საოცარია, თითქოს არაფერი მიშლის ხელს და მუშაობას კი გული ვერ დავუდე...

მესამე სართულის ფანჯრიდან ვიყურები ეზოში _ რაღა ეზო, გარაჟია, ჩახერგილია მანქანებით. მანქანებს შორის ერთ-ერთი ჩვენი ბუღალტერი, მანანა დავლანდე, ნეტა სად მიდის? ორმოციოდე წლის კოხტა ქალია, ოღონდ ეგ არის, მეტისმეტად იპრანჭება; ისეთი ჭრელაჭრელა კაბა აცვია, ერთ კილომეტრში ვიცნობ. სამსახურიდან ხომ არ იპარება? ერთხელ შემომჩივლა: მოთხრობები, გინდაც რომანები, ვიღაზე აღარ დაწერილა, მხოლოდ

ჩვენ ვართ დაჩაგრულები, აბა ერთი, ბუღალტერზე დაწერილი რამე თუ შეგიძლია მანახვო-ო; რა თქმა უნდა, ჩვენი პროფესიის მასხრად აგდებას თუ არ მივიღებთ მხედველობაშიო. დავას როგორ დავუწყებდი; საერთოდ, ცნობილია, რომ ბუღალტრებთან პაექრობა სრულიად უაზრო რამ არის. აი, დავუშვათ, შვებულების ფული გამოგიწერეს და აშკარად ხედავ, რომ საკმაო თანხა დაგაკლეს. რაშია საქმე? მიაკითხავ ბუღალტერიას, გინდა გაარკვიო, რატომ დაგჩაგრეს? შედიხარ ბუღალტერიის ოთახში სრულიად ნორმალური ადამიანი, დაჰყოფ იქ ოც წუთს ან მეტს (შენს გამძლეობას გააჩნია!) და გამოდიხარ იქიდან ლენჩი, შტერი, სრული არარაობა... ბუღალტერი გადმოგიღებს რაღაც სქელ დავთრებს, დიდხანს ფურცლავს მტვრიან საბუთებს, გემრიელად აჩხაკუნებს საანგარიშოს კოჭებს (ახლა ელექტრულ საანგარიშოს ან კომპიუტერსაც კი იყენებენ, მაგრამ ეს საქმის არსს არ ცვლის), გიჩვენებს რაღაც ინსტრუქციებს, კანონ-დებულებების პარაგრაფებს, რომლებშიც ეშმაკიც მოიტეხს ფეხს და ვითარცა დეფექტურ ბავშვს _ გიხსნის, გიხსნის, გიხსნის...

ვერაფერს გებულობ ამ დახლართული საბუღალტრო სიბრძნისა, ყოველ შეკითხვაზე, ხომ ყველაფერი გაიგე, ხომ ყველაფერი ნათელიაო, _ აი, ამიტომ დავქვითეთ ესა და ეს თანხა, ამდენი პროცენტი იმისა, ამდენი პროცენტი ამისა, იქ კიდევ პრემია ზუსტად არ გამოუწერიათ და მაშინდელ გადმოყოლილ თანხას ახლა გიქვითავენ; სხვა დროს კიდევ თვითონ ბუღალტერიას საშემოსავლო გადასახადი შეცდომით დაურიცხავს და ახლა გიხსენებს... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ _ სულ უფრო ღრმად იჭრები გამოუვალ ლაბირინთში. ეს პროცენტები, ნამრავლები, ჯამები და გამოკლებები თავგზას გიბნევს და ერთი სული გაქვს, გარეთ გამოხვიდე ამ ოთახიდან, სადაც შუასაუკუნებრივ საწამებელ კამერაში გრძნობ თავს _ ყველაფერზე თავს უქნევ და ლამის არის შეეხვეწო, რომ თანახმა ხარ, კიდევ მეტი დაგიკავონ, ოღონდ ცოცხალმა გააღწიო ციფრებით გამოტენილი ოთახიდან...

ჰოდა, ახლა ბუღალტრის ბიჭურად შეკრეჭილ თავს ვადევნებ მზერას. მანანამ სიგარეტი გადააგდო და ჩაცუცქდა, მუხლებზე კაბა ჩამოიწია. ვხედავ, პატარა ძაღლუკა, ფუმფულა, თითქმის მრგვალი ლეკვი, არ მიგორავს მისკენ? კუდს სასაცილოდ აქიცინებს, იგრიხება, თან მოუთმენლად წკმუტუნებს... მიაღწია მანანას გამოწვდილ ხელებამდე და გულაღმა გაუგორდა მიწაზე. ქალი ნაზად ფხანს მუცელზე, თან რაღაც სიტყვებს უალერსებს ნეტარებით გატრუნულ ლეკვს. მერე თითებს უსვამს დრუნჩზე, აიყვანს ცალ ხელში, მეორე ხელით თავზე ეფერება. ყურპანტყურა, კუდა ლეკვი შავია, ოღონდ ფეხებზე თეთრი ფერი აუყვება და მუცელზეც მკერდთან ასეთივე ლაქა აქვს. კისერზე თოკის ნაგლეჯი შეუბამთ და მიკვირს _ თუ მანანას ასე უყვარს და ეფერება, რატომ არ შეაჭრის მას?

კარგა ხანს ვდგავარ ფანჯარასთან. ესეც შენი ბუღალტერი! ნუთუ ასეთი შეიძლება იყოს? თუმცა, რატომ მეგონა, თავში ციფრებისა და საანგარიშოს ჩხაკუნის მეტი არაფერი ექნებოდა?

შესვენების შემდეგ სრული შემადგენლობა შეიკრიბა მხიარული ოთახისა; სილიაც გამოგვეცხადა, როგორც ყოველთვის, ყურებამდე ღიმილით პირგახეული, როხროხა.

შეკრებილ საზოგადოებას დაწვრილებით მოვახსენე ჩემი დაკვირვებანი ძაღლუკასა და მანანას შესახებ. ამის შემდგომ საუბრის თემამ კინოლოგიური მიმართულება მიიღო.

სიტყვა გამოსვლისთვის პირველმა აიღო ბატონმა სილიამ.

_ იმ სახლის ეზოში, სადაც მე ვცხოვრობ, მეფობს ერთი ძაღლი, სახელად _ ბომბორა, ვიღაცის და რაღაცის ნაჯვარი. ყოველდღე უცდის ხოლმე ნათელას, ჩემს პატარა გოგოს. თუ მე ნათელასთან ერთად ვარ, ხმას არ მცემს, თუ არა _ ნახევარი ეზო გამორბის ჩემს საშველად, ისე მიღრენს. რას მერჩის, არ იცით? ერთხელ მეზობელს ვუთხარი, რა უნდა ამ უპატრონო ძაღლს ჩვენს ეზოში, ვინმე არ შეაშინოს-მეთქი.... ძაღლმა გაიგონა! და სამაგიეროს მიხდის, გეფიცებით ყველაფერს!..

ეს თემა განაგრძო და განავრცო ბატონმა სანდრომ.

_ ერთ დღეს ჩვენს ეზოში გამოჩნდა ბრეზენტიანი კაცი, ჩექმებიანი, ბადეც უჭირავს ხელში _ მაწანწალა ძაღლებს იჭერს. ერთი შავი ძაღლი ჩვენს ეზოს იყო შემოჩვეული. მოჰკრა თუ არა თვალი ძაღლების დამჭერს, იმ წამსვე გაქრა. გამიკვირდა, ასე უცებ სად დაიკარგა. ერთი სულ მუდამ მოწუწუნე მეზობელი მყავს, ამბერკი, ისიც იქვე იდგა. ძაღლების დამჭერს უთხრა, ძაღლი სარდაფშია, იქ დაიმალაო. ისიც ჩავიდა, მაგრამ სიბნელეში ძაღლს ვერ მიაკვლია და შეეშვა. მეორე დღეს ეზოში მივდიოდი და ვხედავ, ჩემს შესახვედრად ცხვირჩამოშვებული ამბერკი მოდის. ამ დროს საიდანღაც გუშინდელი ძაღლი გამოვიდა და შეუღრინა. აი, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, უთხრა... მართალს გეუბნებით, ნაღდად უთხრა: “შე გაფუჭებულო, შე ასეთო და ისეთო, რა დაგიშავე, რატომ მიშპიონეო”...

ეს თემა იმდენად ახლობელი გამოდგა ბატონ სანდროსთვის, რომ კიდევ რამდენიმე ამბავი მოიგონა.

_ წავედი დილით რძის საყიდლად. უკან დაბრუნებისას შემეფეთა ქუჩის ძაღლი პატარა. “წამო რა, ცუგა ჩემთან!” _ მივეფერე. ისიც ამედევნა. შინ ეძინათ ჯერ. “ნახეთ, ვინ მოვიდა! ნახეთ, რა კარგი ბიჭია!” _ ხმამაღლა ვიძახდი. გაეღვიძათ, მიეფერნენ ძაღლს; ისიც გალაღდა, _ დახტოდა, აქიცინებდა კუდს, სიხარულს გამოხატავდა. ბოლოს ისე გაცელქდა, რომ საწოლზე ახტა, იქაც გაინავარდა. ეს კი აღარ მოვუწონეთ. “ძალიან კარგი ბიჭი ხარ, ცუგა, მაგრამ უკან უნდა წაგიყვანო!” _ ვუთხარი. მაშინვე დაღუნა თავი და საწოლქვეშ შეძვრა. მერე წავიყვანე უკან, მორჩილად გამომყვა ქუჩაში... ბარემ მეორე ძაღლზეც გეტყვით. ჩემი სიმამრი მოვიდა. ხომ იცი, ქუთაისელი ბრექია სიმამრი რომ გეყოლება _ პატარა გოშიათი მობრძანდა; მიძი ჰქვია, იაპონური ჯიშისაა. მობრძანდა და ბრძანა: “გამოუშვით ვასკა!” _ შენს სიამის კატას, ვასკას, შევაჯიბროთო. ვითომ არ იცნობდა ჩემს ვასკას! ერთ წამში იმ ტილიან მიძის შეახტა ზურგზე და თავზარდაცემული ძაღლი შეძვრა, მოკუნტული, მაგიდის ქვეშ. ვასკა ჩამოხტა, უთხრა: “შე დედალო, რისი გეშინია, მე შენ გეთამაშებიო”, _ უთხრა და წინ გაუგორდა. ეს მიძი მამაძაღლი ძაღლია, რატომღაც მანქანებს ერჩის; ეძგერება გაჩერებულს და ებდღვნება, რაც კი ბრჭყვიალებს, ჩაასობს ეშვებს!

_ როგორ, მონიკელებულ ნაწილებს აძრობს? _ კითხულობს ლადიკო. _ ევრიკა! მიაქირავე, სანდრო, მანქანების შემკეთებელ კოოპერატივებს _ დღეში ხუთთუმნიანი ხარ!

_ კაცო, ძაღლის ლეკვი არ გეგულებათ, კარგი, ჯიშიანი? გავზრდიდი, სულ “მერსედესებზე” დავგეშავდი! _ ამბობს სილია. _ ამ სამსახურში მაინც არაფერი ხეირია.

_ მაინც რა ჯიშის გინდა?

_ ნაგაზი ყველას აჯობებს!

_ მაშინ მგელიკა წაიყვანე. ჩვენც მოვისვენებთ და შენც უკეთესს რას იშოვი? იკბინება _ შენი მოწონებული! ყეფაც უმაღლეს დონეზე ეხერხება!

_ მგელიკა არ ივარგებს! _ იწუნებს ლადიკო.

_ რატომ?

_ ბევრს ჭამს!

_ სილია, შენი სიდედრი არ გამოგადგება?

_ რას ამბობ, ყველას თავს მოახერხავს! მართალსა და მტყუანს არ გაარჩევს!

_ მერე, შე კაცო, საბელი თუ არ გაქვს, ჩვენ გიყიდით, შეაბი და გამოიყენე!

_ გაგიჟდი?! საბელი რომ მიყიდოთ, მეტი კი არ უნდა, თვითონ მე დამაბამს საწოლის ფეხზე! ყეფასაც მასწავლის!

_ თუ შენ ძაღლად შეიძლება გადაიქცე, არ შეიძლება, ჩემს მაგივრად ერთი ცუგა მოვიყვანო აქ და დავსვა? _ ამბობს სანდრო. _ ძაღლი კაცზე ნაკლები კი არ არის! ჩემს ეზოში დარბის ერთი შავი, უკუდო, იმასაც გაეხარდება, კულტურულ საზოგადოებას ეზიარება. უსაქმოდაა, მეც ჩემს საქმეს ვეწევი!

_ მიდი, სანდრო, მოიყვა, თან გაგვართობს, _ ვეუბნები მე. _ თუ ნახაზები იქნება წასაღები გასამრავლებლად, ჩაავლებს პირს და გადაუტანს თამაზს. ხუთჯერ დაუყეფს, თუ ხუთ ეგზემპლარადაა გასამრავლებელი, თან შეუღრენს კიდეც _ დროზე და ხარისხიანად გაგვიმრავლეო, თორემ კანჭებში გწვდებიო; გააღებს პირს და ეშვებსაც დაანახვებს. უკეთესი საქმის გამკეთებელი რაღად გინდა!..

ასეთ ლაზღანდარობაში დრო შეუმჩნევლად გავიდა.

საღამოს განგებ გავიმრუდე გზა და ძაღლუკას ჯიხურისკენ გავემართე. შე პატარა ცუგრუმელა, შე ძაღლუკა-ბურთო, ერთი ახლოდან გნახო, როგორი ხარ!

ძაღლუკა ყეფით შემხვდა; რაღა ყეფით, ჯერ ყეფა შეეძლო ვითომ? _ უფრო საცოდავი წკავწკავით, წკმუტუნით და შიგადაშიგ მაინც ყეფით _ ძაღლს რად უნდა თურმე ყეფის სწავლა!

შევჩერდი; რა ალერსიანი, ბავშვივით მიმნდობი მეგონა! ის კი ახლოს არ მეკარება; მიწაზე გართხმულა, მოკლე კუდს ატოკებს საბრძოლველად გამზადებული და მიყეფს და მიყეფს! რა უნდა უქნა ახლა ამ მამაძაღლს! ნელ-ნელა ახლოს მივიწევ მისკენ, მერე ხელი გავიწვდინე და თავზე ფრთხილად გადავუსვი. ძაღლუკა უცებ წამომიგორდა _ არ ვიცი, დამმორჩილდა, შეშინებული, თუ საალერსოდ გამომიწვია. უფრო პირველი, რადგან, როცა მუცელს ვფხანდი, უცებ ხელზე მისხმული ცხელი ჭავლი ვიგრძენი და შარდის სუნიც დატრიალდა. “აი, შე მამაძაღლო! აი, შე უნამუსო! შე დედალო, შენა, ბიჭი მაინც არ იყო!” _ ვეჩურჩულები და თან ხელით ვეფერები ძაღლუკას; ისიც რაღაცნაირი სევდიანი, თან დამფრთხალი, თან გახარებული თვალებით შემომციცინებს, ზურგზე წამოგორებული; თათები მოუკეცავს და ნეტარებით გატრუნულა, თვალებს ლულავს... მერე დამნაშავე მზერით შემომხედავს და ხელის გალოკვას ლამობს...

ახლა ვხედავ: ყელზე თოკი კი არ ჰქონია, თეთრ რგოლად აქვს ბეწვი. ხელში ამყავს და სრიალა თავზე და ყბებზე თითებით ვეფერები: “შე მაიმუნო, რად მიყეფდი, ჩემი შეშინება გინდოდა თუ თვითონ შეგეშინდა?! გიყვარს მოფერება? კარგი, გეყოფა, ხომ დავძმაკაცდით, აწი გნახავ ხოლმე... დაგსვამ ახლა ძირს და გაცუნცულდი შენი ბუდრუგანისკენ! კარგია შენთან თამაში, მაგრამ მეჩქარება, შინ დათუნა და ბასიკი მელიან, იმათაც უნდათ ჩემთან თამაში! მოვუყვე შენი ამბავი? მერე, ხომ ვიცი, ამიტყდებიან _ მამიკო, შინ წამოიყვანე, ჩვენ გავზრდითო, არ მოვაწყენთო... ცოდო რომ იქნები მეათე სართულზე? მთელი დღე მარტო გაძლებ? არა, ისევ აქ გირჩევნოდეს; სხვა რომ არა იყოს რა, მანანას რაღა პირით შევხედავ? არა, დარჩი აქ, ბიჭებს კი შენს ამბავს მაინც ვუამბობ!”

IX წკიპურტი. მკლავჭიდი

_ სანდრო მოგვივიდა!

_ კარგი ამინდი გამოვიდა და ეგეც გამოგვეცხადა!

_ როგორა ხარ, სანდრო?!

_ სადა ხარ, სანდრო, სად დაიკარგე?

სანდრო მრავალმნიშვნელოვნად იღიმება, დინჯად ჯდება თავის სკამზე და მინისტრივით იჯგიმება:

_ ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეთა კურსებზე ვიყავი, ხუთ დღეში პროფესორი გამხადეს!

_ ხუთი დღე რა ამბავია, პროკურორი უნდა გამოხვიდე? ერთი სული გვქონდა, სანამ გამოჩნდებოდი! _ ვეუბნები.

_ რა მოხდა ისეთი, მთვარე ხომ არ ჩამოვარდა?

_ ჯანსუღ გორგოლაჭაძე ამხანაგურ სასამართლოში მიჩივლებს უეჭველად, ჰოდა, ჩემი ძმაკაცი ხომ ხარ?

_ ვარ და მეტი არა? მაინც, რას გიჩივის?

_ ძალიან ფინთადაა საქმე, აღარ ვიცი, რა ვქნა! თუ ახლა გადავრჩი, ჩემს სიგრძე სანთელს დავანთებ დიდუბის ეკლესიაში!

_ დროზე ამოშაქრე, ნუ მომკალი!

_ მოვიპარე, სანდრო, ქურდობაზე დამიჭირეს!

_ ყოჩაღ, ბარაქალა!

_ ჰო, წყალი არ მოდიოდა ამას წინათ და ჯანსუღის გრაფინიდან ჩავასხი ელექტროჩაიდანში წყალი. ხომ იცი, ასეთ შემთხვევებში Gგვერდით ვსესხულობ ხოლმე წყალს, მაგრამ დაკეტილი იყო ის ოთახი და საბედისწერო შეცდომა დავუშვი, ჯანსუღის ოთახში შევედი! ნეტავ ფეხი მომტყდომოდა და მის ზღურბლზე არ გადამებიჯა!

_ ეგ როგორ შეგეშალა, კაცო!

_ მაშ! ჰოდა, მომადგა შესვენების შემდეგ გორგოლაჭაზე და მეუბნება, ჩემს წყალს რომ ხმარობ, რას ფიქრობ, წყურვილით უნდა დაგვხოცოო?! მე ვუთხარი, ჯანსუღჯან, ნახევარი გრაფინი წყალი ხომ დავტოვე, თუ ის არ გეყოფა, მთელ გრაფინს მოგიტან-მეთქი... გაიფხორა, არაფერი უთქვამს და წავიდა. გუშინ კი დერეფანში ვიდექით და მთელ ხალხში მეუბნება, რაო, დაბალი ღობე მნახეო, უკვე მერამდენად წყალს არ მიყენებ გრაფინშიო... წარმოგიდგენია?! აი, მითხარი, ასეთ ნათქვამზე რა უნდა უპასუხო? გაეხუმრები _ ვერ გაიგებს, სარიოზულად კი, აბა, რა უნდა უთხრა, ნახევარ გრაფინ წყალს ნუ გადამაყოლე-მეთქი? გავიცინე და გავცილდი. დღეს დერეფანში შემხვდა, როცა ელექტროჩაიდნით წყალი მომქონდა. ისევ შენი გრაფინიდან ჩამოვასხი-მეთქი, გავეხუმრე, შევცდი. ჰოდა, თუ ძმა ხარ, სანდრო, ამხანაგური სასამართლო არ ამცდება და ხომ ხარ მისი თავმჯდომარე, რამენაირად უნდა მიშველო!

_ დაუკვირდით სიტუაციას, ამხანაგებო! _ საზეიმოდ გამოაცხადა სანდრომ, _ ჯერ ოჯახში ხომ არ გავუგზავნოთ ბატონ პეპეს ოფიციალური შეტყობინება მისი ყოვლად უმსგავსო საქციელის შესახებ?

_ რა თქმა უნდა! _ ყველას დაასწრო ბაბომ. _ ჩვენი ჯანსაღი საზოგადოების მუწუკი ამას ნამდვილად იმსახურებს.

_ ძალიან კარგი! _ განაგრძო სანდრომ. _ ახლა ის მოგვახსენეთ, ბრალდებულო, რამდენ ხანში გითხრა მომჩივანმა, წყალს ნუ მპარავო? პირველად რომ შეგხვდა საყვედურით, ჩაის დალევის შემდეგ რა დრო იქნებოდა გასული?

_ ორი-სამი საათი, პატივცემულო მოსამართლევ!

_ ნამდვილად ორი-სამი საათი? თუ ნაკლები?

_ არა, ნამდვილად!.. ორი საათი მაინც!

_ ჰო, ამ შემთხვევაში უკვე მოშარდული გექნებოდა და ბატონ ჯანსუღის საჩივარს იურიდიული ძალა არ აქვს! ვადასტურებ სრული პასუხისმგებლობით!

_ ვაჰ, ნაღდი პირველი კლასის პროკურორი ხარ, სანდრო! _ შევაქე მე. _ ტყუილად კი არ თქვა ლადიკომ, სანდრო რომ კურსებიდან დაბრუნდება, საზეიმო შეხვედრა მოვუწყოთო... დარბაზში ტევა არ იქნება, გაისმის ხანგრძლივი ტაში, რომელიც მქუხარე ოვაციაში გადაიზრდება! შემოვა სანდრო: დიდი, საგრძნობლად გაზრდილი თავი, ხელში _ მუცელგაბერილი პორტფელი, ბრძნული გამოხედვა, სათვალის იქიდან _ დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი სახის იერი... სულ სხვა ადამიანი დაგვიბრუნდა _ ყველა ქუდი გადასაყრელი გაუხდა, თავი ერთი-ორი ნომრით გაეზარდა... თვალები დაუმსხვილდა _ ფარებივით! მის მზერას რა გამოეპარება! მარჯვენა ხელის კუნთები დაებერა _ ხელი ფრთხილად უნდა ჩამოართვა! ღიპიკო მომატებია, ახლა პატივცემული ღიპი უფრო ეთქმის; ოთახის კარის გაფართოება

მოგვიწევს, რომ შემოეტიოს... თუმცა, რას ვამბობ, სანდროს აქ რა უნდა, მგელიკას ახალგარემონტებულ კაბინეტში უფრო ლაღად იგრძნობს თავს _ ღიპით მიაწვება მგელიკას, კაბინეტიდან გააგდებს, იმას კი ჩვენთან დასვამენ...

_ რას ამბობ, მგელიკას გაძლება არ გინდა? მისი სურათი რომ ეკიდოს ამ ოთახში, მაშინაც მჟავე ხასიათზე ვიქნებოდი, ნამდვილის შემოსახლება არ მომინდომეთ? _ ისე განიცდის ბაბო, თითქოს ბატონი მგელიკა უკვე ჩვენი ოთახის კარს იყოს მომდგარი.

_ ჯანსუღის სურათი ნახეთ? _ კითხულობს ლადიკო. _ ზაფხულში დაუხატავს, შედევრია, ნაღდად! ოთახში კედელზე აქვს გაკრული მაგიდასთან.

_ წყლის მოპარვის დროს მქონდა ბედნიერება, ახლოს გავცნობოდი ჯანსუღის შემოქმედებას და უნდა მოგახსენოთ, რომ წარუხოცელი შთაბეჭდილება დატოვა. ნამდვილად გენიოსის ნიჭი ეტყობა, 3-4 წლის ბავშვის ნახატი გეგონება!

_ ჯანსუღის რა ბრალია, _ ხმას გვაწვდენს ბაბო, _ რა ჰქნას, ეტყობა, მუზამ ძალიან შეაწუხა _ დასასვენებლად რომ წავა კაცი და საქმე არაფერი ექნება, კიდევ კარგად გადარჩა _ არ გალოთდა ან ჩხუბისთვის არ დაიჭირეს.

_ მე მგონი, მუზამ კი არ შეაწუხა, თვით ბატონი ჯანსუღი დასდევდა მუზას პეპლების საჭერით! მუზა მაღლა-მაღლა დაფრინავს, ფარშევანგივით ლამაზი, ფერადოვანი გაშლილი კუდით... მისდევს ბატონი ჯანსუღი, მისდევს და ვერ დაუჭერია; დაბოღმილი იგინება, ოფლი ღვარად ჩამოსდის, არც თავს ანებებს... ალბათ ღამე სიზმარშიც დასდევდა!

_ ახლა შენ, ჩვენო დიდო მხატვარო ბაბუცი, კარგი თემა გამოგიჩნდა: დაგვიხატავ ბატონ ჯანსუღს, პეპლების საჭერით გამწარებული რომ დასდევს მუზას, მუზა კი ენას უყოფს!

_ შენ კარგადა ხარ, აი! _ გაუბრაზდა ლადიკოს ბაბო. _ გინდა, ჯანსუღი გადამკიდო? ჭკუა კი არ დაუშლის, მესამე სართულიდან გადამიშვებს უპარაშუტოდ! მერე შენ მოუვლი ჩემს ორ ობლად დარჩენილ შვილს?

სწორედ ამ დროს ოთახში ცხვირი შემოყო ბატონმა ჯანსუღმა.

_ ო-ო-ო, ეს ვინ გვესტუმრა! მობრძანდი, მობრძანდი, ჯანსუღ, დიდი ხანია, შენი ძვირფასი სახელმძღვანელო მითითებები არ მიგვიღია! _ ღიმილით მივიდა და კარი გამოაღო სანდრომ.

ჯანსუღი იქნება ასე ოცდათხუთმეტი წლის; ხშირი წაბლისფერი ქოჩორი ამპარტავნულად აქვს მამლის ბიბილოსავით ზევით აფშეკილი; ქორივით თვალები გამჭოლი მზერით გმსჭვალავს, მაშინაც კი, როცა იცინის. კეხიანი, ოდნავ მოკაუჭებული ცხვირი ვაჟკაცურ იერს აძლევს შნოიან სახეს. საშუალო სიმაღლისაა, მხარბეჭიანი; მსხვილი, დაკუნთული მკლავები ხალათის სახელოებს ლამის ხევს... ლამაზი ბიჭია ჯანსუღი, არც უჭკუო ან უნიჭო ეთქმის; ცოტა ბრექია და უშნოდ თავმომწონე რომ არ იყოს, უკეთესს რას ინატრებდა კაცი.

_ ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო, _ შესცინა ბაბომ.

_ რა არის ეს, ძაღლები რომ მოგიმრავლებიათ? _ ამრეზით ამბობს ჯანსუღი და კედლებს ათვალიერებს. ერთი კედლის კალენდარი წლევანდელია, დანარჩენები _ ძველი: კალენდარს რომ ვადა გაუვა, აღარ ვხსნით, ახალს გვერდით ვაკრავთ. ყველა კალენდარზე ძაღლთა ფოტოებია _ კინოვარსკვლავებსა და შიშველ ქალებს ისინი ვამჯობინეთ.

_ ძაღლი ადამიანის მეგობარია! _ პასუხობს ბაბო.

_ ვა, დღეს რა ახალ ქურთუკებში გამოპრანჭულები მობრძანებულხართ, გამდიდრდით ყველანი? _ ახლა კედელზე ჩარიგებული ჩვენი ტანსაცმელი ჩაათვალიერა ჯანსუღმა.

_ რატომაც არა? _ ეუბნება სანდრო. _ ფული, შე კაი კაცო, ჩეჩქივით გვაქვს, თუ გინდა, შენც გასესხებთ!

_ თქვენი სასესხებელი რა მჭირს! _ გაიფხორა ჯანსუღი. _ მე ის მაინტერესებს, სად შოულობთ, იქნებ ჩვენც გვინდა შევიძინოთ!

_ შენ ფული თქვი, თორემ ქურთუკი რა არის? თუ გინდა, მგელიკას ტყავისგან შეკერილ ქურთუკს მოგართმევენ, ნაღდად! _ ეუბნება ლადიკო. _ იქნებ აქლემით გასეირნება მოგენატრა, არც ეგ არის პრობლემა, ან სპილოზე ამხედრებულის დაბადების დღეზე მისვლა...

ჯანსუღი პასუხის ღირსადაც არ თვლის ლადიკოს და სანდროს მაგიდასთან მიდის:

_ გადავწიოთ?

ჯანსუღი დროდადრო მოადგება ხოლმე სანდროს საპაექროდ, ხელის გადაწევაში გავეჯიბროთო.

_ არა! _ თავს აქნევს სანდრო.

_ რატომ?

_ როდის ჩამოხვედი წაღვერიდან?

_ წელს ჯერ არ წავსულვარ, საიდან უნდა ჩამოვსულიყავი!

_ წასვლას თუ აპირებ?

_ კი, აგვისტოში მიმყავს ბავშვი.

_ ჰოდა, მაშ ჯერ წადი, მომაგრდი და მერე შემეჯიბრე! ისე, ბორჯომში ჯობს, ლიკანში, იქ კაი სახატავი ადგილებია! ან ბაკურიანში _ ლამაზი პეპლები დაფრინავენ! მერე მოდი!

_ ქვეშიდან გამოხვედი?! _ დამცინავად იღიმება ჯანსუღი. _ აი, მოწმეები მყავს!

სანდრომ ცერად ახედა:

_ კარგი, დაჯექი!

დასხდნენ ერთმანეთის პირისპირ. ბაბო, ლადო და მე ფეხდგომელა თავს დავცქერით.

მარჯვენებით ჩააფრინდნენ ერთმანეთს.

ჯანსუღი ჭინჭყლობს, სწორად არ გიკავია ხელიო.

მე, მსაჯი, ვარიგებ მათ და შერკინების დაწყებას ვანიშნებ.

დრახ! _ სანდრო თვალის დახამხამებაში გადაუწევს ხელს.

_ ე, ეგრე არა, წესი დაარღვიე! _ ყვირის ჯანსუღი. _ მე ჯერ მზად არ ვიყავი!

_ კარგი, ერთხელ კიდევ! _ ყაბულსაა სანდრო.

ისევ შეეჭიდნენ ერთმანეთს.

_ მზათა ხარ?

ჯანსუღი დაძაბვისგან ჭარხლისფერი ხდება.

სანდრო ნელ-ნელა, დაგემოვნებით აწვება მის ხელს და ისევ გადაუწევს.

_ გინდა, მესამედაც ვსინჯოთ?

ამჯერად ჯანსუღი ხმას არ იღებს.

_ ისე, შენც მაგარი მკლავი გაქვს, ცოტა კიდევ უნდა წაივარჯიშო და მომერევი! _ ღიმილით ამხნევებს სანდრო.

_ ჩაიც ადუღებულა! მოდი, ჯანსუღ, ჩაი დავლიოთ, ხომ იცი, ჩაი ჯანში მიდის! _ შევთავაზე მე.

_ ჩაი კი არა, ის არ გინდა! _ გაწბილებული ჯანსუღი ოთახიდან გადის.

_ სანდრო, შენ ხომ დალევ?

_ ჩაი რა დასალევია! _ პასუხობს სანდრო.

_ სიცოცხლის ელექსირია, სიმხნევის შემმატებელი!

_ ეგ რა არის, აი, ისეთი სასმელი უნდა იყოს, რომ დალევ _ ჭკუა მოგემატება, მეორე ჭიქას მოიყუდებ _ რეკორდს დაამყარებ, მესამეს გადაუძახებ _ გაუჩინარდები... კარგი იქნება, როცა სამსახურიდან გინდა გაპარვა! აი, ეს მესმის, სასმელია! შენ კიდევ _ ჩაი!.. ფი!..

_ რა ფი?!.

_ ჰო, კარგი, დაასხი!.. “ხაში, ხაში, ზედ ლავაში, ვიქეიფოთ ავლაბარში!..”

X წკიპურტი. სილიას გაღმერთება

_ ნახე, რა კმაყოფილი სიფათით მოდის ლომი, ხორცი იშოვა, ნაღდად! _ ამბობს ფანჯარასთან მდგომი ლადიკო.

მე და სანდრომაც გადავიხედეთ ეზოში.

_ ნამდვილად სილიაა. უჰ, რა გლიჯინით მოდის, ოხშივარი ასდის პირდაპირ! ფაფარი გაუშლია, ცხვირი ცას აქვს მიბჯენილი!

ნახევარ საათში სილიამ ჩვენს ოთახში შემოყო გამელოტებული თავი, ოღონდ ყურებთან და კეფაზე ხშირი თმა მართლაც ფაფარივით აბურძგნოდა.

_ როგორა ხარ? _ წვრილი კბილები გამოაჩინა ღიმილით ბაბუციმ.

_ კარგად, როცა შენ გხედავ! _ ლომის ტორი გაუწოდა ჩამოსართმევად.

_ სად იშოვე, ლომო, ხორცი, სად დაძვრები ამხელა კაცი წრუწუნასავით? _ გაეხუმრა სანდრო.

_ მეტრო "დელისის" პირდაპირ, ეზოში შეხვალ, კილო _ ოთხი მანეთი! ხორცია საუკეთესო, ცოტა ზედმეტს იღებს, ეგ არის სულ.

_ აბა, რამდენიმე დღე ბედნიერი იქნები _ ჩიჩიას მიიტან შინ! არც ცოლი გეჩხუბება და შენც მაძღარი კაცის კვალობაზე სულ თაფლად დადნები! _ ვეუბნები მე.

_ უჰ, ბიჭო, ქვევით, მეორე სართულზე, რა პურ-ღვინოა გაშლილი! ვერც კონიაკი დავლიე, ვერც _ შამპანური, მშიერიც დავრჩი _ მგელიკასთან უნდა შევიდე, _ ვიშვიშებს სილია. _ რომ მეჭამა, ვეღარ ვეჩხუბებოდი, არადა, ისეთი საქმეა, უეჭველად უნდა ვეჩხუბო.

_ ძალიან მიგიქარავს! _ ეუბნება სანდრო. _ როცა უფროსთან აპირებ შესვლას, მით უფრო _ საჩხუბრად, მაგრად უნდა გამოიბრუჟო; ფეხის კვრით, წიხლით შეაღო კაბინეტის კარი და დაიღრიალო: "ჩვენს ძმასა და პირის ზიარებას სალამი!"

_ მგელიკა გადაგეხვევა: "სად იყავი, ბატონო სილიბისტრო, ამდენ ხანს, როგორ მომანატრე თავი!" _ აგრძელებს ლადიკო.

_ რა უნდა თხოვო მგელიკას, სილია, ახალი მანქანა ხომ არ გესიზმრება ღამღამობით? შენს ცოლს სულ მანქანით ატარებ ხოლმე ბაზარში! _ ექილიკება ბაბუცი.

_ ცოლი რად მინდა, ცოლს საერთოდ უნდა გავეყარო! _ იღრიჭება სილია.

_ ვაი შენს თავს, უბედურს! _ ქოქოლას აყრის ბაბო.

_ მაშ რა, _ აგრძელებს სილია, _ სარეცხი მანქანა მაყიდინა, ოთხასმანეთიანი, ვერაფერი გაუგო და მე ამკიდა, მე მარეცხინებს სარეცხს. მერე, მექანიკური საუთოვებელი მინდაო, იმის აზრზეც ვერ მოვიდა, ასეთი შტერი რამ დაბადა! უფრო სწორედ, მე ვარ შტერი _ ისიც ჩემი საწვალებელი გახდა, მე მაუთოვებინებს. საჭმლის კეთებაშიც მე ვეხმარები... თუ ძმა ხარ, მითხარი, რაღად მინდა ცოლი? არაფრად! ცოლიც მე ვარ და ქმარიც! ჰო, ბაზარშიც მე დავდივარ...

_ უცოლოდ ტილები დაგესევა, შე საწყალო, დადნები სანთელივით! _ გაწიწმატდა ბაბო. _ ახლა დაგიდვია ღიპი და დიდ გულზე ხარ!..

აქ ბაბოს სიტყვა შეაწყვეტინა სილიამ და საკმაოდ გრძელი მონოლოგით გაგვართო _ ხელების შლით, მიმიკის თამაშით, ბაბოსთვის მკლავის მოხვევით, ხან დათაფლული ღიმილით, ხან სარგადაყლაპულივით გაჯგიმვით:

_ ჰო, კარგი... რომ იცოდე, როგორ გშვენის გაბრაზება! ჩვენი ლამაზი გოგო ბაბუცი რომ სამსახურში პირველად მოგვევლინა ანგელოზივით _ ჯინსის შარვალში გამოწკვართული, თვალ-წამწამ დახატულ-დაფერადებული, _ საწყალ დევის, მომავალ მეუღლეს, ელდა ეცა და დაემონა კიდეც... მერე საოცარი მეტამორფოზის მომსწრენი გავხდით: გაგვითხოვდა თუ არა, აღარც ისვამს, აღარც შარვლით დადის, ხმასაც დაუწია, მიხატვ-მოხატვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი _ ბატონი დევი დევობს! ქმრის სიტყვას არ გადავა, მეუფის ნებას ვინ

აღუდგება წინ, ის კი არა და _ ამას ბაბუცი ფიქრადაც ვერ გაივლებს! ჰოდა, გადის ხანი... ჩვენი ბაბო ნელ-ნელა წელში სწორდება, თვალშიც გამოიხედავს... ორ ლომივით ბიჭს ზრდის. ქმარი ჩვენთან აღარ დააყენა, ახალ, ფულიან სამსახურში გააგდო. ცოტ-ცოტა დახატვაც დაიწყო, მძივებითაც მოირთო; ხმაც ამოიღო, ხანდახან აუწევს კიდეც... ქმარს ეჯიჯღინება _ ჯამაგირი მომემატაო, შენზე ნაკლებს არ ვიღებო. კიდევ უფრო გაიბრიქა ბაბო _ ზოგჯერ ქმარს კუთხეშიც აყენებს: "ეს ერთი მიპატიებია, გაფრთხილებ, თუ არ გამოსწორდი, შინიდანაც გაგაგდებ! ფულს შენზე მეტს ვიღებ, ხმის ამოღებასაც ბედავ?!" ბატონი დევი დაიბოღმება, დაიწყებს მაყუთის კეთებას, გაებმება სარფიან საქმეებში... მოიტანს ათას მანეთს, დაახეთქებს მაგიდაზე: "რაც გინდა, იყიდე!" ცოტა ხანში შიშისგან ინფარქტი დაარტყამს და გადაბრუნდება... გააცუნცულებენ მუხათგვერდის სასაფლაოზე. მერე ცოლსაც გვერდით მიუწვენენ! ერთი ერთ მხარეს გადაბრუნდება, მეორე _ მეორეზე, გვეყოფა, აქ მაინც არ ვიჩხუბოთო... დასკვნა: ცოლი და ქმარი ერთად არ უნდა დაასაფლავო!

ბაბომ სიცილით, მაგრამ საკმაოდ ღონივრად ჩაჰკრა პატარა, მაგარი მუშტი სილიას ფართო ზურგში:

_ გაგიხმეს ეგ უტვინო გოგრა! ნორმალური ხარ ახლა შენ?!

კონფლიქტში დინჯად ჩაერია სანდრო:

_ რა ჰქნას კოლექტივმა, თუ ერთი მახინჯი გამოერია?!

_ ჩხუბი როგორ შეიძლება?! _ ცირკის მასხარასავით მაღლა ძგიბავს წარბებს სილია. _ მე დღეს ერთი ჩხუბი უკვე მქონდა, გეგმა შევასრულე, მეყოფა! კი არ მქონდა, ალბათ აწი მომელის! მოკლედ, დილით დავურეკე ეთერს, სერიოზულ საქმეზეა საუბარი: სანამ მოვალ, ცდისთვის ხელსაწყოები გამიმზადე, მე ხორცის საშოვნელად ვაპირებ გავლას და შემაგვიანდება-მეთქი. რაღაცას ვავალებ, ცდაა ჩასატარებელი, რაღაცაზე ვთანხმდებით, ეთერმა ერთი ხუთჯერ "გენაცვალე" Mმითხრა. ყურმილში მესმის _ წავიდა ჩხუბი მაღალ დონეზე, სულ ლარნაკებსა და ბროლს ესვრიან ერთმანეთს ეთერი და მისი ქმარი. "რას შვები, აკვლევინებ ქმარს ჩამს თავს?" _ ვუყვირი ყურმილში; მესმის გაბრაზებული ქმრის კომენტარები ჩვენი საუბრის შინაარსის და უფრო მეტად _ ფორმის მისამართით... "ერთი მაგის ჭკუაც ვატირე!" _ ამბობს ქმარზე ეთერი და საუბარს აგრძელებს, მაგრამ მე სასწრაფოდ ვდებ ყურმილს. "ღმერთო, დამიფარე აწი ამ ტელეფონის ნომერზე დარეკვისგან!" – გადავიწერე პირჯვარი...

_ თორემ შენ არასდროს გიჩხუბია ცოლთან! _ უნისკარტებს სილიას ბაბო.

_ მე და ჩხუბი? როგორ შეიძლება! მე შინ ვინ გამიბედავს ხმამაღლა დალაპარაკებას! სახლში მე ხონთქარი ვარ! ფაშა! ფადიშაჰი! _ თავმომწონედ იჯგიმება სილია. _ გინდათ, ცოტა გაგანათლოთ, პატარა ლექცია წაგიკითხოთ, როგორი წეს-წესრიგი უნდა სუფევდეს ოჯახში? მობრძანდით ჩემთან შინ...

_ როდისაა შენი დაბადების დღე? _ არ აცლის გაგრძელებას სანდრო.

_ საჩუქარი რა მოგიტანოთ? _ ეკითხება ბაბო.

_ ბოდიში, არ გეწყინოს, ჩემო ბაბო, ბაიყუში ხარ _ ყველაფერი მე როგორ უნდა გასწავლო? ნუთუ აქამდე არ იცი, სტუმრად რომ წახვალ დაბადების დღეზე, რა უნდა წაიღო საჩუქრად? რა არის ახლა ყველაზე ძნელი საშოვნელი, რაზეა დიდი რიგები? არ იცი? მე გეტყვი, იქნებ შენც დაგიჯდეს ჭკუაში: ტუალეტის ქაღალდი! აი ყველაზე ძვირფასი საჩუქარი! აიღებ, ლამაზო, კანაფს, ჩამოაცვამ ერთი ათ-თორმეტ ცალ ტუალეტის ქაღალდის გორგალს, ჩამოიცვამ კისერზე და წახვალ კმაყოფილი სტუმრად ძვირფასად ხელდამშვენებული. აუჰ, როგორ გაუხარდება მასპინძელს, როცა კარს გააღებს და ასე შემკობილს დაგინახავს! მეტი ეფექტისთვის, უფრო ლამაზი იერი რომ გქონდეს, ორი მწკრივი უნდა ჩამოიცვა კისერზე _ ერთზე, მოკლეზე, სამი-ოთხი გორგალი იქნება, მეორეზე _ ცხრა-ათი! უკეთესი საჩუქარი რაღა გინდა! მოკლედ, მობრძანდით გინდ საჩუქრით, გინდ უსაჩუქროდ ჩემი საჩვენებელი

ოჯახის გასაცნობად!.. დიახ, ბატონ სილიბისტროს კულტი მეფობს ჩემს ოჯახში! შემოხვალთ თუ არა, დერეფანში ჰკიდია ჩემი დიდი პორტრეტი, ასევე დიდი პორტრეტები შეგხვდებათ ყველა ოთახში, აგრეთვე სამზარეულოში და სააბაზანოშიც...

_ ფეხსალაგში ფერადი იქნება, ნაღდად! _ ჩაურთო ლადიკომ.

_ მაცალე!.. ოჯახში ორ კვირაში ერთხელ გამოდის კედლის გაზეთი, რომელსაც ჰქვია "ჩვენი საყვარელი მამიკო". ყველა ნომრები შენახული მაქვს შთამომავლობისთვის. სტატიები და ლექსები ჩემი ძვირფასი პერსონის ქება-დიდებით მეტად მაღალ დონეზეა დაწერილი; სრული გულწრფელობით, აღმაფრენით არის აღწერილი ჩემი განუმეორებელი პიროვნების შინაგანი სიმდიდრე და გარეგანი მომხიბვლელობა...

_ შენი ხუჭუჭა ქოჩორი და ანტიკური დახვეწილობის ცხვირი თუ არის საგანგებოდ შექებული? _ ეკითხება ბაბო.

_ მაცალე რა ლოთიანად!.. ჰო, ჩემი ცოლ-შვილი ტყუილად კი არ იჭყლეტს ტვინს _ საუკეთესო ნამუშევრებისთვის მე დავაწესე, პირადად ვანიჭებ და საზეიმო ვითარებაში გადავცემ პირველი, მეორე და მესამე ხარისხის პრემიებს, იმისდა მიხედვით, ვინ როგორ შემოქმედებით წარმატებას მიაღწევს.

_ შენს სიდედრს რომელ პრემიას აძლევ? _ ამჯერად სანდრო დაინტერესდა.

_ ვაი, შე ბაიყუშო, სიდედრი ყოველთვის პირველი პრემიით ჯილდოვდება, ის კონკურსგარეშეა!.. მისმინე ახლა, ნუ მაწყვეტინებ... ყველაფერი კეთდება სრულიად სერიოზულად, მაღალ აკადემიურ დონეზე; ყოველგვარი ხუმრობა, კინკიცობა, მით უმეტეს _ ქილიკი, დაუშვებელია! დროდადრო ვაცხადებ ხოლმე კონკურსს ჩემს საუკეთესო სურათზე, _ ყველა მხატავს, ყველას ვასწავლე და შევაყვარე მხატვრობა, _ აგრეთვე ჩემი ჭკუის, სიბრძნის, სიკეთის, სიქველის, ჰუმორის გრძნობის ამსახველ ლექსებსა და პოემებზე, ჩემი დამსახურების მხატვრულ ფერებში ამსახველ მოთხრობებზე...

_ მაინც რა ჯილდოებს აძლევ კონკურსში გამარჯვებულებს? _ მაინტერესებს მე. _ იქნებ ჩვენც მიგვეღო მონაწილეობა, ჩვენი ძალებიც მოგვესინჯა ესოდენ პრესტიჟულ და საპასუხისმგებლო შეჯიბრში! მართალია, პირველი პრემია უკვე დაბევებულია, მაგრამ ჩვენ მეორე-მესამე ან თუნდაც წამახალისებელი ჯილდოთიც კმაყოფილი ვიქნებით... მერე, შესაძლოა, საერთაშორისო კონკურსადაც ვაქციოთ!

_ არა, თქვენ არ ივარგებთ! _ გაიღმიჭა სილია, _ გამოცდილება არ გეყოფათ... თანაც, შესაძლოა, პრიზი არც მოგეწონოთ... ჩემს სტილშია ჯილდო შესრულებული, იმდენად ორიგინალურია, რომ მსგავსს, ანალოგს ამ პრიზისა ვერსად ნახავთ!..

_ გვითხარი, რა ჯილდოა! _ შეეხვეწა ბაბო.

_ არ შეიძლება! _ თავი დაიფასა სილიამ. _ არ ვიცი, რამდენად დააკმაყოფილებს იგი თქვენს ნატიფ გემოვნებას...

_ კი არ შეგჭამთ, შე კაცო, დაგვაინტერესე და ახლა უსინდისობა იქნება შენგან, რომ დაგვიმალო!

_ რა გამიჩმახეთ საქმე, მაინცდამაინც გინდათ, მერე გამლახოთ?

_ არა, არაფერს გეტყვით, გეფიცები! _ არ ეშვებოდა ბაბო.

_ კარგი, რადგან ძალიან მეხვეწებით, მარტო გეტყვით კი არა, პრიზს გაჩვენებთ კიდეც!

ყველამ თვალები დავაჭყიტეთ.

_ აბა, რა გეგონათ! ისეთი ძვირფასი ჯილდოა, რომ ვერ ვიშორებ, სულ თან დამაქვს!

_ ახლაც აქა გაქვს? გვაჩვენე რა! _ ისევ ბაბუცი აქტიურობდა ყველაზე მეტად.

_ გაჩვენებთ, ოღონდ ერთი პირობით: თითომ ოცდახუთი კაპიკი უნდა დადოთ ჩვენებაში, ოთხივემ _ მანეთი!

_ რათა, კაცო!

_ იმათა, რომ გაკოტრებული ვარ. ჩემს ბიჭს, სკოლიდან რომ მოდის, თითო “ფრიადში” ოცდახუთ კაპიკს ვაძლევ. ოღონდ ერთი ორიანიც რომ მიიღოს, ყველაფერი მთლიანად უნდა დამიბრუნოს. ამას წინათ სულ გამატყავა. მერე მათემატიკის რვეული დარჩა შინ და მასწავლებელმა ორიანი გლიჯა. “იცით, პატმასწ, რა ხარჯში ჩამაგდეთ? რვა მანეთი დამაკარგვინეთ!” _ უთხრა მასწავლებელს.

_ სილია, შენ რა მაგარი ფინანსისტიც ჩანხარ, ეტყობა, შვილიც ფინანსისტი გამოგივა, მოგიგროვებთ იმ დამწვარ მანეთს და დააყენე საშველი, გვანახვე ის საჩუქარია თუ რაღაცა! _ ვერ ისვენებს ბაბუცი.

_ კარგი, აბა, დახუჭეთ თვალები და, მე რომ გეტყვით, მაშინ გაახილეთ!

დამჯერი მოწაფეებივით მართლაც დავხუჭეთ თვალები.

_ გააღეთ!

გავახილეთ თვალები, სილია კი ისევ ისე იდგა, ოღონდ კართან მისულიყო, ხელში კი არაფერი ეჭირა.

_ გვაჩვენე პრიზი! _ უკვე საჩხუბრად გაიქაჩა ბაბო.

_ რახან არ იშლით... ა, ჭირიმე!

სილიამ სწრაფად აიწია თავს ზევით ხალათი და თავისი უზომოდ გაბანჯგვლული მკერდი და მუცელი დაგვანახვა. მერე შეტრიალდა, რომ ასეთივე ხშირი ბალნით დაფარული ზურგის ხილვით დავმტკბარიყავით.

_ ფუი, რა მაიმუნს გავხარ! აქ რა გინდა, ზოოპარკშია შენი ადგილი! _ ახარხარდა სანდრო.

_ ბიჭო, ასეთ მაიმუნს იქ სად ნახავ, თან გართობს და გაცინებს! თქვენ პატივი დაგდეთ, თორემ სხვებს ათ შაურად ვაჩვენებ ხოლმე! _ აროხროხდა სილია, თან ხალათს ისწორებდა, მაგრამ უცებ ცქვიტად შებრუნდა, კარი გამოაღო და დერეფანში გავარდა.

ბაბუციმ მაინც მოასწრო და უკანასკნელ წამს სახაზავმა მხიარული ტკაცანი მოადინა სილიას ბეჭებზე.

_ შე უჯიშო, აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა!.. მართლა მაიმუნო!.

XI წკიპურტი. გიგანტური ნამარხი გველი

როგორც მოგეხსენებათ, მხიარული ოთახის ოთხივე ბინადარი საკმაოდ ენაწყლიანია და მეხუთეც თუ მიემატათ, _ ბატონი სილია, _ ხომ ერთი წუთითაც ვეღარ ისვენებს ყურები.

ამჯერად კი _ საკმაოდ იშვიათად ხდება ხოლმე ასეთი რამ _ ყველანი ჩვენ-ჩვენ საქმეს ვუკირკიტებდით და ოთახში შემოსულმა სილიამ მისთვის ჩვეული მისალმების შემდეგ (“გამარჯვება ვიგინდარებს, ჯიბგირებს, ყალთაბანდებს, გაოხრებულებს...” და ასე შემდეგ) პირდაპირ ჩემსკენ აიღო გეზი და ბოქაულივით დამადგა თავზე:

_ პეპე ხარ თუ პეპელა, ასწიე თავი, რას კითხულობ ნეტა ასეთ გადასარევს? ასოცკილოგრამიანი სტუმრის შემობრძანებას ისე ხვდები, თითქოს ბუზი შემიფრენილიყოს ფანჯრიდან... ეს არის შენი ზრდილობა?

_ “კარგები ვართ, კარგები, მოგვაყარეთ ვარდები!” _ წაუმღერა სანდრომ.

_ დღევანდელ გაზეთს კითხულობ? _ თავი ასწია ნახაზიდან ბაბომ.

_ გაზეთს რა წაგაკითხებს, _ ჩაერთო ლაპარაკში ლადიკოც, _ წაიკითხავ და გულზე გასკდები! ან რამე საშინელებაა ფერადოვნად, მთელი დეტალებით აღწერილი, ან _ სისულელე, ან _ სიბრიყვე!

_ არა, ჟურნალს ვკითხულობ, გიგანტური ნამარხი გველი აღმოუჩენიათ დასავლეთ აფრიკაში, მალის რესპუბლიკაში. იქ ზღვის გველი ცხოვრობდა დაახლოებით 50 მილიონი წლის წინათ, ეოცენის ეპოქაში. ფრანგი პალეონტოლოგის რაჟის ვარაუდით, მისი ტანის სიგრძე ცხრა მეტრს აღწევდა. მას მიანიჭეს სახელი Palaeophis colossaeus. ეს პალეოფის კოლოსეუს, ერთ-ერთი უდიდესი გველია...

_ აუჰ!.. თქვენი ოთახი რა ზომისაა? _ უზარმაზარი ნაბიჯებით დააბოტებს ოთახში სილია, _ სამი მეტრი ოთხზე, ხომ? დაეტეოდა აქ ვითომ? თავი თუ ბაბოსთან ექნა...

_ გადაშენდი იქით! _ აიფოფრა ბაბო, _ უხსენებელი მინდა კიდევ მე?

_ რა კარგი წარმოსადგენია ცხრამეტრიანი გველი! მშვენიერია _ ნაზი და ფაფუკი, დიდი სიამოვნება იქნება მისი მოფერება! _ აღფრთოვანებულია ლადიკო.

_ რომ დააღებს უცებ პირს, სად მიდიხარ მაშინ?! _ უხარია სანდროსაც.

_ თანამედროვე ზღვის გველებისგან განსხვავებით, პალეოფისი არ იყო შხამიანი, _ ვაზუსტებ მე.

_ რად მინდა მაგის შხამიანობა, დააფჩენს პირს და ყლაპ! მოყუჩებული ხარ კოხტად სიბნელეში!

_ 1906 წელს კამერუნში აღმოაჩინეს გოლიათი ბაყაყი _ Rana goliath. მისი გავრცელების არეალი მეტად ვიწროა, აქვს 32-42 სანტიმეტრის სიგრძის სხეული, იწონის სამნახევრ კილოგრამს, თან ძალიან გემრიელი ხორცი ჰქონია.

_ ამ უხორცობის დროს ერთი ბაყაყი ერთ კვირას ეყოფოდა ოჯახს!

_ ის ცხრამეტრიანი გველი? ალბათ მთელ თვესაც.

_ მერე მაგოდენა მაცივარი გაქვს მის შესანახად?

_ თქვენც იტყვით, მეცნიერები ვართო! სულ ჭამა-სმაზე გადაგყავთ საუბარი. აბა, ერთი თუ იმსჯელებთ იმაზე, რამდენი მალა ექნებოდა იმ გველს, რა პირობებში ცხოვრობდა, რას ჭამდა... _ ქადაგად დავარდა ბაბო; მიკვირს, აქამდე როგორ გაძლო ჩუმად.

_ ეს ქალი გადამრევს! _ აყვირდა სილია, _ იმ უზარმაზარ გველს რა უჭირდა, მე იმაზე უფრო არ მიჭირს ცხოვრება? რატომ იმას არ კითხულობ, რით არჩენ ოჯახს, რას ჭამთ, რას სვამთო.... ამხელა კაცს რით მიდგას სული... დიდო "გველთამცოდნევ", კარგი, ჰო, ჩვენ ბაიყუშები ვართ და არ ვიცით, შენ მაინც გაგვანათლე, მაინც რას ჭამდა ის დალოცვილი გიგანტური გველი? ალბათ მეცნიერებს, არა?

_ ეგ არ არის ახლა აქტუალური, ეგ გველები გადაშენდა.

_ მისი უახლოესი ნათესავები ხომ არსებობენ?

_ პალეოფის კოლოსეუსის უახლოესი თანამედროვე ნათესავებია: გიგანტური მახრჩობელები, პითონები, ანაკონდები, _ განვაგრძე ლექცია მე. _ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბადურანახატიანი პითონი ექვს მეტრს აღწევს სიგრძით, სამხრეთამერიკული ანაკონდა _ რვა მეტრს და ორმოცდახუთ სანტიმეტრს, წონითაც უფრო დიდია.

_ ფუი! _ ცხვირს იბზუებს ბაბო.

_ ა, ბატონო, თუ არ გჯერა, შენი ბედნიერი თვალებით წაიკითხე, აგერ წერია!

ბაბო გაანჩხლებული წამოხტა სკამიდან:

_ საქმე დაგლევიათ და ეგ არის! რას ამოგიჩემებიათ ეს გველები, უკეთესი თემა ვერაფერი ნახეთ? გადაშენდით იქით!

_ მე კი არა, შენ გადაშენდი, თუ კარგია, შე დინოზავრო! _ ხვიხვინებს სილია.

_ რათა ვარ დინოზავრი? _ უკვე მართლა გაბრაზება ეტყობა ბაბოს.

_ ყველაფერს ამჩნევ, არაფერი გამოგეპარება. მრავალთვალა ხარ! _ სილია მოსახვევად მიეტანა ბაბოს.

ბაბომ ახარხარებულ სილიას სახაზავი სდრუზა მკლავში.

_ ბაბო თუ მრავალთვალაა, დინოზავრი კი არა, მწერი ყოფილა, _ ვაზუსტებ მე. _ ბევრი თვალი მწერებს აქვთ, მაგალითად, ბუზს ფასეტური თვალი აქვს. საცერი რომ წარმოიდგინო, ისე _ ათასობით თვალი.

_ მაშ, ბაბოჯან, ბოდიშს ვიხდი, ბუზი ყოფილხარ! _ კიდევ უფრო გამხიარულდა სილია, _ ლურჯი ბუზი ხარ, ხორცის ბუზი, ნახე, როგორ აქვს ლურჯად დახატული თვალები!

_ ყური რამდენიღა აქვს? _ სრული სერიოზულობით კითხულობს სანდრო.

_ უთვალავი! _ ყველას ასწრებს სილია, _ ბაბუცის რომ ყურები აქვს, მტრისას! ჩემპიონია! თუ გინდა, ახლავე შეუძლია გაიგოს, მისი ქმარი სად ქაქანებს და რას ლაპარაკობს!

_ გადაშენდი იქით! _ ისევ სახაზავს უმარჯვებს ბაბო, თვითონაც იცინის _ როგორ გინდა თავი შეიკავო, როცა უყურებ ბატონ სილიას: ეს ზონზროხა, ასოცკილოგრამიანი ბავშვი რა უშუალოდ ერთობა და სხვებსაც ამხიარულებს...

_ მე კი გავეთრევი გარეთ, მაგრამ თქვენ რა გეშველებათ, თქვე საწყლებო, ხომ დალპით და მართლა გადაშენდით! მე რომ არ შემოვდიოდე ამ ოთახში, ხომ დამჟავდით და დამწნილდით ყველანი? აი, ნახეთ, _ მე შემოვედი და მზემაც აქ შემოიჭყიტა! მასაც ჩვენთან უნდა ყოფნა!..

XII წკიპურტი. სამუშაო დღე

_ ორშაბათი ხომ არ არის დღეს? რაღაც ვერ ვარ მუშაობის ხასიათზე... _ ოთახში შემოსვლისთანავე გამოაცხადა სანდრომ, თან ცხვირსახოცს გამეტებით ისვამდა კისერზე, თითქოს მეტისმეტი შრომით ოფლი ხვითქად გადასდიოდა.

_ სად იყავი აქამდე, სანდრო ბატონო, ჩვენ ერთი პირი დისკუსია უკვე ჩავათავეთ კიდეც! _ ვუპასუხე მე. _ ერთი საათის წინ დაგინახეთ, ეზოში მასლაათობდი.

_ არ ამომიშვეს, ბიჭებმა დამაკავეს.

_ ვინ იყო ის ცხრათავიანი დევი?

_ აი, ქვევით პოლიტიკაზე საუბრობდნენ და მეც ჩავერთე.

_ ო, პოლიტიკა ასთავიანი ურჩხულია, ასე ადვილად ვერ დაუსხლტები კლანჭებიდან!

_ მე კი მგონია, პოლიტიკა წყლიან გუბეს ჰგავს _ ერთი ქვას ისვრის შიგ, მეორე _ ტალახიანი ფეხებით დგება, მესამე _ აფურთხებს კიდეც... როგორ იქნება წმინდა წყალი?

_ ჰოდა, აქ ნულას გააგრძელებ მაგ საქმეს. შენ ეს მითხარი, ბაზარში ხომ არ გაგივლია? _ ეკითხება ბაბო.

_ გავიარე და გამოვიარე კიდეც, სულ მუქთაა ყველაფერი: ხორცი _ თუმანი კილოგრამი...

_ ყველი? _ შეაწყვეტინა ბაბომ.

_ ისიც თუმანი! თუ მხოლოდ დასუნო გინდა, უფრო იაფადაც მოურიგდები! _ იღიმება სანდრო, ხმაურით გამოსწევს სკამს და ხვნეშით ჯდება. _ ვიწანწალე, ვიწანწალე და რა? ვერაფერს მივეკარე, ცეცხლის ფასი ადევს ყველაფერს.

_ ერთი დამაძინა ახლა და გამაღვიძა... გამაღვიძა... 100 წლის შემდეგ! _ წამოიძახა ლადიკომ.

_ იცი, რას იხილავდი? _ ვპასუხობ მე. _ იტყოდი... არა, მარტო გაიფიქრებდი: “ჩაერთე, ასორმოცდამეშვიდე არხო!” კედელზე აინთებოდა პოლიეკრანი. გამოდის ახალი ხონთქარი ნიკოლოზ VII: “მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ ნაკლოვანებებზე, რომლებიც აქამდე მიჩქმალული იყო და, რაღა დასამალია, ბლომად დაგროვდა. დროა, სწორი გზით წავიდეთ, გარდავიქმნათ სულითაც და ხორცითაც. ამ მტკივნეულ გზაზე კრიტიკა ყოველივე დრომოჭმულისა ჩვენი მძლავრი იარაღია. გულახდილად გეტყვით, ამხანაგებო, რომ, რაც კი ჩე-

მამდე ხონთქრები ისხდნენ ტახტზე, არც ერთი იყო კომპეტენტური, მუშაობა არ იცოდა. კიდევ მეტიც, ამხანაგებო, დანაშაულსაც კი სჩადიოდა! დიახ!.. აწი სხვა დროება დგება, აღარ გვარგებს ძველი, მცდარი გზით სიარული... ახალი ეპოქა იწყება, პროგრესულ, დემოკრატიულ რელსებზე უნდა გადავიყვანოთ ჩვენი ცხოვრების მატარებელი. ყველაფერი უნდა შეიცვალოს _ ტოტალურად, ძირფესვიანად! სხვა შემთხვევაში ჩამოვრჩებით, ჭაობში ჩავეფლობით, გაგვთელავენ. გვეყო, რაც აქამდე შეცდომები გვქონდა, ახლა თვალი აგვეხილა და წარმატების მისაღწევი საშუალებები და მეთოდები ნათლად გვაქვს წარმოდგენილი. მაშ, დავიკაპიწოთ მკლავები და შევუდგეთ ენერგიულ, ერთგულ მუშაობას ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ და ხალხის გასახარად!”

_ რა გვეშველება! _ წამოიკნავლა ბაბუციმ.

_ რა და, უნდა იშრომო, იღვაწო, საერთო საქმეს შეეწიო; აბა, მთელი დღე რომ ქსოვას და ყავის სმას უნდები, გამოვა ასე საქმე? _ შეუტია სანდრომ. _ აგერ ფანჯარაზე რომ ყვავილები ჩაგიმწკრივებია, პომიდორი ან კიტრი გაგეხარებია, არ ჯობდა?

_ წიწაკა ხომ არის, ჭამე, რამდენიც გინდა, შენს პირს მოუხდება! _ გაწიწმატდა ბაბო. არ ეპუება ხოლმე სანდროს, მამის ტოლა კაცს ხანდახან ამაზე პილპილიან სიტყვებსაც ჰკადრებს; სანდროს ეს სულაც არ სწყინს, ალალად ეღიმება, მაგრამ ზოგჯერ ისეთ ქარაგმულ რასმე უპასუხებს, ბაბო უცებ ვერ უღებს ალღოს და მხოლოდ ჩვენი სიცილი დაადარაჯებს, ყურებს დააცქვეტინებს _ “რა მოხდა?”

_ მოიცა ცოტაც კიდევ და ეგ წიწაკა თუ სანატრელი არ გაგიხდეს, აი ულუაში მომპარცე! _ თეატრალურად ისვამს საულვაშეზე ხელს ლადიკო.

__ უი, ზაფხულში რაღა გვეშველება? _ ისევ წუწუნებს ბაბო. _ ოჯახის აგარაკზე გამგზავრება ტრაგედიაცაა და კომედიაც. ჩამოდიხარ მერე, აგვისტოს ბოლოს თბილისში ბარგის თრევით წელგაწყვეტილი და ბაზარში წანწალით გასავათებული... ვეღარც ბავშვებს მიაპყარი საკმარისი ყურადღება, არადა, ზაფხულის ერთ-ორ თვეში მთელი წლის უკიდურესი მომჭირნეობის ხარჯზე დაგროვებული ფული მიახარჯე... შეხვალ ასი წლის შეუკეთებელ ბინაში... ანგარიშობ და გაკვირვება გიპყრობს _ საიდან შოულობს ეს ხალხი ათასებს? საზღვარგარეთის ქვეყანა არ დარჩათ უნახავი, იქაურ კურორტებზე დაბრძანდებიან, ჩვენსას აღარ კადრულობენ... შინ მეფურ აპარტამენტებს იწყობენ, ავეჯი და ჭურჭლეულობა ხომ სამუზეუმო გეგონება...

_ “მერსედესიც” უდგათ გარაჟში! _ კვერს უკრავს სანდრო. _ თუ იცი, რამდენი უნდა შავ ბაზარზე?

_ მაგდენი სიზმარშიც არ დამლანდებია. მანქანა კი არა, ერთი კარადა ვერ მიყიდია. ხუთი წელია, ფულს ვაგროვებ ჩემი ჭკუით _ ვაგროვებ, ვაგროვებ და ზაფხულში უცებ მივახარჯავ. აბა, რა ვქნა? სამზარეულოს ან საწოლი ოთახის გარნიტურს ვინღა ჩივის, ქუთაისური დივანი და ორი სავარძელიც სანატრელი გამიხდა, თანაც თურმე იმაზეც წინასწარ უნდა ჩაეწერო. მოკლედ, თუ გინდა, ჯანმრთელობა შეინარჩუნო, ავეჯის ყიდვაზე არ უნდა იოცნებო!

_ შენც, რამდენი ფულიც შეგრჩება, იმის ავეჯი იყიდე, _ ურჩევს ლადიკო.

_ არ გადამრიო, ბიჭო, ნახევარ დივანს ხომ ვერ ვიყიდი!

_ სხვა დროს მეორე ნახევარს იყიდი, რა მოხდა მერე! _ იცინის ლადიკო. _ მე რომ მოსკოვში ვიყავი, ვიღაც ქართველები ამეკიდნენ მაღაზიაში, გადამეკიდნენ, გინდა თუ არა, შარვალი იყიდე ჩვენგანო. ნახევარი შარვალი ენდოდათ შემოესაღებინათ.

_ ნახევარი შარვალი რაღა უბედურებაა?

_ ეტყობა, ცალი ტოტი დაეწვათ დაუთოვებისას; ცელოფანში ჰქონდათ გახვეული და მაძალებდნენ, შენი ზომაა, რად გინდა გახსნა და მოზომება, თითქმის მუქთად გაძლევთო.

_ მალე ალბათ მართლაც უშარვლოდ მოგვიწევს სიარული _ ჩვენი ჯამაგირის პატრონებს ვეღარც პიჯაკი გვიყიდია და ვეღარც ფეხსაცმელი.

_ სანდრო, შენ ასეთი პესიმისტი რომ არასდროს ყოფილხარ? _ მიკვირს მე. _ ჯანდაბას, მართლაც უშარვლოდ ვივლით, ოღონდ პურის ფული გვქონდეს სამყოფი. თუ ბაზარში ცოტაოდენ მწვანილსაც ვიყიდით...

_ წინასწარ გავახმოთ პური ბლომად, მერე ჩავაწოთ ჩაიში ორცხობილა და გავიტანთ თავს!

_ რამდენ ხანს გინდა ასე გაძლო?

_ საჭიროა "თვითუზრუნველყოფაზე გადასვლა" , როგორც გაზეთებში წერენ. ხომ გაქვთ საბაღე ნაკვეთები, ჰოდა, საკუთარი ოფლით მოწეულ მოსავალს რა სჯობს! _ იღიმება სანდრო. _ თან სუფთა ჰაერზე მუშაობა ვარჯიშად ჩაგეთვლება! ერთი პატარა ქოხიც რომ წამოჭიმო, ჩემო ბაბო, ზაფხულში დასვენების პრობლემაც გადაჭრილი გექნება!

_ აბა, ბიჭო, როგორ არა! _ ცხარობს ბაბუცი. _ შენ კი გაჭენდები და გამოჭენდები შენი მანქანით, მე რა ვქნა? ცხენი ვიყიდო? სამი წელია, ნაკვეთი აიღო ქმარმა და სამი ძირი ხეხილი ვერ გავახარე, სხვა არ დაუსხამს წყალს... ან სად ვიშოვო კარგი მასალა, თუნდაც პატარა სახლის მშენებლობისთვის? ყველაფერი ძვირია და თან უხარისხო, გადატანაზეც ტყავს გაგაძრობენ.. ახლა აშენების ხარჯები? ათასები არ გეყოფა, არც ათიათასები, ფასების ახლანდელ დოღს რომ ვუყურებ...

_ თუ მანქანა არ შეიძინე, ისე ვერაფერს მიაღწევ, მოწეულის წამოღებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, _ ჩავერთე მეც, _ თუმცა, მოიწევ კი რამეს? ჯერ ხომ წყალიც არ გაუყვანიათ, არც ელექტროდენი... ხარჯი ხარჯს მიემატება. მერე _ მოხვნა, შემოღობვა, ნერგების შეძენა და თრევა... ღირს კი ამ საქმისთვის საერთოდ ხელის მოკიდება?

_ ყველაფერი ფულის პრობლემას უკავშირდება, _ ცოტა არ იყოს საგაზეთო სტილში გააგრძელა საუბარი ლადომ.

_ ფულის მეტი რა არის! _ იღიმება სანდრო. _ ოღონდ ხელი უნდა გაანძრიო! მოდი, ჩვენ თვითონ შევკრათ მშენებელთა ბრიგადა, რა უნდა სახლის აშენებას! ერთი ბეტონს აურევს, მეორე ქარგილებს დააყენებს, მესამე ბეტონს ჩაასხამს და ასე შემდეგ! თვეში ათას მანეთზე ნაკლები არ გამოგვივა თითოს.

ამ დროს ჩვენს ოთახს ესტუმრა ჯუმბერ ბატონი, N10 ლაბორატორიის გამგე და მაშინვე საუბარში ჩაერთო. მისი აზრით, მეფუტკრეობას არაფერი სჯობს: წყნარი საქმეა, შემოსავლიანიც... ყველაფერი გაანგარიშებული ჰქონია, უამრავი წიგნიც წაუკითხავს მეფუტკრეობაზე და, ამრიგად, თეორიულადაც საიმედოდ ყოფილა აღჭურვილი.

ჯუმბერის მონოლოგის შუაში ბატონი დიმიტრი არტაგიშვილი შემოიზვინა _ მთასავით კაცი _ ძველი მონადირე, მოქეიფე, ქალების მდევნელი და ამჟამად კი _ მომუშავე პენსიონერი.

_ ჯუმბერ ჩემო, ფუტკარი მართლაც კარგია, თაფლი ყველას გვიყვარს; ავადმყოფობა რომ შეეყარა ფუტკარს და მუსრი გაავლო, ეგ რატომ ვერ გაითვალისწინე? ყველაზე ნაღდი _ ღორების გამრავლებაა! _ დაასკვნა ბატონმა დიმიტრიმ დარწმუნებით: _ იყიდი გოჭებს, გადენი ტყეში, დაიზრდებიან რკოსა და ათასგვარ ტყის ნობათზე, დასუქდებიან...

აქ ბაბომ გამოიდო თავი:

_ მაგას ჯობს, ქათმები იყოლიო. გაზაფხულზე იყიდი წიწილებს, გაუშვებ შემოღობილ ეზოში, რამდენიმე თვეში ათას ფრთას ან მეტს გაჰყიდი ბითუმად. ისევ იყიდი წიწილებს, დაზრდი და დაჰყიდი...

ბაბულია რომ შუა ქაქანში იყო, ბატონი სოსო შემობრძანდა, ჩვენი ინსტიტუტის მთავარი ინჟინრის მოადგილე. მას ოჯახის ბიუჯეტის გაჯანსაღების ტექნიკური გზა აურჩევია _

უკვე ორი თვეა, ტელევიზორების შემკეთებელთა კურსებზე დავდივარ და საღამოობით, სამსახურის შემდეგ ვაპირებ ახალი ხელობით ორიოდე გროშის შოვნასო.

საუბარში უჩა ტყემალაია ჩაერთო, ვერც კი შევნიშნე, როდის შემოვიდა ოთახში _ უფროსი მეცნიერ-მუშაკია ჩვენს ლაბორატორიაში. მისი შეხედულებით, ყველანი ტყემალზე ვისხედით, თვითონ თურმე აპირებდა პარკეტის დაგება-მოშანდაკებით გასულიყო ფინანსური კრიზისის წარღვნაში ფონს.

ყაყანმა კიდევ ბევრი მიიზიდა ჩვენი ოთახისკენ და ყოველი მათგანი საჭიროდ თვლიდა, დისკუსიაში ჩაბმულიყო და საკუთარი შეხედულება გამოეთქვა _ ეტყობა, უფულობა ყველას საერთო სატკივარი იყო.

N6 ლაბორატორიის თანამშრომელმა ტიტიკო ლაბლაბაძემ (დერეფნიდან გვაუწყა, ოთახში ვეღარ შემოეტია) ყველაზე მომგებიანად სანტექნიკოსობა მიიჩნია _ თითო "სველი წერტილის" დაყენება ახლა უკვე ასი მანეთი ღირს და კიდევ უფრო გაძვირდებაო, თანაც მასალა თვითონ კლიენტმა უნდა იშოვოსო. გიგლა ყურხახვიაშვილმა აღნიშნა, რომ არც ავტომანქანების შეკეთებას უჩანს ცუდი პირი _ მანქანები სულ უფრი მომრავლდა და მძღოლთა შეგნებულობა კი დაბლა-დაბლა იწევს, საქმე არ შემოგაკლდებაო. კიტრის, პომიდორის და ყვავილების სათბურში მომრავლების მომხრეებიც აღმოჩდნენ, თუმცა დისკუსიის მსვლელობაში ისიც ითქვა, რომ ამისთვის თავდაპირველი კაპიტალდაბანდება საკმაოდ მოზრდილ თანხას შეადგენს _ 10-15 ათასი გინდა სათბურის ასაშენებლად, თან მერეც სახლაფორთოა: ღამე უნდა ადგე, გაახურო, მავნებლებსა და ავადმყოფობებს ებრძოლო; მერე გასაღებაზე ცალკე უნდა აიტკივო თავი...

_ აუჰ, კაცო, ექვსი საათი შესრულებულა! _ წამოიძახა უცებ ლადიკომ.

ხალხმა დერეფანში იხუვლა.

დიდი და მცირე ელექტრული მანქანების მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში აქტიურად და მიზანსწრაფულად დანერგვის სამეცნიერო-საკვლევი, საკონსტრუქტორო-საცდელი და საპროექტო ინსტიტუტის მხიარული ოთახით მიზიდული ათამდე მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის, მათზე ბევრად მეტი უფრო წვრილფეხა მეცნიერის Fფრიად ნაყოფიერი სამუშაო დღე დასრულდა!

XIII წკიპურტი. შევდივართ პარტიაში!

ვდგავართ ფართოდ გაღებულ, შემოდგომის მზით განათებულ ფანჯარასთან და ეზოში ვიცქირებით. ოთახში იჭრება ეზოში მოფუსფუსე ადამიანთა და მანქანების ხმაური.

_ ჩაიარა მღვრიე ტალღამ? დაიწყო პარტიული კრება?

_ ტატოს ხედავ? შეხედე, როგორ გაჭიმული მოდის! _ ღიმილით ამბობს სანდრო.

_ ლატარიაში ავტომანქანა ხომ არ მოიგო? _ ეკითხება ლადო.

_ არა, პარტიაში შედის! კომუნისტურში!

_ არ გამაგიჟო! ყველა პატიოსანი ადამიანი გამოდის და ეგ შედის?

_ კარგია, კაცო, შევიდეს, ნაგავი ერთ ადგილას უნდა იყოს მოქუჩებული. მერე ერთად დასდებ ნიჩაბზე და...

_ ნიჩაბიც მზადაა ალბათ! _ ამატებს ლადიკო.

_ თითქმის, მხოლოდ სახელურის გაკეთება აკლია! _ პასუხობს სანდრო.

_ ყოჩაღ, ნაღდი გმირი ყოფილა ტატო! _ სიტყვას გვაწევს თავის მაგიდასთან მჯდომი ბაბო.

_ გმირი კი არა! ალბათ იმედი აქვს, დრო შეიცვლება, საქმე ძველებურად წავა და მაშინ ამოვტივტივდებიო.

_ ხელად თოფს დაიჭერს ხელში!

_ ხიშტიანს! ხომ იცი, პარტიული თოფი კარგად ისვრის _ დამიზნებაც არ უნდა, პირდაპირ ათიანში ურტყამს!

_ არ გაგეცინება? _ ხელებს შლის ლადიკო. _ გამოდის ტელევიზორში ტიპი, ინტერვიუს აძლევს კორესპონდენტს და აგინებს კომუნისტურ პარტიას, მთელ მის ცოდვებს ჩამოკაკლავს. ბოლოს კორესპონდენტი ეკითხება, თქვენ თუ ბრძანდებით პარტიის წევრიო. როგორ არაო, პასუხობს ტიპი, პარტიული კომიტეტის მდივანი ვარო. კორესპონდენტი ისევ უსვამს კითხვას, პარტიიდან არ გამოდიხართო? მეო, ტიპი ამბობს, დიდი წვლილი მიმიძღვის იმაში, რომ ძალიან ბევრი ტოვებს პარტიას, მაგრამ მე ვერ გამოვალო; მე ვთვლი, რომ ყველაფერი უნდა გავაკეთო, რათა დავშალო ჩვენი ორგანიზაციაო და თვითლიკვიდაციის შემდეგ _ მეც მივყვებიო.

_ მაშ, პარტიის დაშლას უცდის?

_ პარტია კი არა, სახელმწიფოც იშლება! ანარქიაა გამეფებული ეკონომიკაშიც, პოლიტიკურ, სამართებლივ, საკანონმდებლო, აღმასრულებელ სფეროებში... განუკითხაობაა ყოველმხრივ.

_ არა, ძმებო, ყველაფრის დაშლას შევურიგდები და ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის დაშლას კი ვერ ავიტან! _ წამოდგა ფეხზე სანდრო. _ სახელმწიფოს როგორმე შეველევი, ჯანდაბამდეც გზა ჰქონია!

_ აფსუს, სანდრო, “პარტაიგენოსე” რომ არ ხარ, ხომ დარჩებოდი ერთგულ ჯარისკაცად ბოლომდე, არ იდეზერტირებდი! რას იტყვი?

_ რა უნდა ვთქვა?! კაცო, ჩვენთან რომ ორმა დეზერტირმა მანდატები დააგდო თუ დაყარა, _ მანამდე არ ავიღებთ, სანამ დამნაშავეებს არ დასჯიანო, ნეტა ცოტა ხნით მაინც მოეცათ ჩემთვის! რა დიდი ხნის ნატვრა ამისრულდებოდა! სულ ეს აუხდენელი ოცნება მაწვალებდა, ნეტავ ცოტა ხნით მაინც ჩამედო ჯიბეში-მეთქი. რა იქნებოდა, სიცოცხლეში ერთხელ მაინც გამეხარა! ამოვიღებდი ხანდახან, ხელს სიყვარულით გადავუსვამდი, მოვეფერებოდი, ღამით ბალიშქვეშ დავიდებდი... ჰოი, რა ვარდისფერ სიზმრებს ვნახავდი!

_ მერე ნელ-ნელა წითელ-წითელ სიზმრებსაც!

_ ზამთარში ჩავიდებდი უბეში, ნებისმიერ ყინვაში გამათბობდა! ნახეთ, კაცო, ბაქოში მოედანზე პარტიულ მანდატებს რომ წვავდნენ?

_ ვნახეთ ტელევიზორში, ვნახეთ!

_ მოდი, წერილი გავუგზავნოთ _ რაღა მაქ მუქთად წვავთ, ჩვენთან გამოგზავნეთ, ენერგეტიკული კრიზისია; ბენზინს თუ არ გვაძლევთ, ეგ მაინც გაიმეტეთ!

_ ახლა რაა, მერე ნახე დეზერტირობა, პარტიის მატარებლიდან რომ დასტა-დასტად ჩამოხტებიან...

_ ჩამოხტებიან, ხო, როგორ არა! ძლივს მიჩაჩუნობს, მიჩანჩალებს, საცაა გაჩერდება!

_ თვითონ არ იციან, სად და საით მიდის ეს მატარებელი; კომუნიზმისკენ რომ არ აქვს გეზი, ყველა მიხვდა. სოციალიზმის სადგურამდეც კი არ მიუღწევია ჯერ და არც იმის იმედი არის, რომ საერთოდ იქით აქვს მიმართულება.

_ ის დეზერტირები კომუნიზმის მატარებლიდან საჩქაროდ სხვა მატარებელში გადასხდებიან და ისევ მემანქანეობის პრეტენზია ექნებათ!.. ახალი ბილეთი უკვე ჯიბეში უდევთ!

_ მიშა რომ ამბობს, აჩქარება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროშიო, განსაკუთრებით ეკონომიკურ განვითარებაშიო, ალბათ სიჩქარეში შეეშალა და “უკანა” სიჩქარეში ჩართო!

_ ძველი ამბავი მეორდება _ ვინც ადრე ბაირამობდა, ახლაც გაფურჩქვნილა ვარდივით, გემოზე ჯირითობს ცხოვრების ცხენზე ამხედრებული. ვინც ფულიანი იყო, ისევ მისია ქვეყანა! ისინი საწარმოების მეპატრონეები იქნებიან, შენ _ ჟანგიანი ლურსმნის... რომელ თა-

ნასწორობაზეა ლაპარაკი _ ყოველთვის მისი მონა იქნები, გინდაც გენიოსის ტვინი გქონდეს. იმისი შვილები და შვილთაშვილებიც იბატონებებენ ჩვენს შთამომავლებზე... ყაჩაღებს ჰქონდათ ფული აქამდე და ახლაც და მერეც ყაჩაღებს ექნებათ. ბევრი ახლაც ბაირამობს, ვითომც არაფერი ხდება. გუშინ ჩვენი პარტიის ლიდერს რომ ქორწილი ჰქონდა, რატომ არ დაგპატიჟა?

_ ვისა?

_ ვისა და ჰიპოკრატე მელაკუდაშვილს, კაცო, ჩვენი პარტიული კომიტეტის მდივანს. ცოლი ითხოვა, პატარძალიც ჩვენთან მუშაობს, არ გაგიგიათ?

_ ისიც პარტიულია ალბათ.

_ ეჭვი გეპარება? ხელისმომკიდეთ, იცით, ვინ ჰყავდა? ჩვენი პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე!

_ ვაჰ, ყოჩაღ! მაშ, მაგათ რომ ბავშვი შეეძინებათ, დაბადებისას წინ ხელებით წამოვა; ცალ ხელში პარტბილეთი ექნება დაჭერილი, მეორეში _ პროფკავშირის წიგნაკი!

_ ჩვენი პროფკავშირი დამოუკიდებლად უნდა გამოვაცხადოთ!

_ არა, ძმაო, სანამ ჩვენი პროფკომის თავმჯდომარე მგელიკას დამქაში იქნება, რომელ დამოუკიდებლობაზე მელაპარაკები!

_ მართლაც, მაგარი კუდქიცინა ვიღაცაა, სანაქებო!

_ ერთი ეგ არის, რომ კუდი არ აქვს, ისე ნაღდი მელაა.

_ მერე, ჩვენ დროში ეგ პრობლემაა? ორგანოთა გადანერგვის ოსტატობა ძალიან განვითარდა _ გულის, თირკმლის და სხვათა ტრანსპლანტაცია ჩვეულებრივი ამბავი ხდება და ერთი კუდი მოვაბათ, არ გაჭირდება!.. პორტრეტი დასრულებული უნდა იყოს!

_ ჩვენც პატარ-პატარა მელუკები ვართ, ჩვენც გვინდა ჩვენი სარგო კუდები, ნაღდად!

_ შენ რაებს ლაპარაკობ? შენ თუ არ თვლი შენს თავს ადამიანად, სხვებს თავი დაანებე! მე, მაგალითად, შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს! ანდა შენ რა გჭირს ვითომ ისეთი? შენც სხვებსავით კაცი არა ხარ? _ ვითომ გაბრაზდა სანდრო.

_ კაცი როგორ ვიქნები? _ სერიოზულად მიიღო სანდროს ნათქვამი ლადომ. _ კი, დავიბადე ნორმალური, მე მგონი... მერე ბავშვობაში დედ-მამა და ბებია-ბაბუა მწვრთნიდნენ, მერე პიონერი გავხდი _ მასწავლეს სულელური ლექსები, მწკრივში ფეხშეწყობილი სიარული, რიხიანი პატაკი; მერე კომკავშირში მიმიღეს, გამწვრთნეს ტყუილებზე ტაშის დაკვრაში, შპარგალკებით სიტყვის წარმოთქმაში... სკოლამ ხომ სულ მომიღო ბოლო _ ჩემი თავი სანაგვეს დაემგვანა: გამომიტენეს ტყუილებით, ტყუილებით კვადრატში, ტყუილებით კუბში... თუთიყუშივით სისულელეების დაზუთხვა, უსიტყვო მორჩილება მასწავლებლების, მშობლების და კიდევ ვიღასი აღარა _ მშობლიური პარტიითა და საყვარელი მთავრობით დამთავრებული... და შენ გინდა, მე ადამიანი, ესე იგი, პიროვნება ვიყო? პიროვნებას ბიოგრაფია უნდა ჰქონდეს, მე კი მაქვს ბიოგრაფია? არ მაქვს! უფრო სწორედ, მაქვს, მაგრამ არა ადამიანისა, არამედ თოჯინასი, დაპროგრამებული რობოტისა და არა ადამიანისა. კიდევ კარგი, პარტიაში შესვლას გადავურჩი.

_ მოგვილოცავს! არც მე გამიმართლა _ უკვე დაწერილი მქონდა განცხადება, _ ამბობს სანდრო, _ მაგრამ ოინი მიყვეს. მაშინ დიტო იყო პარტკომის მდივანი, რიგში დადექიო, მითხრა. მომატყუა, ჩემს მაგივრად ქრთამით სხვა მიიღეს. მერე ვუთხარი, სანამ შენ ხარ მდივანი, მე არ გაგეკარები-მეთქი... გადავრჩი.

_ ტყუილად ხარობ: განცხადებას ახლა გამოგიჩხრიკავს ჰიპოკრატე, ყოფას გიტირებენ _ ოცდაათი წლის სტაჟს ჩაგითვლიან და მთელი ამ დროის საწევროს გადაგახდევინებენ! ტყუილად აკეთებ მანქანას _ გაყიდვა მოგიწევს!

_ ოცდაათი წლის საწევრო გადასახადი რამდენი გამოვა?

_ დაახლოებით ექვსი ათასი მანეთი!

_ აგაშენა ღმერთმა! მაღარიჩი შენზეა!

_ თან პარტიაში შესასვლელად ქრთამიც ხომ უნდა მიგეცა?

_ რაღამც ყველაფერი იყიდებოდა, ბარემ ოფიციალურად დავაწესებდი აუქციონს: რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის სავარძელი _ ამდენი ათასი, ვინ იძლევა მეტს? რაიკომის მდივნისა _ ამდენი, მილიციის რაიგანყოფილების უფროსისა, სასამართლოს თავმჯდომარისა... მაგარი შემოსავალი დაემატებოდა ბიუჯეტს! ეს თანამდებობები მაინც იყიდება და არ ჯობს, ღიად კეთდებოდეს? ახლა ხომ მოდაა აუქციონებისა _ სურათების, მანქანების, მოწყობილობის...

_ მე შენ გეტყვი და ჩვენი ჯამაგირის ხალხზეა ყველაფერი ეს გათვალისწინებული...

_ კიდევ გავიმეორებ: პატიოსანი ადამიანი ყოველთვის დაჩაგრული იყო და ალბათ ასე იქნება სამყაროს დასასრულამდე.

_ ახლა განსაკუთრებით ბლომად ამოტივტივდა ათასი ჯურის ნაგავი. ვეღარ ხედავ, ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს? მომრავლდა მარჩიელები, ასტროლოგები, ექსტრასენსები, ათასი ჯურის ყალთაბანდები, იმძლავრა ცრურწმენამ... შიში, უიმედობა, სასოწარკვეთაც კი... ბევრი ჰოროსკოპებს მიენდო.

_ წაიკითხე გაზეთში ლელაზე? რა უნარი აქვს, რას აკეთებს, ჭკუაზე შეიშლები! ძილში ელაპარაკება საიქიოს!

_ ქალებს რა ყველაფრისა გჯერათ... ლელა დედამიწაზე ვეღარ ეტევა, ხომ ხედავ, სხვა პლანეტებზე დასეირნობს. დედამიწა რა ჩემი ფეხებია, აი, მესმის _ მთვარე, ანდა ვენერა, მარსი... იქ დიდ ხალხს შეხვდება, ჩვენისთანა წვრილფეხობა რა სახსენებელია!

_ ჰო, ამქვეყნიდან წასულებს ხვდება თურმე, რაზე ესაუბრება ნეტავ?

_ ხომ არ გგონია, ჩვენისთანები იქნებიან იქ _ სულ დიდ-დიდი, ნარჩევი ხალხი, ნაპატივები, ჯინჯილებითა და ჩინ-მედლებით დამშვენებულნი, ჩვენ იმათთან რა სახსენებლები ვართ! ერთი არ ვიცი მხოლოდ _ პარტიულობას მნიშვნელობა აქვს?

_ მე მგონია, წითელი წიგნაკი თუ არ აჩვენე, იქ არ გაგაჭაჭანებენ! სანდრო, მაგრად მიჭქარე, ტყუილად არ შეხვედი პარტიაში!

_ მეც ვნანობ, მაგრამ რაღა დროს. სამოთხეს უნდა გამოვემშვიდობო!

_ სანდრო, მოდი, შევქმნათ ჩვენი ინსტიტუტის უპარტიოთა საზოგადოება ან კომიტეტი.

_ რად გვინდა?

_ პარტიიდან გასვლის მსურველებს მივცემთ რეკომენდაციას, რომ ღირსია მივიღოთ უპარტიოთა რიგებში!.. რა თქმა უნდა, სერიოზული განხილვა-მსჯელობის შემდეგ!

_ თქვენ რომ გკითხოთ, ქვეყანას ააშენებთ! _ წამოხტა უცებ ბაბო. _ ბაზარში დამაგვიანდა თქვენი ლაქლაქის გადამკიდე, მოუსვით ახლავე სახლებში!

XIV წკიპურტი. ძმაკაცობა

დღეს დილით ნახევარი საათით შემაგვიანდა, უფრო სწორედ, სულ ხუთიოდე წუთით, მაგრამ ცოტა ხნით გასეირნება გადავწყვიტე, სანამ ჩვენი ინსტიტუტის ეზოში დაგვიანებულ თანამშრომელთა გამოსაჭერად დადარაჯებული დირექტორი ბაქარ კრავიჭამიაშვილი, ანუ, როგორც ჩვენ მოვნათლეთ, მგელიკა, თავის კაბინეტში აბრძანდებოდა.

ოთახში ფეხი შევდგი თუ არა, სანდრომ თავი დანანებით გააქნია და რაღაც უცხო ხმით გამოაცხადა;

_ გაიგეთ, ჩვენი სილიბისტრო რა დღეშია?

_ რა მოუვიდა? _ არ ვიცი, ჩემს ძმაკაც სილიაზე ცუდს მეტყვის თუ კარგს, გული კი ამიჩქროლდა ნამდვილად.

სანდრომ ცეცხლს ნავთი შეასხა:

_ რა ხანია, აღარ ვსვამო, რაღას იბრიქებოდა? რაღას აიტკივა აუტკივარი თავი?

_ აღარ მეტყვი, რა მოხდა? _ შევღაღადე და იქ მყოფთ გლახაკის მზერა მოვავლე. ლადიკოს რაღა დაემართა? ვითომც ვერ ამჩნევს ჩემს ტანჯვას, არც მიყურებს ზედ, ისე აიტაცა სანდროს რეპლიკა-პასი:

_ არა, ძმაო, ხომ იცი, ადრე თუ გვიან კოკა წყაროზე უნდა გატყდეს!

_ გამაგებინეთ ბოლოს და ბოლოს, სილია ცოცხალია? _ ლამის ვღრიალებ და დორბლებს ვყრი.

ქალიც თუ გამწირავდა, არ მეგონა! ბაბომ ნაზი ხმით გვაუწყა:

_ რაც მოგივა, დავითაო... რომ გასკდა ღვინის სმით, ღმერთო ნუ მიწყენ და, ახი არ არის მაგაზე?

_ რას მერჩით ხალხო, ამოღერღეთ, ღმერთი არ გწამთ? მითხარით დროზე, მაინც რა მოხდა?

_ შენ უთხარი! _ სანდრო ლადოსკენ იქნევს თავს.

_ არა, მე ვერ ვეტყვი, ბაბომ უთხრას! _ აიცილა ლადიკომ მიწოდებული პასი.

_ მე რა შუაში ვარ? _ აიჩეჩა მხრები ბაბომ და პასი გადაულოცა სანდროს: _ შენ რომ უთხრა, ვითომ დიდი ამბავი იქნება?

_ ა-ა-ა!.. _ ვიღრიალე და კარებისკენ გავვარდი გამწარებული, რომ ტელეფონით დამერეკა.

გზად სანდრო გადამეღობა, ფართოდ გაიღიმა და თავისი ღიპიკო წამკრა კიდეც:

_ მოიცა, კაცო, ხუმრობა არ იცი?!. შინ არის, დაგვირეკა, უბედურ "პახმელიაზე" ვარ და ვინმე ქრისტიანი "ბორჯომს" ხომ არ მომიტანსო. ეტყობა, ცოლი გაებუტა...

_ ფუი, შეგირცხვათ ნამუსი, მე კი მომკალით და!

უცნაურია, მეწყინა, რატომღაც ძალიან მეწყინა. ნუთუ ის, რომ ჩემს ძმაკაც სილიას სერიოზული არაფერი შეემთხვა?

ამ დროს კარიც გაიღო და სილიაც შემოჯლიგინდა.

_ სალამი გაფუჭებულებს, ღვთის პირიდან გადავარდნილებს, ხელიდან წასულებს! _ თან გვლანძღავდა და თან წრიულად დაიარა ოთახში ყველანი ხელის დიდის ამბით ჩამოსართმევად.

_ სად გასკდი გუშინ, უჩვენოდ იყავი "არაგვში"? _ ვუსაყვედურე მე.

_ "არაგვში" რა მინდოდა, _ მპასუხობს სილია, _ ცოლისძმის ბიჭის დაბადების დღე იყო. ნაღვლის ბუშტი მაწუხებს, ღვიძლიც, ერთი თვეა, წვეთი არ დამილევია და გუშინ კი გავიტრიტე!

ეტყობა, სალაპარაკოდ დასაქოქად ჩემგან პატარა მუხტის დაჯახებაც საკმარისი იყო, დეტონაციისგან ადგილზე მოუსვენრად აცმუკდა, მოჰყვა ხელების შლასა და როხროხს:

_ ერთ ახალ ამბავს გეტყვით... სხედან რესტორან "არაგვში" ტიპები _ მისი დირექტორი, დირექტორის ძმაკაცები. უყურებენ მოცეკვავეებს და ბოშური სიმღერების შემსრულებლებს. სულ ნარჩევი გოგოებია ჩამოყვანილი მუშტართა მისაზიდად. დირექტორს მისი ამხანაგის ავსტრიული სანთებელა მოეწონა: "მაჩუქე, შე ოხერო, ძალიან გიშოვნია, აი!" "მოგცემ, _ უთხრა ამხანაგმა, _ ოღონდ სულ მუქთობაზე რომ ხარ დაჩვეული, ეგ ნომერი არ გაგივა, სხვებისთვის შეინახე... ას ორმოცდაათი მანეთი დაყაჭე!" "ვა, ამდენი ფული სადა მაქვს! _ შეიცხადა დირექტორმა, _ თან ძმაკაცებში ეგეთი ამბავი მოდის?" "ბებიაშენისამ, _ ბაბოსთან ბოდიში, _ ეუბნება ამხანაგი, _ თორემ დღეში ხუთას მანეთს არ ღუნავ!" "მერე,

იცი, რა ხარჯი მაქვს? _ გაბრაზდა დირექტორი, _ მარტო ამ გოგოების ჩამოყვანა სამი ათასი მანეთი დამიჯდა!”

ამ დროს მხიარული ოთახის კარი შემოაღო ვარდენმა, ასე, ოცდაათიოდე წლის დაბალ-დაბალმა, ჩაფსკვნილმა ყმაწვილმა, ზურგსუკან რომ “კრუხის პალოს’ ვუწოდებდით (ეს საპატიო თიკუნი მარტო სიმაღლის გამო არ დაუმსახურებია, ამაზე გაკვრით შემდგომ მოგახსენებთ, თუ არ დამავიწყდა).

_ უჰ, ბოდიში, შემეშალა... _ თვალი მოავლო ოთახს და უკან გაბრუნება დააპირა.

_ მოიცა, ვარდენ, დამენახვე!.. შემოდი! _ დაუძახა ბაბომ.

ვარდენი დიდად დაკავებული კაცის საქმიანი იერით შემოვიდა, ხელში საკმაოდ გაბერილი პორტფელი ეჭირა. ეს პორტფელი მისი განუყრელი ატრიბუტი შეიქნა მას შემდეგ, რაც “ხელმძღვანელ ამხანაგებს” დაუძმაკაცდა (ერთხელ ბიჭებმს მოახერხეს და გაზეთში გახვეული აგური ჩაუდეს ჩუმად _ ორი კვირა ატარებინეს).

_ გამარჯობა, ვარდენ ბატონო! _ ხაზგასმით ჩამარცვლა ბაბომ. _ ბიჭო, ვარდენ, აფსუს რა სახელს აფუჭებ!

_ რა იყო, ბაბულია, შენც ჩემზე ხარ ნაწყენი? _ უპასუხა ბაბოს უეცარი თავდასხმით დაბნეულმა ვარდენმა.

_ ყველაფერი გითხრა? _ კიდევ უფრო შეუტია ბაბომ. _ კარგი! იაპონური თეატრის ბილეთები რატომ არ გვარგუნე? დავიჯერო, მთელ ლაბორატორიას, ოც კაცზე მეტს, ერთი ბილეთი არ გვერგებოდა? ანდა, ხელმოწერა რომ იყო “ქართულ პროზაზე”, მაშინაც რატომ დაგვჩაგრე?..

_ მაშ, რა ვქნა? _ გაიკვირვა ვარდენმა. _ მე რომ დავრბივარ აქეთ-იქით ენაგადმოგდებული _ იმას შევაწუხებ, ამას რაღაცას ვთხოვ, _ ვინ რას გამიკეთებს, თუ მეც არ გავუწიე ანგარიში? ვინც მჭირდებოდა, იმას მივეცი; შენც ასე მოიქცეოდი, საქმე მოითხოვდა ამას!

_ როგორ, შენს დუქანში ხომ არ საქმიანობ? _ გაცეცხლდა ბაბო. _ ობიექტურად უნდა მიუდგე, ასე არ არის? როგორც წესი და რიგია, ისე უნდა გაანაწილო _ საგზურებიც, ბილეთებიც, წიგნებიც!

_ კი არ უნდა გამოყო ვინმე, სამართლიანად უნდა მოიქცე! _ ვეღარ მოითმინა სანდრომაც, თუმცა ჯობდა, ბაბო მიეშვა ნებაზე, გემოზე “გაპუტავდა” ვარდენს.

_ აბა, როგორ ლაპარაკობთ, სრულებით არ მესმის, რას მემართლებით? როგორ, დირექტორის მოადგილეს ერთი ბილეთი მივცე? სამი მთხოვა, მერე კიდევ ერთი... პროფკომის თავმჯდომარემ თავისი წილი წაიღო, პარტბიუროს თავისი მიაქვს... _ ხან ერთს მიაპყრო მზერა თანაგრძნობის ძიებაში ვარდენმა, ხან _ მეორეს.

_ ბიჭო, რა შუაშია აქ უფროსი და უმცროსი? _ ისევ შეება ბაბო. _ ჩვენ, როგორც პროფკავშირის წევრები, ყველანი თანაბარი უფლებით ვსარგებლობთ!.. აქ პრინციპშია საქმე, თორემ იმ თეატრის ნახვა კი არ ამაშენებდა. დავუშვათ, მთელ ლაბორატორიას ერგო ერთი ბილეთი, _ თანაბარ, სამართლიან განაწილებას ვგულისხმობ, _ ამ ბილეთს ლატარიაში გავითამაშებდით და გულნაკლული არავინ დარჩებოდა, მაგრამ ერთი ბილეთიც რომ არ გაიმეტე?

კიდევ დიდხანს ვუხსნიდით ვარდენს, როგორ უნდა მოქცეულიყო სამართლიანად, მაგრამ ვერაფერი შევასმინეთ.

_ ვაჰ, ეს რა გაუგებარი ვინმე ყოფილა! _ წამოიძახა ვარდენის წასვლის შემდეგ ბაბომ, _ ელემენტარული ჭეშმარიტება ვერ შევაგნებინეთ!

_ ბაბოჯან, ძალიან ცდები, ვარდენი გონებასუსტი ნუ გგონია, ყველაფერში მშვენივრად ერკვევა. _ სანდრო დაჯდა და სკამს ჭრიჭინი დააწყებინა. _ ხომ ეგეთი წყნარი და მორიდებული ყმაწვილი ჩანდა, სანამ პროფკომიტეტში ავირჩევდით, ნახეთ, რა შორს გაუტიოს! მო-

გეხსენება ძველი ნათქვამი: “ორი კაცი რომ გეტყვის, ღუმელი ხარო, უნდა იკითხო _ მილი საით მაქვსო”. ჩვენი ვარდენიც მილს იქით აბრუნებს, საითაც უფროსები ეტყვიან.

_ ბაბო, რას ერჩოდი იმ პატიოსან კაცს, თავის ჭიას ახარებს, მისი ჭკუით, კარიერის კიბეზე ბეჯითად მიბობღავს, შენ კი მორალის კითხვით ხასიათს უფუჭებ!

_ მეტი რა ვუთხრა, ღამე არ დაეძინება!

_ ხომ ხედავ, ვარდენი ჩიტოსანია, ჩვენზე უარესი არც ისაა; ჩვენც ყველას ჩვენ-ჩვენი ოფოფები გვყავს და იმათ მოვუაროთ...

_ არც მასეა საქმე. ჩვენ უწყინარი ჩიტოსნები ვართ, ჩვენი ახირებებით თუ უცნაურობებით ვის რას ვუშავებთ; ვარდენისნაირი პირები კი სხვებს ამწარებენ. ზოგს უნდა დააწერო: “საშიშია, ერიდეთ!”

_ და ტანსაცმელზე ასეთებს უნდა დაახატო თავისქალა, მის ქვევით კი _ გადაჯვარედინებული ძვლები, როგორც სატრანსფორმატორო ჯიხურზე! მოკლედ, ჯობს, შორს იყო მაგნაირებისგან და დაანებე თავი ვარდენს, ჩიტები ჰყავს და ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს, ნაღდად!

_ მართალი ხარ, ლადიკო: თუ ჩიტები არ გყავს, ისე რა კაცი ხარ მაშინ!

_ ჩიტოსნობასაც გააჩნია. ჩვენ თუ ბეღურებს ან ოფოფებს ვაფრენთ, ვარდენისნაირები ძერას ან სვავს ააფრენენ!

_ წაცუნცულდება ახლა ვარდენ-ჩიტოსანი მგელუკასთან, დადგება უკანა თათებზე და თვალებში შესციცინებს უფროსს, აბა, რას მიბრძანებსო. მგელუკა კი შეუბღვერს: “ასე გასწავლე ნაბულზე დგომა? შე თავმკვდარო შენა, თუ გინდა ბინა მოგცე, ერთ შავჩოხიანს მოიყვან!”

_ კი, როგორ არა, ერთი ინდაური ეყოფა მგელიკას! არ იცი, რა მადაც აქვს? ვარდენს უბრძანებს: “ერთ ნაბდიანსაც დამიბამ აქა!”

მიხვდით ალბათ, “ნაბდიანი” _ ცხვარია, პატივცემულო მკითხველო.

_ არა, მგელიკას საჭმელ-სასმელი არ აკლია, სულიერი საზრდოს უკმარისობაც არ აწუხებს: ვარდენის წყალობით ყველაზე პრესტიჟულ თეატრალურ წარმოდგენებს არ აკლდება, შინ კლასიკოსთა ტომეულებით გამოჭედილი აქვს კარადები...

_ მხატვრობაშიც კარგად ერკვევა. ვარდენს ეუბნება: ”რამდენი პორტრეტიც მიყიდეს ბელადებისა, არც ერთმა არ გაამართლა _ ხრუშჩოვი მოაძრეს, ბრეჟნევი გალანძღეს, ანდროპოვმა და ჩერნენკომ სულ ცოტა ხანს იბოგინეს, მიშას იმედიც არ მაქვს... მომბეზრდა სურათების გამოცვლა. ახლა შენ წახვალ და ლენინის სურათს იყიდი, ის მაინც ეკიდება მუდმივად ჩემს კაბინეტში”...

_ კარგით რა, დამასვენეთ! _ თითქმის ყვირის უცებ სილია და ხელების შლით უზარმაზარი ნაბიჯებით მიმოდის ზოოპარკის ლომივით წინ და უკან ერთი ბეწო ოთახში. _ დღედაღამ პოლიტიკაზე ყაყანით ტვინი მაქვს გაწყალებული, სხვა უფრო საინტერესო თემები გამოილია?.. აგერ ოთახში მშვენიერი ქალბატონი გიზით, თქვენ კი აქ პოლიტიკური კლუბი გინდათ გამიხსნათ! ვაჰ, დღეს რა ლამაზი ხარ! _ მიმართავს ბაბოს.

_ გაგიხმა თავი, შენი ტვინი მართლაც ვერ არის წესრიგში! _ ამბობს ბაბულია ვითომ გაბუტვით.

_ არა, ჭირიმე, შევცდი, მაპატიე! შენ რომ გხედავ, ხომ იცი, ბრინჯივით ვიბნევი; შენ ყოველთვის მშვენიერი ხარ, მე მინდოდა მეთქვა, რომ დღეს განსაკუთრებით ლამაზი ხარ, ჭირიმე!

და ეს ასოცკილოგრამიანი, ზონზროხა, თმაგაცვენილი მსახიობი ისეთი გატაცებით ასრულებს მოხიბლულის როლს, რომ ოთახში მყოფ დანარჩენ მამაკაცებს ჩვენი გარეგნობით არცთუ გამორჩეული ბაბუცი მართლა ლამაზი გვეჩვენება.

_ გაიწი იქით, თორემ ალიმენტს გადაგახდევინებენ! _ იცინის ლადიკო.

_ ჰო, ჩაეხუტე, ჩაეხუტე, მაინც არაფრის თავი არ გაქვს! _ ატრიზავებს სანდრო. _ კარგები ვართ, კარგები, მოგვაყარეთ ვარდები, ჯან!

უცებ სილია წელში შეუვარდა სანდროს, აიტაცა, ასწია მაღლა და დაატრიალა ერთ ადგილზე.

_ დამსვი, ბიჭო, სიმღერის ხასიათზე ვარ, მაცალე! _ სიცილით ეხვეწება სანდრო. _ ჰო, მჯერა, მაგარი ხარ, მაგარი!.. ყველაფერში მაგარი ხარ, სილია!.. ოღონდ ღვინოს მოერიდე, ძალიან აგრესიული ხდები!..

XV წკიპურტი. აირწინაღი

ბატონი სილია დილიდანვე თითქმის ყველა ოთახს შემოივლის ხოლმე ჩვენი დაწესებულებისა, თუმცა დიდხანს არსად გაჩერდება, ბოლოს კი ჩვენს ოთახს გააბედნიერებს თავისი მოტვლეპილი თავის ბრწყინვალეებით. ასე იყო ამჯერადაც.

_ დღეგრძელობა და მზეგრძელობა უქნარებს, მუქთამჭამელებს, ბედოვლათებს, ნაცარქექიებს, რეგვენებს, შერეკილებს, ტვინდასეტყვილებს, ჭკუანაღრძობებს!.. რა თქმა უნდა, ჩემი თამადობით! _ გააბა და აღარ გაათავა სილიამ, თან ოთახში მაგიდებს ჩამოუარა და ტრადიციულად ყველას ხელი ჩამოგვართვა დიდის მოწიწებით.

_ სად დაბრძანდებოდი, სილია ბატონო, ჩვენთან მოსვლა რომ ასე დააგვიანე? _ ჰკითხა სანდრომ.

_ დღეს ადრე მობრძანებულხარ, ეტყობა, ცოლმა ადრე გამოგაგდო სახლიდან და ჩვენთან ეზოშიც გასარემონტებელი მანქანა აღარ დარჩა, _ უპასუხა სილიამ. _ ჩვენი სამსახურის ყველაზე დიდ მამაძაღლთან, დირექტორის მოადგილესთან, პალიკო პოლოლიკაძესთან გახლდით კარგა ხანს. ერთი სახლაფორთო საქმე მქონდა, თორემ მე იმასთან მიმსვლელი ვიყავი? ახალ თემას არ გვაძლევენ...

_ მერე, ხომ იცი, მამაძაღლობა გადამდებია, დილის მერე შენ მამაძაღლობა მოგემატებოდა, თუმცა ისედაც საკმარისად გქონდა. ჩვენთან ნუღარ შემოხვალ ასეთი ვიზიტების შემდეგ, ჩვენც არ გაგვამამაძაღლო! _ ვექილიკები მე. _ იმასაც შენებურად მიესალმე?

_ პალიკოს საერთოდ არ ვესალმები.

_ როგორ, კაცო?

_ როგორ და ჭრელად. მე რომ მივესალმო: "გამარჯობა, პატივცემულო პავლე!", ისიც იძულებული იქნება, რომ მიპასუხოს... პალიკოს გამარჯობას კი გინება ჯობს. გინებას ნაღდად გულით ამბობს, დაუჯერებ... როცა გესალმება, გულში დედას გაგინებს. ერთი რამ კარგი ვისწავლე მისგან _ გაცინება, სიმწრით სიცილი: როცა ცუდად ხარ, ტირილი გინდა, მტრის ჯინაზე მაინც უნდა გაიცინო, არ დაანახო სხვას შენი სახის დაღრეჯა. მე ეგ ვერ მომატყუებს, გავუგე მუღამი! თვალებში გიყურებს, გატყუებს და თუ ნერვიულობს, ყურები უწითლდება! გესმის შენ? უნდა დააკვირდე, როცა გელაპარაკება, მის ყურებს უნდა შეხედო!

_ "ცხრა ლახვარი რომ ჩამარტყათ ცხრაჯერ გულში, მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ!" _ ლადო ასათიანის სტრიქონებს მარცვლავს სანდრო.

_ მაშ დავიჯერო, პალიკოს მგელიკა ჯობს? _ თვალებს ჭუტავს ბაბო.

_ გუშინ გავიპარე და მგელიკა არ შემეჩეხა გასასვლელში?!. მძიმე სურათი იყო! _ იღრიჭება სილია.

_ იტყვი რაღაც გასაგიჟებელს, როგორ შეიძლება გაპარვა! _ მოძღვრავს სანდრო ხაზგასმულად სერიოზულად. _ თან გამარჯობაც რომ გითქვამს, ამაზე მეტი თავხედობა იქნება? ხომ იფიქრებდა, მთელი დღე არ ყოფილა სამსახურშიო, ძვირფას სამუშაო დროს იპარავ!

_ აბა, სხვა აქ მოსაპარავი არაფერია, _ “თავს იმართლებს” სილია. _ აქ ყველანი ქურდები ვართ!

_ მე უფრო დიდი ქურდი ვარ, 35 წლის გაპარვის სტაჟი მაქვს! _ იკვეხნის სანდრო. _ უნდა მოვითხოვო დამსახურებული ქურდის საპატიო წოდების მონიჭება!

_ ეს წვრილფეხა ქურდი და დეზერტირი სად არის? _ შემოჯდა სილია ლადიკოს მაგიდაზე.

_ დილას მოჩანჩალდა, ნამთვრალევზე თავი გასივებული ჰქონდა და დასაპატარავებლად გავუშვით შინ, _ როგორც დიდად სასიხარულო ამბავს, ისე ამცნობს ბაბო.

_ ცხვირი ხომ არ ჰქონდა გაზრდილი? _ საკუთარ მოზრდილ ცხვირზე საჩვენებელ თითს ისვამს სილია.

_ ცხვირის გაზრდა ღუტუშა ტუშიშვილმა იცის; ამას წინათ ცხვირი მიწამდე ჰქონდა დაშვებული, ყველა დაგვცოფა! ორშაბათობით სულ მასეთ ხასიათზეა, _ ამბობს ბაბო.

_ მე ლადიკოზე გეკითხები. არ წამოვა საშარაფოდ?

_ არა, ძმაო, თავის გაზრდის ეტაპი დაუმთავრდა, ერთ კვირას მაინც თავის გასივებაზე ფიქრსაც ვერ გაბედავს! _ იღიმება სანდრო.

_ კარგი იყო, ლადიკო გუშინ გვყოლოდა მეცადინეობაზე და აირწინაღი წამოგვეცვა სახეზე, _ ვამბობ მე. _ სილია გუშინაც გაპარულა, თორემ მასზეც ჩავატარებდით ექსპერიმენტს, ოღონდ ცხვირზე წამოვაცვამდით აირწინაღს, ვსინჯავდით მაინც, იქნებ არც ჩაეტიოს!

_ სილიას ცხენის აირწინაღი ეკუთვნის! _ აცხადებს სანდრო.

_ ბიჭოს! რატომ არ დავესწარი, კაი მაგარი გასართობი სანახაობა გამომრჩა, აფსუს! _ ვითომ დასერიოზულდა სილია. _ აბა, რომელი ხართ გემრიელი მთხრობელი?

ეს მისია მე ვიკისრე და დავიწყე:

_ ზუსტად ოთხ საათზე, როგორც დაგეგმილი იყო, დაიწყო ჩვენი ინსტიტუტის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის ადგილობრივი ორგანიზაციის შეკრება. ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ ამ ისტორიული ამბის შესახებ. ბატონმა არისტო ჭრიჭინაძემ, გადამდგარმა პოლკოვნიკმა, ამჟამად კი სამოქალაქო თავდაცვის ადგილობრივი შტაბის უფროსმა (ბარემ იმასაც აღვნიშნავ, რომ ორი მეტრის სიმაღლეს რამდენიმე სანტიმეტრი უკლია, სამაგიეროდ, რვა ფუთს იწონის), მოკლედ და სხარტად ახსნა აირწინაღის აღნაგობა (ჩანთა, კორპუსი, ხორთუმი და “ნიღაბი”), მოქმედების პრინციპი და გამოყენების წესი. შემდეგ რიხიანად დაგვისახა ახალი ამოცანა _ უნდა ავითვისოთ აირწინაღის სწრაფად და სწორად ჩაცმა, შემდგომ კი შეუდგა თვალსაჩინო პრაქტიკულ ჩვენებას. ამ მიზნით ბატონმა არისტომ გადაიკიდა აირწინაღიანი ჩანთა მარცხენა გვერდზე, შემდეგ ამოიღო ხორთუმიანი “ნიღაბი” და დაიწყო ამ უკანასკნელის თავზე წამოცმა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ უფალმა ბატონ არისტოს ზორბა ტანთან ერთად უბოძა ამ ტანის შესაფერისი, საკმაოდ მოზრდილი, ჯაგარათმიანი თავიც, ამიტომ “ნიღბის” წამოცმა საკმაოდ ძნელი საქმე გამოდგა. თავდაპირველად “ნიღბის” კიდე ბატონ არისტოს გმირული სულის და ლომის ტორების წყალობით დემონსტრატორის ცხვირამდე ძლივს ავიდა, შემდეგ დამსწრეთა აქტიური და მიზანსწრაფული ძალისმიერი მხარდაჭერით მოხერხდა “სკაფანდრში” ჯერ შუბლის, შემდეგ კი მთლიანად კეფა-თავის მოთავსებაც. ყველანი კმაყოფილნი იყვნენ წარმატებით ჩატარებული ოპერაციის გამო, გარდა თვით ბატონ არისტოსი, რაიც ფრიად საკვირველი იყო. “სკაფანდრიდან” ისმოდა ბატონ არისტოს მოგუდული ხმა, მოჩანდა, როგორ აბრიალებდა-ატრიალებდა თვალებს... მერე კი მივხვდით, რომ ბატონი არისტო გასაჭირში ჩავარდა _ თავგანწირვით დაეჭიდა “სკაფანდრს” და ცდილობდა, თავიდან წაეძრო. ამაოდ დაშვრა! გოლიათური ძალ-ღონის მიუხედავად, ბატონი არისტო სულ ტყუილად ფაფხურობდა _ მის თავზე გასკდომამდე მჭიდროდ მიტმასნილ-მოჭერილი “სკაფანდრი” წარმატებით ეურჩებოდა იე-

რიშს, ვერაფრით იძრობდა თავიდან. “სკაფანდრი” კი აფორიაქებული “კურსანტების” აღელვებულ სახეებს გულგრილად ირეკლავდა ორი მრგვალი შუშიდან, რომელთა ქვეშიდანაც გამოსჭვივოდა ექსპერიმენტატორისა და იმავდროულად ცდისპირისა და ინსტრუქტორის სასოწარკვეთით დატრიალებული თვალთა გუგები... ბატონი არისტო რაღაცას ბურდღუნებდა და დათვივით ბაჯბაჯით ტკეპნიდა ერთ ადგილს, დანარჩენები კი, გარშემო შემოსალტულნი, უაზროდ ვწრიალებდით. გარეგნულად სცენა ძალზე წააგავდა _ ტიპოლოგიურად მაინც _ რომელიღაც პირველყოფილი ტომის რიტუალურ ცეკვას ნიღბიანი შამანის თუ ჯადოქრის თავკაცობით... ჰოო... სიტუაცია მეტისმეტად დაიძაბა. მხოლოდ ჩვენი ყოჩაღი ბაბუცი არ დაიბნა, მისთვის ჩვეული ალღოთი უცებ მიაგნო ხსნას _ ფრჩხილების საჭრელი მაკრატლით (ბაბო პრაქტიკულიც არის _ დრო უქმად არ დავკარგოო და თან წამოეღო) სასწრაფოდ გაჭრა ხვრელი რეზინის გარსაცმზე ამ “სკაფადრისა”. შემდეგ ამ ხვრელის გაფართოება-გაგანიერებით “სკაფანდრი” შუაზე იქნა გადაჭრილი და ბატონ არისტოს ოფლით აპრიალებული, შეშინებული სახე სამშვიდობოს “გამოჩეკილი”... უფ! _ ამოვისუნთქეთ ყველამ შვებით. ღმერთს მადლობა შევწირეთ კეთილად დასრულებული ფათერაკის გამო. სხვა მსურველი აირწინაღით ექსპერიმენტის გამეორებისა არ გამოჩნდა და ამიტომ აირწინაღის ხმარების თუ გამოყენების პრაქტიკული ათვისებისადმი მიძღვნილი მეცადინეობა დამთავრებულად იქნა გამოცხადებული!..

_ სულ ეს იყო? _ იკითხა სილიამ.

_ არა, დასასრულისთვის სანდრო ბატონმა გამოიჩინა თავი. მივიდა ნირწამხდარ გადამდგარ პოლკოვნიკთან და გული გაუკეთა _ ღიპზე მიუტყაპუნა ხელი: “შენ, კაცო, აქ რა გინდა, რატომ ცდები ამ საქმეზე, შენ ინგლისში უნდა იყო ბანკის მმართველად!..”

XVI წკიპურტი. ნაკვეთი

შესვენებამდე ნახევარი საათით ადრე ჩვენს ოთახს ეწვია ბატონი არდალიონი და მისალმების შემდაგ მე და სანდროს მაგიდაზე დაგვიდო ქაღალდის ფურცლები.

ბატონი არდალიონი ჩვენს დაწესებულებასთან არსებული კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობის გამგეობის წევრია, ჩვენთან იშვიათად შემოდის. უხალისოდ დავხედე ფურცელს. აი, რა ეწერა მასზე:

ამონაწერი დადგენილებისა

ოქმი N1 დიდი და მცირე ელექტრული მანქანების მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში აქტიურად და მიზანსწრაფულად დანერგვის სამეცნიერო--საკვლევი, საკონსტრუქტორო-საცდელი და საპროექტო ინსტიტუტთან არსებული კოლექტიური მებაღეობა “ჩირგვიანის” გამგეობის სხდომისა, რომელიც შედგა 1988 წლის 15 ნოემბერს.

დაადგინეს: მიუხედავად არაერთგზისი გაფრთხილებისა ნაკვეთების ათვისების შესახებ, ამხანაგობის ზოგიერთმა წევრმა ყურად არ იღო ეს შეხსენება _ უკვე 3 წელია ნაკვეთების მიღებიდან და ისინი ჯერაც დაუმუშავებელია. გაფრთხილებულ იქნან ქვემოთ ჩამოთვლილი კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობის წევრები: თუ ამა წლის ბოლომდე არ ექნებათ ნაკვეთები დამუშავებული, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან, პროფკომიტეტთან და რესპუბლიკის საკოორდინაციო საბჭოსთან შეთანხმებით, გარიცხულ იქნებიან მებაღეობის ამხანაგობის წევრობიდან:

1. გუერაძე ჯუზეპე, ნაკვ. N 1 (მიღ. 1985 წ.)

. . . . . .

6. კაიკაცაძე ალექსანდრე, ნაკვ. N 24 (მიღ. 1985 წ.)

. . . . . .

გამგეობის თავმჯდომარე ლორა ბამბარაშვილი”

_ სულ ათი სულწაწყმედილია? _ იკითხა სანდრომ. _ პირველი პეპე წამოუჭიმავთ, მე კი საპატიო მეექვსე ადგილი მერგო.

_ რაო? _ ვერ გაიგო არდალიონმა.

_ რა და, ამ ათი კაცის მეტს, ყველას ბრწყინვალედ აქვს ათვისებული ნაკვეთები? რაღა ჩვენ, ამ ათ კაცს მოგვაგეთ ესოდენი პატივი და განკულაკებით გვემუქრებით?

_ წამოდი, ძამა, და ნახე ჩემი ნაკვეთი! _ დაიკვეხნა არდალიონმა.

_ იჰ, მოგცლიათ ერთი! _ აგდებით წამოიძახა ბაბუციმ. _ ჩემს ქმარსაც ასე ემუქრებოდ-ნენ... ისე არა წვიმს, როგორც ქუხს.

უხერხულად ვიგრძენი თავი და საუბარი სხვა თემაზე გადავიტანე:

_ როგორ ბრძანდებით, ბატონო არდალიონ, პაპობაში?

_ ეჰ, ვერა ვარ კარგი პაპა!

_ რათა, კაცო?

_ მე რომ კარგი პაპა ვიყო, ახლა აქ, ოთახში რა მინდა სალაყბოდ _ პატარა ტრაქტორი უნდა მქონდეს და ბაღში ვტრიალებდე. არა, ტრაქტორს უღელი ხარ-კამეჩი მირჩევნია!

_ რას ბრძანებთ, რა დროს ხარ_კამეჩია, მეოცე საუკუნე თავდება!

_ აბა, შენა ხარ და! ხარ-კამეჩს ჯობს რამე?

_ მოვლა რომ ჭირს? მერე კიდევ, ცალკე _ ბოსელი, ცალკე _ თივის შოვნა...

_ რა მოვლა უნდა? მანქანას რაც ჯახირი და წვალება სჭირდება... მანქანის ქვეშ რომ გო-რავ ტალახში და ზეთში ამოსვრილი, იმას არა თვლი? ხარის მოვლა მოვლაში არ ჩაითვლე-ბა _ ცოცხალ არსებასთან გაქვს საქმე. ხართან სხვა ურთიერთობა გაქვს _ სულისმიერი, უშუალო; ურთიერთგრძნობა გაკავშირებთ, თბილი გრძნობა. წინათ ხარ-ძროხა ოჯახის წევრად ითვლებოდა; ზამთარში ერთ ჭერქვეშ იყვნენ _ ერთ კუთხეში საჭმელს ამზადებ-დნენ და ჩვილის აკვანი იდგა, მეორედან, ფიცრის ძგიდის იქიდან, საქონლის ფშვინვა და ცოხნის ხმა მოდიოდა... საქონელი აზროვნებს, მშვენივრად ერკვევა, ვინ როგორი ადამია-ნია. ძროხა კარგი პატრონის, მზრუნველი, ალერსიანი პატრონის ხელში ბევრად მეტსაც იწ-ველის, არ გაგიგია? გეუბნები, დამიჯერე, მას ადამიანის ნალაპარაკევი ესმის; დაცინვასაც კარგად ხვდება, მოფერებასაც და მუქარასაც არჩევს!.. ტრაქტორი, ჰი! შეადარა ტრაქტორს!..

_ შენ რას გვეტყვი, სანდრო ბატონო?

_ სრული 100 პროცენტით ვეთანხმები არდალიონს, _ ხელი მაღლა აღმართა სანდრომ.

_ აგაშენა ღმერთმა! _ გაეხარდა არდალიონს. _ აბა, წავედი! კარგად გნახეთ და ნაკვეთებს მიხედეთ დროზე, არ წააგებთ!

არდალიონმა რომ კარი გაიხურა, დღის წესრიგში მისი პიროვნება და მისივე საბაღე ნაკ-ვეთი აღმოჩნდა.

_ სხვებს რომ ჭკუას არიგებს პატიოსანი კაცივით, ნაკვეთში რომ სასახლე წამოჭიმა, ცო-ლის მზითევს დააბრალებს? _ პირველმა ბაბუციმ შეუნთო ცეცხლი პაექრობას.

_ სოფლის მეურნეობის ნიჭი აღმოაჩნდა და რას ვერჩით! _ ვცადე არდალიონის გამო-სარჩლება.

არდალიონივით ნაკვეთი რამდენიმე ათეულმა თანამშრომელმა მიიღო, ამაში გასაკვირი არაფერი იყო. საოცარი ის იყო, რომ სხვა მხრივ სრულიად უფერულმა, უცხვირპირო, ბაიყუშმა არდალიონმა შემდგომ რა ფხა გამოიჩინა _ არნახული მონდომებით შეუდგა საქმიანობას: სასწრაფოდ მოახვნევინა ტრაქტორით ნაკვეთი, პირველმა ჩაასო ბოძები მის გარშემო, მაშინვე შემოღობა რკინის ბადით, დროულად დათესა კარტოფილი, მერე ლიბიო და სიმინდი, ბევრი სხვა რამეც; ყველას მოასწრო ხეხილისა და ვაზის ნერგების ჩაყრა; მოიტანა უზარმაზარი ავზიც, მაშინვე წყლით აავსებინა და ზაფხულის განმავლობაში ყოველ შაბათ-კვირას იქ ფუსფუსებდა _ საჭიროების შემთხვევაში საგულდაგულოდ რწყავდა; მოიტანა და უსწორმასწორო ადგილები ამოავსო ტყის საუკეთესო მიწით; შეუდგა საბაღე "ქოხის" შენებასაც _ ორსართულიანი კაპიტალური ნაგებობისა გარაჟით, ფეხსალაგით, სარდაფით...

_ საიდან ამდენი ფული? _ წარბები აძგიბა ლადიკომ. _ ალბათ ქერის ორმოში ჩავარდა მისი სიძე, სადმე კოოპერატივში იქნება გემრიელად მოყუჩებული. აბა, არდალიონი თავისი მეცნიერ-მუშაკის ხელფასით საძირკვლისთვის მარტო ქვაბულსაც ვერ ამოიღებდა.

_ არა, ფული ფულად და რაზე იკლავს თავს, საიდან ასეთი მონდომება და მარიფათი, რამ "გაახალგაზრდავა" არდალიონი? _ ისევ ეჭვიანობდა ბაბუცი.

_ მე მგონი, მაგდანასთან ვერ უნდა იყოს კარგად! _ დიაგნოზი დასვა სანდრომ. _ სულ რომ ცოლს აგინებს, არ შეგიმჩნევიათ? თუმცა, აქ არც ისე ხშირად შემოდის, ჩვენ რას შევატყობდით... კაცს უნდა, როგორც ითქმის ხოლმე, ხანდახან მაინც დაისვენოს ძვირფასი მეორე ნახევრისგან, თავისუფლად ამოისუნთქოს, ხომ ვერ დაუშლი?

_ უყურე ამ ბეხრეკს, _ შეუტია უცებ სანდროს სიცილით ბაბომ, _ შენ თურმე რა აზრები გაწუხებს! საინტერესოა! გატყობ, შენც არ იქნები უცოდველი და იმიტომ ჭიკჭიკებ სხვა ხმაზე, არდალიონს დაუდექი ვექილად.

_ სანდროსი რა მოგახსენოთ, _ ჩაერთო ლადიკო, _ მაგრამ ბატონი არდალიონი რომ ქალების მუსუსი ბრძანდება, ეჭვი ხომ არ გეპარებათ? კოხტა სახლი წამოჭიმა ნაკვეთში _ აბაზანით, საძინებლით და ასე შემდეგ... ჰო-ჰო-ჰო, როგორ გაშლის ფრთებს!

_ არა, კაცო, რა ექალება, _ არ დავეთანხმე მე, _ დისერტაციის წარდგენის ვადა გაუვიდა, გაგიჟებულია არდალიონი. შინ რას იმუშავებ: ცოლი, შვილი, შვილიშვილი, შინაური, გარეული, _ ვინ გაცლის? იქ კი მყუდროდ იქნება, გემრიელად. შაბათ-კვირას მაინც იმუშავებს შეუფერხებლად.

_ ეგ ისე დაიცავს ხარისხს, როგორც მე გავხდები ჩინეთის იმპერატორი! _ აცხადებს ბაბო. _ მაგას, თუ უნდოდა, ოცი წლის წინ უნდა მოეთავებინა ეგ საქმე, რა დროს მაგის დისერტაციაა. ალბათ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატობა დაუცველად ეკუთვნის.

_ თუ გინდათ, ყველაფერი წვრილად გაიგოთ, რა მიზნით აიღო ნაკვეთი არდალიონმა და რა თანხებით ააშენა სახლი, მივმართოთ საგამომძიებლო კოოპერატივს! _ გაიცინა ლადიკომ.

_ ასეთიც არსებობს? _ გაიკვირვა ბაბომ.

_ ახლა იმდენი და იმდენნაირი კოოპერატივი გაჩნდა, რომ ნაღდად "სუკის" კოოპერატივიც იქნება _ "დიდი თვალები და უზარმაზარი ყურები! _ ისევ გაიცინა ლადიკომ.

_ კიდევ კარგი, შესვენების დროც მოსულა, _ საათზე დაიხედა სანდრომ, _ თორემ საწყალ არდალიონს კიდევ ვინ იცის, რა ცოდვებს ავკიდებდით. ვერ ხედავთ, ლანდი გასდის ყურებში, ძლივს დაბანცალებს, ჩვენ კი გავახურეთ _ ქალებიო, დისერტაციაო! ვტლიკინებთ და აზრზე არ ვართ... კაცს დასვენება სჭირდება, უბრალოდ დასვენება, განა ძნელი მისახვედრია? სუფთა ჰაერზე, ამ გიჟ ქალაქს მოცილებული, ცოტას მოიხედავს, ცოტასაც წაიმუშავებს, მიწას მოჩიჩქნის... ეტყობა, უყვარს ეს საქმე. აბა, ერთი თუ წამოგვცდა, არდალიონს ნაკვეთი მისთვის უნდა, რომ ბაღს გააშენებს, კარტოფილს დათესავს, სიმინდს, ლობი-

ოს, ცოტა მზესუმზირას და სხვასაცო... ჭირნახულს მოიწევსო, ბაღჩა-ბოსტანსაც გააშენებსო, თითონაც დაისვენებს და ოჯახსაც წაადგება _ შენი ხელით მოწეულ ხილს, ხომ იცით, სულ სხვა გემო აქვს. ამის მაგივრად, რაზე არ ვლესეთ ენები, და იცით, რატომ? გითხრათ? საწყალ არდალიონს ის ცოდვები ავკიდეთ, რომელშიც მეტ-ნაკლებად ჩვენ თვითონ გვიდგას ფეხი! კარგი ხალხი ვართ ახლა ჩვენ?!. საუზმის დრო კი მოსულა, მაგრამ რაღას შევჭამთ _ ცოცხლად შევახრამუნეთ კაცი!

XVII წკიპურტი. იაპონური აპარატი

ორშაბათი, როგორც მოგეხსენებათ, უფერული, უღიმღამო, უსაშველოდ გაწელილი დღეა, მაგრამ ხელფასის აღების დღეს დაემთხვა და ეს საკმაოდ გვახალისებდა, სანამ არ გამოგვიცხადეს _ ჩვენი ფული ბანკში გადარიცხული არ არის და კვირის ბოლომდე ვერ მიიღებთო. ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაჯანჯლდა ეს დღე. მხოლოდ საღამოსპირს გამოვცოცხლდით ოდნავ.

ბაბუცი კოპებშეკრული იჯდა და გამალებით ატრიალებდა საქსოვ ჩხირებს.

_ შაბათ-კვირას წყალი არ მოდიოდა და სარეცხი დამრჩა გასარეცხი. გაგწყვიტათ ჭირმა კაცები _ ორი მუტრუკი, ქმარი, მამამთილი... სულ “მშია, მშიას” გაიძახიან. ერთი გოგო მაინც მყავდეს ან ახალგაზრდა დედამთილი...

_ ეგეც ჩვენი ბრალია? გაგეჩინა, ვინ დაგიშალა? _ ოთახის მეორე კუთხიდან გაეპასუხა ბაბოს ლადიკო.

_ მე რომ ვიცი ჩემი ბედის ამბავი, გოგო რომც მყავდეს, ისიც ჩემს კისერზე მოიკალათებდა კოხტად. ვერ ვიტან უსაქმურობას, თუ უსაქმობას, გული გამიწვრილდა შაბათ-კვირას...

_ ხან დროის ნაკლებობაზე ტირი, ხან _ აღარ ვიცი, რა გავაკეთოო, _ ნიშნისმოგებით გაეპასუხა ლადიკო.

_ ამიტომ ქსოვ ასეთი გამგელებით? _ აღარც მე დავრჩი ნეიტრალური მაყურებლის პოზიციაზე.

_ აფერისტებს, ყალთაბანდებს, უსაქმურებს, უმაქნისებს, ავაზაკებს _ ყველას სალამი სულწაწყმედილისგან, ბანდიტისგან, გაოხრებულისგან! _ კარის ფართოდ გაღებასთან ერთად აროხროხდა ზღურბლზე მდგომი ბატონი სილიბისტრო. შემდეგ შემობრძანდა ოთახში და გაღიმებულმა სათითაოდ მოწიწებით ჩამოგვართვა ხელი. ერთხანს ხომ ასე დათვივით იძუნძულა ოთახში, მერეც ვერ მოისვენა, სულ ცმუკავდა ერთ ადგილზე და ბოლოს კი... ბოლოს, ადრე მრავალჯერ გათამაშებული სცენა გაიმეორა. სილია, ჩვენთან რომ შემოვა, მაშინ მოინდომებს ჯიბეებში ქექვას. ახლაც მივიდა სანდროსთან, ჩაიყო ერთ ჯიბეში ხელი, ამოიღო ბღუჯად ფული და დაახეთქა მაგიდაზე; შემდეგ მეორე ჯიბიდან ამოღებული ფულიც დაამატა, პიჯაკის ჯიბიდანაც, შარვლის უკანა ჯიბიდანაც... და აუჩქარებლად დაიწყო დახვავებული ფულის თვლა. სულ მანეთიანები და სამმანეთიანები ჰქონდა; ხელისგულით სათითაოდ საგულდაგულოდ ასწორებდა და დასტებად ალაგებდა.

_ რა არის, ბიჭო, მათხოვრობა დაიწყე? _ გაატრიზავა სანდრომ, მერე თვითონაც ჩაიყო უბეში ხელი, ამოიღო წითელი თუმნიანების დასტა და ამაყად დააგდო მაგიდაზე, თან დაცინვით ახედა სილიას: _ შენ რომელი ხიდის ყურეში იდექი გაწვდილი ხელით?

სილიამ გაიცინა:

_ თხა თხაზე ნაკლები!.. _ შემდეგ სადღაც კიდევ მოაფათურა ხელი და ახლა ოცდახუთმანეთიანების დასტა დააფერთხა მაგიდაზე. ჯიბიდან რომ ხელს იღებდა, რამდენიმე მანეთიანიც ამიჰყვა და იატაკზე დაეცა. სილია დაიხარა და აუჩქარებლად აკრიფა.

_ სილიას ყოველი ჯიბე გატენილი აქვს ფულით. თუ უკან გაჰყევი, არ ინანებ _ ყოველ ნაბიჯზე ფანტავს ფულებს; ოღონდ დახრა ნუ დაგეზარება და კრიფე და კრიფე! _ გავმხიარულდი მეც. _ ამათ ხელფასი რაღად უნდათ!

_ სად იშოვე ამდენი ფული, შე უბედურო?!. _ თავისი კუთხიდან კბენს სილიას ბაბო. _ არ თქვა ახლა, ლექსებს ვწერ და იმაში მიხდიან ამდენსო.

_ შენც მართალი ხარ, ხომ იცი _ სად სილია და სად ლექსები, _ დაეთანხმა სილია, _ მაგრამ ქვეყნად ნურაფერი გაგიკვირდება. სანამ ცოლს ვითხოვდი, ლექსებს ვწერდი. ცოლი ვითხოვე და ამ ფუჭ საქმეს თავი დავანებე. მერე გავიგე, თურმე ცოლიც წერდა გათხოვებამდე ლექსებს, მერე ისიც შეეშვა. ახლა, სანამ ცოლი ლექსებს არ წერს, მშვიდად ვარ. თუ უცებ დაიწყო ლექსების წერა, მაშინ ცუდადაა საქმე!

_ სილია, შენ ახლა თუ წერ ხანდახან ლექსებს? _ თვალის მოჭუტვით ეკითხება ბაბო.

სილია ვითომ ვერ იგებს კითხვას და გვერდზე იხედება. რა თქმა უნდა, არც ბაბო დაზარდებოდა კითხვის გამეორებას და სილიაც საოხუნჯოს რასმე უპასუხებდა, მაგრამ ლადიკო ჩაერთო საუბარში და სულ სხვა მიმართულებით მიატრიალა საუბრის დინება.

_ ლექსების წერას რა დიდი რამე უნდა, იაპონელებს უკვე ექნებათ გამოგონებული ლექსების წერის აპარატი, ნაღდად. აი, ახლახან წავიკითხე: პატარა ხელსაწყო შეუქმნიათ _ ელაპარაკები თურმე ინგლისურად და ის გიპასუხებს იაპონურად. ეს უფრო ძნელი გასაკეთებელი არ არის? მამაძაღლი ხალხია ეს იაპონელები!

_ თუ შეაგინე, იმასაც თარგმნის? _დაინტერესდა სილია.

_ იმასაც მშვენივრად თარგმნის, თანაც რამდენიმე ვარიანტს შემოგთავაზებს.

_ არა, გინებას კვადრატში აიყვანს, მუშტსაც მოგიღერებს და შეიძლება, პანჩურიც ამოგკრას! _ იცინის სანდრო.

_ სერიოზულად ვილაპარაკოთ, _ აცხადებს ლადიკო, _ საკმაოდ დიდი ყუთია, მოკლე ხანში პატარა კოლოფის ზომისას გააკეთებენ, გაუმჯობესებენ.

_ კაი გასავალი ექნება, _ ურთავს სილია. _ ჩახვალ იაპონიაში, იქირავებ იმ აპარატს _ არც თარჯიმანი გჭირდება, არც არაფერი. შედიხარ მაღაზიაში, ეკითხები გამყიდველს: “ეს მაგნიტოფონი რა ღირს? ცოტას ხომ არ დაუკლებ, ხომ იცი, საიდანაც ჩამოვედი _ მათხოვრების ქვეყნიდან!”

ამ დროს კარი შემოაღო და თავიც შემოყო მზეჭაბუკ ორშაურაშვილმა, უკვე პენსიაში გასულმა და მაინც მომუშავე ჩვენმა კოლეგამ.

_ მოდი, მოდი, მზეჭაბუკ! _ წამოხტა ფეხზე სანდრო, _ გაიგე, კაცო, იაპონელებს რა აპარატი გამოუგონებიათ?

_ როგორ არა, _ არც გაკვირვებია მზეჭაბუკს და ოთახში შემოვიდა. _ იაპონელებს მართლაც საუცხოო აპარატი გამოუგონებიათ, მსგავსი მსოფლიოში ჯერ აზრადაც არავის მოსვლია! ჩართავ შტეფსელით ქსელში, ორ სადენს მიიდებ შუბლზე და მთელი დღის განმავლობაში იწერება, რას ფიქრობდი და რამდენს ფიქრობდი. მერე დღის ბოლოს გაშიფრავენ ჩანაწერს კარდიოგრამასავით და გაარკვევენ _ იმ შვიდ თუ რვა საათში, როცა სამსახურში იყავი, რამდენ ხანს ფიქრობდი სამსახურის საქმეზე და რამდენს _ სხვა რამეზე. ამის მიხედვით გამოგიწერენ ხელფასს.

_ დღეს მე სულ მანქანაზე ვფიქრობდი! _ აცხადებს სანდრო. _ დილით დავაგვიანე, კარბიურატორმა გააჩმახა, სანთლებიც გამოსაცვლელი მაქვს; ხელოსანთან უნდა მივსულიყავი, მაგრამ ხელფასი რომ არ მოგვცეს? პეპე, შენ რაზე ფიქრობდი დღეს?

_ მოიცა, ეგ თუმნიანების დასტა გქონდა თუ მომეჩვენა?.. ჰო, დღეს? დღეს დილიდანვე დასარეკი მქონდა სასწრაფოდ საქვაბეში _ გათბობა არ ჩაურთავთ, არც ცხელი წყალი მოდის უკვე ერთი კვირაა; უნდა გავარკვიო, რა მოხდა... სკოლაშიც ვარ დაბარებული, უფროსმა ბიჭმა ისევ რაღაც ივაჟკაცა, საერთოდ, ამ ბოლო დროს აურია... საათი გამიფუჭდა, შესვე-

ნებაზე შესაკეთებლად წავიღე... ბაზარში უნდა გამევლო, ცოლმა რაღაც-რაღაცეები დამავალა, მაგრამ მოგეხსენებათ, ხელფასი დღეს არ მოგვცეს და დავრჩი ხახამშრალი... ჰო, ხვალ ჩემი დის დაბადების დღეა და ყვავილებიც უნდა მეყიდა... კიდევ? ჩემი ძმაკაცი უკვე ერთი კვირაა საავადმყოფოში წევს კარდიოლოგიურ განყოფილებაში, სანახავი მყავს... კიდევ? რაღაც გამომრჩა... კარტოფილი! ჰო, ბაზარი ვთქვი, არა? ოცდაათი კვერცხი მაქვს საყიდელი... კიდევ?

_ საკმარისია, საკმარისი!

_ ჯერ სადა ხარ, ეგ ალბათ იმის ნახევარია, რასაც ვფიქრობდი, მაცალეთ!

_ გეყოფა, გეყოფა! _ მაწყვეტინებს მზეჭაბუკი, _ აპარატი დღეს არაფერს გამოგიწერს!

_ პირიქით, აქეთ დაგაჯარიმებს! _ უმატებს სილია.

_ დანარჩენებს ხომ მილიონ დოლარს გამოგიწერთ! _ ვამბობ სარკაზმით.

_ საოცარია, სამსახურში ვართ და საქმეზე არავინ ვლაპარაკობთ, _ ამბობს ლადიკო. _ სამსახურში მოვდივართ საჭორაოდ, ამაში ქულებს ვიწერთ, ლამის პროფესიად გავიხადეთ ქაქანი, ანეგდოტები...

_ ლაქლაქში გამოჩნდება შენი დონე აზროვნებისა, ჭორებით შეიძლება მიხვდე, რა დონეზე გააკეთებ საქმეს, რისი შნო გაქვს! _ ამბობს სილია. _ ხომ ასეა, ბაბოჯან?

_ შენც ერთი! _ წამოხტა ბაბო და შინ წასასვლელად იწყო სამზადისი. _ ათასი საყოფაცხოვრებო პრობლემა რომ გაწუხებს, სამსახურის საქმეებისთვის სად გცხელა!

XVIII წკიპურტი. პენსიაზე ოცნება

_ კაცო, კონსერვატორიაში მაგარი შემცირება მიდის! _ გვახარა შესვენების შემდეგ კარგა გვიან გამოჩენილმა სანდრომ, თან, როგორც ყოველთვის, კეთილად იღიმებოდა. _ ამ გაჭირვების დროს რა გემღერებათო, მიდით, ღორები მოაშენეთო.

ერთხანს არავინ გაეპასუხა, მერე ლადიკომ ასწია თავი:

_ მერე? ვითომ კონსერვატორიის პროფესორის მიერ გაზრდილ ღორს ამღერებ ოპერაში?

_ უჰ, რა ეშხიანად შემოსძახებს მსუქანი ღრუტუნა აბესალომის არიას! _ ავყევი მე.

_ ან მეფისტოფელის არიას დააგუგუნებს, ნაღდად!

_ ბიჭო, რას მოაწყდება ოპერას ხალხი!.. კარებს ჩამოგლეჯენ!

_ ჩვენი ოპერის საქმე ისე მიდის, რომ მალე ალბათ ვირებსაც აყროყინებენ ხალხის მისაზიდად...

_ ხუმრობა იქით იყოს და, მართლა კარგი მომღერლები გვყავს, ბრწყინვალე ახალგაზრდებიც გამოჩდნენ, ძალიან მაგრები; მაგრამ რად გინდა, ხალხი მაინც არ დადის ოპერაში. ფეხბურთზეც კი ეზარებათ წასვლა, საოცრებაა!

_ არ გადამრიო, რა არის საოცრება?! _ წერას თავს ანებებს ბაბო. _ გიჟებივით დავრბივართ ქალაქში ერთი რიგიდან მეორეში, იქნებ რამე საჭმელი ვიშოვოო, არც დრო გვყოფნის და არც ფული. გიჟს დაემგვანები, აბა რა! თუ ნორმალური იერი აქვს ჩვენს დროში ადამიანს, საეჭვოა _ ან ჭკუასუსტია, ან ქვის გულის პატრონი. რა გვეოპერება, ოპერაც შინ მაქვს, კომედიაც და დრამაც. გუშინ მთელი ქალაქი მოვიარე და კვერცხი ვერსად ვიშოვე.

_ ქათმებმა გაფიცვა გამოაცხადეს, კვერცხს აღარ დებენ!

_ ყველამ?

_ არა, მხოლოდ თავისუფლებმა. ვინც ციხეში სხედან, ისინი შტრაიკბრეხერები არიან!

_ სოციალისტურ ვალდებულებას ხელი მოაწერეს?

_ დიახ, ოღონდ, ჯერ ეკოლოგიურად სუფთა საკვები გვაჭამეთ, მერე კვერცხი მოგვთხოვეთო...

_ ქათამი კარგია, _ ამბობს სანდრო, _ ერთიც რომ გყავდეს, იმედია _ გაგამხნევებს, გეუბნება: “ნუ გეშინია, აქა ვარ, ჩემი იმედი გქონდეს _ დღეში თითო კვერცხს დაგიდებ!” რამდენიმე ქათამი ხომ სულაც აგაშენებს.

_ ბაზარში მივდივარ! _ წამოხტა უცებ ბაბუცი, ეტყობა, რაღაც გაახსენდა.

_ ბაზარში მიიპარები? _ გაკვირვება ვერ დაფარა ლადიკომ, _ ხომ არ გაგიჟდი, ნახევარ საათში პოლიტმეცადინეობა იწყება! ყველა უნდა დაესწროს, ნაღდად გეუბნები!

_ ჩემი პოლიტგანათლება ბაზარში მოხდება. აქ, პოლიტმეცადინეობაზე, ცარიელი სიტყვების რახარუხია, იქ კი _ ცხოვრება, პრაქტიკა. ჩემი ბიჭები უყველოდ ვერ ძლებენ, ძვირი იქნება, მაგრამ ნახევარი კილო მაინც უნდა ვიყიდო.

_ ძროხა უნდა იყიდო! _ ურჩია სანდრომ. _ ლიტრი 150 მანეთი ღირს. თუ დღეში ათ ლიტრს იწველის, 1500 მანეთს დადებ. უნდა მიხვიდე პატრონთან შინ, გაიგო, რა კაცია, იქვე მოაწველინო და რამდენ ლიტრსაც მოიწველის, იმდენჯერ 150 მანეთი დაუყაჭო!

_ არა, თხა ჯობს; არც საჭმელი უნდა იმდენი, თითონაც ოხერია, თავს ყოველთვის გაიტანს _ სულ რომ არაფერი იყოს მოსაკორტნი, მის სამყოფს მაინც იშივის.

_ “პე-ე-ე!” _ გაგაღვიძებს დილით პეტელით, _ “მაჭამე, თორემ ყოფას გიტირებ!”

_ მიადგება პიჯაკს, დაუწყებს ღეჭვას!

_ ფული არ უნდა ჩაიდო ჯიბეში, არ დაგრჩეს, თორემ იმას პირველს ებდღვნება! ჯობს, მუთაქაში შეინახო, საიმედოა, თან ძალიან ძვირფას სიზმრებსაც ნახავ!

_ მეგრული თხაა კარგი, ტანად პატარაა, ნაკლები საჭმელი უნდა... გაქვს 300 მანეთი?

_ არა, მე ძროხას ვყიდულობ! დღეში რვა ლიტრი რომ მოიწველოს, ლიტრს ორ მანეთად გაასაღებ, ესე იგი, დღეში თექვსმეტი მანეთი; თვეში 500 მანეთს ურტყამ! რას ერჩი, ძმაო, ერთი ძროხა თვეში პროფესორის ჯამაგირს შემოგიტანს!

_ საუკუნის მშენებლობა! საძროხე მრავალსართულიანი სახლის სახურავზე! იქვე მიწასაც დაყრი და ბალახსაც დათესავ...

_ ხევსურული ძროხა გირჩევნია, სიმაღლეს შეჩვეულია, სახურავიდან გადმოხედვის არ შეეშინდება!

_ მაგას თამაშ_თამაშ ვერ გააკეთებ, მთელი დრო და ენერგია უნდა მოახმარო. აი, მე რომ პენსიაში გავალ, მაშინ დავიწყებ ნამდვილ მუშაობას, აბა, ახლა ვაკეთებ საქმეს? ტყუილად ვცდები. რაღაცას ვხაზავ, მერე _ ვშლი, ისევ ვხაზავ... რაღაცას ვანგარიშობ, ანგარიშებს ვწერ, კაციშვილი რომ არ წაიკითხავს... მუქთი მუშაობაა, აბა რა.

საპენსიო ასაკამდე სანდროს ორი წელი უკლია, მაგრამ ამ თემაზე ხშირად საუბრობს.

_ სანდრო ბატონო, პენსიონერი რომ იქნები, მაშინ ააშენებ ქვეყანას? _ წინდაწინ ვიცი, რასაც მიპასუხებს, მაგრამ მაინც ვეკითხები.

_ ქვეყანა ღმერთმა ვერ ააშენა, მე რის გამკეთებელი ვარ... ისე, ჩემთვის, ოჯახისთვის, ცოტ-ცოტას რაღაცას მოვახლაფორთებ. ჩემს სამყოფს ყველაფერს მოვიყვან: ლობიოს, კარტოფილს, კიტრს, პომიდორს, კვახს, ვენახს გავაშენებ... მწვანილი მაინც არ მექნება საყიდელი და არც ხილისთვის ვირბენ წამდაუწუმ ბაზარში. ბაღიც მექნება და ბოსტანიც, ძროხასაც გავიჩენ. მე ძროხა არ დამაწვება ტვირთად, ერთ ძროხას თავისუფლად შევინახავ. არც სადმე წასვლა-წამოსვლაში შემიშლის ხელს _ მეზობელს დავუტოვებ, რამდენ ხანსაც მინდა. კარგი მეზობლობა მექნება, უარს ვინ მეტყვის. ძროხას დავუბარებ: “კარგად მოიქეცი, შინ დროზე მოდი, კარგად მოიწველე!” არ დამიჯერებს თუ?

_ თუ გინდა, კარგად მოიწველოს, მუსიკა უნდა მოასმენინო, კარგი ლექსები წაუკითხო...

_ რა კარგია სოფელი! _ გული აუჩუყდა სანდროს. _ წინა ზაფხულს ჩემს სოფელში რომ ვიყავი, მოვიდა ერთი ბატკანი და სამი ციკანიც მოჰყვა: ერთი _ შავი. დავიჭირეთ, მოვეფერეთ, მერე გავუშვით. რომ ნახეს, არაფერს გვიშავებენო, მერე თვითონ მოდიოდნენ, გვეტმასნებოდნენ.

_ იცით, ძმებო, რა ვქნათ? ნაკვეთში კარგი მოსავლის მისაღებად ბაღში დავდგათ მაგნიტოფონი: დავუკრათ ბეთჰოვენი, ბახი, მოცარტი... იაპონელებმა დაამტკიცეს, რომ მუსიკა ზრდის მოსავალს, თან ხარისხიც მატულობს.

_ შეხვალ ბაზარში, მოუთათუნებ ხელს საზამთროს, მიუტყაპუნებ, მოუტყაპუნებ _ "ვაჰ, _ იტყვი, _ ეს საზამთრო ნაღდად ბეთჰოვენზეა გაზრდილი, იახში!" მერე ნესვებთან მიხვალ, იქაც მიეფერები შენებურად: "ამას სხვა ეშხი ეტყობა, სხვა გემო ექნება, ნაღდად მოცარტზეა დამყნილი!" სხვაგან შეხედავ თუ არა, მაშინვე ნიუანსებს დაურტყამ: "ამას ბახის ფერი აქვს, სერიოზული იერით გვიზიდავს, გემოც შესაბამისი ექნება, ამიწონე!"

_ თუ რაღაც უცნაური ფორმის ნახე, ნაღდად ჯაზის მელოდიებითაა გაჟღენთილი!

_ პოპ-მუსიკით გაზრდილი მახინჯი იქნება, დაღვლარჭნილი... გემო? მე, მაგალითად, არ მომეწონება, უგემურად მომეჩვენება.

_ თქვენ, გეტყობათ, ბარი და თოხი ხელში არასდროს გჭერიათ, სოფლის მეურნეობის გაძღოლა იოლი გგონიათ. ჯობს, საკონცერტო ბრიგადა შევქმნათ და იმით ვჭამოთ პური... ვიყიდოთ ფურგონი, სცენა გავმართოთ ზედ, ვიყიდოთ ცხენებიც, რასაკვირველია; მერე ვიაროთ სოფელ-სოფელ ბოშებივით და ვამხიარულოთ ხალხი...

_ მგელიკა წავიყვანოთ, დირექტორის როლი მივცეთ, შეჩვეულია!

_ ჩააგდებს როლს, უნიჭოა.

_ ღუტუშას ცრუპროფესორის როლი მოუხდება, ბახვა ბახბახაძეს _ ჯამილოკიასი!

_ მერე, არტისტობა რა, გლეხის შრომაზე იოლია? ნიჭი? ნიჭი თუ არ გაქვს?

_ ყველანი ნიჭიერები ვართ, დიახ, ყველანი! მთელი სიცოცხლე ვთამაშობთ, ერთმანეთის წინაშე ხან ვმლიქვნელობთ, ხან ვოინბაზობთ, ვიტყუებით, ვპირფერობთ _ დღეში ათჯერ ვიცვლით ათნაირ ნიღაბს საჭიროებისდა მიხედვით! კაპიკის გულისთვის თუმნის როლს ვთამაშობთ! მონები ვართ, მონები!

_ შენი არ ვიცი და მე თავისუფალი ადამიანი ვარ! ნაღდად!

_ თავისუფალი მხოლოდ გიჟია! _ ბაბო ფართიფურთით ალაგებს ჩანთაში რაღაც-რაღაცეებს. _ ამ უსაქმურებს დამიხედეთ, დავიჯერო, შინ არაფერი საქმე გაქვთ? საათი ჯერ არ გამოუგონებია თქვენთვის მსოფლიო ცივილიზაციას? სამუშაო დღე დამთავრდა, უფრო სწორედ, დასვენება დამთავრდა, ახლა შინ მიბრძანდით და საოჯახო საქმეებს მიხედეთ. აბა, მოუჩქარეთ, კარი უნდა დავკეტო! მართლა პენსიონერები ხომ არ ხართ?!.

XIX წკიპურტი. რეიგანი, ჯერი, ჰიპოკრატე...

ერთ დილას ჩვეულებისამებრ ტაიფუნივით შემოიჭრა მხიარულ ოთახში ბატონი სილია და, თავისი ჩვეული მისალმება არავისთვის უწყალობებია, ისე არეხრეხდა:

_ ბაბულია, ჩვენი ლამაზო და მშვენიერო, წითელი კაბა რატომ გაცვია? რის ნიშანია ეს, რის ინდიკატორია? _ ცალი თვალი მოჭუტა სილიამ და პირი კი ღიმილით გახია. _ ფანჯრიდან დაგინახე, ეზოში რომ მოგოგმანობდი; ვიფიქრე, რაღაცას დღესასწაულობენ, დროშა გამოუფენიათ-მეთქი!.. სულ ასეთი კაბით იარე, უბედურად გიხდება!

_ შე მართლა უბედურო, თვალებში კარგად გამოიხედე, ჩემი კაბა რა გაგიკვირდა? _ შეუტია ბაბომ სილიას. _ ნანსი რეიგანი რომ ჩამოვიდა, ალბათ ტელევიზორში არ გინახავს, ჭურში ზიხარ. იმის კაბა ალბათ სულ გადაგრევდა.

_ ვინა, ვინა? _ იკითხა სანდრომ, ვინ ჩამობრძანდა?

_ ვინც თქვენ მეცნიერ-მუშაკების თანამდებობა მოგცათ... _ ვითომ ოხრავს და თან ღიმილით წვრილ კბილებს აჩენს ბაბუცი; უხარია, რომ სალაპარაკო მიეცა და გემრიელად აგრძელებს: _ არც შენ იცი, რომ ამერიკის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი ჩამოვიდა საბჭოთა კავ-

შირში თავისი მეუღლით? რა დიდებული ხმა აქვს, როგორი წარმოსადეგი კაცია!.. მშვენიერი ქოჩორი!.. 77 წლის კი ყოფილა.

_ შენ ერთი რამ გავიწყდება, _ აწყვეტინებს ბაბოს სილია, _ რეიგანი ძველი მსახიობია.

_ მაცალე! _ უღრენს სილიას ბაბუცი. _ რა ჭაღები იყო კრემლის გიორგის დარბაზში, როგორი გაჩირაღდნებული იყო იქაურობა! ყველაფერი ბრწყინავდა!

_ რაო, ქალო, შენც ხომ არ მოგინდა ერთი ისეთი ჭაღი შინ ჩამოსაკიდებლად? _ ატრიზავებს ლადიკო.

_ იმხელა ჭაღი, ბიჭო, ჩემს ოთახში ვერც შემოეტევა. ჭაღი არა, მაგრამ კაბები... კაბებზე ნამდვილად არ ვიტყოდი უარს! ნანსის ლურჯი კაბა ეცვა, თეთრი გულისპირით, დიდი "პეპელათი" თუ ბაფთით... საყურეები... ხომ ამ ხნის ქალია, რა კოხტად აცვია, როგორ აქვს კაბა მორგებული!.. რაისა მაქსიმოვნა სულ თეთრებში იყო გამოწყობილი: კოსტუმი და ქვედატანი, კოსტუმზე მარცხნივ _ ძვირფასი ქვებით შემკული გულსაბნევი...

_ ყოჩაღ, ბაბუცი! _ შევაქე მე, _ ყველაფერი შეგიმჩნევია, მიშას რაღა ეცვა? ან რეიგანს?

_ გორბაჩოვს _ ლურჯი კოსტუმი, თეთრი ხალათი, შავი ჰალსტუხი... რეიგანს _ შავი კოსტუმი და თეთრი ხალათი; მუქი ლურჯი ჰალსტუხი ეკეთა, თეთრი ცხვირსახოცის ზოლი მოუჩანდა პიჯაკის გულისჯიბიდან.

_ მაგარი ხარ, ბაბუცი! _ აღტაცებას ვერ მალავს სილია.

_ მეორე დღეს... მაცალე, ბიჭო! _ სახაზავს გააქვს ტყლაშუნი ბაბუცისკენ მოსახვევად დახრილი სილიას მხარზე. _ მეორე დღეს ნანსის ეცვა წითელი კაბა, გაწყობილი ლურჯი ყვავილებით, მსხვილი, ოქროს ჯინჯილებივით ძეწკვი.

_ რაიას?

_ რაისას _ ლურჯი, მბრწყინავი კაბა მწვანე რომბებით _ რა მასალისგან იყო ნეტა?

_ მე მეგონა, ერთი კაბით ჩამოვიდა ნანსი! _ ხუმრობს ლადიკო. _ რამდენი წამოუღია, ხედავ?

_ შემდეგ, შეხვედრა რომ ჰქონდათ სკოლაში, იქ ეცვა ლურჯი კოსტუმი ზოლებიანი სახელოებით და ლურჯივე ქვედატანი.

_ კიდევ, კიდევ? _ აზარტში შევიდა ლადიკო, _ იმის მერე რა ეცვა?

_ იმის შემდეგ _ სულ მთლად ხასხასა ყვითელი, მდიდრული კაბა, მაქმანიან-პუჭპუჭებიანი...

_ მოკლედ, ფერადი ტელევიზორი შენთვის გამოუგონებიათ, _ დიდ ცხვირს მაღლა წევს სილია, _ კაბების გამოფენაც დაგითვალიერებია, მე მინდა, კარგად დაიმახსოვროთ: ნამეტანი ყველაფერი მავნებელია!

_ კარგია კარგი ცხოვრება, _ ასკვნის ლადიკო. _ მაგენი ძაღლსაც თან ჩამოიყვანდნან, უჩვენოდ არ მოიწყინოსო.

_ ჰო, მართლა, ჩვენს ოჯახს ახალი წევრი შეემატა! _ უცებ ხმამაღლა ამბობს ბაბუცი.

_ მოგვილოცავს, მოგვილოცავს! ბიჭია თუ გოგო?

_ გოგოა, ჯერი ჰქვია.

_ გოგო კარგია, მე ორი მუტრუკი მყავს და აღარ ვიცი, როგორ მოვუარო; ცოლი სულ მებუზღუნება, ერთი გოგო მაინც მყავდეს, ადამიანურად დაველაპარაკოო, თითქოს ჩემი ბრალი იყოს, მესამე შვილი რომ არ ინდომა, _ თავს ვისაწყლებ მე.

_ მესამეც რომ ბიჭი ყოფილიყო? _ ჩემს ცოლს ამართლებს ბაბო.

_ ქალო, ბიჭი როდის დააქორწინე, რატომ გამოგვაპარე? ან როდის მოასწარი ბებიობა, ჯერ თვითონ ჰგავხარ გასათხოვარს, _ ეკითხება სანდრო.

_ რას ამბობ, რა დროს ჩემი ბებიობაა, ძაღლი გვაჩუქეს.

_ ძაღლი? ძაღლი გაკლდა და მოგართვეს, აწი რაღა გიჭირს! რა ჯიშისაა? _ აინტერესებს სანდროს.

_ დობერმანი. რომ იცოდე, ჯერი რა ლამაზია, რა ჭკვიანია და გამგონე.

_ შენს ბიჭებს ხომ სჯობნის?

_ წლინახევრისაა, ჩემმა ბიძაშვილმა გვაჩუქა. რომ მოგვიყვანა, შეგეცოდებოდა: ფერდები _ შევარდნილი, ნეკნებს დაუთვლიდი სათითაოდ. პირველი ორი დღე ძალიან მოწყენილი იყო.

_ მაგ ჯიშის _ დობერმან-პინჩერის _ ძაღლები ძალიან ავები არიან, როგორ შეიჩვიეთ? _ ეკითხება სილია.

_ მოვეფერეთ, დავბანეთ, ვაჭამეთ და მეტი რა უნდოდა, შეგვეჩვია. საკუთარი კუთხე გამოვუყავით...

_ სულ იმას წუწუნებდი, სამმა მუტრუკმა შემიკლა ხელშიო და ახლა მეოთხეც შენი მოსავლელი გახდა? კი ამბობ, გოგოაო, მაგრამ მაინც...

_ ბავშვი ხომ არ ვარ, მეტი საქმე არ მაქვს! _ აგდებით ამბობს ბაბუცი. _ მე არაფერი მეხება, თვითონ უვლიან. მხოლოდ დილაობით გამოვიყვან ხოლმე გასასეირნებლად სუფთა ჰაერზე.

_ აქამდე უბატონოდ ხმას ვინ გაგცემდა, აწი ოჯახის დიქტატორი გახდები _ დაგეშავ ჯერის და მიუქსევ! _ ამბობს სილია.

ბაბუცი იცინის:

_ ერთს რომ ვიყვირებ: “თუ არ დამიჯერებთ, ჯერის გავაგდებ!” და მაშინვე ცხვრებივით ხდებიან, რასაც მინდა, გავაკეთებინებ!

_ ძუკნა ყოველთვის უფრო ჭკვიანია ხვადზე და უკეთესადაც იწვრთნება, _ ამბობს სილია.

_ ეჭვი გეპარება? _ ირონიულად ჭუტავს თვალებს ბაბო. _ ცოცხალი მაგალითი თვალწინ არ მყავხარ?

_ რას აჭმევთ, ამხელა ძაღლის შენახვა არ გინდა? _ სულ არ სწყინს ბაბოს გამოხდომა სილიას.

_ მიჩვეულია, ყველაფერს ჭამს: კიტრს, პომიდორს, ვაშლს... გარდა ლობიოსი, ყველაფერს.

_ მე ლობიოსაც მივირთმევ, წამიყვანე რა, ჰამ-ჰამ!.. _ თვალებგაბრწყინებული სილია მოჰყვა “ყეფას” და ლამის ოთხზეც დადგა. _ ჩემზე ერთგულს ვის ნახავ! მოგემსახურებით უმაღლეს დონეზე! დამატებით ქუთაისურ ანეგდოტებსაც გიამბობთ, გაზეთებს წაგიკითხავთ ხმამაღლა, ძილის წინ ფეხისგულებსაც მოგფხანთ და ზღაპარსაც მოგიყვებით!.. მომკლა სულ საჭმელზე და ფულზე ფიქრმა, ვინც ოჯახი მოიგონა, მე იმის... კაცობას ძაღლობა არ ჯობს?

_ ნუ იგინები, შე უჯიშო! _ სახაზავს უქნევს სილიას ბაბუცი. _ თუ წაყვანაზე მიდგა საქმე, რაღა შენ წაგიყვანო, შენზე უკეთესი ძაღლები, რამდენიც გინდა, იმდენია ჩვენს დაწესებულებაში!

_ როგორ, მე მჯობნის ვინმე? _ ბავშვურად მიამიტ თვალებს აფახულებს სილია.

_ არა, ბიჭო! _ ნიშნის მოგებით პასუხობს ბაბუცი. _ არ თქვა ახლა, თუნდაც ჩვენი პარტიული კომიტეტის მდივანი ჩემზე ნაკლებიაო.

_ ოჰ, ბოდიში, ბოდიში, ორივე ხელს ვწევ მაღლა! _ ხარხარებს სილია და რაღაც “აფრიკულ” ცეკვას დაძუნძულებს.

_ კამეჩების ბალეტი! _ ტაშს უკრავს ბაბო.

_ ჰიპოკრატე მელაკუდაშვილთან ნამდვილად ვერ მოვალ! _ განაგრძობს სილია. _ იმან კუდის ქიცინიც იცის დირექტორთან და ჩემისთანების კბენაც, მაგრად დაგეშა მგელიკამ!

_ ნამდვილად! _ ერთვება საუბარში სანდრო. _ ჩვენმა ჰიპოკრატემ თავისი საქმე მშვენივრად მოაკვარახჭინა: ორი მანქანა ხომ მისცეს ჩვენი სამსახურის სახელით, ორივე ორმაგ

ფასში გაყიდა და ჯიბე კარგად გაისქელა, ახლა მესამე გამოჰყავს. ვეღარ გაძღა, ასეთი ღორობა გაგიგონიათ?

_ ადამიანი გაუმაძღარია, ბუნებაში ასეთი რამ არ ხდება _ იქ ყველაფერი გაწონასწორებულია და მიიღწევა ჰარმონია, _ ფილოსოფიაში გადავარდა ლადიკო.

_ ღორიც ბუნებამ არ შექმნა? _ პასუხობს ბაბო. _ თვით ადამიანიც?

_ ის როგორ იყო, დამსახურებული ინჟინრის წოდებაზე რომ იყვნენ წარდგენილნი თანამშრომლები და ჰიპოკრატემ კასიანე კოსტაძის სახელი ამოიღო სიიდან და მის მაგივრად შიგ თავისი ჩაწერა?.. წარმოგიდგენიათ?!. _ ვერ ფარავს აღშფოთებას ლადიკო. _ ლაბორატორიის გამგის, წამყვანი მეცნიერ-მუშაკის, დოქტორის, ნაღდი მეცნიერის გვარი თავისი გვარით უსირცხვილოდ შეცვალა! და მიიღო კიდეც საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება მაგ უმაქნისმა, უნიჭო არარაობამ...

_ და უნამუსომ! _ დაამატა სილიამ.

_ რატომ, კუდის ქიცინისა და მაბეზღარობის ნიჭს არ უთვლით? _ სერიოზული სახით აცხადებს ბაბო.

_ არა, ჰიპოკრატე არ გამოგადგება! _ ეუბნება ბაბოს სილია.

_ რატომ? ღრენა არ იცის თუ კბენა არ ეხერხება?

_ ნამეტან ბევრს ჭამს!

მხიარული ოთახი ისეთი ხარხარით ივსება, რომ მალე ალბათ სხვა ოთახებიდან გვეწვევიან ცნობისმოყვარენი _ რა მოხდაო.

_ მაგი საყვედური ბატონ მგელიკაზეც გვითქვამს, ალბათ არც ის გავა კონკურსში, _ ამბობს ლადიკო.

_ ბაბუცი, ჰიპოკრატე და მგელიკა ღორმუცელობისთვის თუ დაიწუნე, ჩვენს სამსახურში პატარა ფინიებიც შეგიძლია შეარჩიო, გოშიებიც მოიძებნება... _ სკამი დატოვა და ოთახის შუაში სილიას გვერდით დგება სანდრო. _ უჯიშოები კია, მაგრამ, სამაგიეროდ, ავებია!

_ ვინ გყავს შენ მხედველობაში, ამხანაგო? _ ოფიციალური ტონით, ფრიად სერიოზულად და დაინტერესებით ეკითხება მას ბაბუცი, მერე ღიმილს ვეღარ იკავებს და გამოაჩენს წვრილ კბილებს.

_ ვინა? რამდენიც გინდა! მაგალითად, ვარდენი! ეგ ფინიაა, გოშია გინდა? გოშიაც გვყავს _ ნიკუშა! ამოირჩიე, ერთიმეორეზე უკეთესებია!

_ რას ერჩი ამ პატიოსან ხალხს? _ ირონიული ტონით კითხულობს ლადიკო.

_ მე რას ვერჩი, ერთმანეთს ერჩიან, არ გახსოვთ პროფკავშირის კრებაზე რომ წაიკიდნენ?

_ აბა, აბა, მოგვახსენე, გაგვანათლე ერთი შენებურად, _ მიმართა სანდროს ბაბუციმ.

_ გენაცვალე, შენ დღის ბოლომდე არ რჩები, შინ გარბიხარ და იმიტომაც ზიხარ ჭურში, _ ეუბნება ბაბოს ლადიკო.

ბაბო აპირებდა პასუხის გაცემას, მაგრამ სანდრომ შეაჩერა:

_ ჰო, კარგი... მისმენ?.. პროფკავშირის კრების ბოლო საკითხი იყო ადგილკომის ბიუროს არჩევნები და ბიუროს წევრობის კანდიდატად დაასახელეს ვარდენიც და ნიკუშაც. ხომ იცით, ორივე დირექტორის ლაქიაა და ორივე ერთ განყოფილებაში მუშაობს ალფეზთან. კრების თავმჯდომარე ილიკო იყო, ისიც მგელიკას კუდი, ილია ზაქიაშვილი. ზრდილობის გულისთვის მიმართა იქ მყოფთ, კანდიდატებიდან იქნებ ვინმე წინააღმდეგია, ვინმე ხომ არ აძლევს აცილებას საკუთარ თავსო. ჰოდა, ნიკუშამ, მისი ჭკუით, იხუმრა, ადგილიდან წამოიძახა, ვარდენს არ უნდაო. ნეტა ნიკუშას ეს არ ეთქვა და ვარდენისთვის ფიშტო დაეხალა! კაცი კარიერის გაკეთებას აპირებს და სადაც კი შეუძლია, ყველა ხვრელში მიძვრება, თუკი ცოტა თავის გამოსაჩენი...

_ და გამოსარჩენი! _ დაუმატა სილიამ.

_ ჰო, და გამოსარჩენი ადგილი იყნოსა. ვარდენი ადუღდა, ადგილიდან წამოვარდა, მაგრამ ბოლო წამს თავი შეიკავა, აქეთ-იქიდანაც ხელით მოქაჩეს _ დაშოშმინდი, ნუ აქცევ ყურადღებას ყველა რეგვენს, ხომ იცი, ნიკუშა რა ტიპიც არისო... ჰოდა, მხოლოდ მიაძახა: "კაი თავხედი ყოფილხარ, უნდა იცოდე, რას წამოაყრანტალებ და რა პასუხსაც მიიღებო". ნიკუშამ: "ვიხუმრეო", თან უშნოდ გაიცინა, თვალები დაცინვით მოჭუტა. "ხუმრობა როგორ უნდა, მე შენ გიჩვენებ, შე ნაბიჭვაროო!" _ აქ კი იყვირა ვარდენმა და გაიქაჩა ნიკუშას საცემად, მაგრამ გააკავეს. ვარდენი ნამეტანი გაგულისდა, ბობოქრობდა, ხომ იცით, რა ფიცხიც არის, თან ჯანიანიც, მერე რა, რომ დაბალია; მაგრამ ნელ-ნელა მისი აღლვება დაცხრა _ ეუბნებოდნენ, რას მოგცემს ჩხუბი და დავიდარაბა, ტყუილად საქმეს გააფუჭებ, ლამის არის, კრება ჩაიშალოს, სულელს თავი არ უნდა გაუყადროო და სხვას ასეთებს. უფრო იმის შეეშინდა, ვაითუ აღარ ამირჩიონო, მოკლედ, არეულობა მინელდა, არჩევნები ჩატარდა, ვარდენიცა და ნიკუშაც ბიუროს წევრებად აირჩიეს...

_ ჰე, რას არ აირჩევდნენ, მგელიკასთან წინასწარ იყო შეთანხმებული სია! _ იცინის სილია.

_ კრების შემდეგ, _ აგრძელებს ამბის თხრობას სანდრო, _ როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ და მხოლოდ ახალარჩეული ბიუროს წევრები და კრების მდივანი დარჩნენ, _ მდივანი ოქმს წერდა, _ ვარდენმა მოჰკიდა ხელი ნიკუშას და უთხრა, ერთი წუთით გავიდეთ, შენთან საქმე მაქვსო...

_ გალახა? _ მოუთმენლად შეაწყვეტინა ბაბომ.

_ ძალიან გაინტერესებს? არ ვიცი, მე ბაზარში მეჩქარებოდა. მერე რამდენჯერმე ვნახე, ძმაკაცურად საუბრობდნენ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ვარდენმა ხომ გაინაღდა ბიუროს წევრობა, თავმჯდომარის მოადგილედაც აირჩიეს, _ ეს იყო მისთვის მთავარი. ერთი სიტყვით, ერთი ფინიაა და მეორე _ გოშია... შენ კიდევ, _ გვერდით მდგომ სილიას მხარს წაჰკრავს სანდრო, _ შენ გოშიად არ ვარგიხარ...

_ ვითომ რატომ? _ დიდად გაიკვირვა სილიამ.

_ კუდის ქიცინი არ გეხერხება!

_ მაშ, ვინა ვარ მე?

_ შენ ქოფაკი ხარ, ბებერი, ჭკვიანი ქოფაკი.

_ შენა?

_ მე-ე?.. მე კიდევ სულ მთლად Bბებერი ქოფაკი ვარ, უკვე ყეფის თავიც რომ აღარ აქვს... თორემ გამოვიდოდი იმ ვითომ კრებაზე, სინამდვილეში კი _ საცირკო წარმოდგენაზე, ყველაფერი რომ წინასწარ "ჩაწყობილი" იყო და სუყველას დედას ვუტირებდი!

_ უყურე ერთი, თავს როგორ ისაწყლებს! _ ამბობს სილია; უცებ სანდროს წელში შეუვარდება და მაღლა აიტაცებს, შემდეგ ჰაერში დაატრიალებს და აფართხალებულ სანდროს ფრთხილად აბრუნებს იატაკზე. _ ბუღასავით ხარ!

_ ნახეთ, რა კარგი ლომია? _ აბობს გაღიმებული სანდრო, _ სხვაგან სად ნახავ ასეთს! როგორ რბილად დამსვა, ხომ შეეძლო, სავსე ტომარასავით დავეგდე?! არა, ლომი ძაღლად არ ივარგებს, კეთილია...

_ გააჩნია, ვისთვის, _ პასუხობს "ლომი".

_ ეჰ, ერთი ოცი წლით ახალგაზრდა ვიყო... _ ოხრავს სანდრო, მერე წაიმღერებს: _ "ვახვახო, ვახვახო, ჩემი თავის ჩახმახო!"

XX წკიპურტი. მაღალი სტუმრები ჩამოდიან!

იმ ორშაბათ დილას რატომღაც N5 ლაბორატორიის დიდი მეცნიერებიდან არ ერთი არ აღმოჩნდა დროულად მოსული _ არც ლაბორატორიის გამგე ღუტუშა ტუშაშვილი და არც მისი მოადგილე ბახვა ვახვახაძე. არადა, ჩვენი ლაბორატორიიდან ვიღაცა აუცილებლად უნდა დაესწროს "ხუთწუთიან" ოპერატიულ თათბირს, რომელიც ორ კვირაში ერთხელ ორშაბათობით ეწყობა. სანდრო მაინც გამოჩენილიყო დროზე... ლადიკო ღიმილით მიცქერის, როგორ უგემურად წამოვიზლაზვნე და ფეხათრევით წავჩანჩალდი ბუზების სათვლელად ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტისკენ...

საბედნიეროდ, ჩემი მოლოდინი არ გამართლდა და ფრიად ვიმხიარულე კიდეც, როცა ორი საათის განმავლობაში წყლის ნაყვის შემდეგ გამოვცოცხლდი.

დიდი და მცირე ელექტრული მანქანების მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში აქტიურად და მიზანსწრაფულად დანერგვის სამეცნიერო-საკვლევი, საკონსტრუქტორო-საცდელი და საპროექტო ინსტიტუტის დირექტორის ბაქარ კრავიჭამიაშვილის, ზურგსუკან მგელიკად რომ მოვიხსენიებთ ხოლმე, კაბინეტში ეს "ხუთწუთიანი" ოპერატიული თათბირი, როგორც წესი, ორ საათში თავდებოდა ხოლმე, დღეს კი უკვე შესვენება ახლოვდებოდა, მაგრამ ბოლო, ყველაზე მთავარი განსახილველი საკითხი ვერა და ვერ გადაეწყვიტათ. საქმე მართლაც თავსამტვრევი გახლდათ, არადა, იგი გაუჩინათ ერთი ბეწო ქაღალდის ფურცელმა, პროზაულად რომ ვთქვათ _ დეპეშამ, საიდანაც დაინტერესებული ადრესატი დიდი სიხარულით გაიგებდა, რომ ამა თვის 25-ში მოსკოვიდან ჩამოდიოდნენ ჩვენი სამინისტროს ხელმძღვანელი ამხანაგები ესა და ეს (ჩამოთვლილი იყი სამი პატივსაცემი გვამის გვარი), რომელთა სახელზეც ამთავითვე უნდა დაეჯავშნათ ნომრები ყველაზე საუკეთესო სასტუმროში, ხუთი დღის ვადით...

_ ხვალ ჩამოდიან? მერე, დეპეშამ ასე რატომ დააგვიანა... კაცო, ამ თვენახევრის წინ არ იყვნენ ჩამოსულნი ხუთნი? _ იკითხა კვიპრიანე კურკუმიამ, მთავარმა კონსულტანტმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა.

_ ისინი სხვები იყვნენ. დაბრუნებულებმა ალბათ ყველას აუწყეს ქართული სტუმართმოყვარეობის ამბავი და სხვებმაც მოისურვეს, პირადად გასცნობოდნენ ჩვენებურ ზნე--ჩვეულებებს. ახლა თვითონ მინისტრის მოადგილე გვესტუმრება კოლეგიის ორ წევრთან ერთად.

_ ეგ რომელი მოადგილეა, მთელი კვირა რომ სასტუმროს ნომრიდან არ გამოსულა და დილიდან გვიან ღამემდე ტრუსების ამარა კონიაკს ყლურწავდა? _ თქვა მგელიკას მოადგილემ პალიკო პოლოლიკაძემ. _ საჭმელ-სასმელი წინ ელაგა და ჩვენ კი ქე ვიდექით ფეხზე. ასე ატარებდა "თათბირებს" და წასვლის წინ რიხით გვიკარნახა შემაჯამებელი "ოქმი" _ რა მარკის კონიაკები და ღვინოები უნდა გაგვეტანებინა. ინსტიტუტში არც მოსულა, ისე, ყასიდად მაინც...

_ მახსოვს, იაფად გადავრჩით შედარებით, შინ გაკეთებული საჭმელებით გავედით იოლას, ძალიან აქო.

_ იმიტომაა, ბატონო, კვარტალი კი არა, თვე არ გავა, რომ სამი-ოთხი მაღალი სტუმარი არ ჩამობრძანდეს და გაგვაბედნიეროს... წელს უკვე მერამდენედ ვაგროვებთ ფულს? აღარაა საშველი! ცოლი შინ აღარ მიშვებს – საყვარელი გაიჩინეო, დაიჯინა! _ ამბობს პალიკო.

_ არა, ბატონო ბაქარ, მე მაგ საქმეში ნუღარ გამრევთ! _ აიფოფრა უფროსი მეცნიერ-მუშაკი გივი გიგინაშვილი. _ ის როგორ დამავიწყდება, ერთი კვირით რომ შემომისახლეთ ოჯახში _ მამონოვი იყო თუ მაიმუნოვი... გადავყევით დიდიან-პატარიანად მის პატივისცე-

მას, წასვლისას კი იმხელა ხურჯინი გავატანეთ, თვითმფრინავში არ უშვებდნენ... ერთ თვეში მოსკოვში მომიწია ჩასვლა. სამმართველოში მივედი, მამონოვი ვიკითხე, ვნახავ, მოვიკითხავ, არ ეწყინოს-მეთქი. ვხედავ, აგერ არ მოდის თვითონ მამონოვი დერეფანში? გაღიმებულმა გავუწოდე ხელი. ძლივს მიცნო, ისიც მას მერე, რაც თავი შევახსენე, თბილისში კი ძმობას მეფიცებოდა... ”რა გნებავთო”, _ ისე ოფიციალურად, ცივად მკითხა, რომ გავშრი. “არაფერი, ბატონო, თქვენი კარგად ყოფნა, კეთილად ბრძანდებოდეთ-მეთქი” და გავცილდი... მე მივდივარ, უჩემოდ მოუარეთ მაგ საქმეს, _ კარისკენ აიღო გეზი გივიმ.

_ თანამშრომლებში ფულს ვეღარ შევკრებთ, გაუთავებელი “ეგზეკუციებით” ყველა აღრენილია! ორმა უკვე განცხადებაც დაწერა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, _ თქვა პალიკო პოლოლიკაძემ.

ინსტიტუტის ინტელექტუალური პოტენციალის ნაღები ფრიად აქტუალური და საჭირბოროტო პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას შეუდგა.

დირექტორმა მიმოიხედა:

_ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სექტორის გამგე სად არის?

_ აქ ვარ, ბატონო ბაქარ! _ წამოდგა ბარდღა ბაღათურაძე.

_ აბა ჰე, შენს პროგრამისტებთან ერთად რა დაგეგმე, მოგვახსენე!

_ ახლავე, ბატონო!.. _ ბარდღამ სათვალე გაიკეთა და ფურცელი გაშალა. _ ესე იგი, სიტუაცია ასეთი გახლავთ: ჩამოდიან სამნი ხუთი დღით. უნდა დავაკმაყოფილოთ 25, 26, 27, 28 და 29 რიცხვები... 25-ში სასტუმროში დავაბინავებთ. იმავე დღეს, საღამოს, ბერდიას ვესტუმებით. მართალია, მესამე დღე იქნება ქორწილის და არც წინდაწინ ვატყობინებთ მისვლას, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ხუთასკაციან ქორწილს აპირებს და რავა დავიჯერო, ერთი 15-20 კაცის სამყოფი რამე-რუმე არ იყოს დარჩენილი თავისი ღვინო-არყით...

_ ბერდია მაროს გაეყარა და სხვა ქალს ირთავს? _ იკითხა გვაჯი გვარჯილაძემ, ყოველთვის რომ ცდილიბდა, სახუმარო მასალა ეპოვა.

_ სერიოზულ საქმეზე ვმსჯელობთ, რა დროს მასხრობაა! _ გაწყრა მგელიკა. _ ბიჭს აქორწინებს.

_ ბატონო ბაქარ, ბერდიას არ შეუძლია, რომ ორი-სამი დღით გადადოს ქორწილი? _ ეს უკვე კიტა კირკიტაძე გახლდათ, “პატენტიანი” მაამებელი.

დირექტორმა არ უპასუხა.

_ არა უშავს, ნამცეცობაზე მივალთ კოლექტიურად! _ არ ცხრებოდა გვაჯი გვარჯილაძე.

_ ჩუმად! _ დასჭექა უცებ მგელიკამ და ბარდღას მიუბრუნდა: _ განაგრძე!

_ ასე... 26-ში, ესე იგი, რესტორან “არაგვში” მიგვყავს, სხვა ვარიანტი არ გამოდის. სახსრებს პროფკავშირი გამოგვიყოფს _ ხონთქარაშვილმა უკვე დააწერინა განცხადებები ემირიშვილს, ბახიაშვილს, ლახვარაძესა და ბარაძეს ერთდროული დახმარების გაცემის თაობაზე... შემდეგ.... 27-ში მამკოდაზე ავალთ, ცხვარს დავკლავთ. ქვაშალიაშვილის განყოფილება ქეიფს კისრულობს _ სოცშეჯიბრებაში წლის პირველ ნახევარში გამარჯვებისთვის მიღებულ პრემიას დავამღერებთ. კიდევ კარგი, დაგვიანდა მაგ პრემიის გაცემა, თორემ ცუდად იყო საქმე. ღვინოს “საჭაშნიკეში” ვიყიდით, გრიქულაშვილს ნაცნობი ჰყავს იქ... ასე... 29-ში მიდიან, საღამოს; აეროპორტის რესტორანში წინდაწინ შევუთანხმდებით და მაღალ დონეზე მიგვიღებენ. ფული?.. ზოგიერთი ოთახი უნდა შევაკეთოთ, ასე რომ, რაღაცას მოვახერხებთ იმ თანხებიდან... ერთი გასაჭირი დაგვრჩა _ 28-ში რა მოვახერხოთ? დიდხანს ვიმტვრიეთ თავი და გამოსავალს ვერ მივაგენით... კოლექტიურად მოვიფიქროთ იქნება...

როგორც ჩვეულებრივ წერენ ხოლმე ასეთ შემთხვევაში _ სიჩუმემ დაისადგურა კაბინეტში.

ჩემს გვერდით მჯდომმა ერთმა ჭაღარა თანამშრომელმა, ნური გაჭეჭილაძემ, მეორე ჭაღაროსანს, დამიანე დადებაშვილს გადაუჩურჩულა (მე მაინც გავიგონე):

_ ბიჭო, “არაგვის” მაგივრად “კინოს სახლში” დავპატიჟოთ, ეკონომიას გავწევთ.

_ გაგიჟდი? რა კინო აგიტყდა? თუმცა... ამერიკული კინოა თუ ფრანგული? _ უპასუხა იმან.

_ რა მეკინოება, თუ ძმა ხარ, დილით იქ საუკეთესო ხაშია.

_ მერე, აქამდე რატომ არაფერი მითხარი?

_ გაისუსე, თუ ძმა ხარ, დირექტორმა არ შეიტყოს, თორემ ყოველ დილით თვითონ ივლის იქ და ჩვენ ვეღარ გავეკარებით...

მგელიკამ მოიხსნა სათვალე და მათ გადმოხედა:

_ რას ჩურჩულებთ მაქ შეთქმულებივით?

_ ვინმეს დაბადების დღე ხომ არ არის ამ დღეებში, იმას ვიხსენებთ, ბატონო ბაქარ! _ არ დაიბნა ნური.

_ მარგალიტა, ვისი დაბადების დღეა 28-ში, ხომ არ გინახავს? _ ჰკითხა მგელიკამ მასთან სასწრაფოდ გამოძახებულ კადრების განყოფილების უფროსს.

_ დეკემბრის ბოლო დეკადაში სიცარიელეა, ბატონო ბაქარ, სამაგიეროდ, მომავალი თვის პირველ რიცხვებში ორი კაცის დაბადების დღე მოდის ერთად _ ივანე გელენიძისა და ჰამლეტ ბაბახიასი.

_ ვანო, ამ გაჭირვების ჟამს თუ გვცემ პატივს და 28-ში გვიმასპინძლებ..

მგელიკას ბოლომდე წესიერად არც დაესრულებინა სათქმელი, რომ ივანე გელენიძე წამოხტა და იყვირა:

_ მე არ მახსოვდა ჩემი დაბადების დღე, თქვენ საიდან გამოჩხრიკეთ? ეგ ისეა ჩაწერილი ჩემს მეტრიკაში, თორემ მეც არ ვიცი, ნამდვილად როდის ვარ დაბადებული!

_ მით უმეტეს...

მგელიკას ისევ შეაწყვეტინა ვანომ:

_ ჩემთან არ მოიყვანოთ, ცოლი სახლიდან გამაგდებს! ჩემს დღეში არ გადამიხდია დაბადების დღე, რაღა ახლა ატყდით, თანაც რამდენიმე დღით ადრეო, კაცო!

_ რას იკატუნებ თავს? _ არ ჩერდებოდა გვაჯი. _ ჩაიყავ ჯიბეში ხელი, მორიელი ხომ არ გიზის შიგ!

ივანე გელენიძე თავს იკლავდა:

_ დავწერ განცხადებას და წავალ სამსახურიდან, ბატონო, ისედაც მაყვედრით, რა ხანია, პენსიაში ხარ გასაშვებიო... _ და გავარდა გარეთ, კარიც კი არ გაუხურავს.

_ ჰამლეტა სად არის? _ იკითხა მგელიკამ.

_ ჰამლეტს თქვენ დაიჭერთ? _ იკრიჭება გვაჯი ისევ, _ ცოლს ეუბნება, სამსახურში ვარო; სამსახურში ამბავს ტოვებს _ აღმასკომში ვიქნებიო, ყველას უბნევს თავგზას. სინამდვილეში სად დაძვრება, არავინ იცის: იქნებ კინოში მოენატრა გავლა, იქნებ ქალაქგარეთაა წასული სათევზაოდ ან სანადიროდ, იქნებ აუზში ცურავს ახლა, იქნებ ბავშვი წაიყვანა მუსიკის მასწავლებელთან...

_ გეყოფა ლაზღანდარობა! _ აფეთქდა მგელიკა. _ გვაჯი, მოემზადე, 28-ში შენთან მოვდივართ!

გვაჯი გაფითრდა, მერე გაწითლდა; ბოლოს, ძველებურად აჩენს კბილებს და შლის ხელებს:

_ მობრძანდით, ჩემი თავი გენაცვალოთ, მოსკოვში ავწევ თქვენს სადღეგრძელოს!

_ მოსკოვში? რა გინდა, ბიჭო, მოსკოვში ახალ წელს?

_ თქვენ არ მომიწერეთ ხელი მივლინების ფურცელზე? ათი დღით! ბილეთი უკვე წინასწარ მაქვს აღებული! _ და გვაჯიმ ამაყად ამოიღო ბილეთი ჯიბიდან.

_ აბა, რას აფუჭებ აქ ჰაერს, გაბრძანდი გარეთ! _ კარისკენ გაიშვირა თითი მგელიკამ.

_ მოვკვდი მშიერი, ჩემი ავადმყოფი კუჭი ამდენს ვერ აიტანს! _ იყვირა ფეხზე წამომ-ხტარმა ბუღალტერმა ისიდორე ბურძგალაძემ და გვაჯის მიჰყვა კუდში.

ატმოსფერო დაიძაბა, თუმცა გარეგნულად ყველანი მოეშვნენ. კაცებმა მოურიდებლად გააბოლეს, ქალების ყაყანი სულ უფრო ხმამაღალი ხდებოდა.

გამოსავალი არ ჩანდა.

შემოგოგმანდა მგელიკას ცქრიალა მდივანი ნანული და დირექტორს მოახსენა:

_ ღუტუშა ტუშაშვილმა დარეკა, სიმამრი გარდამეცვალა და ამ დღეებში ვერ მოვალო!

_ სიმამრი? _ მგელიკა უცებ გამოცოცხლდა, ფართოდ გაიღიმა და ფეხზე ფიცხლად წა-მოხტა: _ არიქა, პალიკო, ვალიკო! სასწრაფოდ გავარდით იმ კაცთან, გაიგეთ, რამე დახმარე-ბა ხომ არ ჭირდება! კაცს გასაჭირში თუ არ შეეხიდე, ისე რა ადამიანები ვართ! ჩემი მანქა-ნით წადით ახლავე! და ღუტუშას უთხარით, დაკრძალვა 28-ში დანიშნოს, უთხარით, სხვა დღეს მე არ შემიძლია-თქვა, უთხარით, საპატიო სტუმრები ჰყავს-თქვა და იმათთან ერთად უნდა შენი საყვარელი სიმამრის ქელეხზე დასწრება-თქვა!.. 28-ში, აუცილებლად 28-ში-- თქვა, არ დაგავიწყდეთ!.. _ მიაძახა კარისკენ მიმავალ თავის მოადგილეებს.

შემდეგ ხელების კმაყოფილი ფშვნეტით ჩაეშვა სავარძელში, შვებით ამოისუნთქა და ირგვლივ მყოფთ მხიარული მზერა მოავლო:

_ ესეც ასე! დღის წესრიგი ამოწურულია, სხდომას დამთავრებულად ვაცხადებ, თავი-სუფლები ბრძანდებით!

XXI წკიპურტი. ბიჭი 1000 მანეთამდე დამიჯდა!

ამჯერად ერთი გრძელი მონოლოგი უნდა მოგასმენინოთ. ამ მონოლოგს, იმედია, ვაპა-ტიებთ ბატონ ლადიკოს, და ჩვენც გზადაგზა თითო-ოროლა რეპლიკით შევეწევით. თავი და თავი კი ის იყო, რომ ლადიკოს ბიჭი შეეძინა _ ამირანი! სხვა სახელის გაგონებაც არ უნ-დოდა ორი ქალიშვილის მამას.

რა თქმა უნდა, ცალი ყური საკმაოდ დავუგრძელეთ, მეორე ყური მილოცვებით გამოვუ-ჭედეთ და ბოლოს ისიც დავძინეთ, რომ მსოფლიოს ახალ მოქალაქეს, ასეთი მქუხარე სახე-ლის პატრონს, შესაფერისი შეხვედრა დამშვენდებოდა შესაბამისი სუფრის სახით...

ლადიკომ ცოტა ცხვირი ჩამოუშვა, პირიდან კი ის მონოლოგი ამოუშვა, რომელსაც ზე-მოთ დაგპირდით.

_ არიქა, დემოგრაფიული სიტუაციის კატასტროფიული გაუარესებაა _ გამრავლდით, ქართველნო, გამრავლდითო, ეს ჩვენი პატრიოტული ვალიაო. კი, ბატონო, ვინ ამბობს უარს... მე, ჩემდა თავად, საკუთარი წვლილი შემაქვს ამ საერთო-სახალხო საქმეში: ცოლმა ოქროსავით ბიჭი მაჩუქა _ ამირანი! თითქმის ორმოცი წლის კი ვარ, მაგრამ, როგორ გგონი-ათ, ჩემს ამირანს ერთი ძმით კიდევ მაინც არ გავახარებ? კი, ნამდვილად, ამას ვაპირებ, ჩემი ცოლიც ამ გუნებაზეა, თუ ჯანმრთელობამ ხელი შეგვიწყო. ეკონომიკურ მხარესაც არ აქვს მცირე მნიშვნელობა, რასაკვირველია, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ისე კი, მართალი გითხ-რათ, ჩემი ამირანი ათას მანეთამდე დამიჯდა! არ გჯერათ? მშობიარობამდელ ხარჯებს არ ვანგარიშობ, _ ტაქსით ექიმთან მრავალგზის სტუმრობა, ხილი, წვენები, წამლები და სხვა, _ პირდაპირ სამშობიაროდან დავიწყებ. იქ რომ მივგრიალდით მე და ჩემი ქალბატონი, სას-წრაფოს ექიმს თუმანი მივეცი. ჰო, კინაღამ დამავიწყდა სიფთა ხარჯი _ სამშობიაროს ეზო-ში შესვლისას რკინის ჭიშკრის გახსნისთვის დარაჯს ხუთი მანეთი ვუფეშქაშე... ბატონ ამი-რანის დაბადებასთან დაკავშირებული ეპოპეის შემდეგი ეტაპები ასეთნაირად წარიმართა (თან ფურცელზე დავწერ, რომ რამე არ გამომრჩეს):

მშობიარობისწინა დამუშავება მისაღებში _ 10 მანეთი;

ექიმს, ვინც ამშობიარა 100 მანეთი;

ბებიაქალს _ 30 მანეთი;

მახარობელს _ 25 მანეთი (ბიჭისთვის დაწესებული ნიხრია!);

სანიტარს _ 10 მანეთი;

საჭმელის შეგზავნა _ ათჯერ 1 მანეთი, სულ _ 10 მანეთი;

კარისკაცს _ 1 მანეთი ათჯერ, სულ _ 10 მანეთი;

მორიგე ექთანს, ყოველ ღამე რომ ბავშვი მიუყვანოს ძუძუს მოსაწოვად _ 3 მანეთი შვიდ-ჯერ, სულ _ 21 მანეთი;

პალატის ექიმს _ 20 მანეთი;

დღის ექთანს _ 10 მანეთი;

უბნის ექიმს, რომელმაც ბავშვი ჩაიბარა გამოყვანისას _ 15 მანეთი;

სანიტრებს, რომლებიც ბავშვს გამოიყვანენ შინ წაყვანისას (სამნი იყვნენ, ვითომ ერთი ვერ ზიდავდა ბატონ ამირანის 3 კილოგრამსა და 600 გრამს), თითოს _ 5 მანეთი, სულ _ 15 მანეთი;

გამომრჩა:

ახალდაბადებულის ჩვენებისთვის _ 10 მანეთი;

50 მანეთი ცოლს წინასწარ მივეცი მანეთიანებისა და სამმანეთიანების დასტად _ იქ, პა-ლატაში, წვრილმანი ხარჯებისთვის (სუდნო, ზეწრების გამოცვლა, დამატებითი საბანი და ასე შემდეგ);

ამას დავამატოთ გზაში ტაქსის თუმანი, იმ ერთ კვირაში პალატაში შეგზავნილი წვენე-ბის, ხილის, წამლების და სხვა ხარჯები.

სულ ჯამმა ათას მანეთამდე შეადგინა, აბა! ანუ თითო კილოგრამი ბავშვისა დაახლოე-ბით სამასი მანეთი დამიჯდა!

_ გაგიხმა თავი! _ ქოქოლა დააყარა ბაბომ, _ გოჭი კი არ არის, ბიჭო!

_ სულ ეს არის? _ იკითხა სანდრომ.

_ ცოტაა? ჩემი ნახევარი წლის ხელფასს ეხუმრები? ჰო, მთავარი ხარჯი ჯერ წინ მაქვს _ პატარა ქეიფი ბატონ ამირანის ამქვეყნად მოვლენის აღსანიშნავად, ნაღდად!

_ ეგ არაფერი, ჩემო ლადო, _ გაამხნევა ღიმილით სანდრომ, _ ბავშვს მხოლოდ ხარჯი კი არ მოსდევს. რატომ ამბობთ, რომ თქვენს ოჯახს, მაგალითად, თვეში 300 მანეთი შემოსავა-ლი აქვს და გიჭირთ? აგერ შენს პატარა 7 წლის ქეთინოს რომ ჯამ-ჭურჭელი დაურეცხავს, ეს ფულად არ ღირს? აგერ პურზე მეორე გოგოს გაგზავნი და თან რამდენიმე ბოთლ "ბორ-ჯომსაც" მოგიცუნცულებს, ხომ ხეირია? ბავშვი კი არა, თუნდაც ძაღლი რომ გყავთ, ცუგრი-ა, დღე-ღამეში 10 მანეთის ყეფა მაინც დაუმსახურებია, ესეც აქტივში ჩაგეთვლება თუ არა? და რამდენი რამე კიდევ... აბა, იანგარიშე, დამატებით რამხელა შემოსავალი გქონია!

_ თქვენი არ ვიცი და ჩემი ბიჭები ზარალის მეტს არაფერს მატებენ ოჯახს, _ ჩაერია ბა-ბუცი, _ კედლები სულ გამიოხრეს, დახაზეს და დახატეს, სკამები დანებით "დაამშვენეს"; დღეში ორი-სამი თეფში და ჭიქა რომ არ დაფშვნან, ისე როგორ იქნება...

_ ეგ როგორ დაგემართა? _ გავიკვირვე მე. _ ჰო, გასაგებია, შენი შვილები უჯიშოა!

_ როგორ თუ უჯიშოა?! _ აღშფოთებისგან ფეხზე წამოხტა ჩვენი ბაბო. _ აბა, შენი შვილე-ბია ჯიშიანი?

_ ჩემო შვილებიც უჯიშოა, მაგაზე ნუ იდარდებ. მე სხვა, ზედა ფენის წარმომადგენელთა ბავშვებზე მოგახსენებთ. სამოცდაათი წლის ძალისხმევის შედეგად საბჭოთა იმპერიაში წარმატებით გადაწყვიტეს ელიტური საბჭოთა ბავშვის გამოყვანის პრობლემა. იდეალური, წმინდა ჯიშის მწარმოებელთაგან, _ მაღალი თანამდებობის პარტიულ ლიდერთაგან, _ იბა-დება ვარდისფერი საბჭოთა ბავშვი, საბჭოთა გენეტიკის ბრწყინვალე გაფურჩქვნის შესანიშ-ნავი ნიმუში. დაბადებითგანვე ჩვილი უკვე აშკარად გამორჩეულია: ხმა ბოხი აქვს, მბრძა-

ნებლური ინტონაციებით; თვალებში კიაფობს სიმტკიცე, მიხრა-მოხრაშიც საკუთარ თავში ურყევი დარწმუნებულობისა და თვითკმაყოფილების ნაღდი გამოვლინება ჩანს _ კარგი ხელმძღვანელი კადრი შემოგვემატება! დაბადების მოწმობის მაგივრად პარტბილეთს მისცემენ... ჩვეულებრივ მოქალაქეთაგან კი დაბალი კატეგორიის ჩვილები იბადება: ფერი _ ჩვეულებრივი, თვალებში _ დაბადებისთანვე ბედით კმაყოფილების გრძნობა, ხელები _ ტაშის დასაკვრელად გამზადებული, პირი _ "ვაშას" დასაძახებლად უკვე გაღებული. შეხედავ თუ არა, მაშინვე მიხვდები, რომ მონის თანამედროვე ჯიშია _ Homo sovieticus _ საბჭოთა ადამიანი...

_ ჩემი პატარა მაიმუნი ერთი კვირაა არ მინახავს... _ ოხრავს სანდრო.

_ მოგენატრა შვილიშვილი?

_ მომენატრა რომელია! ჭკვიანია მამაძაღლი. რომ მოვა ვიღაცა, ვეუბნები: "ეს ვინ არის?" "ვა!" _ იძახის მერიკო. რვა თვისაა და უკვე ყველაფერს იგებს. "აბა, ტაში დაუკარი!" _ ვეუბნები, ისიც უტყაპუნებს მხიარულად ხელებს.

_ ისე ვატყობ, სანდროჯან, ტაშის დაკვრას ბავშვობიდან ასწავლი, ალბათ მალე პარტბილეთსაც გაუჩალიჩებ! _ ვეუბნები სანდროს.

_ რატომაც არა!

_ ჯერ სათამაშო მანდატი უყიდე. წინადადება შეიტანე, რომ გამოუშვან. პარტიულები პირველები დაესევიან, თავიანთ შვილებს, შვილიშვილებს და მომავალ შვილთაშვილებსაც კი შეუძენენ, მაგრამ შენ, როგორც იდეის ავტორს, ურიგოდ დაგითმობენ!

_ კაცებს მეტი რა გაქვთ გასართობი, დადექით და იკრიჭეთ, აპამპულეთ ერთმანეთი, ყველა გასაჭირი კი ჩვენი გადასატანია, _ გვეცა ბაბო. _ ამას წინათ თავი მტკიოდა და ჩემი ბედოვლათი ქმარი აფთიაქში ვერაფრით გავაგდე წამლის მოსატანად, ფეხბურთს უყურებდა ტელევიზორში.

_ არ თქვა ახლა, ის თავის ტკივილი კუჭის ბრალი იყოო, _ შეაწყვეტინა სანდრომ. _ მაგარი მოდა შემოვიდა, ყველაფერი კუჭს უნდა დააბრალონ. "ბიჭს თავი სტკივა!" _ "კუჭის ბრალია", "რაღაცამ დააყარა, მუწუკები აქვს!" _ "რა აჭამეთ?", "ხელი სტკივა!" _ "კუჭს მიხედეთ!"

_ წამალიც რომ უნივერსალური აღმოაჩინეს! _ ჩაერია ლადიკო. _ "ჩემი ბავშვი ძალიან გამხდარია!" _ "ცურვაზე მიიყვანეთ!"; "ჩემი გოგო ძალიან მსუქანია!" _ "ცურვაა მაგის წამალი!"; "ძალიან ოფლიანობს!" _ "ცურვა მოუხდება!"; "ნერვიულია!" _ "ცურვა უშველის!"; "ფლეგმატურია, ვერ გაანძრევ!" _ "ცურვა, ცურვა და ცურვა!"

_ შენს ამირანს არ ასწავლი ცურვას?

_ როგორ არ ვასწავლი, ისე რა ვაჟკაცი იქნება...

_ გაგწყვიტათ ჭირმა! _ წამოხტა უცებ ბაბო სკამიდან, _ უნდა გავიქცე, დღეს პირველად მიმყავს ბიჭები ცურვაზე. ყველაფერზე მე ვირბინე: ექიმის ცნობაც ჩემი ასაღები გახდა, მწვრთნელსაც მე შევუთანხმდი... აი, ასეთები ხართ კაცები! ჩემს ქმარს სულ უნდა, კოჭი ვუგორო, თვალებში შევციცინებდე, რა ესიამოვნება. კაცს არ უნდა მოეგვარებინა ცურვის ამბავი?

_ ეგეთი ქმარი რად გინდა, თოკი იყიდე, დააბი!

_ თოკი ძვირი ღირს!

_ ჩვენ გიყიდით!

_ თუ ძმა ხარ, ამირანის საპატივცემულო სუფრაზე ბაბოს გვერდით არ დამსვა! _ მიმართა სანდრომ ლადიკოს, _ ქალი კი არა, დენთია! ბაბო, ერთ რამეს გეტყვი და მერე გაიქეცი შენს ლომებთან: გზაში ცოტა დაწყნარდი, მწვრთნელს უცებ ნუ შეჭამ, აცადე, სანამ ბიჭებს ცურვას ასწავლის!

XXII წკიპურტი. სასადილო “არ დამივიწყო!”

ჩვენი სამსახურის ეზოდან მთელი დღე ისმის კაკუნი, რახარუხი, ჟღრიალი, ელექტროხერხის წუილი, ავტომანქანების ძრავათა ზმუილი. უსაქმური შოფრები, ხელოსნები, კომენდანტი, დარაჯი, მომმარაგებლები, მესაწყობენი და ათასი სხვა, ჩემთვის გაურკვეველი საქმიანობის პირნი დგანან, აბოლებენ სიგარეტს, ყაყანებენ; ნაწილი ორ-სამ ავტომანქანასთან ჩხირკედელაობს, ერთი შუშას ჭრის (ორი-სამი მოცლილი იქვე დგას და უყურებს), მეორე ელექტროშედუღების აპარატით მუშაობს, რამდენიმე უსაქმო რკინის მაგიდას უზის და ეშხიანად აჭახუნებს დომინოს ქვებს... “ინტელექტუალთა კლუბის” ამ საქმიანობას ფანჯრებიდან ხშირად თვალს ვადევნებთ ხოლმე მეცნიერ-მუშაკები და გვშურს ეზოში მყოფთა...

ამ ბოლო დროს კი იძულებული ვართ, მაისის თვეშიც კი ხშირ-ხშირად ვკეტოთ ფანჯრები _ პირველი სართულის რამდენიმე ოთახში რომელიღაც კოოპერატივის სასადილოს აკეთებენ და რაღაცას ამტვრევენ, რაღაცას აშენებენ; ქარი ეზოში ფანტავს ცემენტისა და სამშენებლო ნაგვის მტვერს. ისმის პნევმატური ჩაქუჩის კაკანი, კომპრესორის ქშენა, თვითმცლელი მანქანები მიდი-მოდიან, აატალახეს ეზო-გარემო...

_ სამაგიეროდ, უმოკლეს ვადაში გაიხსნება სასადილო, მიბრძანდებით და იაფად მიირთმევთ გემრიელ კერძებს! _ საზეიმო ხმით გვაუწყებს ბატონი სანდრო.

ლადიკო ირონიას ვერ ხვდება:

_ კი, როგორ არა! ეგეც ფულის მახე იქნება სხვებსავით. გუშინ ვიყავი სწორედ კოოპერატიულ სასადილოში, პეკინის ქუჩის კუთხეში რომაა. უი, ხაჭაპური ვჭამე _ შავი, შავი, უბედური შავი! ვაი იმ ჭამას! გამხმარი, გაუბედურებული, ნაღდად არქეოლოგიურ მუზეუმში ივარგებდა ექსპონატად. მგელივით მშიოდა, თორემ იმას პირს დავაკარებდი? ცხელი კი იყო, ცხელ-ცხელი, ეტყობა, გუშინდელი გააცხელეს; მაინც ქვასავით იყო. მოკლედ, ხაჭაპურის იმიტაცია იყო. ბავშვები რომ თამაშობენ და სილისგან აკეთებენ კვერებს, ნამცხვრებს, ტორტებს, ისე დაიწყეს ახლა ყველაფრის კეთება სინამდვილეშიც _ ბინის იმიტაცია, მანქანის იმიტაცია, საჭმლის იმიტაცია, დამოკრატიის იმიტაცია... ყველაფერში გვატყუებენ, თითქოს პატარა ბავშვები ვიყოთ!

_ შენ თუ არ გინდა, ნუ შეხვალ ახალ სასადილოში, კლიენტი მაინც არ დაელევა. გაუკეთებენ შესასვლელში კოხტად გაფორმებულ ფირნიშს, _ ხელები მოიფშვნიტა სანდრომ, _ ცალ მხარეს დახატული იქნება წამოგორებული ტიკჭორა, მეორე მხარეს _ შებრაწული გოჭი კრეჭს კბილებს, პირში წითელი ბოლოკი აქვს გაჩრილი... რა თქმა უნდა, ღვინის ბოთლებიც იქნება დახატული, შამფურზე წამოცმული მწვადებიც... ზევიდან წარწერა: “კახური ღვინო”.

_ არა, კაცო, _ არ დავეთანხმე მე, _ “კახური ღვინო” რა შუაშია, სასადილოს ეგ სახელი არ შეეფერება.

_ სწორია, _ დამეთანხმა ლადიკო. _ სასადილო ფაქტიურად მგელიკასია და სასადილოს სხვა სახელი მოუხდება მისი რაჭველი მფარველის პატივსაცემად.

_ ვაცხადებ კონკურსს სასადილოს საუკეთესო სახელწოდებაზე! _ ვთქვი მე.

_ “ელდორადო!” _ მაშინვე გამომეხმაურა სანდრო.

_ არ ვარგა!

_ “მოდი, მნახე!” _ ბაბომ.

_ უკეთესია!

_ “კარგი ვარ!” _ იყვირა ლადიკომ. _ კარგად გაგვისუფთავებს ჯიბეებს, ნაღდად!

_ “გაუმარჯოს პურმარილიან კაცსა!” _ მეც ჩავერთე.

_ მე მგონი, ყველაზე უფრო “რაჭა” მოუხდება! _ იცინის სანდრო. _ ან “ღები”, “გლოლა”, “ჭიორა”... რომელია მგელიკას მშობლიური სოფელი?

_ არც ერთში არ ხარობს ვაზი!

_ “არ დამივიწყო!” _ ისევ ყვირის რატომღაც ლადიკო, _ როგორ მოგწონთ? ხშირ-ხშირად გამოიარე და ჩემი ჯიბე გაახარეო!

_ შეხედე, შეხედე! ჩვენი საყვარელი მგელიკა ეზოში დგას და თანამშრომლებს მამაშვილურად ჭკუას არიგებს! _ ფანჯარასთან მდგომმა სანდრომ გვერდზე გაიწია, რომ დანარჩენებსაც ჰქონოდათ ბედნიერება გულისამაჩუყებელი სურათის ხილვისა.

_ ხედავ, რა ყურადღებიანია?! რა მზრუნველია, ნამდვილი მამაა ჩვენი!

_ მერე, ჩვენ რატომ არ დაგვიძახა?

_ ალბათ რაღაცა დავაშავეთ!

_ ჰე! ვერ მიხვდით, რატომ დგას ეზოში თითქმის მთელი დღე?! სასადილოს მშენებლობის მალე დამთავრებას ეშურება, ყოველ დღეს ოქროს ფასი აქვს; ფული აქვს საქმეში ჩადებული, წილში გადის და დროულად უნდა ამოქაჩოს!

_ ცალი ხელი სულ ჯიბეში აქვს...

_ ბლომად ფული დაუგროვდა შიგ და ეშინია, არ გადმოუცვივდეს გატენილი ჯიბიდან.

_ მერე, სამი-ოთხი ჯიბე რას ეყოფა, ბლომად ჯიბეები უნდა დაიკეროს, ცოდოა კაცი, იტანჯება!

ამ დროს სილია შემოგლიჯინდა ოთახში, ჩვეულებრივად შეგვამკო, ამჯერად მაიმუნებად, აქლემებად, ბეჰემოთებად და სხვა სიმპათიურ ცხოველებად.

_ ზოოპარკის ბინადართა საერთო კრება გახსენით უკვე?

_ არა, შენ გელოდით, თავმჯდომარე გვაკლდა! აბა, ლომო, შენს მეტს არავის ეცოდინება, ახალი სასადილოს დირექტორის სავარძელი რა ეღირება? _ ეკითხება სანდრო სილიას. _ შენ ყველა თანამდებობის დასაკავებელი “ნიხრი” იცი.

_ მგელიკა რამდენს აიღებს დირექტორის დანიშვნაში, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ მასეთ საქმეებში განათლებული კაცია, არ მოტყუვდება! _ არობრობდა სილია. _ ასე რომ, ერთი სადარდებელი მოგაკლდათ!

_ გუშინდელი ბავშვი კი არ არის, რომ შეცდეს. სხვა თუ არაფერი, დაწესებულზე ნაკლებს ეგ არ მოითხოვს და ზედმეტს კი არავინ მისცემს, _ ეთანხმება სანდრო.

_ ეგ ყველამ იცის, _ ამბობს ლადიკო, _ მაგრამ ხომ შეგვიძლია, ანალიზის საფუძველზე ჩვენი ვარაუდი გამოვთქვათ...

_ 2000 მანეთი? _ კითხულობს ბაბო.

_ ხომ გითხარით, მაგაზე ნუ ნაღვლობთ, _ ამბობს სილია. _ მგელიკა არ წააგებს. მეტსაც გეტყვით _ წილი ხომ ექნება უეჭველად ჩადებული, როგორ ფიქრობთ, თავისი ჯიბიდან დადებდა? სწორედ მაგის ჩიტია! ჩვენი ინსტიტუტის სოციალურ-კულტურული განვითარების ფონდიდან გამოყოფდა სასადილოს მოსაწყობად 20-30 ათას მანეთს... არა გჯერა, ჭირიმე?

_ მე მგონი, არ იქნება ურიგო, ერთი ოთახი გამოყონ საექიმო პუნქტისთვის, _ გვთავაზობს ლადიკო., _ კუჭაშლილებსა და მოწამლულებს რომ შორს არ დასჭირდეთ სირბილი...

_ მე სხვა ვარიანტს შემოგთავაზებთ, _ იღიმება სანდრო, _ ჩვენ თვითონ დავდოთ ფული და ჩვენი კაცი დავნიშნოთ სასადილოს დირექტორად. თან წილში გავალთ, მოგება გვერგება, თან ჩვენთვის ცალკე გავაკეთებინებთ საჭმელს, დაკვირვების ქვეშ!

_ კარგ დროს მიხვდი, _ დასცინის სანდროს სილია. _ ვინ მიგასუნინებს ახლო, მგლებს გინდა ხახიდან ლუკმა გამოსტაცო?

_ კარგი, მაშინ სხვა კოოპერატივი ჩამოვაყალიბოთ! _ იხტიბარს არ იტეხს სანდრო.

_ მეფუტკრეობაში ერკვევი? თუ ქათმებს მოამრავლებ ან ღორებს?.. იქნებ ძველებური ავეჯის რესტავრაცია გეხერხება?

_ არა, კოოპერატივი "სილია"! _ სიცილით აწყვეტინებს სილიას სანდრო. _ ქართველები ბედნიერი ხალხი ვართ _ გაბანჯგვლულები! შენ მაინც გამოირჩევი _ მაიმუნს არ ჩამოუვარდები. წინათ აბაზად აჩვენებდი, ახლა ათ შაურზე ახვედი... იჩქარეთ, სანამ მანეთამდე აუწევია ფასი!

_ თქვენ, როგორც მომავალ კომპანიონებს, ახლა უფასოდ ჩაგიტარეებთ ჩემი ნიჭის დემონსტრაციას! _ ამ სიტყვებით სილიამ აიწია ხალათი და იშვიათად ხშირი ბალნით დაფარული ტანი გამოაჩინა.

_ სულ მთლად გაგიჟდა ეს ოხერი! _ ჩანთას ხელი დასტაცა ბაბუციმ და ოთახიდან გავარდა, კარიც კი ღია დარჩა.

_ "ავარ, ავარ დავდივარ, ღამე შინ არ შავდივარ!" _ წაიღიღინა სანდრომ. _ ჩვენც დავრიგდეთ სახლებში, ხვალ ისევ შევიკრიბებით! ამაზე კარგ სამსახურს სად ნახავ _ მოხვალ, გაერთობი, მერე წახვალ მშვიდობით შინ! ჯან!

თითქოს ამ წამოძახილს ელოდაო, სილია მივარდა სანდროს, ჰაერში აიტაცა და დერეფანში ისე გაიყვანა...

XXIII წკიპურტი. ინტერსპარინგპარტნიორები საფეხბურთო მოედანზე

ამ ბოლო დროს რაღაც დავივიწყეთ ერთ-ერთი მუდმივი თემა _ ფეხბურთი, დღეს კი მისი ჯერიც დადგა. ჯერ ვილაპარაკეთ სიდუხჭირეზე, მერე _ ქალებზე, ჩვენი სამსახურის ამბებზე, ტელეგადაცემებზე და ბოლოს ფეხბურთის ჯერიც დადგა.

_ იყავი გუშინ სტადიონზე? _ ვეკითხები სანდროს, თან ნახაზს ვაკეთებ.

_ მოგცლია ერთი... მე თამაშს ტელევიზორშიც არ ვუყურებ. მაგათ საცოდაობს რა მაყურებინებს.

_ რატომ, თბილისის "დინამოში" კარგი ბიჭებია. ერთი ხეირიანი მწვრთნელიც რომ ჰყავდეთ... _ ებმება საუბარში ლადიკო.

_ ბიჭო, მსოფლიო ვარსკვლავების შემდეგ... ისეთ საფეხბურთო სპექტაკლებს ვნახულობთ, ჩვენი ჩემპიონატი საბავშვო მეჩვენება, _ არ ეთანხმება სილია.

_ პირველ ადგილზე ვინ გავა? _ ვეკითხები ლადიკოს.

_ ეგ მე არ ვიცი, ვგონებ, ნახევარფინალში გერმანელებმა ფრანგებს უნდა მოუგონ, არგენტინელებმა კი _ ბელგიელებს.

_ მერე?

_ მერე ღმერთმა უწყის.

_ ესე იგი, ფინალში ითამაშებენ გერმანელები და არგენტინელები, რომელი გუნდი გაიმარჯვებს? _ ახლა სანდრო ეკითხება ლადიკოს.

_ აბა, რა ვიცი...

_ მაინც, როგორ ფიქრობ?

_ ტყუილად ლაპარაკს რა აზრი აქვს.

_ შე კაცო, ფულს კი არავინ გართმევს, უბრალოდ მაინც არ გაქვს ვარაუდი, რომელი გაიმარჯვებს? _ სანდროს სილიაც წაეხმარა, იქნებ ლადიკოს სიტყვა დავაცდენინოთო, მაგრამ მასაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

_ მე ჩემს სიტყვას ქარს არ ვატან!

_ ჰო, კარგი, თუ ასეთი დიდი საიდუმლოა შენი შეხედულება, ნუღარ გვეტყვი, ან არადა, არაფერს ფიქრობ და ეგ არის.

_ რა შუაშია აქ საიდუმლოება? მე არ მინდა უპასუხისმგებლო განცხადების გაკეთება.

_ უპასუხისმგებლო? ვინ ხარ შენ, პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი? თუ არ გამართლდა შენი პროგნოზი, ვინმე დაგაჯარიმებს, თუ რაიმე სხვა საშიშროება მოგელის? ბოდიში, ბატონო, რომ შეკითხვით შეგაწუხეთ! _ ცოტა არ იყოს, გაცხარდა სანდრო, რაც ფრიად იშვიათად ემართება.

სილია ცდილობს შეარბილოს სიტუაცია, ლადიკოს ეუბნება:

_ შენი ქამარი მომწონს, ხომ იცი! ძალიან გიხდება! ისე, ნუ გეწყინება და, იმიტომ გითხარი, ძალიან არ განერვიულდეს-მეთქი! შენთვის ნერვიულობა არ შეიძლება, შენს მაგივრად მე ვინერვიულებ, ჭირიმე!

_ კარგი ერთი და! _ ხელს იქნევს ოდნავ მომბალი ლადიკო. _ სერიოზული საკითხია და სერიოზულად უნდა მივუდგეთ, ნაღდად!

_ ჩვენ, ბიჭო, დიდ სპეციალისტად მიგვაჩნიხარ, _ ღიმილით აგრძელებს სილია, თან მხარზე ხელს ხვევს ლადოკოს. _ ჩვენ გვინდოდა შენი ინსტიტუტის ნაკრებში მოწვევა, მართალია, კაპიტნობას ვერ დაგპირდებოდით...

_ კაპიტნობას მგელიკა დაუთმობს ვინმეს? _ ავიტაცე ახალი თემა მე. _ დამცველად ცენტრში მთავარი ბუღალტერი დადგება, ნახევარმცველებად _ დირექტორის მოადგილეები, მეკარედ _ საწყობის გამგე... მაგარი გუნდი იქნება, ლადიკოსთვის სადაა იქ ადგილი; ბურთის მიმწოდებლად თუ დაუშვეს, მადლობა უნდა თქვას!

_ თავდამსხმელებად ვინ იქნებიან?

_ განყოფილებათა გამგეები!

_ მაშინ ჩვენ ჩვენი გუნდი შევადგინოთ და ისინი გამოვიწვიოთ შეჯიბრში! უჰ, რას ვისიამოვნებდი! ვისი ბოღმაც მაქვს, ერთს გემრიელად გამოვკრავდი კოჭებში ფეხს და ამოვაბურთავებდი! _ ამბობს სილია, თან ლადიკოს უყურებს, საბოლოოდ გაუარა თუ არა წყენამო.

_ მე უპირველესად მგელიკას მოვახერხავდი ფეხს!

_ არ შეიძლება, მოპაექრენი ცოტა სხვაგვარად დავაჯგუფოთ? ხელმძღვანელობა და რიგითი თანამშრომლები – ვინ ვის?

_ ბევრის ჯინი მჭირს და ერთად რომ იქნებიან, ერთიანად ვიყრი ჯავრს!

_ სხვა ვარიანტებიც გავითამაშოთ: მწეველები და არამწეველები, ცოლიანები და უცოლოები, მსმელები და არამსმელები...

_ ტვინიანები და უტვინოები! შენ რომელში მოხვდებოდი?

_ უცხოელებთანაც ხომ არ მოგენატრა შეხვედრა?

_ ჩვენ ისე გავთამამდით, რომ, მგონი, რეიგანთანას მოვინდომოთ შეხვედრა, ნაღდად.

_ ისე, კაცმა რომ თქვას, კარგი გუნდის შეკვრა შეიძლება საერთაშორისო ვარსკვლავების მონაწილეობით. იარუზელსკის მცველად დავაყენებდი, ყოფას უტირებდა მოწინააღმდეგეს, ფეხს არ გაანძრევინებდა; იარუზელსკი, ხომ იცი, შავი სათვალეებით ითამაშებდა, მონუსხავდა...

_ რეიგანი მაგრად ირბენს, გამხდარია, ფორმაშია.

_ მარცხენა გარემარბად შევარდნაძეს დავაყენებდი _ სწრაფი გურულია, ფინტების ოსტატი; საჯარიმოებსაც კარგად ჩააწოდებდა. კუთხურებსაც მაგას დავარტყმევინებდი, კოხტად ჩაახუჭუჭებდა.

_ იქ, ცენტრში, მიხაილ სერგეევიჩი დახვდებოდა ბურთს თავისი მოტვლეპილი თავით, მაგრად ჭედავდა პირდაპირ “ცხრიანში”.

_ თეტჩერს კარებში დავაყენებდი, შარვალს ჩავაცმევდი, მოუხდებოდა. კარგი კოორდინაცია აქვს, რეაქციაც სწრაფი _ პენალტებს კარგად აიღებს; გამოწვრთნილია, გუმანით მიხვდება, რომელ კუთხეში ურტყამენ.

_ რომეშ ჩანდრა არ დაგავიწყდეთ, საჯარიმოების დროს კედელში დასაყენებლად იქნება შეუდარებელი.

_ ჯარიმების გამთამაშებელი მიტერანი იქნება, თანაც შტატიანი პენალტისტი, ზუსტი დარტყმა აქვს.

_ არა, ეგ ადგილი დაკავებულია უკვე _ შევარდნაძეს ვერ აჯობებს.

_ სტაბილური შემადგენლობა შეიკვრება, ტრავმა და თამაშის გაცდენა მათგან გამორიცხულია, მაგრები არიან ყველანი.

_ ჰო, ცენტრალურ მცველად კოლი ივარგებდა, ჯანიანია, სამი კაცი რომ დაეტაკოს ერთდროულად, ძვრას ვერ უზამს. თან მოქნილიცაა _ თითქოს ზანტია, მაგრამ სადაც საჭიროა, მუდამ იქ აღმოჩნდება ხოლმე.

_ ვის შევაჯიბროთ ეს გუნდი?

_ ვისაც გინდა! მშრალი ანგარიშით დააყვინიებს!

_ ყოველ შემთხვევაში, საინტერესო თამაში იქნებოდა, ნაღდად.

_ მართლა, ბურთები რომ აუტში გადავარდება, ფეხბურთელებს ბურთს ვინ მიურბენინებს?

_ ლუკიანოვზე უკეთესს ვის ნახავ!

_ რამ გადაგრიათ კაცები, საქმე გამოგელიათ? _ გაღიზიანებულია ბაბუცი. _ რა გააჭირეთ საქმე ამ ფეხბურთით!

_ რა მოხდა, შე ქალო, დიდი მეცნიერებიც ხანდახან ისვენებენ, გართობაც უყვართ, _ პასუხობს სანდრო, _ ჩვენი რა ბრალია, ღმერთებმა ასეთებად გაგვაჩინა ადამიანები, ჩარჩოში მოგვაქცია, ზღვარი დაგვიდო. აბა, მარტო მეცნიერება არ არის საკმარისი: კუჭსაც თავისი უნდა მიუზღო, გართობა-მხიარულებასაც... ხანდახან რაღაც-რაღაცეები უნდა მოქსოვო კიდეც, ასე არ არის?!

_ ჰო, კარგი, რა ვერ გაიყავით, _ ჩაერია სილია, _ ჩვენ ხომ ბაიყუშები ვართ, ჩამოსაწერი ხალხი; აგერ ახალგაზრდა რომ გიზით, ლადიკო, ამას მაინც ვუშველოთ და ნაღდ მეცნიერად ვაქციოთ... Bბიჭო, მენეჯერების სკოლაში არ გინდა ისწავლო? აქ ჯდომით რა ხვითოს დაიჭერ... წადი, ბიძიკო, იაპონიაში, განათლებული დაგვიბრუნდები, საათივით ააწყობ საქმეს _ იქნებ მაშინ ჩვენც გვეშველოს. სამი ათასი მანეთი რა გაუჭირდა მგელიკას; გაგიშვას, რას დაჰკარგავს, განათლებული დაგვიბრუნდები, სულ ბატები ხომ არ უნდა ჰყავდეს ამ ზოოპარკში, ბოდიში, სამსახურში.

_ შენ კარგადა ხარ, აი! _ არ დაეთანხმა სანდრო, _ მგელიკა სულელი ხომ არ გგონია? ლადოში ფული ტყუილად რატომ უნდა გადაყაროს, არ ჯობს, რომელიმე თავისი მოადგილე ან საწყობის გამგე გააგზავნოს? თუ ნათესავები გამოელია?

_ აი, ელაპარაკე ასეთ ჩერჩეტს, ბოდიშს ვიხდი, რასაკვირველია, _ ხელებს შლის სილია. _ ბიჭო, რას ამბობ, მგელიკას მოადგილეები შენ ვინა გგონია? ვალიკოცა და პალიკოც შეიძლება მენეჯერთა სკოლაში წარგზავნო, რაღა თქმა უნდა, ოღონდ პროფესორებად – ფულის კეთების ხელოვნებას შენ მაგათ ასწავლი? უმაღლესი კლასის პილოტები არიან!

_ მაშ, შენი ბიჭი გამოგზავნე ჩვენთან, მენეჯერთა სკოლა რაღად გინდა. რომელ კლასშია ვახუშტი?

_ მეხუთეშია უკვე, დიდი მამაძაღლი ვინმეა! _ იბადრება სილია. _ ამას წინათ მეუბნება: “მამიკო, შენთან დაჯდომა შეიძლება?” “როგორ არა, რატომ მეკითხები-მეთქი?” “მე მგონიხარ კაცი, რომელმაც ყველაფერი იცის!” _ მეუბნება. ბიჭები ხშირად ფიქრობენ ასე მამებზე, ეს კი მაპამპულებს, მე რას მომატყუებს! ჰოდა, მომცა ამოცანა, რომელიც უკვე ამოხსნილი

ჰქონდა, ჩემი გამოცდა უნდოდა! როცა გამოვიყვანე, კმაყოფილებით, მფარველობით თუ დაცინვით, _ ალბათ ყველა ეს კომპონენტი იყო ჩაქსოვილი განსაზღვრული დოზით, _ მითხრა: “თურმე ამოხსნა შეგძლებია!”

_ მამა ნახე, დედა ნახე... _ გაიცინა ბაბუცემ.

_ ვახოს მასწავლებელმა დავალება მისცა, _ განაგრძო სილიამ, _ სახელმძღვანელოს ნახატის მიხედვით უნდა დაეწერა აღწერა. დახატული იყო კალათბურთის მოედნის ნაწილი ერთი ფარით და იქვე რამდენიმე კაცი იდგა. ბიჭმა რამდენიმე გვერდზე გააშანშალა აღწერა, რომელშიც ჩაურთო თავისი საყვარელი თამაშის ამბები _ ამერიკელი კალათბურთელები: მაიკლ ჯორდანი და კიდევ ვიღაცეები; ყველას სახელები ზეპირად იცის ვირისთავმა; მხოლოდ სახელებს კი არა, ყველას სიმაღლეებსაც ზუსტად გეტყვის! თან დაწერა, რომ ამჟამად თბილისის “დინამო”, სამწუხაროდ, ძალზე უღიმღამოდ თამაშობს და მას ოცნებად აქვს, დაუბრუნოს მის საყვარელ გუნდს ადრინდელი Bბრწყინვალება და დიდება!.. მოვიდა შინ და ვეკითხები, რა გითხრა მასწავლებელმა შენს ნაშრომზე-მეთქი. მეუბნება, ვერაფერი გაიგოო, კალათბურთის ინჩიბინჩი არ იცის, მგონი, ინგლისური გინება ეგონა კალათბურთელთა გვარებიო! გადავფიჩინდი! ყველაფერს ვფიცავ, თუ ტყუილს ვამბობდე! ეგეთი ჯერ არაფერი მინახავს, გეფიცებით!

_ რა გაცინებს და რა გიხარია, _ ეუბნება სილიას სანდრო, _ სატირლად გაქვს საქმე ასეთი მასწავლებლის გადამკიდეს.

_ ეგ მე სულ არ მეხება, მასწავლებელი სპორტში ერკვევა თუ არა, _ აიქნია ხელი სილიამ, _ ჩემთვის მთავარია, გრამატიკა კარგად ასწავლოს, მართლწერა, პუნქტუაცია... თორემ რამდენ ვინმეს ვიცნობ, ფეხბურთზე სამი-ოთხი საათი შეუძლია გელაპარაკოს, თავს წაგჭამს, დიდ სპეციალისტად მოაქვს თავი, სამსახურში კი არაფრის მაქნისია.

__ ჩვენ არც სამსახურში ვუქნივართ ღმერთს და არც ფეხბურთის გვესმის რამე, _ ჩვენს ლაქლაქს დასკვნა გაუკეთა სანდრომ, _ ამიტომ ჯობს, დროულად შევწყვიტოთ ენის ფხანა და შინისკენ გავწიოთ... ხომ ხედავთ, ბაბოს ჩასძინებია, ქმარი დაგვიანებულს შინ არ შეუშვებს და ჩვენ დაგვბრალდება... უმაქნის საქმეთა მეცნიერებათა დოქტორებო, წავედით!

XXIV წკიპურტი. დემონსტრაცია

დღეს სილია ჩვეული სტილით გამოგვეცხადა: ჯერ ხომ ისე შემოჯლიგინდა ოთახში, რომ კარი ლამის ჩამოიღო, მერე როხროხით ყურები გამოგვიჭედა, ყველანი სათითაოდ შეგვამკო ძვირფასი ეპითეტებით, რომლებიდანაც ზოგს ქაღალდიც ვერ აიტანს _ ბაბუცემ სახაზავი სტკიცა ზურგში... სილია მხოლოდ ახარხარდა და ბაბუცის მკლავი მოხვია:

_ შენ რომ არ მეგულებოდე, ამ ოთახში საერთოდ არ შემოვალ! შენ ჩვენი სამსახურის დედოფალი ხარ იდეოლოგიურ მუშაობაში! ნახეთ, რა ლამაზად აქვს თვალები დახატული!

სილიამ ამჯერად რატომღაც მე დამინდო _ არც მათხოვარი მიწოდა, არც _ ვიგინდარა და არც _ ყალთაბანდი თუ სხვა. თავისი დათვის ტორები ჩამოდო ჩემი მაგიდის კიდეზე და წელში ორად მოხრილმა მკითხა:

_ რას კითხულობ, ბატონო პროფესორო, ასეთი გატაცებით, საკუთარი ჭკუა რომ არ გყოფნის, სხვის აზრებს ეტანები?

_ ხომ არ გგონია, წვრილმანებზე დავხურდავდი? შესაფერისი წიგნი ვიყიდე: “როგორ ფართოვდება სამყარო”! _ ამაყად განვაცხადე მე. _ რომ კითხულობთ გაზეთებში _ ირანიო, საფრანგეთიო, ამერიკაო, ავსტრალიაო, _ ჩემი მასშტაბი სულ სხვაა _ სამყაროს წარმოშობა, წარსული, აწმყო და მომავალი! აი, გაქანება! ისწავლეთ, შვილნო, კარგი მაგალითი თვალწინ გაქვთ!

_ მერე, ცოდვა არ არის, რიგით მეცნიერ-მუშაკად რომ მოღვაწეობ?! _ ნიშნის მოგებით თუ დაცინვით თქვა ბაბუცემ. _ მე შენ დაგნიშნავდი...

_ დირექტორად! _ არ დააცალა ლადიკომ.

_ გაჩერდი, ბიჭო! ეგეთი მკვირცხლი თუ ხარ, მაგ ანგარიშს მოუარე, გირჩევნია, რა ხანია, ერთ ადგილზე ხარ გაჩერებული! _ ჩაუნისკარტა ბაბუცემ. _ ბედოვლათო, იცოდე _ დირექტორი მე უნდა გავხდე! ჰოდა, პეპეს დავნიშნავდი... ჩვენი ბიბლიოთეკის გამგედ! დღედაღამ ცხვირი ისედაც წიგნებში აქვს ჩარგული და მთლად აშენდება კაცი!

_ ა-ა-ფცხი! _ ისე ბარაქინად დააცემინა ცხვირი ლადიკომ, რომ ერთხმად ცხვირის კიდევ გაზრდა ვუსურვეთ.

_ ე, ხომ ხედავთ, დამიდასტურა! _ გააგრძელა ბაბუცემ. _ ჰო... სანდროს დავნიშნავდი... გარაჟის გამგედ! სულ მანქანებს დასტრიალებს მისი გონება: ან მანქანას უკირკიტებს, ან მანქანებზე ლაპარაკობს, ან კიდევ მანქანებზე ფერად-ფერად სიზმრებს ნახულობს!

_ ა-აფცხი! _ ისევ დაუკრა კვერი ლადიკოს ცხვირმა.

_ სილიას დავნიშნავდი... პირდაპირ პენსიაში გაგიშვებდი, შე უჯიშო! დაყიალობ სამსახურში ზევით-ქვევით უთავბოლოდ, ყველგან უნდა შეიჭვრიტო და მოაცდინო ხალხი, ლაქლაქის მეტს არაფერს აკეთებ!

_ ა-აფცხი!

_ ა, ხომ ვარ მართალი!

_ ლადიკო გადავიყვანოთ დირექტორის მოადგილედ, _ არობრობდა სილია, _ მგელიკას ჯერ სიტყვა არ ექნება დამთავრებული, რომ მაშინვე თანხმობას ბრძანებს!

_ ა-აფცხი!.. სად ოხრობაში გავცივდი!

_ ლადიკო, დაბრუნდა გამყინვარების პერიოდი ტვინში? შენს ტვინს კიდევ ანთება აკლდა?

_ საბედნიეროდ, ტვინი არ აქვს, ასე რომ, ეგ საშიშროება გამორიცხულია!

_ ბედი არ გინდა? რა ნიჭი იღუპება! სადმე შეჯიბრი მაინც ტარდებოდეს ცხვირის დაცემინებაში, ლადიკოს პირველი ჯილდო ჯიბეში აქვს!

_ ა-აფცხი! _ ცხვირსახოცს ამაოდ იჭერს ცხვირზე ლადიკო, არაფერი შველის: _ ა-აფცხი!

_ ბარაქა, ლადო, ბარაქა!

_ სასწაულია! _ თვალებზე მომდგარ ცრემლებს იმშრალებს ლადიკო. ამ ამოჩემებულ სიტყვას ხშირად ურთავს ხოლმე საუბარში და კონტექსტის მიხედვით სულ სხვადასხვა ემოციას, აზრსა თუ განწყობას გამოხატავს; ამ შემთხვევაში ალბათ აღნიშნავს გაკვირვებისა და აღშფოთების ნარევს.

_ ძაღლის ბედი გაქვს, ლადიკო, დემონსტრაციაზე წასვლას გადაურჩი! _ ხვიხვინებს სილია. _ მოყუჩდი ბედნიერად შინ ტელევიზორთან და აცხიკვე, რამდენიც გაგიხარდება. ჩვენ რომ ტრიბუნებს ჩავუვლით, ხელს დაგიქნევთ _ გააგრძელე ნაყოფიერი მოღვაწეობა ცხიკვების ფრონტზე!

_ შენს ადგილზე თავს შევინახავდი, _ ეუბნება ლადიკოს სანდრო; _ დღეს შესვენებაზე მგელიკა გვეძახის ინსტრუქტაჟზე და იქ აცხიკვე გემოზე, დაუფრთხე ანგელოზები!

_ მგელიკა მაგიდაზე ახტება და იქიდან რიხიანად გასცემს ბრძანებებს: “აბა, ერთხმად _ ვაშა! ვაშა-ა!.. არ ვარგა! აბა, ერთხელ კიდევ: ვაშა-ა! ვაშა-ა!.. ახლა გაიარეთ! ფეხი გამართეთ! ხელები კარგად გაიქნიეთ, ენერგიულად, ენერგიულად!”

_ დავეწყობით კოლონებად და ბედნიერი სახეებით ვივლით მაგიდის გარშემო!

_ პირველ კოლონას წინ წაუძღვება მგელიკას მოადგილე პალიკო პოლოლიკაშვილი, მეორეს _ კვიპრიანე კურკუმია!

_ ხელთ დავიჭერთ ლოზუნგებსა და ტრანსპარანტებს: “დაჩქარება!”, “საჯაროობა!”, “მეტი დემოკრატია!”

_ ა-აფცხი! ა-აფცხი! ა-ა-აფცხი!

_ მაგიდაზე ამძვრალი მგელიკა ზევიდან დაგვცქერის და იღუშება: “დღეს ზოგიერთები რაღაც არ მომწონს, ლოზუნგებს საკმაოდ მაღლა არ სწევენ, არც საკმარისად გულღიად იღიმებიან... რა მოხდა? დღეს დაშაქრული ჩაი არ დაგილევიათ თუ პურზე კარაქის წასმა დაგავიწყდათ? დღესვე დაწერთ განცხადებას და დატოვებთ ჩვენს ერთსულოვან კოლექტივს!”

_ ძალიან ბევრს ვიცინით ამ ბოლო დროს და ცუდი ბოლო არ ექნეს ჩვენს კინკიცობას, მართლა არ მოგვიწიოს სამსახურიდან წაბრძანება.

_ რა დონეზე უნდა ჩავაწყო საქმე, რომ სამსახურში შემამცირონ? გამიშვებენ, თორემ ხუთასმანეთიან თანამდებობას დავკარგავ! _ ამბობს სანდრო.

_ ვაი, შე უბედურო, ხუთასი მანეთი შენ ფული გგონია? მაგდენს ბატონი მგელიკა თვეში მარტო სასმელებზე ხარჯავს! ყუთებით აგზავნის “საჭირო” ხალხთან მოსკოვში! _ ეუბნება სილია.

_ ამას წინათ ავტობუსის გაჩერებაზე ლაპარაკს მოვკარი ყური _ ერთი სქელი ვიღაცა ეუბნებოდა მეორეს: “მე შენ ნორმალურ ადამიანებზე, კაცებზე გეუბნები; მათხოვრებზე, ხელფასის შემყურებზე კი არ გელაპარაკები!”

_ ვაი, ჩვენს თავს, უკვე ადამიანებადაც აღარ ვითვლებით! პატიოსანი ადამიანი საგინებელი ცნება გახდა... _ ამბობს ბაბო.

_ უნდა დაგეძახა სანდროსთვის და იმ ორ ვაჟბატონს დაუგრძელებდა ყურებს!

_ კაცო, რატომ ვერ მიყენებ? უნდა შეაშინო: “გაჩერდი, შე ჩერჩეტო, თორემ სანდროს ვეტყვი!”

_ მიდი, გაასწორე, სანდრო, ქვეყანა!

_ ქვეყანა მე კი არა, ბულდოზერმა ვერ გაასწორა!

_ ქვეყანა ღმერთმაც ვერ გაასწორა, სანდრო, გული ნუ დაგწყდება!

_ ა-აფცხი!

_ თქვენ წადით დემონსტრაციაზე, იქნიეთ დროშები და აღეთ პირები, მე კი შვიდ ნოემბერსაც სამსახურში მოვალ და რვაშიც! ვიმუშავებ ვირულად!

_ რათა, სანდრო, რა დააშავე?

_ რაც წელს გავაცდინე ან სამსახურში ვიყალთაბანდე, მინდა ავანაზღაურო! დროის ფასი არ იცით, ამხანაგებო, ოქროს წუთებს უაზროდ ფლანგავთ! მერე დაფიქრდებით და მწარედ ინანებთ!

_ ეპოქალური აღმოჩენა! დრო შემცირდა, შეიკვეცა, დანაოჭდა, მომჩვარდა, მოიკუნტა! წინათ ყველა ყველაფერს ასწრებდა, არც არავის სადმე ეჩქარებოდა, ნელ-ნელა ირჯებოდნენ; დროც ყველაფრისთვის ჰყოფნიდათ. ის კი არადა, თავისუფალიც რჩებოდათ... აიღეთ თუნდაც მწერლები. ჩვენი კლასიკოსების ნაღვაწი ათობით ტომია! დღევანდელ ჩვენს მწერლებს შეადარეთ _ ერთი-ორი მჭლე წიგნაკი თუ გამოაცხვეს გაჭირვებით და იმას ისევ და ისევ ბეჭდავენ.

_ გადავიდეთ იჯარულ მეთოდზე! ისე დაძაბულად უნდა ვიმუშაოთ, რომ ყურებიდან ბოლი გამოგვდიოდეს! გამოიხედავენ მეზობელი შენობებიდან _ ფანჯრებიდან ბოლი გამოდის! ხალხი ღელავს, რა მოხდა, რა ამბავიაო! ჩვენ კი ერთ წუთსაც არ ვკარგავთ უქმად, კიბეებზე სასიარულოდ ვის სცალია, სართულიდან სართულზე სწრაფად გადასასვლელად გავაკეთებთ ლითონის ბოძს, როგორც მეზღვაურებსა და მეხანძრეებს აქვთ _ პირდაპირ ჩავსრიალდებით წამში ქვევით!

_ ჯერ, რა თქმა უნდა, სილია ბატონს ჩავაგდებთ ქვევით, აბა, ასოცკილოიანი მუტრუკი თუ დაგეცა თავზე, სად მიდიხარ!

_ რას დაგიფჩენია, სილია, პირი, რას ჭიხვინებ, კბილის ექიმთან ვერ მიხვალ დროზე?

_ არა, დათქმული მაქვს, კბილებს მანამ არ ჩავისვამ, სანამ საქართველო მონობაშია!

_ სადამდე მიხვედი, კაცო, დაანგრიე უკვე იმპერია? აბა, უცადე შენ და იყავი. ბავშვობაში გადავარდნილი ქე ხარ რა ხანია, იქნება თავისით ამოგივიდეს კიჭები., _ მიხვდით ალბათ, ბაბო ეტყოდა.

კარი გაიღო და თავი შემოყო დირექტორის მდივანმა ნანულიმ _ მგელიკა ცხვრის ფარას ანუ ჩვენ, საშვიდნოემბრო დემონსტრაციის მომავალ მონაწილეთ, გვიწვევდა ინსტრუქტაჟზე _ ვის რა ლოზუნგები დაეჭირა ხელში, როდის და როგორ გვეყვირა "ვაშა-ა!" და ასე შემდეგ.

_ ა-ა-აფცხი!.. ა-ა-აფცხი!..

XXV წკიპურტი. სანდროს "თეატრი"

ო, როგორ მინდა, უფრო ახლოს გაგაცნოთ ბატონი სანდრო!

სანდროს სახეზე მუდან ღიმი უკრთის, კაცს ეგონება, ამ ას კილოზე მეტი წონის კაცს არაფერი აწუხებს, დარდი რა არის, არ იცისო. დარდსა და საფიქრალ-საწუხარს ცოცხალ ადამიანს რა გამოულევს, მაგრამ სადარდელს აყოლა საქმეს რას წაადგება? სოფლის ჭირ-ვარამისგან ფარად სიცილი და ირონია აქვს. ზოგჯერ გარეგნულად ვერც მიუხვდები, ხუმრობს თუ სერიოზულად ამბობს რასმე. ამას წინათ ჩვენს ოთახს ესტუმრა მაყვალა ქიცმაცურაშვილი _ სამოც წელს მიტანებული ქალი, გაპრანჭული ყოველმხრივ, ლაპარაკითაც და ჩაცმულობითაც.

_ მაყვალა, ჭიათურა სოფელია? _ შეეკითხა სანდრო.

_ უი, რას ამბობ! _ შეიცხადა მაყვალამ, _ ქალაქია, არ იცოდი?

_ თუ დაბაა? _ არ შეეშვა სანდრო.

_ ქალაქია, ნამდვილად ქალაქია, ყველაფერს გეფიცები!

_ შენი გვარის ხალხი ბევრი ცხოვრობს იქ? _ კვლავ სერიოზული სახით ეკითხება სანდრო.

მაყვალა იბადრება, საყვარელ თემაზე ლაპარაკი უსასრულოდ შეუძლია _ ჰყვება თავისი გვარის ბრწყინვალებაზე...

_ ჩვენ ტახტის აზნაურები ვიყავით, აბა!

_ კი, ვიცი, შენი წინაპარი თავადებმა ძაღლზე გაცვალეს და ამაში აზნაურობა მისცეს! _ მოულოდნელად წკიპურტი უთავაზა სანდრომ. _ ნახული მაქვს ის შენი ძველი სიგელ-გუჯარიც _ პაპაშენის მამას და მეორე მისნაირ "ტახტის აზნაურს" ერთი საზიარო ყმა ჰყავდათ!

გამტკნარებული მაყვალა უსიტყვოდ შებრუნდა და გავიდა ოთახიდან.

_ სულ არ მინდოდა მაყვალას წყენინება, მაგრამ ნამეტანი იბრიქება თავისი წარმოშობით... _ სანდრო დამნაშავესავით იღიმება, თავს უხერხულად გრძნობს და ამის დასაფარავად სხვა ამბის მოყოლას იწყებს.

_ იცით, ჩემმა ვასკამ რა იკისრა? (ვასკა სანდროს სიამის კატას ჰქვია). ამას წინათ მაგიდაზე ჭიქით ღვინო დაგვრჩა, ჰოდა, ვასკას არ ამოუწრუპავს?!. ეზოში ხმა გავარდა: "ვასკამ დალია!" დაიზაფრნენ ჩვენი და მიმდებარე ეზოების კატები _ ვასკას დალევა ვინ გაიგონა! როგორ შეიძლება, ვასკამ დალიოს, ხომ დახოცა ყველა!!! ჩაბრძანდა ვასკა ეზოში _ გაბღენძილი, გაფუყული. დიდ გულზეა: აქ ერთ კატას შემოჰკრა თათი _ ძველი ანგარიშები ჰქონდა! იქ მეორეს ჰხია ყბაში _ თვალში არ მოსდიოდა მისი ქცევა... მოკლედ, მიფანტ-მოფანტა მტრები, მოყვრებსაც თავი მოაწონა და ნასიამოვნები დაბრუნდა შინ კრუტუნ-კრუტუნით...

_ სანდრო, ის როგორ იყო, ჯგალში შენ რომ დალიე; რა ჰქვიოდა იმ ბოლო სადღეგრძელოს? _ ვეკითხები სანდროს, მინდა, ერთხელ კიდევ მოჰყვეს ათასგზის მონასმენი.

სანდროსთვის ერთხელ თხოვნაც საკმარისია, უმალ იწყებს ახალ ამბავს.

_ ჯგალში მაგარ პურ-ღვინოზე მოვხვდი. უამრავი ხალხია და სუფრა ხომ _ რა გინდა სულო და გულო. ადგილობრივმა თამადამ ჩაის ჭიქები მოითხოვა ბლომად. “ჩვენ აქ ასეთი წესი გვაქვს, პატენი, _ მეუბნება თამადა, _ პირველ სადღეგრძელოს ერთი ჭიქით ვამბობთ, მეორეს _ ორით და ასე შემდეგ”. “სულ რამდენი სადღეგრძელო იქნება?” _ ვეკითხები. “თორმეტი! მეთორმეტე სადღეგრძელო თორმეტი ჩაის ჭიქით დაილევა! ბოლო სადღეგრძელოს ჩვენ “დიდ დათვს” ვეძახით!” “იფ, რა კარგია! _ მხიარულად ვამბობ, _ დავიწყოთ აბა!” დავლიეთ პირველი სადღეგრძელო ერთი ჭიქით, მალე _ მეორეც ორ-ორი ჭიქით. რამდენიმე კაცი კიდევ შემოგვესწრო, უკვე სამ-სამი ჭიქით ვამბობდით სადღეგრძელოს. ახალმოსულებს ძველი სადღეგრძელოები აპატიეს, ოღონდ სამ-სამი ჭიქა კი მოაყუდებინეს. “ძალიან კარგია, მშვენიერია! _ ხშირ-ხშირად ვამბობ თამადის გასაგონად, _ აბა, ახლა ოთხ-ოთხი ჭიქა მივაწყოთ ერთმანეთთან!” ვხედავ, თამადამ ცხვირი ჩამოუშვა. ეს სადღეგრძელოც დავლიეთ. გავიხედე _ სუფრის წევრები ნელ-ნელა იპარებიან. თამადაც შეფიქრიანებულია, მაგრამ სად წავა. ძლივძლივობით გამოწურა ოთხი ჭიქა. “ძალიან მომწონს, _ ვიძახი, _ ხუთ-ხუთი ჭიქა დავლიოთ, მერე _ ექვს-ექვსი, შვიდ-შვიდი... იქაც რაღა დარჩა, რამდენიმე სადღეგრძელოც და ავალთ თორმეტამდე!” თამადამ მორიგი სადღეგრძელო თქვა, სამი ჭიქა ძალისძალათი გამოწრუპა, დანარჩენები გვერდზე გადადგა და ძლივს ამოღერღა: “აღარ შემიძლია!” “რა არ შეგიძლია, _ შევაგულიანე, _ ერთი კარგად ამოისუნთქე და გადაუშვი! ვაჟკაცი არა ხარ? სად წაგვივა, ცოტაღა დარჩა! მერე ექვს-ექვსი დავლიოთ! წყვილ-წყვილად, მერე _ კენტად, მერე _ ისევ წყვილ-წყვილად და ასე _ “დიდ დათვამდე”! ეს რა კარგი წესი გქონიათ, აწი სულ ასე უნდა ვსვა, ძალიან, ძალიან მომწონს!” თამადა ადგა სკამიდან და გასვლა დააპირა. “მოიცათ, მოიცათ, _ გავაჩერე, _ მე ხომ არ დამილევია, სად მიბრძანდებით?” მოვიყუდე და ხუთივე ჭიქა ციმციმ გადავუშვი ყანყრატოში. “ახლა ექვს-ექვსი დავლიოთ, რა კარგია!” _ სიამოვნებით მოვიწმინდე ხელისგულით ტუჩები. თამადა უკანმოუხედავად გავარდა კარებში, სხვებიც მიჰყვნენ. მეორე დღეს იქაურები კითხულობდნენ ჩემზე: ვინ არის ის კაცი, თამადას მისი შეშინება უნდოდა და თვითონ გაფუჭდაო.

ძალიან მწყინს, რომ მკითხველი ეცნობა ბატონ სანდროს ნაამბობს წერილობითად, გადმოცემით და არ აქვს საშუალება, თვალნათლივ ნახოს სანდროს “თეატრი”, რომელშიც ასეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება “მსახიობის” სახის გამომეტყველებას, ხელების “ენას”, ხმის ინტონაციურ თამაშს... მისი “რეპერტუარი” საკმაოდ ფართოა, უმეტესად ახალ “ნომრებს” წარმოგვიდგენს, მაგრამ ძველებსაც არ ივიწყებს. აი, ახლაც გაიხსენა, ალბათ მეათეჯერ, როგორ ესტუმრა შინ როიალის ამწყობი.

_ მოვიდა როიალის ამწყობი და მაშინვე ინსტრუმენტის ქვეშ არ შეძვრა? დაფორთხავს იქ. “რა გინდა მაქ, კაცო, რა დაგრჩენია?” _ ვეკითხები. “შენს როიალს ჭია არ ჰყავს, დეკაც მთელია! კარგი ინსტრუმენტია, უჰ, რა ფეხები აქვს! ბრიჟიტ ბარდოს ფეხები მიმიქარია!” _ მეუბნება. ვფიქრობ, რა უნდა, რას აჭიკჭიკდა ნეტავ ასე? “ასეთი როიალის მნახველი არ ვარ, ასეთს ახლა სად იშოვი! ამას რაღაც-რაღაცეები რომ მიუჭირ-მოუჭირო, სრულ ფორმაში მოიყვანო, ამის სადარი ინსტრუმენტი თბილისში არ იქნება! ამას რომ სამას-ოთხასი მანეთი დაახარჯო, ოთხი ათას მანეთად თავისუფლად გაიყიდება, ოღონდ ვინ სულელი გაყიდის! შეიძლება ხუთი ათას Mმანეთადაც გასაღდეს!” “კარგი, _ ვეუბნები, _ მოდი, შენ გაყიდვაში დამეხმარე. შენ რამდენიც გინდა, დაახარჯე და რა ფასადაც გინდა, გაჰყიდე, ოღონდ მე ახლა 1500 მანეთი მომეცი და დანარჩენი შენი იყოს. ინსტრუმენტი თუგინდ ახლავე წაიღე, კარგი? მიგაქვს?” ხმა აღარ ამოუღია, იფიქრა, ეს ვიღაცაა, ჩემზე შეფერთხილი ყოფილაო და როიალის აწყობას შეუდგა.

_ მეც მინდა პიანინოს ყიდვა, _ თქვა სილიამ, _ ოღონდ ცოტა იაფი იყოს. იქნება ფული დამრჩეს და ნაკვეთში სასიარულოდ ნახმარი მანქანა ვიშოვო.

_ მაშინ ჯობს, ისეთი პიანინო იყიდო, რომ შიგ მოტორის ჩადგმაც შეიძლებოდეს, _ ურჩია სანდრომ. _ ნაკვეთში რომ მიგრიალდები, შენი ვახუშტი დაუკრავს, თან გეტყვის: "მამიკო, ტემპს მოუმატე! ცოტა ცოცხლად გათოხნე!"

_ აიჩემა ჩემმა ბიჭმა, მუსიკის სწავლა მინდაო, თორემ მაგაზე არც ვიფიქრებდი. სკოლაში ზარმაცობს, მასწავლებლები ძალიან ემდურიან, შეუძლია და არ სწავლობსო. რა ვიცი, ამას წინათ მე თვითონ მოვამზადებინე მათემატიკაში გაკვეთილი და "საშუალოზე" მეტი მაინც არ დაუწერა მასწავლებელმა.

_ ჯიგარ, იცი, რას გეტყვი? სკოლაში შენ თვითონ უნდა მიხვიდე და კლასის დამრიგებელს უნდა უთხრა: "ქალბატონო, ეს როგორი აყრილ-დაყრილი პარკეტი გქონიათ კლასში, ასე როგორ მუშაობთ?" და დაჰპირდე გაკეთებას. ოღონდ თავი უნდა დაიფასო! შენ თვითონ კი არ გააკეთებ ამოყრილ პარკეტს, ჯერ მოიყვან ერთ ამხანაგს, ვითომ ინჟინერია. ეს "ინჟინერი" ახედ-დახედავს იატაკს და დაჰპირდება მასწავლებელს _ მალე მუშას გამოვგზავნიო. მერე მოვა "მუშა", შენი მეორე მეგობარი. "აბა, მიხედე საქმეს! _ ეტყვის "ინჟინერი" "მუშას" და წავა. "მუშა" ამოიღებს ეპოქსიდის წებოს და ნახევარ საათში საქმე მოთავებულია. მართალია, შენ თვითონაც მშვენივრად შეგეძლო ყველაფრის გაკეთება, მაგრამ ახლა სულ სხვა გემო და ფასი დაედო, გაიგე?

სანდრომ სილიას მხარზე დაჰკრა ხელი და განაგრძო:

_ აი, ჩაქრა სინათლე ოთახში, ვეღარ ვმუშაობთ. სხვა ეტყვის ელექტრიკოსს: "რატომ არ აკეთებ სინათლეს, ბნელა! უამრავი სამუშაო გვაქვს, ვცდებით!" მე სხვა მიდგომას გირჩევ. ელექტრიკოსს ეტყვი: "ვაჰ, ჯიგარო, როგორა ხარ? ის ხარაბუზა ვინა ყოფილა, კაცო, მთავარი ინჟინერი მის მაგივრად შენ უნდა იყო! ის უნიათო ვინ დანიშნა, ა? შენ ერთს რომ შეხედავ, ყველაფერი ცხადია შენთვის! მაგარი ხარ, მაგარი! შენ ჩემი ჯილა ხარ! უნდა მოგებარო მოწაფედ, ხომ მიმიღებ? ცოტა რამეს მეც გამაგებინებ, ერთი შეგირდი შენც გეყოლება! ხანდახან კიბეს დაგიჭერ ან იარაღს მოგაწვდი, როცა მაღლა აძვრები კიბეზე. ჰოდა, ძმურად, ჩვენს ოთახში სინათლე ჩაგვიქრა, გვიშველე! ნათურა გაქვს? კარგი, აბა, გელით, კარგი ბიჭი ხარ, ყოჩაღი!"

_ მართლა მაგარი ხარ, სანდრო, შენ აქ რა გინდა, დიპლომატი უნდა ყოფილიყავი, ყველაზე დახლართულ და საჭოჭმანო საქმეს შენ მოგანდობდნენ. ყველასთან გამონახავ საერთო ენას _ მინისტრთანაც და პატარა ბავშვთანაც! _ გულწრფელად შევაქე სანდრო.

სანდროს ჩემი სიტყვები აშკარად ესიამოვნა, სახეზე ღიმილი კიდევ უფრო გაეფურჩქნა:

_ ახლა მისმინე... _ სანდრო როლში იყო შესული და მარჯვენა ხელის მოძრაობით ვითომ ყველას გვაჩერებდა, ხელი არ შემიშალოთ ლაპარაკშიო, თუმცა ვინ იყო ამის გამკეთებელი, _ პირში მივჩერებოდით ბალღებივით. _ ჰო, ბინას ვცვლიდი, მორიგებული ვიყავი, ძველ ბინაში რადიატორები უნდა შემეცვალა და ისე გადავსულიყავი. მივიყვანე ხელოსანი. ქალი, ვისაც ბინა გავუცვალე, ხელოსანს თავზე ადგა და გული გაუწყალა პრეტენზიებით, ვითომ დიდი სპეციალისტი იყო. ჭიჭყინებს და ჭიჭყინებს, აღარ გაჩერდა და აღარ გაჩერდა... ხელოსანი გაბრაზდა, არ მინდა თქვენი არაფერი, აღარ გავაკეთებო, დაავლო ხელსაწყო-იარაღებს ხელი და წავიდა... წავიდა და წავიდა... მე ავედევნე, ვეუბნები: "მოდი, ცხელა და ერთი სალუდეში შევიდეთ, თითო კათხა დავლიოთ". შევედით. შევედით და მოვითხოვე: "აბა, ერთი ას-ასი გრამი ჩამოასხი! ორ-ორი კათხაც!" გადავკარით არაყი, ხინკალი დავაყოლეთ, ლუდს ვწრუპავთ. "შენ კარგი ხელოსანი ჩანხარ, კაკი ცუდს არ გამომიგზავნიდა!" _ ვეუბნები. "იმ ქალმა კი მომშალა!" _ შემომჩივლა. "იმას რა ესაქმებოდა, კაცო, ჩემს რადიატორზე რომ გამიჭირა საქმე! შტერია ვიღაცა!" _ ვეუბნები. აი, ასე შემომხედა გვერდულად: "ვაჰ, მაშ შევცდი, შენი რადიატორი იყო? _ გაუკვირდა, _ ბოდიში, მე არ ვიცოდი! დავბრუნდეთ და, თუ გინდა, ერთ რადიატორზე ოც სექციას დაგიყენებ, მაგაზე გაწყენინებ?" ეგრეა, ძმაო, ყველა საქმეს თავისი მიდგომა სჭირდება.

_ რა მაგარი ხარ, შე ქართლელო! _ უცებ სილია ეცა სანდროს, აიტაცა ეს ასკილოიანი კაცი ჰაერში და ერთი-ორჯერ დაატრიალა. ჯერ წესიერად ფეხზე არც იდგა სანდრო, რომ ახლა ის თვითონ შეუვარდა სილიას წელში და იოლად ასწია მაღლა, ორ-სამჯერ შეაჯანჯღარა და დააყენა ისევ იატაკზე.

_ უჰ, დავბერდი, თორემ გაჩვენებდი სეირს, შე მართლა ქართლელო!

სანდრო სილიაზე თხუთმეტი წლით მაინც იქნება უფროსი, მაგრამ ასე არიან ერთმანეთთან შეხუმრებულები. სანდრო საერთოდ დიდ-პატარასთან ერთნაირად უბრალოდ იქცევა, ყველასთან გამონახავს საერთო ენას; ჩხუბი და აყალმაყალი არ უყვარს, კომპრომისების დიდოსტატია... სანდრო მე ჯერ გაბრაზებული არ მინახავს.

ღმერთმა სულ გამარჯვებით ატაროს ყოველი მასავით კეთილი ადამიანი!

XXVI წკიპურტი. ლამაზი გოგო მიგოგმანობს ქუჩაში

მოკლედ რომ ვთქვა, ისეთი უჟმური ამინდია, სახელსაც ვერ დაარქმევ. შუა ნოემბერია, ცივა _ მოღრუბლულია, არც წვიმს და არც მზე ჩანს... დიახ, უდღეური დღეა, უფერული; ქარი მაინც იყოს, ხეთა თითქმის გაშიშვლებული ტოტები გაატოკოს, მიწაზე მიმოფანტული ყვითელი ფოთლები ააშრიალოს. ეს დაუდეგარი, მოფუსფუსე ბეღურები სადღა გადაიკარგნენ, ტყუილად დავუყარე საკენკი? ერთიც არ ჩამოჯდა ფანჯრის მიღმა დაყრილ პურის ნაფხვენებთან, ნუთუ ისინიც ჩვენსავით სხედან თავთავიანთ ბუდეებში და ნაცრისფერ გარემოს გაჰყურებენ მოწყენილნი?

სამსახურში მაინც არ ვიყო _ გავივლიდი, გამოვივლიდი, თვალს წყალს დავალევინებდი; მერე წიგნების მაღაზიაში შევიდოდი ან რომელიმე გამოფენას ვნახავდი; იქ მაინც გაჭიატდებოდა სურათზე გემრიელი, თბილი ფერი _ მეწამული, ნარინჯისფერი, ყვითელი; მწვანე ბალახი მომენატრა და ხასხასა ლურჯი ცა, ზედ რომ ღრუბლის თეთრი კრავი მიბალახობს...

ოთახში მსხდომთ სასაუბროც შემოგველია, ვერც საქმეს ვუდებთ გულს _ სულ საათზე ვიცქირებით, თუმცა შესვენებამდე ჯერ კაი ძალი დროა დარჩენილი.

ისევ ეზოში ვიცქირები, ეზოს იქით, ქუჩაში დროდადრო გამოჩენილ მანქანებს მზერას ვაყოლებ. ეზოში დადგმულ რკინის მაგიდას უსაქმო შოფრები შემოსხდომიან; დომინოს კი აჭახუნებენ, მაგრამ ჩვეული ყაყანი რატომღაც არ ისმის. გვერდზე რომ ხუხულაში სადურგლო სახელოსნოა, გული გვაქვს ხოლმე გაწვრილებული დილიდან საღამომდე ყურისგამხვრეტი ჟღრიალით, ახლა იქიდანაც კი არ ისმის ჩამიჩუმი. არც ორი შავი ძაღლი ჩანს, მუდმივად რომ ერთმანეთს დასდევენ და თამაშ-ჭიდაობენ, ბღლარძუნობენ...

გადაირევა კაცი! უთავბოლოდ დავბორიალობ ოთახში. სხვა ოთახებში ხომ არ გავისეირნო? თუმცა, იქ რაღა გავაკეთო _ დღევანდელი გაზეთები თითქმის ზეპირად ვისწავლე, ფეხბურთის ამბებიც ვღეჭეთ-გადავღეჭეთ, ამინდზე საჩივარი ხომ ყელში ამოგვივიდა... ბაბო მაინც მოგვიყვეს თავისი შვილების ოინებს _ ქსოვა მობეზრებია და მაგიდაზე პირქვე დამხობილს, თავი მკლავებზე დაუდვია, თვლემს; ლადიკო პასტიანი კალმისტრით რაღაც აბსტრაქტულ ნახატს ჩაჰკირკიტებს, დროს ჰკლავს; სანდრო გამალებით წერს რაღაცას, სათვალეს თითქმის არ იცილებს _ რამდენიმე დღეში ანგარიში აქვს დასაცავი.

ისევ ფანჯარასთან გავჩერდი და ნაცრისფერ გარემოს გავცქერი. ოდნავ დაბურუსებულია ყველაფერი; ეზოში თუ ვინმე გაივლის, მეჩვენება, თითქოს ზოზინით მიიზლაზვნება, აპათიურად მიაბიჯებს _ უაზროდ და უმისამართოდ...

მოსახვევიდან ქალიშვილი გამოვიდა...

ენერგიულად მოადგამს ნატიფად ჩამოსხმულ ფეხებს, რიტმულად ირწევა კაბის ქვედატანი; კოხტად მოგოგმანობს, ამაყად მოყელყელაობს _ დედოფალივით!

თვალები დავაჭყიტე!

_ ბიჭებო, ნახეთ, რა გოგო მოდის! _ წამოვიძახე.

ერთ წამში ლადიკო და სანდრო ფანჯარასთან გაჩდნენ, კისრები წაიგრძელეს. ბაბომ მხოლოდ თავი ასწია და ირონიულ ღიმილში დაუნაოჭდა ტუჩთა კუთხეები.

_ ნელა, შენ გენაცვალე, ცოტა ნელა! _ ლოცვასავით ჩურჩულებს ლადიკო.

_ ამ სიცივეში სად მისეირნობს ჩაუცმელი? პალტო ვერ უყიდა პატრონმა? _ უკვირს თვალებადქცეულ სანდროს.

თანდათან გვიახლოვდება მხიარული, მოზეიმე ლაქა: თავზე _ ცისფერი ბერეტი, ტანზე _ ღუდღუდა წითელი ჟაკეტი და შავი ქვედატანი; ფეხზე _ ასევე შავი წინდები. პაკიპუკით მოადგამს თეთრ, მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს, რაღაც განსაკუთრებული ელეგანტურობით მოარხევს გაშლილ მხრებს და ნაზად, ნატიფად იქნევს ხელებს _ კეკლუცად, ნარნარად... თითქოს ცეკვა-ცეკვით მოცურავს, თავმომწონედ და გამომწვევადაც კი.

_ გოგოვ, შეჩერდი ერთ წამა! _ ვერ ისვენებს ლადიკო.

_ აქვე ცხოვრობს ალბათ, სადმე ახლოს მიდის, ნათესავთან ან ამხანაგთან, _ ვარაუდს გამოთქვამს სანდრო, თან ლამის არის, ფანჯრის მინა ცხვირით გაანგრიოს.

ქალიშვილი უკვე მოგვიახლოვდა _ ამაყად აწეულ შავთვალწარბა სახეზე ანათებენ დიდრონი მუქი თვალები. აქეთ-იქით არც კი გაიხედავს, მოდის, მოარწევს კაბის ბოლოს, თვით კი _ გამართული, აშოლტილი, საკუთარი სილამაზის ძლევამოსილებით აღსავსე...

_ რა მოხდა, რამ გადაგრიათ! _ ბაბოც მოსულა ფანჯარასთან და გვეჯიკავება, იმასაც უნდა გარეთ გაიჭვრიტოს. პასუხისთვის ვის სცხელა!..

სანდრო და ლადიკო უცებ გიჟებივით მოწყდნენ ადგილს, ბაბო კინაღამ გადათელეს და დერეფანში გავარდნენ, იქიდან ქუჩის მხარეს მდებარე ოთახში შეცვივდნენ _ ქალიშვილი ჩვენი შენობის კუთხეს მიეფარა.

_ უი, გაგწყვიტათ ჭირმა! _ ვერ გაიგებ, ხუმრობით თუ მართლა იწყევლება ბაბო, ისეთი ორაზროვანი ღიმილი დასთამაშებს სახეზე და თავის მაგიდას უბრუნდება, უჯრიდან საქსოვს იღებს.

მე კი ისევ ვდგავარ ფანჯარასთან, ნაღვლიანად მეღიმება, თვითონაც არ ვიცი _ რატომ.

იქნებ იმიტომ, რომ...

თითქოს მზემ გამოანათა... თუ მომეჩვენა?

სხვა თვალით ვუყურებ ეზოსა და ქუჩას... აკაციის შავი, ხორკლიანი ტანები და გაფარჩხული ტოტები საოცრად უხდება ასეთ მიმქრალ, თითქმის მონოქრომულ, მაგრამ ნახევარტონებით მდიდარ, ქალაქურ გარემოს; სახლთა ნაცრისფერი კედლების ფონზე პეიზაჟს თავისებური მომხიბვლელობა, სევდიანი მელოდია ჰქონია...

თუ იმედი მაქვს, რომ ქალიშვილი უკანაც გაბრუნდება?

XXVII წკიპურტი. ბოზბაში სჯობს თუ ჩიხირთმა?

როცა ოთახში საჭმელებზე ჩამოვარდება საუბარი, ეს იმის ნიშანია, რომ სამუშაო დრო თითქმის მიიწურა და თანამშრომლები ოცნებით უკვე შინ არიან მისულნი _ გაწყობილ სუფრას დაჰყურებენ ნეტარებით...

ამჯერად თითქმის ერთი საათი უნდა ვიყურყუტოთ კიდევ სამსახურში, გასტრონომიულ თემებზე საუბარი კი საკმაოდ გახურდა.

_ იფ, _ ლადიკომ სალოკი თითი გადაისვა საულვაშეზე, _ თქვენი არ ვიცი და მე ამჟამად დიდი სიამოვნებით მივირთმევდი ჩიხირთმას... მე რომ მეჯვრისხევში ჩიხირთმა ვჭამე, იმის გემო ახლაც მახსოვს!

_ მეჯვრისხევში? _ დამამცირებელ-აგდებულად მოწკურა თვალები სანდრომ, მერე სკამიდან წამოდგა, შუა ოთახში თეატრალურად დადგა _ ფეხები გან-გან დააწყო, მუშტები წელზე შემოიწყო ყოჩ მოჭიდავესავით, მომცრო ღიპი წინ გადმოაგდო, კონფერანსიესავით გაიღიმა და საზეიმო ტონით გვაუწყა: _ არა, ძმაო, ჩემი ძალუას Bბოზბაშს არაფერი სჯობდა და დარწმუნებული ვარ, შენი მეჯვრისხევული ჩიხირთმა მასთან ახლოსაც ვერ მოვა, დიახ!

_ შენ რა იცი, ეგრე თავდაჯერებით რომ ამტკიცებ? _ ცოტა არ იყოს ეწყინასავით ლადიკოს.

_ ვიცი და იმიტომაც გეუბნები, ალბათ ლუარსაბ თათქარიძის რეცეპტით აკეთებდა! _ მოუჭრა სანდრომ სიცილით.

_ ბოზბაში ჯობს თუ ჩიხირთმა? _ ავყევი სიცილში მე, _ საკითხავი აი, ეს არის!

_ გააჩნია, ვინ გააკეთებს. ძალუაჩემი ბოზბაშს ასე აკეთებდა... _ აგრძელებს სანდრო და გემრიელად ილოკავს ტუჩებს, _ გინდათ რეცეპტი? მოხარშავ საქონლის ხორცს ძვლებიანად, ხარშვის დროს ჩაყრი შიგ რამდენიმე ნაჭრად დაჭრილ ხახვს, ხარშვის ბოლოს შეაზავებ მარილით, დაასხამ დიდ მათლაფაზე და მიირთმევ გემრიელად! ჰო, დამავიწყდა, ჭამამდე წვრილად დაჭრილ ოხრახუშს მოაყრი... არაფერი სჯობს ბოზბაშის ჭამას! რის ჩიხირთმა, რა ჩიხირთმა! თანაც ჩემი სიმამრის საფერავი ზედ!.. იფ!

_ შენ რა იცი ჩიხირთმის გემო! _ ხელი აიქნია ლადიკომ. _ მოდი, ჩვენს კახელ პროფესორს, რეზოს გავესაუბროთ ამ საკითხზე.

დავუძახეთ რეზოს მეექვსე ლაბორატორიიდან _ შემოანათა თავისი მბზინავი მელოტი თავი, შავ ულვაშებში ღიმილი უკრთოდა. რეზო ჭამა-ყლაპვის საკითხებში მართლაც საყოველთაოდ აღიარებული დიდოსტატია და, ცხადია, ჩვენ ყველანი მოწაფეებივით თვალებში შევყურებთ მაესტროს.

_ ჩიხირთმაზე რა მოგახსენოთ... _ დაიწყო რეზომ ხელების ფშვნეტით, _ ჩიხირთმას ქალურ საჭმელებს მივაკუთვნებ, ქალების გასაკეთებელს; ისე, ძალიან აზიზია, სულ უნდა თავს ადგე და ურიო. ქათამია ყველაზე რთული პრობლემა ჩვენს დროში _ უნდა აუცილებლად სოფლის დედალი იშოვო, რომ კარგი წვენი ჰქონდეს, ახლა რომ ბულიონს ეძახით, აი, ისა. დეიდაჩემის ქათამს თეძოს რომ გადაუხსნიდი, ყვითლად მოჩანდა, აი, ის იყო ქათამი!.. მოკლედ მოვჭრა? კარგი, ბატონო. ესე იგი, მოხარშავ დედალს, ცალკე ჯამში გათქვეფ 3-4 კვერცხს, დაუმატებ ფქვილს, დაუმატებ ბულიონის ნაწილს... თხლად უნდა იყოს, თხლად; მოურევ კარგად... საკმაოდ რომ გაითქვიფება, ჯამიდან ყველაფერს ჩაასხამ ცეცხლზე მდგარ ბულიონში; განუწყვეტლივ ურევ წამოდუღებამდე; მერე ამატებ ძმარს გემოვნებით, მარილს, დაჭრილ ქინძს ჩაყრი... ძალიან მიყვარს, უხდება მსხვილ ნაჭრებად დაჭრილი პომიდორი. ჰო, დამავიწყდა, დედალს რომ ხარშავ, უნდა ჩაყარო 3-4 თავი ხახვი და რამდენიმე კბილი ნიორი. კიდევ ერთი: მაცივრიდან როცა გამოიღებ, აუცილებლად თავახდილი უნდა გააცხელო, თორემ აიჭრება...

_ ბოზბაში?

_ ბოზბაშის რეცეპტიც გითხრათ? კეთილი... ჯერ დუმა უნდა მოხარშო. ცალკე ბლომად ხახვს ხრაკავ კარაქში, უმატებ ტომატის პასტას ან ბლომად პომიდორს, აგრეთვე ტყემალს... იმ დუმის ნახარშში ჩაუშვებ ყველაფერ ამას და შემდეგ ყრი შიგ აგრეთვე ადრევე მომზადებულ გუფთას _ საკატლეტე მასალას, ამოვლებულს მანანაში. ჰო, კვერცხი უნდა დაუმატო, რომ არ ჩაიშალოს. დუმას კეპავ წვრილად და იმასაც შიგ ყრი. მთავარია, არ ჩაგეშალოს.

_ არა, ეგ არ არის ბოზბაში! _ ცხარობს სანდრო.

_ გაჩერდი, შე ქართლელო, კახელს ასწავლი ბოზბაშის კეთებას? _ დასცინის სანდროს ბაბო.

_ მაშ, ბოზბაში სჯობს ჩიხირთმასა?! _ ვკითხულიბ მე.

_ მე ორივე მომწონს, ნეტა ახლა აქ გვქონდეს ან ერთი, ან მეორე და რეცეპტს დავეძებ?

_ ე, ბიჭო, ათი წუთი გადასცილდა ამ ქაქანში! _ იყურება საათზე სანდრო. _ წავედით!.. რა გვაჩხუბებს, შინ არავის დაგვწვავს პირს არც ჩიხირთმა და არც ბოზბაში!

მკითხველო, თუ ღიმილს არ მოგგვრის ზემოთქმული, იმედი მაქვს, სხვა მხრივ მაინც გამოგადგება: ამოხევ ან კოხტად ამოჭრი (ტემპერამენტს გააჩნია) და სამზარეულოს რეცეპ-ტების წიგნში მიუჩენ ადგილს.

XXVIII წკიპურტი. ტრიუმფის შემდეგ

თქვენ გგონიათ, ჩვენს მხიარულ ოთახში მხოლოდ წვრილმან თემებზე ვსაუბრობთ? ოჯახის ამბები, შვილთა მიღწევები თუ ფათერაკები, ფასები ბაზარში, როგორ გაჭირდა ცხოვრება ეკონომიკურად, როგორ გაფუჭდა ქვეყანა, უსინდისოთა პარპაში სულ უფრო მძლავრობს... ხანდახან ჩვენი საუბრის თემა არა მარტო ქვეყნის ავ-კარგს მიმოიხილავს (ბოლოს და ბოლოს, გაზეთს ყველანი ვკითხულობთ და ტელეგადაცემებსაც ვუყურებთ ყო-ველდღე), არამედ არცთუ იშვიათად მსოფლიო ასპარეზზეც გავინავარდებთ ხოლმე და გა-ერთიანებული ერების ორგანიზაციის სხდომის მინიმოდელს გამოვაცხობთ. ამ დროს ზო-გიერთი სახელმწიფოს მეთაურს თუ პრეზიდენტს უმწვავესი კრიტიკის ისეთ ქარცეცხლში ვატარებთ, რომ დარწმუნებული ვარ, ამ ოთახში ნათქვამის ართი მესამედიც რომ გადასცენ, მაშინვე თანამდებობიდან გადადგებოდა.

ცხადია, ჩვენს "განჩინებას" ბევრი ხინჯიც გააჩნია _ ხშირად ჭეშმარიტი ინფორმაციის ნაკლებობას განვიცდით ობიექტური დასკვნების გასაკეთებლად, მაგრამ ფრიად დიდი პლუსებიც აქვს: ჩვენ გავურბით დიპლომატიურ ფორმულირებებს, სათქმელს შეულამა-ზებლად და პირდაპირ ვამბობთ, ამასთან ჩვენს დასკვნებს აძლიერებს გამოთქმათა მძაფრი ტონი, ირონია ხშირად აღარ გვაკმაყოფილებს და სარკაზმში გადავიჭრებით...

_ ხალხო, გესმით, რა ბათქაბუთქია, ომი ხომ არ დაიწყო? ნუ გეშინიათ, შამპანურებს ხსნიან, ახალი ხონთქარი ავირჩიეთ! _ გვახარა ერთხელ ლადიკომ მიხაილ სერგეევიჩის გა-მეფება.

_ ხონთქარიც ეგ არის და ფადიშაჰიც! _ როგორც ყოველთვის, ბატონი სანდრო დროუ-ლად, სრული მზადყოფნით აიტაცებს რეპლიკას, რათა სიტყვიერი თამაში შეუფერხებლად გაგრძელდეს. _ მე ის უფრო მაღონებს, მაღაზიებში რომ შამპანური გაქრა!

სპექტაკლში მეც ვერთვები:

_ დავიღუპე და ეგ არის! ხომ იცი, მე სხვას არაფერს ვსვამ!

_ ფოსტა გადატვირთულია, მიხაილ სერგეევიჩთან მისალოცი დეპეშების ნიაღვარი მი-დის! _ ისევ ძველ თემას უბრუნდება ლადიკო.

_ მერე, ჩვენ რაღას ვუყურებთ, მოდი, ჩვენც შევეწიოთ... თან თითოეულმა წერილიც გა-ვუგზავნოთ, _ ამბობს სანდრო. _ კონვერტში თუმან-თუმანის ჩადება არ დაგავიწყდეთ: დი-დი ბანკეტი ექნება და იქნებ ფული არ ეყოს.

_ სადღესასწაულო სუფრაზე გვერდს ვინ დაუმშვენებს? ნიკოლაი ივანიჩი, დიმიტრი ტიმოფეევიჩი, ედიკა, რაფიკა...

_ გდლიანსა და ივანოვს ცალკე პატარა მაგიდას დაუდგამს ოთახის კუთხეში. ეგორ კუზმიჩ, აბა, მიუჯექი იმათო, ეტყვის, ხომ იციო, მე ფადიშაჰი გავხდი და ბუნტი, შფოთი და წყლის ამღვრევა ამიერიდან აღარ გამაგონოთო.

_ სტუმრების სიას რომ შეუტანენ, მიშა დიდ წითელ ფანქარს მოიმარჯვებს და დაიწყებს მიწვეულ სტუმართა გაცხრილვას. “სობჩაკ!” _ გადაუსვამს სქლად, “აფანასიევ!” _ იმასაც, ოღონდ ორ წითელ ხაზს, “ელცინ!” _ ისე მაგრად დააჭერს ფანქარს, რომ ქაღალდი გაიხევა.

_ იაზოვი?

_ ის კარებთან დგას კარისკაცად _ გაჭიმულია, თვალსაც არ დაახამხამებს. მივა მიშა, ხელში არყიანი სირჩა უჭირავს. “მიტიუშა! _ ეუბნება, _ შენ კარგი ბიჭი ხარ, ერთგული დარაჯი. სმენა! თავისუფლად! აჰა, აიღე ჭიქა, ჩემს სადღეგრძელოდ გადაჰკარი! უჰ, რა ყოჩაღი ბიჭი ხარ, მომწონს! ლამაზად სვამ!” _ მიშა ბრუნდება სუფრასთან. რაიას თეთრი სადედოფლო კაბა უხდება. “მიშკა, როგორ მიყვარხარ!” _ და შუბლზე აკოცებს.

_ ლუკიანოვი ოფიციანტია: “რას გვიბრძანებთ?” _ მოწიწებით წელში მოიხრება. ედიკა თავისი გრძელი კუდით, იაკოვლევი ისიც დიდ კუდით, ოღონდ ედიკას კუდთან სად მივა! პრიმაკოვი ვირთხის კუდით... ედიკა იღიმება, ფუმფულა კუდს ნერვიულად ურტყამს იატაკს, იაკოვლევის კუდი ნაზად ირხევა აქეთ-იქით... ძაღლთა სუნი დგას...

_ ჰო, ისმის ღავღავი, წკავწკავი, წკმუტუნი _ სიდიდის მიხედვით. ქვემძრომი ძაღლების რინგია. ზოგს ასაკში შესვლის გამო მოუხეშაობა ემჩნევა, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავი ეგზემპლარია ექსტერიერის მხრივ, სამწუხაროდ, ვერ იმსახურებს მეტ შეფასებას, ვიდრე “ძალიან კარგი”...

_ არა, ცდები, პირიქით, სიბერეში მაგათ ქულები ემატებათ _ გამოცდილება ფული ღირს!

_ ნიშანოვს უბრძანებს: “რაფიკჯან, აბა, ნაბული გააკეთე!” და გადაუგდებს ძვალს.

_ ყველა თითქოს კარგ ხასიათზეა, იღიმებიან, მაგრამ ფრიად ნაძალადევია, თეატრალური ეს ღიმილი _ შიგ ბოღმაც ურევია, შურიც და შიშიც...

_ მიშა კი გუნებაში კვერთხს ათამაშებს, უფრო სწორედ, კომბალს. აწონ-დაწონის, გადაგდებს _ “პატარაა! _ ყვირის, _ უფრო მსხვილი მომიტანეთ!” _ თან კიდევ ერთ სიას ადგენს, როგორი თანმიმდევრობით დაუშვებს ამ კომბალს მავანისა და მავანის თავში: დაატრიალებს, მკლავს გაახურებს, ერთს დასჭყივლებს და სდრუზავს გემრიელად!

_ გვერდით ლუკიანოვი უდგას და ჰკარნახობს: “პირველ რიგში _ იური ვლასოვს! არ დაინდო! აფანასიევს! სობჩაკს!”

_ ბიჭო, სად იშოვის მოსკოვში კომბალს, კარგ მამაპაპურ კომბალს, ჰა? მოდი, გავიდეთ არაგვის ხეობაში, იქ ტყეში შინდის გემრიელი კომბალი გამოვუთალოთ და გავუგზავნოთ, მადლია!

_ ი, შენცა ხარ, რაღა! იმას ელექტრული კომბალი ექნება, უკეთესს ზღაპარშიც ვერ ინატრებს კაცი. შენ, ძმაო, რომელ საუკუნეში ცხოვრობ?! ისეთი ავტომატური კომბალი ექნება, შენი მოწონებული: ოღონდ უბრძანე, წუთში თუნდაც ათას კაცს გალახავს უმაღლეს დონეზე _ გემრიელად, საგულდაგულოდ, სამაგალითოდ...

_ აბა, ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე. მიხაილ სერგეევიჩს მოახსენებენ: “ქვეყანა ყალყზე დგას _ ანტისაბჭოთა ლოზუნგები, გაფიცვები, ანარქია... სასწრაფოდ შევიყვანოთ არასტაბილურ ზონებში კომბლებიანი ჯარი, თორემ უბედურება დატრიალდება! გამოვაცხადოთ კომენდანტის საათი, ავიყვანოთ და დავსაჯოთ, ვინც წყალს ამღვრევს!”

_ რას გვერჩიან, ვინც კი საქართველოში ჩამოდის, ყველა კმაყოფილი ბრუნდება მოსკოვში. აგერ იაკოვლევს დაათვალიერებინეს ყველაფერი, დავით გარეჯშიც კი იყო! შენ თუ ხარ ნამყოფი იქ?

_ არა, კაცო, მის კმაყოფილებას სხვა საფუძველი ჰქონდა: გაფრენის წინ ბაზარში მოახერხა გავლა! შეხედა _ ბაზარია დიდებული! იყიდა მწვანილი, ხილი...

_ ალბათ სტაფილო და ჭარხალი ერთი-ორი კილო პატიაშვილმა უყიდა, თავისი ხელით აურჩია, ხომ იცი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტია.

_ ძალიან, ძალიან კმაყოფილი წავიდა, მის ოჯახს ერთი კვირა არაფერი გაუჭირდება, ტყუილ სუფს მაინც გააკეთებს მისი ცოლი.

_ ეგორ კუზმიჩი რატომ არ გვეწვია? იმას რა, კუჭი არ აქვს?

_ სად სცალია, მეცხოველეობის ფერმებს ათვალიერებს... ნახეთ ტელევიზორში? "ხომ გამოკეთდა კოლმეურნეობა, ხომ კარგია ახლა?" _ კითხულობს იაგორა. გარშემო შემოკრებილი მოიჯარეები თავს უქნევენ, ძროხები ღეჭვას თავს ანებებენ და ისინიც თავს უქნევენ. ზრდილობიანი ძროხების ჯიში გამოუყვანიათ, როცა მაღალი სტუმარი ეწვიათ, ცოხნა შეწყვიტეს. "წინათ ლაფი და ნეხვი იყო ყელამდე, ახლა კრიალებს ყველაფერი, სისუფთავეა, ყველანი თავგამოდებით ვმუშაობთ!" _ ეუბნებიან იაგორას მეძროხეები. მე მეგონა, იაგორა იტყოდა, მეც დამაბით აქო, უკეთეს ადგილს მთელ საბჭოთა კავშირში სად ვნახავო!

_ ედიკაც სულ მოგზაურობს, ოღონდ რა თავგადადებული ვიღაც ყოფილა, კაცო, თავის ჯანმრთელობას სულ არ უფრთხილდება! დღეს რომ ნიუ იორკში და ვაშინგტონშია, მეორე დღეს ჰავანაშია, მესამე დღეს _ ბუენოს აირესში ჩაფრინდება; შემდეგ _ ბრაზილია, მონტევიდეო...

_ ხომ იცი, ედიკა უსაქმოდ ვერ გაჩერდება. შენ მაგას არ იცნობ, ჯერ სადა ხარ _ მოიცა, ეგ ჩაიკოვსკიზეც დაწერს მონოგრაფიას! ნიჭიერი კაცია! მიშკა დაუწერს წინასიტყვაობას, ანდრიუშა _ ბოლოსიტყვაობას...

_ მართლაც, ყველაფერი შეუძლია და შეხედეთ, როგორი მოკრძალებული პიროვნებაა. ალბათ ღამღამობით მემუარებს წერს _ როგორ ჩამოართვა ხელი რეიგანს, რა ანეგდოტი მოუყვა მარგარეტ თეტჩერს...

_ აბა, რა გეგონა! ისევ ხალხისთვის იღვწის, ღამეებს თეთრად ათენებს! მიხაილ სერგეევიჩი მიბრძანდება სადმე და ესეც მისი თავსატეხია, მიწვევა ხომ უნდა გაუჩალიჩოს!

_ საზრუნავი მიხაილ სერგეევიჩსაც საკმარისი აქვს. იმდენს დადის _ ბერლინი, პარიზი, რომი, ლონდონი, ვაშინგტონი... ამდენი მუზეუმის დათვალიერება არ გინდა? თეატრებში სპექტაკლებზე დასწრება... მიღებები, ოფიციალური სადილები... მაღაზიებში სიარულზეც ხომ უამრავი დრო იკარგება. სულ უნდა იფიქრო: რა ჩაიცვა, რა ჰალსტუხი ამოირჩიო, ცოლი როგორ გამოპრანჭო... "რეჩიც" ხომ უნდა გლიჯო _ ერთი, მეორე, მეათე... მართალია, სხვების მიერ წინდაწინ დაწერილს იმეორებ თუთიყუშივით, მაგრამ მაინც დამატებითი დატვირთვაა. სულ უნდა იღრიჭებოდე, ყველას "კარგ ბიჭად" ეჩვენო...

_ თან იმაზეც უნდა იდარდო, უკან წამოსასვლელ ბილეთს იშოვი თუ არა.

_ ეგ პრობლემა არ აწუხებს: იმდენს დაბორიალობს, ყველგან გაიჩენდა ნაცნობ მოლარეს. ჩაუკუჭავს ცოტა ზედმეტს და..

_ რა იქნება, ჩვენც წავიდეთ სადმე? ჩვენ რა, ზანგები ვართ?

_ მოდი, პეპე, რეიგანის რანჩოში წავიდეთ, ვეწვიოთ; როგორ გაუხარდება!

_ ოღონდ ჯერ წინდაწინ დავურეკოთ, ხომ უნდა მოემზადოს. იქნებ შინ შავი პურის მეტი არაფერი აქვს და სტუმართან შერცხვება!

_ ყველაფერს ჯობს, ერთი ბოთლი ჭაჭის არაყი წავიმძღვანიოთ ყოველი შემთხვევისთვის!

_ ეჰ, ხალხი მიდი-მოდის, ევრიპა-ამერიკა თელეს, მე აგერ ქუთაისში ვერ წამიყვანია ბავშვები ბაგრატის ტაძრისა და გელათის სანახავად. არა, ყელში ამომივიდა ეს ინჟინრობა, თავი უნდა დავანებო, ნაღდად!

_ აბა, პოეტობა დაიწყე, ლადიკო, ყველაზე ადვილი ეგ არის! თანაც არაფერი გჭირდება _ ერთ კალამს და რამდენიმე სუფთა ფურცელს შვილს გამოართმევ! დიმიტრი იაზოვი ლექსებს წერს, აგერ ლუკიანოვმა ლექსების წიგნიც კი გამოსცა!

_ არ ჯობდა, დრო არ დაეკარგათ ტყუილად და ლექსები ეწერათ? ცხოვრების გზა გაიმრუდეს.

_ რაზე წერენ ლექსებს, საინტერესოა!

_ ერთი ალბათ, როგორ ირეკლება მთვარის სხივი ხიშტზე, მეორე _ კალამს აწრიპინებს კანონთა კოდექსის სიტურფეზე...

_ ჩვენ ვიკითხოთ, თორემ მაგათ დრო ტყუილად სულაც არ დაუკარგავთ, ძალიან თბილად მოეწყვნენ, _ ამბობს სანდრო, მერე წაიღიღინებს: _ "მთავარია, გქონდეს ფული, რომ არ იყო დაჩაგრული!"

XXIX წკიპურტი. ხელფასს არ მოგვიმატებენ?

ასეთი გაბრაზებული, როგორიც ამ დილით გამოგვეცხადა, ბატონი სილია არასდროს გვინახავს. ტრადიციული ხელის ჩამორთმევაც დაივიწყა და ჩვენდამი _ აფერისტებისადმი, ყალთაბანდებისადმი და ასე შემდეგ _ სიტყვიერი მისალმებაც, პირდაპირ გვაჯახა:

_ საჰაერო ბურთი მინდა, ერთი კილომეტრის სიმაღლეზე რომ ამიყვანოს!

_ რა გინდა, ბიჭო, ამ სიმაღლეზე, _ ჰკითხა სანდრომ, _ უნდა გადმოხედო ქვეყანას თუ უპარაშუტოდ გინდა გადმოხტე?

_ არც ერთი! ბოდიში ქალბატონთან და, _ სილიამ ბაბოს გადახედა, _ ამ დამპალ ქვეყანას მინდა, ზევიდან მოვასაქმო!

_ კარგი ერთი! მიზეზი?

_ შენ რამდენი გაქვს ხელფასი? _ კითხვა შემიბრუნა სილიამ.

_ ას ოთხმოცი მანეთი! _ ამაყად გავიჯგიმე.

_ შედი, აბა, შესვენებაზე კოოპერატივ "სალხინოში" და კარგ ხასიათზე თუ არ დადგები, იმასაც ვნახავ: ციკნის მწვადი 6 მანეთი და 87 კაპიკი, ხბოსი _ 5 მანეთი და 80 კაპიკი, ხაჭაპური _ 1 მანეთი და 80 კაპიკი...

_ შენც რას შედიოდი, ნერვებს ვერ გაუფრთხილდი? _ მოტვლეპილ თავზე ხელი ნაზად გადაუსვა სანდრომ.

_ რა ძალა გედგა, ზეპირად რომ გისწავლია ფასები, თანაც ჩვენც გვანერვიულებ, ნაღდად! _ გაეხუმრა ლადიკოც.

_ შენც ნუ ნერვიულობ, ლადიკო, შენთვის არ შეიძლება, მე ვინერვიულებ შენს მაგივრად, მაცალე! _ უპასუხა სილიამ.

_ როგორ ბავშვივით ლაპარაკობ, ნუ ინერვიულებ, თუ ბიჭი ხარ, როცა 170 მანეთი ჯამაგირი გაქვს და სამი ბავშვი გყავს სარჩენი! _ მართლა დასერიოზულდა ლადო.

_ ეგ რა ჯამაგირია, მგელიკას 500 მანეთი თვიურად მარტო ჯიბის ფულად, სხვების პატივისცემაში ეხარჯება. რასაც შენ ფულს იღებ, იმდენს მგელიკა ფეხსაცმლის გაპრიალებაში აძლევს!

_ შევცდი, დიდად შევცდი, ნაღდად! _ ხუმრობით აწუწუნდა ლადიკო, _ ფულიანი ქალი უნდა მეთხოვა, ბინიანი და აგარაკიანი.

_ შენ რომ შვილიშვილები გეყოლება, მერე მოხვალ ცხოვრებაში აზრზე! _ უღიმის სილია. _ აგერ ტურფა გათხოვდა, ხომ იცი, მეოთხე სართულზე დახატულ-გამოპრანჭული გოგო რომ ყველას უპრაწავდა თვალებს. ფოთში გასაღდა ვიღაც მილიონერზე.

_ ფოთში? მერე, ცურვა იცის? _ იკითხა სანდრომ.

_ ჯერ ფულში იცის ცურვა, არც ზღვაში გაუჭირდება, თუ დასჭირდა! _ ამბობს სილია. _ ლადიკო, ბედი არ გქონია, რატომ გოგოდ არ გაჩნდი, ხომ გექნებოდა შანსი, ტურფას ადგილზე ყოფილიყავი!

ლადო დაიჭყანა.

_ შეიძლება, ვიხუმრო? _ ხელი მოხვია სილიამ, _ მაძლევ უფლებას?.. მადლობა! ბოღმას გულში ნუ ჩაიხვევ! ისე კი, წესიერი ადამიანი რომ დაიბადება, იმ წუთსავე თავი უნდა მოაჭრა _ ვერ ივარგებს ცხოვრებაში!

_ პატიოსანი ხალხი კიდევ არის ქვეყანაზე? _ დაეჭვებულია სანდრო.

_ როგორ არ არის!

_ მაშინ ალბათ მუზეუმშია დამწყვდეული გალიაში! მე, მაგალითად, არ მიმაჩნია ჩემი თავი პატიოსნად: აი, რომ ვაგვიანებ და სამსახურიდანაც დროზე ადრე ვიპარები, არის თუ არა ჩემი მხრიდან ხალტურა?

_ დღეს არ გაიპარები უდროოდ, დარწმუნებული ვარ, ყოველ შემთხვევაში, 3-4 საათამდე მაინც; თუ გინდა, დაგენიძლავები! _ საუბარში ერთვება ბაბო, თან რაღაც საჩქარო ნახაზს ჩაჰკირკიტებს.

_ წავიდნენ ხელფასის მოსატანად? ნაღდად იქნება დღეს?

_ კი, ვალიკო გაჰყვა მოლარეს.

_ მერე, შენ ხომ უთხარი ვალიკოს, სანდრომ ბევრი იმუშავაო და ბევრი ფული გამოიტანოს?

_ ხელფასს არ მოგვიმატებენ? _ ავტომატურად დაამატა ბაბომ. კვირაში რამდენჯერმე უნდა იკითხოს ხოლმე და ჩვევად გადაექცა.

_ თუ ჯამაგირი მოგვიმატეს... გინდა გითხრათ, რაზე იფიქრებთ? _ თვალები აუციმციმდა სილიას. _ სანდრო, შენ იმის ანგარიშში იქნები, რამდენი კანისტრა ბენზინი მოგივა დამატებით; პეპე _ რამდენ წიგნსა და გრამფირფიტას იყიდის; ბაბო _ მაღაზიაში რომ ფეხსაცმელი მოეწონა, იმას დაუმიზნებს... ლადიკო? ლადიკო "სალხინოში" შევა, ეს ერთხელ მაინც ვიბაირამოო, მაგრად გამოიბრუჟება და დალეწავს იქაურობას...

_ შენა? შენ რაზე იფიქრებ? _ სილიას სიცილით ეკითხება ლადიკო.

_ მე-ე? მე რამდენიმე თუმნის მომატება რას მიშველის... საჰაერო ბურთს მაინც ვერ ვიყიდი!

_ 5000 მანეთი მაინც უნდა ალბათ, ნაღდად!

_ ჩემს ცოლს ვეუბნები: "ერთი 5000 მანეთი მომაცემინა შენთვის და მაყურებინა, როგორ დაგლიჯინობ მაღაზიებში!" დაიბოღმა, ერთი კვირა არ მელაპარაკებოდა! _ იცინის სილია.

_ წადი, ბიძია, ამერიკაში და იყიდე ფულის საბეჭდი მანქანა! _ ურჩევს სანდრო. _ რა არის ბედნიერება? ბედნიერება არის ჯანმრთელობა და ფული! ატრიალე მანქანის სახელური _ თან საქმე, თან ვარჯიში! აი, კუნთები! ჯანიც გექნება და ფულიც!

_ ამას წინათ ჩემი სკოლის ამხანაგი შემხვდა, _ ამბობს სილია, _ სხვათა შორის, ქალია და მეკითხება, სად მუშაობო. მე ვუთხარი, ინსტიტუტში-მეთქი. "ე-ე-ე, _ შეიცხადა, _ მათხოვრობ?" "შენ სადა ხარ?" _ ვეკითხები. ""ნავთობმომარაგება-გასაღებაში"! მოდი ჩვენთან!" "როგორ, _ მე ვუთხარი, _ მეცნიერი კაცი, საკანდიდატო დისერტაციას ვამზადებ, მაქ როგორ დავიწყო მუშაობა?" "დიდი ამბავი, _ მეუბნება,_ ჩვენი დირექტორის მოადგილე კანდიდატია, გეოლოგი, მერე, ცუდად არის?" გამეცინა... ისე, მწარე სიცილი უფრო იყო.

_ ჩვენ ადამიანები კი არა, მაიმუნები ვართ, ნაღდად! _ კატეგორიული ტონით აცხადებს ლადიკო, _ რა გვიგავს ადამიანს? თავმოყვარეობა ჩვენ არ შეგვრჩა, ფული წესიერი გზით ჩვენ ვერ ვიშოვეთ, არც სარჩო-საბადებელი გაგვაჩნია და არც თანამდებობა გვიპაჭუნებს თვალს მომავალში!

_ ძალიან დიდი ბოდიში მოიხადე! _ ხუმრობით შეუტია სანდრომ ლადიკოს. _ რატომ აყენებ შეურაცხყოფას მაიმუნს? მაიმუნი შეადარა ადამიანს! ბიჭო, ადამიანი რასაც იკისრებს, იმის მეათედის გამკეთებელია მაიმუნი? მაიმუნი არც დანას გაურჭობს ვინმეს, არც ქრთამს აიღებს, არც ანონიმურ წერილს გააშანშალებს, არც იმის უნარი აქვს, პირში გექლესოს და ზურგსუკან კი ორმო ამოგითხაროს... ადამიანს მაიმუნი არ სჯობს? ათასჯერ!

_ მაიმუნი არა და დიდი ბედნიერება იქნებოდა, ძროხად დავბადებულიყავით! _ ვამბობ მე. _ გახვალ გაბიბინებულ მინდორში, წაიკუნტრუშებ, წაითამაშებ, გაერთობი; მოგშივდება და _ ქორფა ბალახს მიირთმევ!

_ ეგ რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ პირველი მგელიკა გადაიქცეოდა ძროხად, შენ იმას მოასწრებდი? _ იცინის ბაბო. _ ბიჭებო, მაცალეთ, დამამთავრებინეთ ნახაზი!

_ ყველას ჯობს, გასტრიტი ან, რა ჯანდაბა ჰქვია, კუჭის წყლული გქონდეს, _ ამბობს სილია, _ ამოიჭრი კუჭს და იქნები თავისუფალი! ბედნიერი კაცი ხარ, ჭამა აღარ გჭირდება, ჯიბისთვისაც ხეირია და დროის ეკონომიაცაა!

_ მოდით, ყველამ დავიჭრათ კუჭები, მაგის მომგონი დაიქცეს! _ უმალ დაეთანხმა ლადიკო.

_ აღარც ბაზარში მომიწევს წოწიალი, _ აგრძელებს სილია, მერე უცებ საუბრის მიმართულებას ცვლის: _ უჰ, რა მიხარია ბაზარში გავლა! გინდაც არაფერი მქონდეს საყიდელი, მაინც მიხარია! დღეში სამჯერ შემიძლია წასვლა. რომ ჩამოვივლი დახლებს, თვალი ყურებით ვერ ძღება!

_ მერე, შე კაცო, დაიწყე ბაზარში მუშაობა, დღედაღამ იქ იქნები; რად გინდა, საკანდიდატო დისერტაციაზე რომ იჭყლეტ ტვინს, ხომ იცი, შენგან დიდი მეცნიერი მაინც არ გამოვა! _ ვექილიკები მე.

_ მე იქ ვინ მიმასუნინებს, სადა მაქვს მაგდენი ფული!

_ ეჰ, ისევ ეს ფული, ფული და ფული! _ წამოიძახა სანდრომ.

_ არა უშავს, ყველაფერი გამოსწორდება! _ იჭიმება სილია, _ ყველანი მილიონერები გავხდებით!

_ შენ, ეტყობა, მინისტრობას დაგპირდნენ, მალე აღარც ჩვენთან შემობრძანებას იკადრებ! _ ეუბნება ლადიკო.

_ აგერ ნახე, თუ არა! ბიჭო, რა ხანია, ვამუშავებ უკვე ჩემს ხელმოწერას, ნახე, როგორ დავმხეცდი! _ სილიამ ბაბოს მაგიდიდან ფანქარი აიღო და კარებზე გაჰკრა-გამოჰკრა. _ მე უკვე შემიძლია უფროსობა, ნამდვილად მოვმწიფდი! ნახე, მოდი, ნახე!

_ ეს რა არის, სამი თითის კომბინაცია დაგიხატია, ეს არის შენი ხელმოწერა? _ კართან მივიდა და სათვალე გაიკეთა სანდრომ.

_ შენ, ბიძიკო, ჯერ ტვინის ოპერაცია უნდა გაიკეთო, _ ახლა მე ავიღე სიტყვა. _ ჩემო სილია, შენ 180 გრადუსით უნდა შემოგიტრიალონ აზროვნება: უნდა გახდე მამაძაღლი, გამომძალველი, მექრთამე, მატყუარა, კარიერისტი... დიქტატორი ერთთან, მლიქვნელი მეორესთან... არა, შენი ხელმოწერა ჯერ დაუხვეწავია, შორს არის სრულყოფისგან. შეხედე: შენი ხელმოწერა ვერ არის აყვანილი სათანადო დონეზე. ვერ მიხვდი? შენი ხვიშტილაკი მაღლა-მაღლა უნდა მიისწრაფვოდეს, აღმავლობას უნდა გამოხატავდეს! სინამდვილეში? თარაზულად არის გაწოლილი დამბლადაცემულივით _ უსახოა, პასიური, არ იგრძნობა დინამიზმი, სიმაღლისკენ სწრაფვა გაკლია. რა თქმა უნდა, ისედაც ბევრი გაკლია, მაგრამ ახლა მხოლოდ შენს ხელმოწერაზე ვამახვილებ ყურადღებას. ზევით-ზევით უნდა მიდიოდეს, წარმატებათა გრაფიკივით აღმა სვლას უნდა უჩვენებდეს. მიხვდი? თან ჩახლართე, ჩაახუჭუჭე ბოლო, ვინ გიშლის, შენი ფანტაზიისა და გაქანების მაჩვენებელი დაგვანახვე!

_ რა ენად გაიკრიფა, ეს ტილიანიც რომ მე მასწავლის! _ გაეცინა სილიას და მზრუნველი იერით მომმართა: _ გინდა, გასწავლო, კარგი ადგილის შოვნა როგორ უნდა?

_ ჯერ შენთვის იშოვე!

_ მოიცა, ჰო! ჩემი ბიძაშვილი მივიდა ძმაკაცთან საკომისიო მაღაზიაში: “ადგილი უნდა ვიშოვო! ჰოდა, საჩუქრად უნდა მივართვა საჭირო კაცს სერვიზი, ოთხასმანეთიანი სერვიზი...” “კი, ბატონო, _ ის ეუბნება, ძმაკაცი, _ გვაქვს შესანიშნავი, იაპონური!” “თუ ძმა ხარ, _ ჩემი ბიძაშვილი ეუბნება, _ ამ ოთხასმანეთიან ქვითარს ნუ ჩადებ, ერთი რვაასმანეთიანი

აჯობებს, ან, მთლად უკეთესი, ათასმანეთიანი უფრო მოუხდება”. “მაშინ ასი მანეთი უნდა დაამატო” “რათა, კაცო, ძმაკაცი არა ხარ?” “როგორ არა ვარ, _ ის ეუბნება, _ მაგრამ რისკი?” “ჯანდაბას შენი თავი, გაახვიე!” მიიტანა ჩემმა ბიძაშვილმა “საჭირო კაცთან” საჩუქარი. ათასმანეთიან ქვითარში 3000 მანეთი გაახვია და სერვიზში ჩადო მოყუჩებულად. როცა მიუტანა, საჩუქარი ცოლმა ჩამოართვა და გაიტანა მეორე ოთახში. იქ დააინტერესა, რა მოიტანაო, გახსნა და ის გახვეული ფულიც ნახა!

_ მერე, თანამდებობა?

_ მისცეს! თვეში 1500-მანეთიანია... მაგრამ კინაღამ ჩავიჭერიო, ბიძაშვილი ამბობს, კინაღამ არ ჩამეთვალაო _ ცოლს რომ გააგებიე ფულის ამბავი, პირდაპირ მე ვერ მომეციო?!

_ როდის მოეღება ბოლო ამ წურბელათა პარპაშს? _ ნახაზიდან თავი ასწია ბაბომ.

ლადიკომ კი საკმაოდ გრძელი მონოლოგი გამოაცხო:

_ მოდით, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ სერიოზულად შევებრძოლეთ კორუფციას, უკანონო შემოსავალს და მნიშვნელოვნად შევამცირეთ მის მოტრფიალეთა რიგები. შედეგი? ვინღა იყიდის, ჩაწვება ახალი ავტომანქანები, იმპორტული ავეჯი, მნიშვნელოვნად შენელდება კოოპერატიული ბინების და აგარაკების მშენებლობა, დაცარიელდება რესტორნები, აღარ გასაღდება ძვირადღირებული სერვიზები, იტალიური ფეხსაცმელი, ფრანგული ტანსაცმელი, ფერადი ტელევიზორები და სხვა და სხვა... თვითმფრინავები სანახევროდ ცარიელები იფრენენ, ვინღა წავა ტურისტებად იაპონიაში, ამერიკაში...

_ შენ მაგრა გაუტიე, აი! _ შეეპასუხა ბაბო. _ მე ჩემი ბიჭებისთვის ქურთუკი ვერ მიყიდია, ყველაზე უბრალო, ყოველდღიურად სახმარი, ამან კი ამერიკაში ამოყო თავი!

_ რა ღირს ქურთუკი?

_ სულ ცოტა _ ოცდაათი მანეთი.

_ ნოლი დაამატე, თუ ტყავის გინდა, რა გენაღვლება, ნოლი ხომ არაფერია! _ ეხუმრება სანდრო.

_ შარვლის შეკერვა რა ღირს? _ აინტერესებს ლადოს.

_ ერთი არის, სამხედროების სახელოსნოში მუშაობს, 350 მანეთს იღებს.

_ მე ვიცი, საერთოდ 150 მანეთია ფასი, _ ამბობს სანდრო.

_ ქსოვილის ფასიც დაამატე! ნორმალური კაცი როგორ მისცემს შარვალ-კოსტუმში 500 მანეთს? _ უკვირს ლადოს.

_ ეგ რა არის, ერთ კაცს ვიცნობ, ცოლის ქურქში 25000 მანეთი მისცა. საფრანგეთიდან ჩამოიტანეს, ძალიან მსუბუქი ყოფილა, _ გულს უკეთებს სანდრო.

_ მერე, ქუჩაში გამოსვლა არ უნდა? _ იცინის სილია.

_ მაგას თუ გახდიან, ახალს უყიდის, უკეთესს!

_ ქვეყანას აცვია ათიათასიანი ქურქები, იმას რაღა მაინცდამაინც ოცდახუთიათასიანი მოუნდა! _ უკვირს ბაბოს.

_ ფული აწუხებს და რა ქნას.

_ კარგი რა, სხვა თემაზე ვილაპარაკოთ, ცუდად ვხდები! _ ამბობს ბაბუცი. _ ხელფასს არ მოგვიმატებენ?

ამ დროს ოთახში თავი შემოყო მგელიკას მდივანმა გოგონამ, მოგვათვალიერა, ალბათ ვიღაცას ეძებდა.

_ ნანული, ფული მოიტანეს? _ მოასწრო და შეეკითხა ბაბო, სანამ გოგონას თავი გაუჩინარდებოდა.

_ არა, ამბობენ, ხვალ იქნება უეჭველოდო!

სანდრომ გულდაწყვეტით ჩაიქნია ხელი:

_ ფუი, ამის დედა ვატირე, ხვალაც უნდა მოვიდე სამსახურში!

XXX წკიპურტი. ბაბუცის რომ მისცე 100 მილიონი...

ფული არც მეორე დღეს მოუტანიათ.

_ რაღაც გაუგებრობა მოხდა ბანკში თანხის გადარიცხვის დროს, ჭირი მაგათ. დღეს ჩარიცხავენ ჩვენი ინსტიტუტის ანგარიშზე და ხვალ აუცილებლად დავარიგებთ ხელფასსო, _ ასე გვანუგეშეს ბუღალტერიაში, _ გვამცნო საქმის გასაგებად წარგზავნილმა ბაბომ.

ცხადია, დილიდანვე ვეღარ ვმუშაობთ, მხოლოდ ვქაქანებთ.

ბაბუცი უკმაყოფილოდ ბურტყუნებს რაღაცას და თავის განუყრელ დიდ ჩანთაში იქექება კარგა ხანს.

_ რას ეძებ, ფული ხომ არ დაგეკარგა? _ ექილიკება მის მაგიდასთან მდგომი სილია. _ თუ გინდა, მოძებნაში მოგეხმარები.

_ დასაკარგავი ფული შენ გაქვს, _ პასუხობს ბაბუცი. _ ვეძებ, იქნებ ხურდა ფული ვნახო სადმე კუთხეში ჩარჩენილი, ბაზარში მინდა გავიარო. ორი კილო კარტოფილი მაინც მომივიდეს, შინ საჭმელი არაფერი გვაქვს.

_ ცოტაც მოითმინე, ჩემო ბაბო, და მალე კომუნიზმში შევგლიჯინდებით _ რაღათ გინდა მაშინ ფული! _ იღიმება ბატონი სანდრო.

_ სანდრო, გაყიდე შენი დანჯღრეული მანქანა, მაინც სულ უფულოდ ზიხარ, ბენზინს ვერ ყიდულობ. რად გინდა, ცარიელი ჯართი რომ გიგდია ეზოში და იჟანგება? _ ეუბნება ლადიკო.

_ ფულის მეტი რა მაქვს! _ წამოდგა სანდრო და ოთახის შუაში გაიარ-გამოიარა. _ ჩემი მანქანა გათავხედებულია, მიადგება ავტოინსპექტორს და დაუღრიალებს: "აბა, დაყაჭე ფული!" უკვე თითქმის ოცი წელია, ერთგული ძაღლივით მემსახურება; რომ ვცემო, კეტი რომ ვურტყა, მაინც არ მომცილდება, უღალატოა! შენ კი მეუბნები, გაყიდეო, მეგობარი გავყიდო?

_ სწორია ამხანაგის გამოსვლა, სრულიად და სავსებით ვეთანხმები, განა ფულია ამქვეყნად ყველაფერი? _ სილია ხელს ხვევს მხრებზე სანდროს.

_ ვაჰ, ადამიანების რა მაგარი ჯიში გამოიყვანეს კომუნისტებმა, მხოლოდ ჰაერით და მაღალი იდეალებით ვარსებობთ... არც ოცნება გვაწუხებს, ყველაფრისგან თავისუფლები ვართ, _ არც სმა-ჭამა გვინდა, არც _ ხელფასი, არც _ დასვენება...

_ რა ყველაფერს შენი არშინით ზომავ, შე უბედურო!.. _ დაეტაკა სილიას ბაბუცი. _ ყველა შენისთანა მტირალა ცხვირჩამოშვებული კი არ არის. შენ თუ არაფერზე ოცნებობ, სხვას თავი დაანებე, ნუ გგონია, ყველა შენ გგავს!

_ უყურე შენ! _ გაუხარდა სილიას ბაბოს გაანჩხლება. _ არის ამ ამხანაგის გამოსვლაშიც რაციონალური მარცვალი. ბაბოჯან, სულ ოცნებების ფარშევანგის კუდი გაქვს გაშლილი, მაგრამ, დამიჯერე, უფულოდ ყველაფერი ცარიელი საპნის ბრჭყვიალა ბუშტია. აი, რომ გქონდეს, დავუშვათ... ჯანდაბას, ას მილიონს გაძლევ!.. აი, რომ გქონდეს 100 მილიონი მანეთი, რას იზამ?.. რაში დახარჯავ?

_ რა ამბავია 100 მილიონი, ერთი მილიონი არ ეყოფა? ყელშიც ამოუვა, ნაღდად! _ ჩაერია საუბარში ლადიკო.

ბაბუცი აპილპილდა, ლადიკოს მივარდა, გვეგონა, სახაზავს სდრუზავდა:

_ შე მათხოვარო, ოცნებაშიც კი გენანება ვინმესთვის გროშის მიცემა! მიკვირს, ჩემთვის ერთი მილიონი როგორ გაიმეტე, დარდით არ მოკვდე!..

სილია ჩავარდა მათ შორის გასაშველებლად:

_ რა გაჩხუბებთ, გენაცვალე, მართალია, ხელფასმა დაიგვიანა და ვერ ხართ ხასიათზე, მაგრამ რა დროს ეგ არის, 100 მილიონი გვაქვს დასახარჯავი! გაძლევთ ას მილიონს, მიდი, ბაბუცი!..

ამ მოწოდების საპასუხოდ ისეთი ლაზათიანი ტკაცანი გაისმა სახაზავისა სილიას მკლავზე, რომ უნებურად თვალები დავხუჭე.

_ შენ, ჯობს, საკუთარ მილიონს რომ აიღებ ხელფასს, შენს ცოლს მიართვი მაღაზიებში სანავარდოდ!..

_ ვაჰ, ამ ქალებს რას გაუგებ! _ ხელებს შლის სანდრო. _ არ აძლევ _ ბრაზდება, აძლევ და _ უარესი!

_ კარგი, მე დავხარჯავ ბაბოს მაგივრად ას მილიონს... _ გვთავაზობს სილია.

_ ამ უფულობის ჟამს პატარა წარმოდგენას გვთავაზობს ბატონ სილიბისტრო კოჭიბროლაძის ერთი მსახიობის კერძო თეატრი! _ გამოვაცხადე საზეიმოდ. _ აბა, ჰე!

_ მზად გახლავარ, თქვენო ბრწყინვალებავ! _ მოწიწებით მოიხარა წელში ზონზროხა სილია, შემდეგ ბაბუცისკენ მიბრუნდა: _ ქალბატონო ბაბულია, ნაბას გვრთავთ, რათა პატივცემულ საზოგადოებას მოვახსენო, თუ რაში დახარჯავდა თქვენი უდიდებულესობა ას მილიონ მანეთს? რა თქმა უნდა, თვით ქალბატონი უკეთ შეძლებს...

_ შენ მოცლილი ხარ ვიღაცა! _ არ აცალა წინადადების დამთავრება სილიას ბაბუცემ. _ რას იტყლარჭები უშნოდ, თუ ტაკიმასხარაობ, რაღას იპრანჭები!

_ ძვირფასი მადლობა თბილი სიტყვებისა და კეთილი რჩევისთვის!.. _ ისევ მოიხარა წელში სილია. _ მოკლედ, ქალბატონ ბაბოს რომ მისცე 100 მილიონი მანეთი, რაში დახარჯავდა, როგორ მოიხმარდა? პირველი... _ მოხარა წინ გაწვდილი მარცხენა ხელის ნეკი სილიამ, _ ეყოლებოდა იადონი _ ოთახის ერთ კუთხეში და თუთიყუში _ მეორეში. ერთი რომ დაუსტვენს-დაიჭიკჭიკებს, მეორე ხან მეზღვაურულად, ხან ავლაბრულად იგინება. ასეა, ძმაო, ცხოვრებაში კონტრასტებია და ასეა ხელოვნებაშიც!.. დიახ... მეორე: იყიდდა ძაღლს _ ქოფაკს არა, ქოფაკი რა ჯანდაბად უნდა, თვითონაა ქოფაკზე უარესი... (გაისმა ბაბუცის სახაზავის ტყლაშუნი ბატონ მსახიობის მხარზე) უჰ!.. წინასწარ მიხდი ჰონორარს? დამახარჯვიე ეს დამწვარი 100 მილიონი და მერე მომკალი! ჰო!. იყიდდა პატარა ფინიას _ ჩინურს თუ იაპონურს, ყველაზე ძვირსა და ძვირფასს; დაუქირავებდა მომვლელს, ცალკე კიდევ _ უმაღლესი კვალიფიკაციის მზარეულს...

_ თავისთვის საკუთარი მზარეული არ ეყოლებოდა? _ ჩაეჩხირა უადგილოდ ლადიკო და ბაბოს უკმაყოფილო მზერაც დაიმსახურა.

_ მოიცა, კუჭის მონავ, სულ რომ მშიერი ხარ, მაქამდეც მივალ...

_ შენ, სილია, იადონზე უკეთ უსტვენ აი! _ ჩაერია სანდროც. _ იადონებითა და ძაღლებით უნდა დაგეწყო? თუ ბინაა მთავარი?

_ მაცალეთ, ხალხო, ეს რა ინტრიგანები შეიკრიბეთ აქ... ჩემი მოკლე ჭკუით, მინდა გაგართოთ, ახლა მთავარი ჩვენი კეთილად ყოფნა და მხიარულებაა... თუ სერიოზულად უდგებით, კარგი, ბატონო, ბინაზე გადავალ... ორ ბინას შეიძენს, ორივეს ვაკეში, ერთმანეთთან ახლოს. ერთში რემონტს გააკეთებს უმაღლეს დონეზე, რომ დაამთავრებს, გადმოვა აქ საცხოვრებლად და მეორეში დაიწყებს რემონტს. იქ რომ მორჩება შეკეთება, აქედან იქ გადაბარგდება და ახლა პირველ ბინაში დაიწყებს გრანდიოზულ რემონტს... და ასე შემდეგ, დაუსრულებლად. ასეა, ძმებო და ამხანაგებო, ცხოვრებაში მრავალფეროვნებაა საჭირო, ისე ყველაფერს გემო ეკარგება, მოგწყინდება. მესამე... არა, მეოთხეა უკვე: ერთი აგარაკი მთაში, მეორე _ ზღვაზე... იახტა ზღვაზე _ მსოფლიო ხომ უნდა მოიაროს. ჰო, ბაბულია ფიცხია, საკუთარი თვითმფრინავიც დასჭირდება, როცა საჩქაროდ სადმე წასვლა მოესურვილება: მაგალითად, მილანოს “ლა სკალაში” ოპერის პრემიერაზე იახტით ხომ არ წაბრძანდება!

ბროდვეის გახმაურებული მიუზიკლი უნდა ნახოს, პარიზში მოდების ჩვენებას არ უნდა დაესწროს? ზამთრისას _ ცალკე, ზაფხულისას _ ცალკე...

_ შემოდგომა და გაზაფხული გამოგრჩა, ნაღდად! _ წამოიძახა ლადიკომ.

_ დაეტიე შენს ქერქში, თუ შნო გაქვს, თვითონ გააგრძელე, თუ არა და _ მაცალე!.. ჰო, აუქციონებს არ გააცდენს ლონდონში, ნიუ იორკში, საფარის _ კენიასა და ტანზანიაში...

_ შენ მაგრად გააფრინე, _ ისევ ჩაეჩხირა ლადიკო, _ დაგავიწყდა, რომ ბაბუცი ქალია, ნაღდად!

_ ბაბუცი ქალია, აბა დელფინი, შე ყვავო? მაცალე, რომ გეუბნები!.. ჩვენ, მხეცებს, აქ გვათვინიერებს, ხომ ხედავ რამხელა სახაზავი უჭირავს ხელში, ჰოდა, იქ ნაღდი ლომებისა და ლეოპარდების მონადირება კენიაში არ გაუჭირდება, მდიდარი გამოცდილება აქვს. თანაც ქურქებს იშოვის იაფად, სხვა ქურქებსაც იყიდის, ძვირფასებს, თითოს 25000 დოლარად. ერთ პირად მცველსაც დაიქირავებს, ჯანიან ჯეელს, რომ ჩრდილივით სულ კუდში დაჰყვებოდეს...

_ მერე ქმარი?.. არ იეჭვიანებს? _ კითხულობს ლადიკო.

_ ქმარს "დააბამს", კარგ თანამდებობას უყიდის, _ ვარაუდობს სანდრო.

_ არა, რას ამბობ, _ არ ეთანხმება სილია, _ თავისი ტილიანი, ბებერი ქმარი რა ჯანდაბად უნდა, ჩვენსავით თავმოტვლეპილი და ჯიბეცარიელი, ერთ ეშხიან ქოჩრიან ბიჭს იყიდის...

წინადადება დასრულებულიც არ ჰქონდა ბატონ სილიბისტროს, რომ სახაზავის ტყლაშუნი გაისმა.

_ გაბრძანდი გარეთ, შე უჯიშო, თავხედო! _ ბობოქრობდა ბაბუცი, თან ღიმილსაც ვერ იკავებდა.

_ აცალე, ქალო, აცალე! გააგრძელოს!

როგორც იქნა, ბაბუცი დავაშოშმინეთ და სილიამ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ღრეჭით გააგრძელა:

_ ეყოლებოდა მასაჟისტი, ლამაზი ჯეელი ისიც... _ და ბაბუცის წამოხტომაზე, ხელები მაღლა აწია: _ ბოდიში, დიდი ბოდიში...

_ შენ ძალიან ცუდად იქცევი _ ხვალ მშობელი მოიყვანე! _ ტუქსავს სილიას სანდრო, _ სახაზავი არ კმარა!

_ ეგ სახაზავი რისთვის გჭირდება, ტვინების გასაზომად? _ ეკითხება ბაბუცის სილია.

_ რამდენჯერ მოგხვდა დღეს სახაზავი, დათვალე? _ იცინის ლადიკო. _ ალბათ თვლა არ გეხერხება, მეორე კლასიდან გამოგაგდეს. ორს რომ ერთი მიუმატო, რამდენია?

_ მართალი გითხრა, ძნელი კითხვა დამისვი... გამაგრძელებინეთ, რა იქნება!.. ბაბო, ერთი დასცხე შენებურად ლადოს მოტვლეპილში, ხელს მიშლის!.. თუმცა ცოდოა ეგ საწყალი, რაღაც ტვინის ნამცეცები გაიმეტა მისთვის გამჩენმა და იმასაც გამობერტყავ... დიახ, ქალბატონი ბაბულია იმდენ საკოლექციო კაბებს შეიძენს, საგანგებოდ ქალს დაიქირავებს მათ დასათვლელად... ქურქებზე აღარ დამამთავრებინეთ, ამირიეთ სათვალავი. წავის ქურქიც ექნება, ლეოპარდის, რა ვიცი, კიდევ რის აღარა... ჯიქის, სიასამურის... მოკლედ, გვარიან კოლექციას შეაქუჩებს. პატარა ზოოპარკიც ექნება საკუთარი _ პატარა სპილო, მოზარდი ჟირაფი, მარტორქა, ჰიპოპოტამი ანუ ბეჰემოთი, ნიანგები, მაიმუნები და ასე შემდეგ...

_ ერთ გალიას შენთვისაც დადგამენ! _ იცინის სანდრო, _ მაიმუნების გვერდით!.. იშვიათი ჯიშის მაიმუნის სანახავად დაიძვრება მთელი მსოფლიო...

_ ბაბო ბილეთებს გაყიდის და მილიონერი გახდება! _ ყვირის ლადიკო. _ ერთ-ორ შაურს სილიასაც გადაუგდებს!..

_ აბა რა! _ აწყვეტინებს სილია, ხალათის აწევას და თავისი უზომოდ გაბანჯგვლული ტანის ჩვენებას აპირებს, მაგრამ ბაბოს კივილი და ამართული სახაზავი აჩერებს... მერე აგრძელებს: _ საკუთარი საჯინიბოც ექნება.. წარმოიდგინეთ, როგორ მიჯლიგინობს თეთრ

ცხენზე ამხედრებული ქალბატონი ბაბულია და უზარმაზარი საყურეები რა რიტმულად ქანაობენ, ყველას თვალი ზედ დარჩება! ჰო, თვლები ხომ ექნება და ექნება, ძვირფასეულობასაც შეიძენს, მოირთვება შესაფერისად... თუმცა მაინცდამაინც კი არ გადაჰყვება, ყველას თვალში კი არ უნდა ეცე საახალწლო ნაძვის ხესავით. ცალ ყურში ჩვეულებრივ ხუთ ბრილიანტს გაირჭობს, ამდენივეს _ მეორეშიც, სიმეტრია რომ არ დაირღვეს; ერთსაც, მსხვილს, _ ნესტოში, ერთსაც _ ქვედა ტუჩში! მე მგონი, ზედა ნაწილში საკმარისია, ახლა ქვემოთ _ ხელებზე, მაჯებზე, კისერზე და წვივებზე გადავიდეთ...

ბაბოს აღშფოთება ჩვენს ხორხოცში ინთქმება, კაცები ერთიანი ძალებით ვიცავთ სილიას და ზოგ-ზოგი ვზარალდებით კიდეც _ დღეს სახაზავის დღესასწაულია! ისეთი სიცილ-ჟრიამულია, მიკვირს, მხიარულ ოთახში არავინ შემოიხედა.

_ ვაჰ, რა უჟმური ხალხი ხართ, უგემურები, 100 მილიონიდან ნახევრის დახარჯვაც არ მაცალეთ... _ ჩივის სილია.

_ მიდი, მიდი, გააგრძელე! _ ერთხმად ვეხვეწებით.

_ კარგი, დიდად აღარ გავწელავ, მოკლედ მოვჭრი... ჩვენს დიდებულ ბაბულიას ეყოლება მზარეული, მომვლელ-დამლაგებლები, მებაღეები, მცველ-დარაჯნი, შოფრები, კარის პოეტი, სილამაზის ოსტატი, მკერავი, ძილის წინ ფეხისგულების მომფხანი, მეზღაპრე, ასტროლოგი, პროფესორი ფსიქოლოგი, აუცილებლად _ ფსიქიატრიც... ერთი სიტყვით, ნამდვილი დიდი ქალბატონი გახდება ჩვენი ბაბულია, მაგრამ ერთ რამეს კი ვერაფით დათმობს _ ბაზარში ხეტიალს!.. აიღებს დიდ-დიდ, ძველთაძველ ჩანთას, გაქექილს, ჩაიცვამს გაცვეთილ ფეხსაცმელს, რომ ბევრი სიარულით ფეხები არ ეტკინოს და ჩამოუვლის დახლებს!.. აბა, როგორ!.. ივლის, ივლის, შევაჭრებით ყბას მოინგრევს, ენას დაღლის; მთელი დღე იხეტიალებს, არ მოსწყინდება და ბოლოს, გაოფლილი, გამოსავათებული, მაგრამ ჟინმობანილი, ბედნიერი, გაბრწყინებული სახით ოჯახის წევრებს მაგიდაზე ჩანთიდან გადმოუხვავებს კილონახევარ ნახევრადდამპალ ვაშლს: "გაგიჟდებით, რა იაფად შემხვდა _ 20 კაპიკად მომცა! სულ წაიღეო, უკვე მიდიოდა! ჯერ 30 კაპიკს ითხოვდა, ვევაჭრე და დამიკლო, თითქმის მუქთი არ არის?"

ტყლაშუნმა ამჯერად ყრუდ გაიხმიანა _ სახაზავი გადაიმტვრა...

XXXI წკიპურტი. მილიონი და გალია

ეს ერთი კვირაა, სასწაული ხდება ჩვენს სამსახურში: ყველა უკლებლივ დადის, არც აგვიანებს და არც ადრე იპარება სამუშაოდან; თან მთელი დღე ოთახებიდან გაბმული ზუზუნი ისმის _ ლაპარაკობენ, ყაყანებენ, ჭიჭყინებენ, ჯიჯღინებენ...

მიზეზი ძალიან უბრალოა: ხმა დაირხა, რომ უმოკლეს ხანში თანამშრომელთა დიდი შემცირება დაიწყებაო _ ერთი მესამედით, თუ მეტით არა.

არჩევენ ათასგვარ ვარიანტებს, ცდილობენ გაარკვიონ, ვის გასწირავს ადმინისტრაცია პირველ რიგში; არის მისვლა-მოსვლა, ფუჩუნ-პუტუნი, შუამავლების და მფარველების ძებნა, შეხლა-შემოხლა და ზოგჯერ _ ქალთა ცრემლიც...

_ წავა ახლა ერთმანეთის ბრდღვნა, _ როგორც კი ეს ამბავი შეიტყო, იმ წამსვე გაგვანათლა ბაბუციმ. _ პირში ერთმანეთს არავინ არაფერს ეტყვის, მაგრამ ჩუმ-ჩუმად დაჭამენ ერთმანეთს.

_ 36 წელიწადია აქ ვმუშაობ და რაც თავი მახსოვს, სულ შემცირებაზეა ლაპარაკი, - ამბობს სანდრო. _ გაზაფხულდება და "ვაი!", შემოდგომა დადგება და "ვუი!" სულ რეორგანიზაციაა, განყოფილებებისა და ლაბორატორიების განუწყვეტელი ხან გამსხვილება, ხან დანაწევრება, გაუქმება და ათასი სხვა უბედურება. ჩვენს დაწესებულებას მუდმივი სახე-

ლიც კი არ ეღირსა: ხან განყოფილებაა მოსკოვის ინსტიტუტის, ხან _ ფილიალი, ხან _ დამოუკიდებელი ინსტიტუტი; ხან ერთ სამინისტროში ვართ, ხან _ მეორეში, მერე _ რომელიღაც კომიტეტში, ხანაც მეცნიერებათა აკადემიას გადაგვცემენ... აღარ დაადგა საშველი სამსახურის ფირნიშების, ბეჭდების, შტამპების, ბლანკების გამოცვლას.

_ შენ რა გიჭირს, სანდრო ბატონო, თითქმის საპენსიო ასაკს მიაღწიე და დროზე უშველი თავს, ჩვენ რაღა გვეშველება? _ ჩივის ლადიკო.

_ შენც იტყვი რაღა! _ გაცხარდა სილია, რაც იშვიათი ხილია მისთვის, _ მათხოვრული პენსია რას ეყოფა! მამაშენი სანდროზე ბევრად უფროსია და რატომ არ გადის პენსიაში?

_ აგერ ნახე, რა ცირკის მოწმეებიც გავხდებით: გაყრიან მეცნიერ-მუშაკებს, თანაც ვინც მართლა მუშაობს, რაღაცას ღირებულს ჰქმნის, _ ამბობს ბაბუცი, _ დატოვებენ გარაჟის ხალხს, საწყობის ვირთხებსაც ხელს არ ახლებენ, ბუღალტერიაშიც ვინმეს როგორ შეელევიან; კანცელარიაში ხუთი უსაქმური გომბიო რომ მთქნარებით იხოცება, უბატონოდ ხმას ვინ გასცემს _ "დიდი ხალხის" დარეკვით არის ყველა მიღებული.

_ თხუთმეტი მანქანა აქვს ჩვენს დაწესებულებას და ერთხელ არ დაგეხმარებიან, ძალიანაც რომ გიჭირდეს, _ ისევ წუწუნებს ლადიკო. _ იმ გაფუჭებულ გარაჟის გამგეს ამას წინათ ვთხოვე, ნახევარი საათით მანქანა მჭირდება-მეთქი, თანაც პირადად ჩემთვის კი არა, ჩვენი ლაბორატორიისთვის ბაზიდან მოწყობილობა უნდა მოგვეტანა, და არ მომცა. ვითომ მომცა, აფერისტმა, საგზურიც გამოწერა, მაგრამ ფაქტიურად მომატყუა: ჯერ მითხრა, მანქანა გაფუჭდაო, მერე _ სასწრაფოდ სხვა საქმეზე გაგზავნა დირექტორმაო, მერე _ შოფერს სიცხე მისცაო... ერთი კვირა დავდევდი, შემიკლა ხელში, ნაღდად.

_ იმ თხუთმეტი მანქანიდან რამდენს ხედავ სამსახურში? _ ეკითხება სილია. _ ჰო, სწორია, მხოლოდ დირექტორის "ვოლგას" _ მგელიკას დილა-საღამოს წაიყვანს-წამოიყვანს, არადა, სინდისს გეფიცები, ხუთი წუთის სავალზე აქვს ბინა ბატონ ბაქარ კრავიჭამიაშვილს.

_ ის შოფრები სატვირთო მანქანებიანად გაშვებული ჰყავთ საბალახოდ, კარგა გვარიანი შემოსავალი აქვთ და მაგათ შეამცირებს მგელიკა? _ ამბობს სანდრო. _ აქ ეზოში რასაც ხედავთ მანქანებს, სულ უცხოებია, შესაკეთებლად მოჰყავთ; აქედანაც ხელის ჭუჭყი შემოსდით, მაგ ხელოსნებს გაჰყრის მგელიკა თუ ჩვენ?

_ ამდენი უსაქმური სადმე კიდევ იყოს, არა მგონია, _ ამბობს სილია. _ ერთი ოც კაცს მაინც ვიცნობ, მხოლოდ ჯამაგირის ასაღებად მოდის. ერთი ამდენიც ალბათ "მკვდარი სულებია" _ ზოგი მართლა მოკვდა, ზოგი პენსიაში გავიდა, ზოგი სხვა სამსახურშიც მოეწყო... ხელფასის უწყისებში კი ისევ ძველებურად არიან.

_ იმიტომაა, გენაცვალე, ბუღალტერიის ხალხს რომ სულში იძვრენს ჩვენი მგელიკა, _ ცხარედ ერთვება ისევ ბაბუცი. _ აბა ერთი საყვედური თქვი რომელიმეზე! ანდა ჩვენს მთავარ ინჟინერს სამი უსაქმური მოადგილე რომ ჰყავს, რად უნდა? თვითონაც საქმე არ აქვს არაფერი! სამაგიეროდ, პირველი მოადგილე მგელიკას ნათესავია, მეორეს კარგი ნაცნობი ჰყავს სამინისტროში, მესამე _ მგელიკას ცოლის ნათესავია, მეოთხესაც მაგარი ზურგი აქვს _ მეზობელი ჰყავს შოფერი, ოღონდ უბრალო მძღოლი არ გეგონოთ, ცეკას თანამშრომელი დაჰყავს!..

_ შენ რა წვრილად მოგიგროვებია ცნობები, ჰა? _ უკვირს ლადიკოს. _ გაგვანათლე ჩვენც, სამსახურიდან რომ გაგვყრიან, დრო ბევრი გვექნება და საჩივრების წერისთვის მოვიცლით.

_ წერე და იკითხე, რამდენიც გინდა, _ პასუხობს ბაბუცი, _ ყურებზე ხახვი არ დააჭრა. კიდევ გეტყვი, თუ გინდა. ინსტიტუტის მთავარი ენერგეტიკოსის მოადგილე ვინ არის, იცი?.. ჰო, სწორია, 82 წლისაა უკვე ბატონი სავლე ქისაკაშვილი, ათი წელია, სამსახურში არც მოსულა, მისი ხელფასი შვილს მიაქვს. ვინ არის, თუ იცი, მისი ვაჟი? საწყობის ამბავი

აბარია მინისტრთა საბჭოში! ხომ იცი, იქ რაც ხდება, ის ადგილი სჯობს დეპუტატობასაც და მინისტრობასაც... ტელეფონი ერთ კვირაში დაუდგეს.

_ მე, თითქმის ოცი წელია, აღრიცხვაზე ვარ და ტელეფონის სუნიც არ მცემს... _ წუხს ლადიკო.

_ ცოტაც მოიცადე და ტელეფონი აღარ დაგჭირდება, ჭირიმე, _ ეუბნება სილია. _ მიგაბრძანებენ სამსახურიდან და იქნები თავისუფალი დილიდან საღამომდე, იგორავე ტახტზე გემრიელად; სამსახურიდან შინ დარეკვა და ამბის გაგება რაღად გინდა.

_ ნეტა მქონდეს ერთი მილიონი... მართლაც სულ დავანებებდი თავს სამსახურს, ნაღდად! _ ტკბილად გაიზმორა ლადიკომ.

ხელფასმა ძალიან დაიგვიანა და ხან ერთი, ხან მეორე წამოიწყებს: "მე რომ მქონდეს მილიონი..." და ერთმანეთს აღარ აცლიან, ყველას აეშლება საღერღელი და ცისფერ ოცნებებს ამოუშვებენ სურვილების თავმოხსნილი გუდიდან.

_ შენ რად გინდა მილიონი? _ ეკითხება სილია ლადიკოს. _ მილიონის დახარჯვასაც ტვინი უნდა, ჭირიმე!

_ ზაფხულში წავიდოდი სოჭში, წესიერად დავისვენებდი... _ სულ დადნა ლადიკო და თითქმის გაწვა მაგიდაზე.

ბაბოს პასუხი ელვისებური იყო:

_ ჰო, შენმა თავის გახეთქვამ, ძალიან გადაღლილი ბრძანდები მუშაობით და ისე დასუსტდი, საწყალო, ერთი თვე რას გეყოფა, რუს ქალებში სამი თვე მაინც უნდა იბანავო, რომ ცოტა მოფერიანდე!

ლადომ ხმა არ გასცა, სანდროს მიმართა უხერხული სიჩუმის განსამუხტავად:

_ შენ, სანდრო, ნაღდად კარგ მანქანას იყიდდი, ძველს კი ბიჭს გადაულოცავდი.

ბაბო ისევ შეტევაზეა:

_ რად უნდა ოჯახში ორი მანქანა, ბიჭო, ერთში ვერ ჩაეტევიან? ან ბენზინის ფული?

სანდრო ჩვეული რბილი ღიმილით მიუბრუნდა ბაბუცის:

_ შენ, ჩვენო უჭკვიანესო ბაბუცი, შენ რაღაში დახარჯავდი მილიონს?

_ ის მე ვიცი!

_ მაინც, მაინც?

_ ბინას ვიყიდდი უპირველესად...

_ ვაკეში _ ორ ბინას! _ გაიცინა სილიამ.

_ აი, მართლა ჭკვიანი ქალბატონი! _ აღფრთოვანდა სანდრო. _ ორი ბიჭი ჰყავს, ცხადია, ორი რძალიც ეყოლება თავის დროზე და წინდაწინ ემზადება: ხან ერთ რძალთან იქნება, ხან _ მეორესთან...

_ არაფერი შეგეშალოს, _ შეაწყვეტინა ბაბომ, _ მე არც ერთ რძალთან ცხოვრებას არ ვაპირებ!

ლადიკომ მაშინვე წამოიძახა:

_ მილიონის დაყოფა არ უნდა!

_ ჰო, კარგი, _ დროზე ჩაერია სანდრო, _ აბა, პეპე, შენ რაში დახარჯავდი მილიონს?

_ მილიონი მაგისთანა წყალწაღებულს რას უშველის, _ ამბობს ბაბო.

_ მე ვიცი, წიგნებში დახარჯავს ბოლო კაპიკამდე! _ თითქმის ყვირის ლადიკო, თითქოს ეშინია, ჩემზე ადრე არავინ გვამცნოს აზროვნების ეს შედევრიო.

_ აცალეთ, ნუ გააჩმახეთ საქმე, აცალეთ! _ ყველას აჩერებს სილია.

_ რემონტს გააკეთებს შინ! _ მაინც ეკვეტება ბაბო.

_ არა, ბაბუცი, შეცდი! _ მეღიმება მე. _ დაფიცებული მაქვს, სანამ ცოცხალი ვარ, ბინის შეკეთებას ფიქრადაც არ გავივლებ!

_ მერე, ცოლი არ შეგჭამს? _ ეცინება ლადიკოს.

_ მიეჩვია ისიც. ვუთხარი: “თუ გინდა, ქმარი კარგად გყავდეს, ასეთ რამეებს ჩემთან ნუ ახსენებ-მეთქი”. მართალი გითხრათ, ძალიან კარგად ვგრძნობ თავს ახლა; რემონტი რომ გავაკეთო, მეგონება, თითქოს სხვის ბინაში შევსახლდი.

_ ვაი, შენს პატრონს უბედურს! _ წამოიძახა ბაბომ.

_ ჰო, ჰო, ეგრეა და რა ვქნა. ვერც ახალ ტანსაცმელს ვეგუები, ვერც _ ფეხსაცმელს...

_ წარმომიდგენია, რა მშვენიერი შესახედი იქნება შენი ოთახების კედლები! _ ისევ მჩხვლეტს ბაბო.

_ ჩემთვის ძალიანაც კარგია. საზღვარგარეთ მოგზაურობა არ მეღირსა, სამაგიეროდ, როცა ლოგინში ვწევარ ან დივანზე ვარ წამოგორებული და ჭერს ვუყურებ, ვათვალიერებ იქ გადაჭიმულ ლაქებს და ნაპრალებს, ვითომ გეოგრაფიულ რუკაზე ვმოგზაურობ: საითაც მინდა გავუხვევ, რამდენ ხანსაც მინდა, დავრჩები... რა სჯობს ამას! თან მხატვრულ-ესთეტიკურ სიამოვნებასაც განვიცდი _ ისეთი უცნაური მოტივებია, დიდი მხატვრის ნამუშევარი გეგონება _ ფანტაზიას აცხოველებს, მდიდარ ემოციებს აღძრავს!

_ ვაი, შენს პატრონს! _ იმეორებს ბაბო.

_ ისე, რა თქმა უნდა, მილიონი არ მაწყენდა: წავიდოდი სამოგზაუროდ, ჯერ, რა თქმა უნდა, იტალიაში... _ თვალებს ვხუჭავ მე, _ მერე... მერე ესპანეთში... პარიზში... იტალიაში მთელი სიცოცხლე რომ იმოგზაურო, ყველაფრის ნახვას მაინც ვერ მოასწრებ. ინდოეთში... ჩინეთში... ირანში... მერე _ აფრიკა, ამერიკა...

_ ნახე, სად გაუტია? _ წამოიძახა ლადიკომ.

_ არა, _ თითქოს გამოვფხიზლდიო, სხვა ყაიდაზე ვაგრძელებ მე, _ ჯერ ავტომანქანას ვიყიდდი, ჩავსხამდი შიგ ოჯახს, მოვატარებდი კახეთს, თუშეთს, ფშავ-ხევსურეთს... მერე _ რაჭა-იმერეთს, ლეჩხუმს, სვანეთს... მივყვებოდი ასე _ მთელ საქართველოს მოვივლიდით.

_ კარგია! _ კვერს მიკრავს სილია. _ ეჰ, არც მე ვიტყოდი უარს მილიონზე!

_ შენ რაღაში გამოიყენებდი მილიონს? _ ეღიმება სანდროს.

_ ჩაცმა _ 1000 მანეთი, მანქანა _ 3000 მანეთი, ბინა _ 50000 მანეთი... _ კეცავს თითებს სილია. _ დანარჩენი _ სხვა რამეზე, ხურდამურდა წვრილმანებზე. ცოტას ამოვისუნთქავდი, კაცი გავხდებოდი, ადამიანი.

_ მაგას რა მნიშვნელობა აქვს? _ შეაწყვეტინა სანდრომ, _ გიშველის კი მილიონი?

_ რატომაც არა, თავისუფალი ვიქნები...

_ მომისმინე, ერთ ამბავს გიამბობ და მერე გადაწყვიტე, გიშველის ვითომ მილიონი, ადამიანად იგრძნობ თავს თუ არა... ამას წინათ შვილიშვილი, ბიჭი, მყავდა ზოოპარკში. ჩავიდე ჯიბეში ორი კარალიოკი და წავედით... შევედით, მივედით მაიმუნების ვოლიერთან. მაიმუნები დახტიან, არიან ერთ ამბავში. ავიღე ერთი კარალიოკი და გავაგორე. ისე გავაგორე, რომ ვოლიერში შეგორდა. შეგორდა და ველი, რომ მაიმუნები გიჟებივით ეცემიან... ვითომც არაფერი! ვითომც არაფერი! კარალიოკს ყურადღებას არავინ აქცევს. გამიკვირდა. ვუყურებ, რა იქნება... ერთი მაიმუნი ზლაზვნით წამოიმართა, აუჩქარებლად მივიდა კარალიოკთან, აიღო და, ვითომც ძალიან მოყირჭებული ჰქონდეს კარალიოკების ჭამა, უგუნებოდ ჩაკბიჩა. ასე, უხალისოდ ჭამდა და სხვები იყვნენ თავისთვის, არც გაიხედეს მისკენ... მივხვდი: ეს მათი წინამძღოლი იყო, ბელადი. როცა ჭამას მორჩა, ავიღე მეორე კარალიოკი და ისიც გავაგორე გალიისკენ. რაღაც ვერ მომივიდა კარგად, ვერ მოვზომე და კარალიოკი გალიის გარეთ გაჩერდა, გაჩერდა, მაგრამ ისე, რომ გალიაში მყოფ მაიმუნებს შეეძლოთ ხელი გამოეყოთ და მისწვდომოდნენ. ახლაც არავის უცდია ამ კარალიოკის აღება. ბელადი დინჯად წამოვიდა, გამოყო ხელი გალიის გარეთ და კარალიოკი დაითრია; მერე რამდენჯერმე ჩაკბიჩა, ნახევარიც არ ჰქონდა შეჭმული და გვერდზე მიაგდო. დანარჩენი მაიმუნები ზედაც არ უყურებდნენ კარალიოკის ნარჩენს, ვინ გაბედავდა. ამ დროს ერთი ცქვიტი მაიმუნი სწრაფად ჩამოხტა იატაკზე, დაავლო ხელი კარალიოკს და გიჟივით ავარდა ზევით, სულ

ზევით, ჭერთან. იქ ხარბად დაიწყო კარალიოკის ჭამა; ჩქარობდა, წესიერად არც ღეჭავდა, ისე ყლაპავდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, ვინმე ხომ არ აპირებს წართმევასო... ასეა, ძმაო, _ ის მაიმუნი, ბელადი, მაძღარი იყო, სხვა მაიმუნებთან შედარებით არაფერი აკლდა, მაგრამ მაინც გალიაში იჯდა სხვებსავით. შენ თუგინდ ათი მილიონიც მოგცენ, მაინც ამ ქვეყანაში ხარ, მაინც ციხეში ზიხარ, არ ვარ მართალი?

_ მართალი ხარ, სანდრო, ცამდე მართალი... მაგრამ ვხარჯოთ სხვისი მილიონები თუნდაც ოცნებაში, რა გვენაღვლება! _ როხროხებს სილია. _ რა გვეშველება, სამსახურში რომ არ დავდიოდეთ? აქ მიიღებ კვალიფიციურ კონსულტაციას ნებისმიერ საკითხზე, თუნდაც _ როგორ დახარჯო სხვისი მილიონი... განათლდები, გაერთობი, გულს მოიფხან, დარდს გადაიყრი გულიდან... ჩაებმები პოლიტიკურ დისკუსიებში, გემრიელად მოსცხებ სახრეს ზოგ-ზოგებს; გაიგებ, სად ჯობს გაფუჭებული მანქანის გაკეთება, რა ღირს ბაზარში კარტოფილი... ჰო, ჩვენო ლამაზო ბაბუცი, მართლა, რა ღირს?.. ძვირია?.. ჰო... ირგვლივ ყველა დაღვრემილია, საკუთარ მილიონ გადაუწყვეტ პრობლემასთან ბრძოლით დაღლილი, დაჩაჩანაკებული... სხვისთვის ნუგეშის საცემად ვისღა სცალია, ყველას თავ-თავისი მოუწყობელი და მოუწესრიგებელი ყოფა სტანჯავს. ეს ჩამჟავებული სიფათები უკვე მოგეყირჭა, თვალებში ხიწვად გესობა; ყელში ამოგივიდა ერთი და იგივე მოწუწუნე, კბილებჩაცვენილი, ფიქრითა და ტანჯვით დაღლილი სახეების ყურება... მხიარულ ოთახში მოხვალ და აქ განათლდები და განათდები კიდეც... ბაბუცი, ასე არ არის, ჭირიმე?.. შენისთანა ლამაზ, კოხტა ქალს რომ დავინახავ...

ბაბო სკამიდან წამოიწია, ღიმილით გამოაჩინა წვრილი კბილები და ყასიდად მოუქნია სილიას გრძელი სახაზავი:

_ შე უჯიშო, დღეს რა ფილოსოფოსობის ჭია შეგიჩნდა?

_ კარგი, კარგი, ჩემს მილიონს გაძლევ, ოღონდ დაწყნარდი! _ იცინის სილია. _ მე რომ მქონდეს მილიონი, ძვირფას პურ-ღვინოს გავშლიდი, ყველა ჩემს დამშეულ მეგობარს ერთი კვირა ვაქეიფებდი. ისე, ჭირიმე, ერთი მილიონი გემრიელად მივახარჯეთ ყველამ და რომელიმე მილიონერს ათი მანეთი ხომ არ შემორჩა შემთხვევით? მასესხეთ, ჩემმა ცოლმა ბაზარში კარტოფილის ყიდვა დამავალა, ჯიბე კი გაფხეკილი მაქვს...

_ "ორთავ თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?" _ წაიღიღინა სანდრომ და ჯიბეში ჩაიყო ხელი.

XXXII წკიპურტი. ბაიყუშები

_ დღეს რა დღეა, კაცო, ყველანი მოჟამულ ხასიათზე ვართ... _ ჩივის დილიდანვე სანდრო; ალბათ ეხამუშება, რომ მხოლოდ ის და მე ვართ ოთახში, ხალხი აკლია სალაპარაკოდ. _ გაიხედე ერთი გარეთ, ამას ამინდი ჰქვია? არც მზეა, არც _ წვიმა, როგორ დაბურუსებულია ყველაფერი...

შემოაღო კარი ლადიკომ, ხმის ამოუღებლად დაგვიკრა თავი და თავის ადგილს მიაშურა, დანჯღრეულმა სკამმა დაიჭრიალა.

_ რაო, ბატონო ვლადიმერ, რას გვეტყვი გულის გასახარელს? _ ვეკითხები მე.

_ ამათი ჭკუაც ვატირე, აბუჩად მიგდებენ, ნაღდად! _ სკამი კიდევ უფრო აჭრიალდა, _ სამი ბატონის მსახური გამხადეს!.. კარგი სულელი მიშოვეს, ნაღდად!

_ სულელი სამს კი არა, ერთს ვერ მოემსახურება, ჩემო ლადიკო. ერთი ეს გვიბრძანე, რომელმა ბაყბაყდევებმა დაგჩაგრეს? _ ეუბნება სანდრო, შუა ოთახში დადგა და მოიყარა დოინჯი. _ ვინ გაბედა, გვითხარი, სულ ბდღვირს ვადენთ!

_ ხომ იცით, რასაც ვაკეთებ ეს რამდენიმე თვეა, გადავყევი იმ დანადგარის გადამრთველის ბლოკს. გავაკეთე, რამდენიმე რეჟიმში გავაანალიზე და საუკეთესო ვარიანტი მივართვი ღუტუშას. ახედ-დახედა ჩვენმა პროფესორმა, რაღაც პარამეტრები შეცვალეო, მიხაზ-მოხაზა და მითხრა, თავიდან დახაზე ყველაფერი, ხომ ხედავ, როგორაა საჭიროო, მერე მიიტანე პალიკოსთან, ის ვიზას მისცემს და ამით მორჩება საქმეო. არ მომეწონა, სულ თავიდან მაქვს ყველაფერი საანგარიშო. გავაკეთე, ისევ დავხაზე და პალიკოსთან მივედი. ერთი თვე მოვუნდი, მეტიც, ვიწვალე, იმას კი სამი წუთიც არ დასჭირდა, ესა და ეს შეცვალე და დანარჩენი მშვენიერიაო, ლამაზად გადახაზე და ჩვენს დამკვეთს წაუღე საწარმოო გაერთიანებაშიო. ვიჯახირე, ვიშავჭირე, მესამედ დავხაზე, მერე საკონსტრუქტოროში გოგოებს ვთხოვე, გადავახაზვინე. წავედი გაერთიანებაში, იქ მთავარ ინჟინერს მივუტანე. გახარებული ვარ, სამთვიან წვალებას მოვრჩი, ხუმრობაა? თურმე ჯერ სადა ხარ... ესა და ეს გადააკეთე ასე და ასეო, მეუბნება, ეს ნალოლიავები ნახაზიც მიხაზ-მოხაზა, თანაც შავი პასტიანი კალმისტრით, კინაღამ გახვრიტა. წამოვიღე, ვაპირებ უკვე მერამდენედ თავიდან ყველაფრის დაწყებას და რას ვამჩნევ: ისევ პირველი ვარიანტი არ გამომდის? მივუტანე ღუტუშას, ასეა საქმე და რა ვქნა-მეთქი. არც მომისმინა, ნახაზი კუთხეში მიაგდო, ხვალ მოდი, ახლა არ მცალიაო. ახლა მეორე წრეზე უნდა წავიდე და სანამდე უნდა ვიტრიალო ასე უაზროდ, როგორც დატყვევებული ციყვი გალიაში, არ ვიცი...

_ შენც აგეღო პირველი ვარიანტი და პირდაპირ გაერთიანებაში წაგეღო, _ ურჩია სანდრომ.

_ როგორ წავიღო, ნახაზზე ღუტუშასა და პალიკოს ხელმოწერებია საჭირო, _ ცხვირჩამოშვებული პასუხობს ლადიკო. _ ჩემი ბრალი კია, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო...

_ შენი?

_ აბა, ვისი?.. ღუტუშამ რომ სწორება დაიწყო, დავინახე, სისულელეებს აკეთებდა, ნაღდად! მაგრამ ხმა არ ამომიღია, _ კანდიდატი კაცია, ლაბორატორიის გამგე, მაგან უფრო იცის-მეთქი... მერე პალიკომ ხომ სულ მთლად დაღუპა საქმე. დოქტორია, მაგრამ ძალიან ზერელედ, უგულისყუროდ შეხედა პრობლემას, ზოგიერთი რამ, ძირეული, საერთოდ არ გაითვალისწინა, გამორჩა... გაჰკრა-გამოჰკრა, რა ენაღვლებოდა, ჩემი თავამტვრევი იყო, მე უნდა გადამეკეთებინა. რამეს ეტყვი და ჯობს, ლომს ჩაუყო თავი ხახაში, ვიდრე უფროსს უთხრა, შეცდით, ბატონოო. მაშინვე პირად მტრად მიგიჩნევს _ როგორ შეიძლება, მისმა ხელქვეითმა უკეთ გაითვალისწინოს რამე ან მეტი იცოდეს რაღაცა... გირჩევნია, დროზე დაწერო განცხადება სამსახურიდან საკუთარი სურვილით განთავისუფლების შესახებ, ნაღდად! სამი შვილი მყავს სარჩენი, თორემ... რა ვქნა, არ ვიცი. უნდა ვიარო ამ მოჯადოებულ წრეში, ჩემი თავიც ვთათხო გუნებაში და ეს რეგვენები ხომ სულ ვლანძღო, რა თქმა უნდა, გულში.

_ ვინ გაწყენინა, ჯიგარო, მითხარი მათი ძვირფასი სახელები, სულ სათითაოდ ამოვუნაყავ ცხვირ-პირს! _ ოთახში აჩრდილივით უხმაუროდ შემოსულა ბატონი სილია, რაც მისგან გასაკვირია და სხვა მხრივაც ფრიად გვაკვირვებს _ ამჯერად არც ლანძღვა-გინებიანი მისალმება, არც ხელის მოწიწებით ჩამორთმევა...

_ შენ რაღა დაგემართა? _ ეკითხება სანდრო. _ შენზეც იმოქმედა ამ დამპალმა ამინდმა?

_ არა, ჭირიმე, ამინდი რა შუაშია, თუმცა გახეული ფეხსაცმლით კი დავდივარ... წვიმა დაიწყო, ეზოში მომისწრო, _ პატარა ბავშვივით მოურიდებლად ასწია თავისი 48 ნომერი ზომის მარცხენა ფეხი ბატონმა სილიბისტრომ და დაკვირვებით მიაპყრო საცრისოდენა თვალები ლანჩას; მერე იგივე გაიმეორა მარჯვენა ფეხზეც. _ ფეხებზე რომ დაიკიდებ საკუთარ ფეხსაცმელს, უარესიც მოგივა... ჩემი ზომისა ვერსად ვიშოვე, ქალბატონი ბაბუცი კი უჯიშოს მიწოდებს, სად არის სამართალი?

_ ჭეშმარიტად, სამართალი მკვდარია! _ კვერი დავუკარი მე. _ შენ, ჩემო სილია, ამინდი კი არა, მიწისძვრაც ვერაფერს დაგაკლებს. რომ შემოანათებ, არა, ბოდიში, რომ შემოგლიჯინდები და კარს თან შემოიტან, შენ ტანკი უნდა გერქვას!

_ ჰო, ტანკი, როგორ არა! სანდრომ სწორად შეამჩნია, მართლაც, ცოტა არ იყოს, უქეიფოდ გახლავართ ამ დილით. გუშინ, ძმებო, ტანკივით გადამიარეს!

_ შენცა, კაცო? _ გახარებულია რატომღაც ლადიკო, თან ისე ხმამაღლა დააცემინა ცხვირი, რომ ცრემლებიც კი გადმოჰყარა.

_ იცოცხლე, იცოცხლე! აი, შენმა ცხვირმაც დაადასტურა...

_ რა გააჭირე საქმე ჩივილ-წუწუნით, ვეღარა გცნობ, _ უსაყვედურა სანდრომ სილიას. _ მართლა ცუდ გუნებაზე ბრძანდები?

_ გუშინდელი ქეიფის შემდეგ გამომყვა.

_ ბევრი დალიე? _ ერთდროულად წარმოვთქვით მე და ლადიკომ.

_ არა, რას ლაპარაკობ, ჩემს ღვიძლს მოფერება უნდა.

_ აბა, რა მოხდა?

_ მედიკოსების სუფრა იყო... მეტი არ ვარ იქ წამსვლელი! _ ამოიოხრა სილიამ. _ ჩემი დეიდაშვილი ნინო ექიმია, გუშინ დაბადების დღე ჰქონდა; სულ თავისი კოლეგები ჰყავდა მიწვეული, მხოლოდ მე ვიყავი იაქესავით მიყუჭული სუფრის კიდეზე. ჩემი ბრალიც იყო, ცოტა დავაგვიანე მისვლა. რომ გაახურეს ხელჩართული ლაპარაკი დიაგნოზებზე, გაკვეთებზე, ნარკოზზე, კოლეგების შეცდომებზე, სიმპტომებზე და ათას სხვა უბედურებაზე, თან ისე დაწვრილმანებით, ისე დაგემოვნებით, კინაღამ ვარწყიე, მადა სულ დამეკარგა. ვიჯექი იდიოტი ბაიყუშივით, ვითომ საერთოდ არ ვარსებობდი, ნოლი ვიყავი, აბსოლუტური ნოლი. სამსახურში არ მობეზრდათ პროფესიული ლაქლაქი? ისეთი გაცხარებით კამათობდნენ, იფიქრებდი, საოპერაციოში ხარ და შენს თვალწინ ჭრიან და კერავენ ვიღაცასო... რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩუმად გამოვიძურწე, მშიერი, თუმცა ორად მოკუნტვა რაღად მინდოდა, ნინოს ჩემი არსებობა სულ გადაავიწყდა, ყველაზე უფრო ის ქაქანებდა.

_ ერთხელ მეც ვიყავი მსგავს სიტუაციაში, _ გაიხსენა სანდრომ. _ იმ სუფრაზე ერთიანად შერეკილები შეიყარნენ... კიდევ კარგი, გვერდზე ჩემი ბიძაშვილი გიგა იჯდა, დანარჩენები ნაღდი გიჟები იყვნენ _ კომპიუტერის ფანატიკოსები... რაღაც დისკეტებიო, ჰაკერებიო, პროცესორებიო და რა ვიცი.... დაახვავეს ინგლისური, მარსიდან ჩამოფრენილები გეგონებოდა. რის სადღეგრძელოები, ჰოდა, მე და გიგამ, ცალკე სუფრასავით მოვაკვარახჭინეთ, სულ ჩვენს გემოზე ვუბერავდით. ერთი ექვსი-შვიდი ჭიქა რომ მივირთვით, მერე ჩვენთვის ყველაფერი სულ ერთი გახდა _ რომ დავაგუგუნეთ ორ ხმაში მრავალჟამიერი, ყველას ჩავაკმენდინეთ ხმა... შენც ასე უნდა გექნა, ჩემო ძმაო და მეგობარო, კი არ უნდა შემძვრალიყავი ჩირგვში კურდღელივით!

_ ბაიყუშია, რა უნდა ელაპარაკო, _ თქვა ლადიკომ ნიშნის მოგებით.

_ მე კი არა, ჩემი ღვიძლია ბაიყუში, _ თავს იმართლებს სილია და ლადოსკენ იშვერს ხელს: _ შენ კიდევ, გგონია, რომ ბაიყუში არ ხარ? ან სანდრო? ან პეპე? ყველანი ბაიყუშები ვართ, თუ გინდა, ახლავე დაგიმტკიცებთ.

_ ბაბო? _ წყინს ლადიკოს. _ ბაბუცი რატომ გამოტოვე?

_ იმიტომ, რომ არ არის ღირსი ატაროს ეს მაღალი სახელი! _ პათოსით აცხადებს სილია. _ უნდა იცოდეთ, ქალი საერთოდ არასდროს არის ბაიყუში! ამ მარტივ ჭეშმარიტებას რომ ვერ ჩაწვდი, თუნდაც ამიტომ ხარ ბაიყუში!.. მისმინე... ჩვენი სამსახურის ამბები ვინ იცის ყველაზე უკეთ? ბაბუციმ!.. სულ წვრილად ჩამოგიკაკლავს: ადმინისტრაცია ვის უპირებს გაგდებას, რომელ ლაბორატორიაში რა ომი მიდის, ვინ ვის ასმენს დირექტორთან, ან ვინ ვის _ დირექტორის მოადგილესთან... სულ ზეპირად იცის, რა ხრიკები იბლანდება, რა დიპლომატიური სვლები, მოქრთამვა, ფარული კვანტები და ფანდები... ზოგს უკეთესი ად-

გილი უნდა, ზოგს ინტრიგანის მოცილება სურს, ერთს ბოღმა აქვს დამარხული გულში, დროებით, რასაკვირველია, რადგან ანგარიში დაუწუნეს, პეტრემ თუ ივანემ გააკრიტიკა... მეორეს საყვარლის მიღება უნდოდა მასთან ლაბორატორიაში და საქმე ჩაუშალეს... ყველაფერს მოგახსენებთ ბაბუცი, ერთი კარგი რომანი გამოცხვება... მაგარია ბაბუცი!

_ ალბათ ახლა ასლოკინებს საწყალს, _ იცინის სანდრო. _ ზურგს უკან ნუ დავახასიათებთ, ცოდოა, სლოკინით გული ამოუვარდება!..

_ ჰო, კარგი, მაშინ მე დამახასიათეთ! _ იჯგიმება სილია და მჯიღს იბრაგუნებს მკერდზე. _ გინდათ, ახლავე დაგიმტკიცებთ, რომ ბაიყუში არ ვარ?

_ აბა, ჰე! _ შევაგულიანეთ ერთხმად.

_ არა, წინასწარ ნუ იკრიჭებით, უფასო საცირკო წარმოდგენას არ გაგიმართავთ, სრულიად სერიოზულად დაგიმტკიცებთ...

_ კარგი, აბა, ჩამოთვალე, რამდენ კაცს იცნობ ჩვენს სამსახურში და დაახასიათე სათითაოდ, _ აქეზებს ლადიკო.

_ ეგ გამოცდა, ჯობს, ბაბუცის მოვუწყოთ, _ ახალ წინადადებას ვთავაზობ მე. _ ახლა სილიამ, თუ ბიჭია, თავისი მეზობლები დაგვიხასიათოს.

_ მაგაზე ადვილი რა არის, _ ყაბულსაა სილია, _ მართალია, შინ უფრო იშვიათად ვარ, ვიდრე სამსახურში, თანაც დიდი ურთიერთობა მეზობლებთან არ მაკავშირებს. კარგი თემაა, ქალებს უფრო ეხერხებათ მეზობლების დახასიათება, მაგრამ შევეცდები... ჩემს თავზე ცხოვრობს ერთი ქალი, ირინე, მეტსახელად "მეცხვარის ცოლი"...

_ შენს მოტვლეპილ თავზე ბუზიც ვერ მოიკიდებს ფეხს და ქალი როგორღა დაასახლე? _ ვაწყვეტინებ მე.

_ ვაჰ, რა ინტრიგანი ხალხი ხართ! კარგი, ჰო, ჩემს შემდეგ სართულზე, ჩემი ბინის ზემოთ, _ როგორც გაგიხარდება, ისე იხმარე, _ ცხოვრობს ის ქალი, მეცხვარის ცოლი. ბრაზობს, როცა ასე ეძახიან, არადა, ქმარი მართლა მეცხვარე ჰყავს, კაი ბიჭია, ჯიგარი. ეს ცოლი გამყიდველია ბოსტნეულის მაღაზიაში, ფული ბლომად იშოვა და თავი კიტრად მოაქვს. ხომ იცით, უნახავმა რა ნახაო, ზუსტად მასზეა გამოჭრილი. იბრიქება, მეზობლებს ზევიდან დაგვცქერის, საყვარელიც გაიჩინა _ მაღაზიის დირექტორი, მისი უფროსი. ერთი შვილი ჰყავს, მოუგდო სოფელში მოხუც დედას გასაზრდელად. მერე ქმარი გააგდო, მწყემსი რა ჩემი შესაფერისიაო. ისეთი ჩაცმულ-დახურული დადის, მინისტრის ცოლი გეგონება, სალამსაც აღარ კადრულობს. ამასობაში დირექტორი დაიჭირეს, ერთი, მეორე, ამ მეცხვარის ცოლს აღარ შეუძლია უკვე ძველებურად ფრთების გაშლა... გაახსენდა ქმარი, შეურიგდა _ ორი წელი გავიდა დაშორებიდან. იმ ქმარმა არ იცის, რომ მისმა ცოლმა ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე საყვარელი გამოიცვალა. ერთი თითქმის ოფიციალურად დადიოდა მასთან ბინაში, ერთხელ ქმრად გაგვაცნო კიდეც. ერთ წელიწადში ირინემ და მეცხვარემ მეორე გოგოც გააჩინეს და არიან ახლა ბედნიერად... ხანდახან კი ისმის მაგარი ყვირილი მათი ბინიდან, მაგრამ რომელ ოჯახში არ ჩხუბობენ დროდადრო?

_ რომ გაიგოს ქმარმა ცოლის ძველი ცოდვები? _ კითხულობს ლადიკო.

_ ცოდვები არა ის არ გინდა? _ აგდებით ამბობს სილია. _ მაშინ გაყრილი იყო ქმართან და პასუხს არავის წინაშე არ აგებდა... ჰო... მეცხვარის ცოლის კარის მეზობელია ერთი რუსი _ მაღალი, ჯანიანი, ლამაზი კაცი _ შორეული ცურვის კაპიტანია, გადამდგარი. სულ მთლად ახალგაზრდაა, ორი პატარა ბიჭი ჰყავს, ჯერ სკოლაშიც არ დადიან, ის კი უკვე პენსიონერია _ წყალქვეშა ატომურ ნავზე მსახურობდა და იქ ასეთი წესი ყოფილა: სამსახურის ერთი წელი ორ წლად, თუ სამ წლად გეთვლება. მოკლედ, ამ კაპიტანს უფლება ჰქონია, პენსიაში გასვლის შემდეგ საბჭოთა კავშირის ნებისმიერი კუთხე აერჩია საცხოვრებლად. იმასაც თბილისი მოუნდომებია. რამ აფიქრებინა აქ დასახლება _ აი, გამოცანა! არც ნათესავი ჰყავს ვინმე აქ, ზღვიდანაც კარგა შორს ვართ, რა რჯიდა ნეტავი! თუმცა, ოთხოთახიანი ბი-

ნა მიართვეს, კარგი პენსიაც პერსონალური, ცხოვრობს ბედნიერად! მანქანაც ურიგოდ იყიდა _ “ნივა”, ახლა აგარაკზე ჩალიჩობს... კარგი ბიჭია, სალმიანი. ეზოში ერთი დიდი ფიჭვი გვიდგას, იმის ქვეშ მაგიდა და სკამები მოვაწყვეთ, საღამოობით ვთამაშობთ ნარდს, ჭადრაკს, დომინოს, ბანქოს, ლოტოს, მერე ვინმე გაიქცევა მანქანით, დიდი ბოცით ლუდს მოიტანს... ეს სხვა თემაა, ბოდიშს ვიხდი; იმის თქმა მინდოდა, რომ ეს გადამდგარი შორეული ცურვის კაპიტანი სულ ჩვენთანაა, კარგი ამბების მოყოლაც იცის. ხანდახან ღვინოსაც მივირთმევთ, რამდენიმე კახელი მეზობელიცა მყავს...

_ არ გეშინია, რომ გალოთდები? ამის ნიშნები უკვე ცხადად გამოიკვეთა: ცხვირი ისედაც ხორთუმივით გქონდა, ახლა ცოტა შეჟინჟღილებაც დაგეწყო და მთლად დაგხატა, _ ეუბნება ლადიკო.

_ შენ საკუთარ ცხვირს მოუარე!.. ხომ გითხარი, ბაიყუშო, ღვიძლი...

_ მეც მაგას არ გეუბნები?!. _ ნიშნის მოგებით აწყვეტინებს ლადიკო. _ რატომ მე არ მტკივა ღვიძლი?

_ ჰო, მორჩი, ათქმევინე კაცს! _ ჩაერია საუბარში სანდრო.

სილია აგრძელებს:

_ იმ სუფრაზე გაიცნობ ყველას, აბა, ისე ზიხარ ჩაკეტილი შენს ბინაში-საკანში ტუსაღივით... ან სამსახურში ხარ და ბაიყუშების სიჩერჩეტეს ისმენ... შენ ნუ წამოხტი, ლადიკო, შენ ცალკე დაგახასიათებ სულ ბოლოს, თუ ძალიან შემეხვეწები, ახლა მისმინე... ორი თითქმის ჩემხელა კაცია იმ მაგიდაზე უცვლელი წევრი, მაგარი ჯანიანები. ერთი ძველი შოფერია, საჭესთან როგორ ეტევა, არ ვიცი _ კამეჩივითაა, შაქრო ჰქვია. საღამოს მაგიდასთან რომ მოვა, უკვე გვარიანი მთვრალია; ამოყრის ჯიბიდან ფულს, დაყრის მაგიდაზე და ერთი არტურა გვყავს, ნაღდი მათხოვარი, დღედაღამ რომ ეზოში გდია, ჩხირის გადამბრუნებელი არ არის და სხვებზე იძახის _ ქართველები ზარმაცი ხალხიაო, _ აი, ამ არტურას აგზავნის ღვინის მოსატანად. არტურა პატარა ბიჭივით გახარებულია, _ ორმოცდაათს გადაცილებულია, ჩხირივით გამხდარი, პირში სულ სიგარეტი ურჭვია და ვინმეზე რაღაცა ფინთი არ თქვას, ვერ მოისვენებს... აი, ამ მეზობელს აგზავნის ღვინის მოსაცუნცულებლად. შაქროს მეორე ცოლი ჰყავს, პირველი ლოთობის გამო გაეყარა, ეს მეორე, _ ვარდო, _ ქმარს უბატონოდ ხმას არ სცემს; ისიც ხნიერია ქმარსავით, მიკვირს, ცოტა ახალგაზრდა ვერ მოიყვანა? როცა კარგად გამოიბრუჟება და ლაპარაკით ყველას დაგვაოსებს, ჩამოდის ცოლი ეზოში, შეუდგება თითქმის გამოთიშულ ქმარს ცალ მხარეს, მეორე მხარეს უფრო ხშირად მე, როგორც შედარებით ფხიზელი, და აგვყავს ლიფტამდე _ 14 საფეხურია, ბევრჯერ მაქვს დათვლილი. თუ ლიფტი არ მუშაობს, მეშვიდე სართულამდე მივათრევთ, ალბათ ერთი საათი მაინც გვჭირდება ამისთვის, თან შაქროს უფასო კონცერტს ვისმენთ, განსაკუთრებით ძველი ქალაქური სიმღერები უყვარს. თითქმის ყოველდღე მეორდება ასე, თუ წვიმა ან ძლიერი ქარი არ არის. მეორე ლოთიც გვყავს, მარტოხელა პენსიონერი ნიკუშა; ცალფეხაა, ეზოში იშვიათად ჩამოდის, უფრო შინ სვამს, მარტო. დათვრება და ღია ფანჯრიდან იგინება. ვისაც კი დაინახავს ეზოში მიმავალს, გემრიელად შეუმკობელს არ დატოვებს; თან ისე იქნევს ხელებს, ერთხელაც იქნება, ფანჯრიდან გადმოფრინდება. მხოლოდ კარის მეზობელს, ვანიკოს, ვერაფერს უბედავს, როცა ის ეზოში გამოივლის. ვანიკო გადამდგარი მაიორია, მუდამ კუშტი გამომეტყველებით დადის, ყოველთვის ვიღაცაზეა გულმოსული. სამოცდაათი წლის მაინც იქნება, მაგრამ ჯერ ჯანზეა; როცა გამოივლის, მოკლედ გვეტყვის ყველას გამარჯვებას, ერთს არ დაჯდება, ჭიქას არ ასწევს, არ დაილოცება _ მაგარი წუწურაქია, საერთო საქმეზე არასდროს შაურიც არ დაუდვია _ ქორწილია თუ სხვა რამე. ვითომ სამართლიანობის დიდი დამცველია, სულ ჭიჭყინებს, ყველას ეჩხუბება რაღაც წვრილმანებზე _ იმის ბავშვმა ხმამაღლა იყვირა ეზოში, მეორემ კიდევ რაღაცა ქნა საშინელი _ ბურთი გააგორა მისი მიმართულებით და სხვა ასეთი სისულელეები. მეორე მეზობელი გვყავს, იმასაც ჩვენს

სუფრასთან ვერ ნახავ _ ათანასე; დღედაღამ ჩირთიფირთობს რაღაცას, ჩხირკედელაობს, გაჩერებულს ვერ ნახავ ვერც შინ და ვერც გარეთ. სამ ადგილას მუშაობს, შინ ბინის რემონტი საკუთარი ხელით გაიკეთა, ავ თვალს რომ არ ენახვება. ეზოში პატარა ადგილი შემოღობა, რაღაცეებს თესავს, დარგო ხეხილი, ქათმები გაუშვა... ვანიკო-მაიორი მაგრად ეჩხუბა, ვინ მოგცა მაგის უფლებაო. გამოვარდნენ ამათი ცოლები, კინაღამ დაჭამეს ერთმანეთი...

_ ქალები? ქალები როგორი მეზობლები გყავს? _ ეკითხება ლადიკო.

_ მაცალე, მაცალე... ქალების ამბავი ჩემს ცოლს ჰკითხე, იმას უფრო აქვს ურთიერთობა მათთან. კარგი ტიპუნიებია ისინიც. ერთი მარო გვყავს, მთლად კარის მეზობელიც არ ეთქმის _ ჩვენს ქვევით სართულზეა, მეორე მხარეს. "ერთი პური წამომიღე!" _ მაშინვე გეტყვის, თუ კიბეზე დაგინახა ჩამსვლელი. არ იკითხავს, ფული თუ გაქვს, ან სად მიდიხარ, ან როდის დაბრუნდები, არადა, შინ ხუთნი არიან, ყველანი ახალგაზრდები, ჯან-ღონით სავსენი. დღე არ გავა, რომ რამე არ გთხოვოს. "ერთი ბოთლი გექნებათ!" _ ცარიელი ბოთლი მეზობლისგან ისესხო, ჯერ არ გამიგია, ან ნახევარლიტრიანი ქილა მაწვნისთვის. "მწვანილი მასესხეთ!" _ ლამის აღარ გავუღოთ კარი. რა თქმა უნდა, დაბრუნება არაფრის გაახსენდება. მე მგონი, ყველა სართულები აქვს მოვლილი სათხოვრით, კარის მეზობელს, ჟუჟუნას, არ აწუხებს მხოლოდ. ჟუჟუნა, საწყალი, ვერ არის კარგად. ერთოთახიან ბინაში მარტო ცხოვრობს. შინაბერაა, ჭრელა-ჭრელა ტანსაცმელში გამოწყობილი დადის, თმები ვერცხლისფრად აქვს შეღებილი. სულ წუწუნებს, რომ ჩემი მეზობლები მატყუებენ, მქურდავენო; შინ რომ არ ვარ, შედიან და ყველაფერი მიაქვთო, გამძარცვეს, გამატიალესო. ყველას უჩივის, ყოველთვის ცხრა საკეტზეა ჩაკეტილი _ კარს არავის უღებს. ეზოში რომ გაივლის, არტურა უსაქმური გაუღიმებს ხოლმე, ხელებს გაშლის; "ვაჰ, დღეს რა ლამაზი ხარ! უნდა გაგათხოვო!" "ოჰ, არა, არა, არ მინდა გათხოვება!" _ დაირცხვენს ჟუჟუნა, მაგრამ მაინც გაჩერდება და არტურას მიაჩერდება, წასასვლელად ფეხს ითრევს. "არა, ჩემო ჟუჟუნა, ისეთ კაცს გიშოვი, _ ლამაზს, მდიდარს, _ ყველას თვალი ზედ დარჩება! ნამდვილად შენი შესაფერი იქნება!" გაუბამს ამგვარ ლაქლაქს არტურა, სხვები ჩუმად ქირქილებენ, _ ნაღდი ფუფალა�ა, _ საწყალი ჟუჟუნა კი სიამოვნებისგან გავარდისფრდება... ერთხელ არტურამ ანიკო გააჩერა ეზოში _ ქვრივია, ქმარი რამდენიმე წლის წინ დაეღუპა ავარიაში, ერთი გოგო დარჩა, იმას ზრდის. როგორ გაუბედა, არ ვიცი, ცოტა ნასვამი იყო და ალბათ იმან გაათამამა. ეს ანიკო მამალი ქალია, მეზობლები უბატონოდ ხმას ვერ სცემენ. დაუწყო არტურამ თავისებურად, _ რატომ არ თხოვდებიო, მე შენთვის კაი ბიჭი მყავს შერჩეულიო... ანიკომ ბევრი ლაპარაკი არ აცალა და ქოლგა გლიჯა გოგრაში. ქოლგა გადატყდა, არტურას თავს რა მოუვიდა, არ ვიცი, მაგრამ ერთი კვირა რომ ვერ ბედავდა ეზოში გამოჩენას, მე ვარ მოწმე...

_ გამოგრჩა, სილიბისტრო ბატონო, მეორე, შენზე მუტრუკი ვიღაცა გყოლია მეზობელი, შაქროს გარდა, _ ახსენებს სანდრო.

_ სიკო? იმაზე ლაპარაკიც არ მინდა, ისეთი რეგვენია. სულ დაბოღმილი იყურება, ვინმე რომ გაივლის, გუნებაში შეაგინებს, ტუჩების ცმაცუნზე შეატყობ. თითქმის ყოველთვის გაუპარსავია, ისედაც შავია და მყრალ დევს ჰგავს. ასეთი ზონზროხა და ასეთი გულნამცეცა კაცი არ მინახავს. პაპიროსს ვერავინ სთხოვს _ აგე, წადი, მაღაზიაში დასტა-დასტად ალაგია, ურიგოდ შეგიძლია იყიდო, რამდენიც გინდაო. თვითონ კი მათხოვარია, განსაკუთრებით მისი ცოლი, მარო _ ზოგჯერ დღეში სამჯერ მოგაკითხავს: ხან ასანთი გაუთავდა, ხან მწვანილის ყიდვა დაავიწყდა ბაზარში...

_ მაგ მაროზე უკვე გაგვანათლე, _ ვახსენებ მე.

_ რა ყველა დამთხვეული შენს მეზობლობას არჩევს, რით აგვიხსნი ამ კანონზომიერებას, ბატონო სილიბისტრო? _ იქედნურად ეღიმება ლადიკოს. _ დავიჯერო, ერთი ნორმალური მეზობელი არ გყავს?

_ მართალი ხარ, ჭირიმე! _ როხროხებს სილია. _ შენთან ალბათ პირიქითაა: ყველა მეზობელი ნორმალური გყავს, ერთი შენ ხარ ჩერჩეტი და ბაიყუში!

ლადიკო აენთო, გაბრაზებული წამოხტა და გარეთ გასვლა დააპირა. სილია კართან ეცა, ბავშვივით აიტაცა მაღლა, დაატრიალა რამდენჯერმე და მერე მის მაგიდაზე ფრთხილად დასვა.

_ უნამუსო ვიყო, თუ შენზე დიდი ბაიყუში არ ვარ! _ ღიმილით მიიდო მკერდზე ხელი სილიამ. მეორე კი ლადიკოს დაადო მხარზე. _ დამშვიდდი და ახლავე დაგიმტკიცებ...

ლადიკომ სილიას ხელი მოიშორა, მაგიდიდან ჩამობობღდა და მოღუშული, თავის ჭრიჭინა სკამს დაუბრუნდა.

_ შენცა ხარ, რაღა, _ ჩაიბურდღუნა ლადიკომ, აღარ იცოდა, ხუმრობაში ჩაეტარებინა ყველაფერი თუ მართლა გაბრაზებულიყო.

_ ბიჭო, შენისთანა ჰუმორის გრძნობას მოკლებულ კაცს რომ თავს გაუყადრებ და გაეხუმრები, ორგზის ბაიყუში არ ხარ? _ წელში მოხრილი სილია ღიმილით დასცქეროდა ლადიკოს და როცა შეამჩნია, ლადიკო ისევ გაბღუზვას აპირებდა, საჩქაროდ დაამატა: _ კარგი, კარგი... ჰო, მოვრჩეთ მაიმუნობას, ახლა სერიოზულად ვილაპარაკოთ...

ამ დროს სრულიად მოულოდნელად გამოგვეცხადა... ჩვენი ოთახის ნატვრისთვალი _ ბაბუცი! ღიმილით შემობრძანდა და მხოლოდ სილიას ჩამოართვა ხელი:

_ ჩაცვენილებს, წყალწაღებულებს, უზრდელებს, გაუთლელებს, ყეყეჩებს, ბაიყუშებს _ ჩვენი სალამი!

სილიამ ხელები გაასავსავა, თვალები მოჩვენებითი გაოცებით გადმოკარკლა:

_ ყველაფერზე თანახმა ვარ, მაგრამ ბაიყუშებში რატომ ჩაგვრიცხე? თანაც ყველანი ერთიანად, ჯგროდ, მიუხედავად სქესისა, განათლებისა და სოციალური წარმოშობისა!

_ ხელფასი მოიტანეს, თქვენს მეტმა, მგონია, ყველამ აიღო... დაგიკავეთ რიგი, მაგრამ ბაიყუშები ხართ და ტყუილად გიცდიდით.

_ დღეს რა დაემართათ, ასე გვიან მოიტანეს? _ უკვირს სანდროს. _ დღეს ალბათ აღარ მოგვიწევს, როგორმე გავძლებთ ხვალამდე.

_ ჰო, ძალიან დიდი რიგია, _ ადასტურებს ბაბო.

ლადიკომ გემრიელად, ზედიზედ სამჯერ დააცემინა ცხვირი.

_ სწორია, ლადიკოს ცხვირიც ადასტურებს!

ლადიკომ გაიმეორა ცხვირის დაცემინება, ამჯერად _ ოთსჯერ ზედიზედ.

_ ჰო, კარგი, რა გააჭირე საქმე, ვერ მოუვლი მაგ შენც ტილიან, უზრდელ ხორთუმს? _ აუხირდა სილია.

_ გაანებე თავი, კაცო, ივარჯიშოს, რა გენაღვლება; ბოლოს და ბოლოს, იქნებ მოძვრეს ცხვირი და ეგეც მოისვენებს და ჩვენც, _ ამბობს სანდრო.

ლადიკოს ცხვირმა სასწრაფოდ დაადასტურა სანდროს შეხედულება.

_ ცოდოა, ისედაც უცხვირპიროა და უცხვიროდ სულ წავა ხელიდან, _ იცინის ბაბუცი და წვრილ კბილებს ალმასივით აელვარებს, _ მე მგონი, ჯობს, ბატონ ვლადიმერს ცხვირის დაცემინების საწინააღმდეგო მაყუჩი გავუკეთოთ. სანდრო, როგორც სპეციალისტს, გეკითხები: მაგის "ვოლგის' მაყუჩი ივარგებს?

ლადიკომ ცხვირსახოცით თვალებზე ცრემლების წმენდით ამოღერღა:

_ ბიჭებო, ერთი კარგი პროექტი მაქვს ჩაფიქრებული, პატენტი უნდა ავიღო და ავტორობას ნურავინ შემეცილებით _ ავ ქალთათვის პირის ასაკრავი, ქოფაკებს რომ აქვთ ალიკაპი, აი, იმისი მსგავსი... ცხიკ-ცხიკ... ბაბუცის პირველ ეგზემპლარს მივართმევ უფასოდ!.. ცხიკ-ცხიკ!..

_ სწორია, ბატონო ვლადიმერ, დასტურ ღონიერი და გონიერი ცხვირი გაბია, _ ვთქვი მე, _ ყოველ მინუსს, ხომ იცი, პლუსიც ახლავს: ეგ ფენომენალური მოვლენა შეიძლება ენერგი-

ის არატრადიციულ წყაროდ გამოვიყენოთ _ დააპროექტე და დააპატენტე ორიგინალური მოწყობილობა, რომელიც ცხვირის დაცემინების ენერგიას გარდაქმნის ელექტროენერგიად...

_ განსაკუთრებით აცივების პერიოდში ჭირს, ელექტროენერგიის დეფიციტს შევავსებთ, _ ჩამომართვა სიტყვა სანდრომ, _ აღარც ის ძალოვანი დანადგარი დაგჭირდება, იმის დაპროექტებას რომ გადაჰყევი.

_ ცხიკ-ცხიკ!.. ცხიკ-ცხიკ!.. _ არ ისვენებდა ლადოს ცხვირი.

_ გავგიჟდები! ბიჭო, წყალი მე შემდის ფეხსაცმელში და შენ ცივდები? ეს ვინა ყოფილა! _ გაკვირვებით აღმართა თვალები ჭერისკენ სილიამ, მერე ორად მოიკეცა და მთლად თაფლად იქცა: _ ბოდიში, ბოდიში, პატივცემულო ლადო, მე უღირსმა, შეუფერებელი სიტყვები გაკადრე... ეს ერთი მაპატიე და პატიოსან სიტყვას გაძლევ, ასეთი უმსგავსოება ჩემი რეპერტუარიდან საბოლოოდ განდევნილი იქნება.

ბაბულია სილიასთან მივიდა, შუბლზე მიადო ხელისგული (ძლივს მიწვდა):

_ შვილო, რაღაც ხომ არ დაგემართა, სიცხე ხომ არ გაქვს? როდის აქეთ გახდი ასეთი ზრდილობიანი? ცუდად ხომ არ ხარ?

_ შენ ჭკვიანი ქალი ხარ, არაფერი შეგეშლება! _ აროხროხდა სილია. _ რა ბრძნულად მიხვდი, ეს ბაიყუშები კი ბაიბურში არ არიან. რამდენიმე დღეა, რაც ჩემი შვილი, ბატონი ვახუშტი, ჩემთან აღმზრდელობით მუშაობას ეწევა და უნდა ოფიციალურად განვაცხადო, რომ საკმაო წარმატებებია მიღწეული ამ გზაზე, ამას ჩემი პირადი გამოცდილებით ვადასტურებ. პირველი, რაც ბატონმა ვახუშტიმ ჩემს გასანათლებლად და გასანაზებლად ანუ გამოსასწორებლად იღონა, ის გახლავთ, რომ გასაგები, მარტივი სიტყვებით ამიხსნა: თურმე არსებობს ძვირფასი ქართული სიტყვა "გეთაყვა", რომელიც ნებისმიერ ცხრაკლიტულს აღებს და ის რაც შეიძლება ხშირად უნდა იხმარო. ეს სასარგებლოა შენთვისაც და გარშემო მყოფთათვისაც...

_ ვაი, შე უბედურო, რა საცირკე ნიჭი ცდება ტყუილად! _ შეიცხადა ბაბუციმ. _ დიდხანს მოუნდება მერე შენს შვილს შენი წვრთნა, რომ შედარებით ნორმალურ დონეს მიუახლოვდე?

_ შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, ვახუშტიმ იცის თავისი საქმე. იცით, თავიდან როგორ დაიწყო? მივედი ერთ საღამოს შინ და ვახუშტიმ რაღაც მთხოვა _ წყნარად, მშვიდად, თან ბოლოს დასძინა სიტყვა "გეთაყვა"... მე გამოვთაყვანდი _ ვა!.. გავოცდი, ცოლს ვეკითხები, თუ ქალი ხარ, მითხარი, რას ნიშნავს ეს სიტყვა-მეთქი, ან ჩვენმა მუტრუკმა სად მიიღო ასეთი ნატიფი განათლება-მეთქი... სხვათა შორის, ცოლსაც გაუკვირდა, სადღაც წიგნში წაუკითხავს იმ ვირისთავს... ასე რომ, ცოტაც მოითმინეთ, ქალბატონებო და ბატონებო, და თქვენს წინაშე წარსდგება სულ სხვა სილიბისტრო კოჭიბროლაძე!

ცხადია, ყველანი ვიღიმებოდით, ბაბუცი კი ისე კისკისებდა, რომ ძლივს დამშვიდდა.

_ ჩემმა სახაზავმა ვერაფერი გიშველა და შენი შვილის "გეთაყვა" მოგარჯულებს? _ სკამზე ბევრი სიცილისგან მისავათებული ბაბუცი განუყრელ სახაზავს ნელა უტყაპუნებდა მაგიდას.

_ აი, ხედავ, რა შორსმჭვრეტელი ხარ, სხვა მაგას ვერ მიხვდებოდა, თუნდაც ას წელიწადს ეფიქრა, შენ კი რა უცებ, ძირისძირამდე ჩაწვდი... თანაც, სხვებისგან განსხვავებით, ახლა კარგ ხასიათზე ხარ, ხელფასი დაითრიე... ერთი თხოვნა უნდა შემისრულო: იმ შენს ბედნიერ ქმარს დღეს მაინც ნუ ეჩხუბები, გეთაყვა...

სილიამ წინადადება ვეღარ დაამთავრა, რადგან იძულებული იყო, მკვირცხლად გაუჩინარებულიყო კარს უკან. აბობოქრებული ბაბუცი კი გაჰყვიროდა (სიცილით თუ მუქარით, ძნელი გასარჩევი იყო):

_ შე უჯიშო, კუზიანს სამარე გაასწორებს!.. ერთი მაქ დამაცადე, გეთაყვას გაჩვენებ!.. ბაიყუშო!

_ ძმებო, ბაიყუშებო, ჩვენც დროზე ვუშველოთ თავს! _ ღიმილით გამოაცხადა სანდრომ. _ სანამ ბაბუცის სახაზავი არ ამუშავდა, სილიას გაკვალულ გზას მივყვეთ, გეთაყვა!..

XXXIII წკიპურტი. გიჟია!?.

იცით, რა არის "ხუთწუთიანი ოპერატიული თათბირი"? ახლავე მოგახსენებთ. ყოველ ორშაბათ დღეს, დილის 10 საათზე, ჩვენი ინსტიტუტის დირექტორის, ბატონ ბაქარ კრავიჭამიაშვილის (მხიარულ ოთახში უფრო ხშირად მას მგელიკად მოიხსენებენ) უზარმაზარ კაბინეტში იკრიბებიან განყოფილებათა გამგეები, ლაბორატორიათა ხელმძღვანელები, დირექტორის მოადგილეები, სამეცნიერო საბჭოს წევრები, პარტიული ბიუროს მდივანი და მისი მოადგილე, პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე და სხვანი. დასხდებიან ეს პატივცემული გვამნი ამ, როგორც მრავალნი არცთუ უსაფუძვლოდ ამტკიცებენ, "სამთქნარებელში" და იწყება მრავალსაათიანი ქაქან-ლაქლაქი _ ეს "ხუთწუთიანი" თათბირები ზოგჯერ შესვენების დროსაც კი შესანსლავს...

ამ ორშაბათს ჩვენი ლაბორატორიის გამგეს, ბატონ ღუტუშა ტუშაშვილს, თავისი ოთახის გასაღები დარჩა შინ და იძულებული გახდა, საჩქაროდ უკან გაბრუნებულიყო, მისი მოადგილე ბახვა ვახვახაძე მივლინებაში გახლდათ მოსკოვში, სანდრო კაიკაცაძე ჩვეულებრივ აგვიანებდა სამსახურში მობრძანებას... როგორღაც ისე მოხდა, რომ ღუტუშას შევეჩეხე დერეფანში და მითხრა, ჩემს მაგივრად შენ დაესწარი თათბირს, ჩვენი ლაბორატორიიდან ვიღაცამ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ დიდ ღონისძიებაშიო; კარგად დაიმახსოვრე ყველაფერი, რასაც იქ ნახავ და მოისმენ და მერე მე ჩამიკაკლე წვრილადო. რა გაეწყობოდა. ახლა მინდა, ყველას გადმოქცეთ მგელიკას კაბინეტში ნანახ-მოსმენილი...

დასაწყისშივე უნდა ვთქვა, რომ ეს სხდომა მართლაც საინტერესო გამოდგა და სულ არ მინანია, რომ რამდენიმე საათი თამბაქოს ბოლით გავსებულ ატმოსფეროში მომიწია სუნთქვა. დარბაზში ისეთი დაძაბული ფსიქოლოგიური ატმოსფერო სუფევდა, რომ შიგადაშიგ ჭექა-ქუხილიც არ აგვცდა, თუმცა მე, როგორც ყოველთვის, მხოლოდ სეირის მაყურებლის როლით დავკმაყოფილდი.

ჯერ "სამთქნარებელში" ყველაფერი ჩვეული წესითა და რიგით მიდიოდა: ერთნი, რბილ სკამებზე მოკალათებულნი, ახალ გაზეთებს გულდასმით ეცნობოდნენ; ზოგიერთ წინდახედულს დეტექტიური რომანი წამოეღო და ვითომ მორიდებით იჭყიტებოდა შიგ; ნაწილს სხდომის დაწყებამდე მოესწრო ტკბილად ჩათვლემა; ორ-სამ ადგილას ჩურჩული და ზოგჯერ ფხუკუნიც ისმოდა _ ალბათ ახალ ანეგდოტებს უყვებოდნენ ერთმანეთს... ჩემთვის, მართალი გითხრათ, ყველაზე საინტერესო სახეთა თვალიერება იყო, თანაც ბედმა გამიღიმა _ ჩვენი დაწესებულების "პატენტიანი" ხუმარა, გვაჯი გვარჯილაძე, მიმშვენებდა გვერდს და დროდადრო საკმაოდ ხმამაღლა წამოისროდა ხოლმე ირონიულ კომენტარებს, სანამ პალიკო პოლოლიკაძე _ დირექტორის მოადგილე _ მონოტონურად დუდღუნებდა, რომ საჭიროა ეკონომია და ყაირათიანობა ყველაფერში, დიდსა და მცირეში; რომ აღრიცხვა _ ეს არის კომუნიზმი (თუ პირიქით, ზუსტად აღარ მახსოვს), რომ უნდა აირჩიონ ამ საქმისთვის ინსპექტორები ყოველ განყოფილებაში, უფროსი ინსპექტორები _ ყოველ სართულზე და ერთი მთავარი ინსპექტორიც მთლიანად დაწესებულების მასშტაბით; რომ ყოველთვიურად უნდა შეივსოს შემოწმების აქტები, ყველაფერი უნდა აღირიცხოს (გვაჯი: "ვინ რამდენჯერ დააცემინა ცხვირი?") _ ჯერ ლაბორატორიის დონეზე (გვაჯი: "ვინ რამდენჯერ დაამთქნარა?"), შემდეგ განყოფილებებში დაჯამდეს (გვაჯი: "ვინ რამდენი ანეგდოტი მოყვა?"),

სართულების მიხედვით (გვაჯი: “ვინ რამდენჯერ გაიცინა?”) და ბოლოს _ ერთიანი დიდი აქტი შედგება (გვაჯი: “ვინ რამდენჯერ გააფუჭა ჰაერი?” _ უფრო მოურიდებლადაც ბრძანა, მისგან ასეთ ქცევას მიჩვეულნი იყვნენ ყველანი).

ვერ მოვითმინე და გვაჯის გადავუჩურჩულე:

_ შენი მითითებებით რომ ვიხელმძღვანელოთ, N 5 ლაბორატორია მხიარული ოთახის წყალობით პირველ პრემიას მოიპოვებს სიცილის მხრივ შეჯიბრში...

გვაჯიმ ჩაიხითხითა:

_ ამ პრემიიდან ცოტას მე ვერ “მომიტეხავთ”?

_ ვერაფრით, ჩემო გვაჯი, ბატონ ღუტუშას ეკუთვნის მთლიანად და საიდუმლოდ გეტყვი: ჭირივით ეჯავრება გაყოფა, მადა აქვს სანაქებო. ამას წინათ ლაბორატორიის კუთვნილი კვარტალური პრემია მთლიანად თვითონ ჩაიჯიბა; შინ ბინის გახურებული რემონტი აქვს და რა ქნას, სჭირდება!

_ მაიმუნი!.. ჩერჩეტი!.. იდიოტი!.. _ გვესმის უცებ საკმაოდ ხმამაღალი წამოძახილები. ბატონ პალიკოს მოხსენების დროს დროდადრო კი აღწევდა ჩვენამდე ბურტყუნი: “ტუტუცი!”, “რას ყრანტალებს სისულელეებს!”, “ლაქლაქებს, ლაქლაქებს, წადი რა, საქმე ნახე!”, “აფერისტი მამაძაღლი!” და მისთანანი, მაგრამ ის ბოლო სიტყვები კი მთელი სულითა და გულით იყო წარმოთქმული და ამიტომ უფრო ფართო აუდიტორიის ყურებს მისწვდა.

აქამდე თითქოს ყველაფერი დადგენილი წესითა და რიგით მიდიოდა და ამ გამოხდომამ, რომელიც, ეჭვგარეშეა, პატივცემული მომხსენებლის მისამართით იყო წამოსროლილი, კრების მსვლელობის მონოტონური სურათი სრულიად შეცვალა. საპენსიო ასაკის მთვლემარე თანამშრომლებმა თვალები დააჭყიტეს, გაზეთების მკითხველებმა თავები ასწიეს და მსოფლიო კონფლიქტებით გადაღლილი ფურცლებიდან ამოყვინთეს, დეტექტივთა მოყვარულებმაც კი შუა გზაზე შეწყვიტეს მკვლელობათა დახლართული ამბების გამოძიება _ ყველანი ბატონ მგელიკას სიჩუმით გათანგულ კაბინეტში აღმოჩდნენ. დიახ, ბუზის გაფრენასაც გაიგონებდა კაცი და სწორედ ამ უჩვეულო სიჩუმემ გამოაფხიზლა სხდომის მონაწილენი.

_ რა ბრძანეთ? _ სათვალე მოიხსნა დაბნეულმა მომხსენებელმა პალიკო პოლოლიკაძემ და სწორედ ჩვენს წინ, მაგიდის მეორე მხარეს მჯდომ N 16 ლაბორატორიის გამგეს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, ნოშრევან ნაშრევაძეს მიაჩერდა.

_ რა და, რაც გაიგონე _ სისულელეებს ლაპარაკობ! _ მკვახედ მიახალა პალიკოს ნოშრევანმა.

ენაჩავარდნილმა პალიკომ მზერა ახლა დირექტორზე გადაიტანა.

ბატონმა მგელიკამ ხაზგასმული აუღელვებლობით მიმართა ნოშრევანს:

_ გთხოვთ, ნუ აწყვეტინებთ მომხსენებელს, მერე გექნებათ გამოსვლის და თქვენი შეხედულების გამოთქმის საშუალება, მოითმინეთ...

_ რა უნდა მოვითმინო, ტყუილებს ვუსმინო? აბუჩად აგდება მოვითმინო? _ ხმას აუწია ნოშრევანმა და ფეხზეც წამოდგა. _ დამიწყებთ ახლა ყოველი დაწერილი ფურცლის და დახარჯული ფანქრის აღრიცხვას... მე კაპიკებს მიანგარიშებთ, საშლილს და კალამს დამითვლით და თვითონ კი ათასებს და ათიათასებს ანიავებთ!.. ჰო, რა გაკვირვებული მიყურებ, ტყუილს ვამბობ?.. ვითომ კაპიტალური რემონტი ჩაუტარეთ შენობას, სხვების თვალის ასახვევად, ჩვენ კი თავზე ბათქაში გვაცვივა, საპირფარეშოში ერთი ონკანი ვერ მოაწესრიგეთ, აგერ უკვე ნახევარი წელიწადია!

განცვიფრებული მგელიკა ფეხზე წამოხტა და რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ნოშრევანმა ისევ თითქოს შოლტი გადაუჭირაო:

_ შენ დაჯექი ადგილზე!.. _ მკვახედ გაისმა ნოშრევანის ბოხი, თამბაქოს უზომო წევისგან ჩახრინწული ხმა; ისე, დიდი ტარიელი არ მყავს _ მაღალი კია, მაგრამ გაჩხინკული, სი-

გამხდრისგან ყბებჩავარდნილი. ზღარბივით აბურძგნილი ხშირი თმა და ნაპერწკლებივით მკვესავი შავი თვალები ყოყლოჩინა ყვინჩილას ამგვანებდა უკვე შეჭაღარავებულ კაცს. ინსტიტუტის ადმინისტრაციასთან ხშირად აქვს უთანხმოება და ზოგიერთები ზურგსუკან შერეკილს და დონ კიხოტს უწოდებენ.

ბატონი მგელიკა საცოდავი სანახავი იყო, ხმა ჩავარდნოდა გაოგნებისგან _ თვით რისხვა იყო ყველასი, ხშირად მისი მოუზომავი ყვირილი ოთხივე სართულზე მშვენივრად ისმოდა ხოლმე _ მოურიდებელს, უკმეხს, თუმცა, როგორც თვითონვე იტყოდა საკუთარ თავზე, "სამართლიანს", დღეს გაუგონარი რამ აკადრეს!..

_ რა უფლებით... _ წამოილუღლუღა თითქმის ხმაწართმეულმა.

_ შენ დირექტორი ხარ? ჰოდა დაჯექი შენს ადგილზე, _ გაუმეორა ნოშრევანმა, _ არაფერი არ იცი შენ!

_ რაებს ბედავ!.. _ წამოიძახა, როგორც იქნა, მგელიკამ.

_ ნეტა ვინ უტვინომ დაგნიშნა დირექტორად... ელექტროტექნიკა საერთოდ ჩინურია შენთვის, არც ელექტრომძრავების მმართველ ცენტრებზე გაქვს წარმოდგენა და ამ თემაზე სადოქტორო დისერტაცია დაიცავი!.. ძალიან შევცდით, მაშინ ხმა რომ არ ამოვიღეთ! ფუი, ფულის მეტი არაფერი აინტერესებს და თანამდებობის, რასაკვირველია! თანამდებობა ფულისთვის სჭირდება, ფული _ თანამდებობისთვის!..

_ შენ რა გინდა, რამეში დაგჩაგრა ვინმემ? -_ როგორც იქნა, ხმა ამოიღო პალიკომ. _ ავად ხომ არ ხარ?

_ ავადმყოფი შენთან და შენისთანებთან მოიკითხე! _ ისევ ფეხზე მდგომმა გასცა პასუხი ნოშრევანმა. _ დამჩაგრეთ და მეტი არა? შარშან ახალი მოწყობილობა უნდა მიგვეღო ლაბორატორიაში, ფულიც გამოყოფილი იყო, რატომ დაგვაკელით?

_ კი, ბატონო, ყველაფერს გავარკვევთ, მოგცემთ, თქვენ ოღონდ გამოიწერეთ! _ დასაშოშმინებლად თავს უკრავდა პალიკო, ალბათ თავბედს იწყევლიდა, რატომ შევეკამათეო.

_ რაღას მომცემთ, ის ფული დირექტორის პერსონალური ფეხსალაგის მოსაწყობად დაიხარჯა, განა არ ვიცი? ყველამ იცის, ყველამ!.. და ხმაჩაკმედილია!.. მე მათხოვარი კი არ ვარ, "მოგცემთ, მოგცემთ!" _ დაცინვით გამოაჯავრა ნოშრევანმა.

ბატონი პალიკო პოლოლიკაძე ისევ გაჩუმდა, უმწეოდ აფახულებდა წამწამებს, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

მგელიკამ უხერხული ვითარების ჩასაფარცხად სხდომის მეორე საკითხზე გადასვლა ამჯობინა.

_ დაწყნარდით, მეგობრებო, დაწყნარდით... დაბრძანდით, ბატონო პავლე, მადლობას მოგახსენებთ... _ პალიკო დაჯდა და შვებით ამოისუნთქა, დირექტორმა კი განაგრძო: _ ახლა ძალიან მნიშვნელოვან საკითხს განვიხილავთ და გთხოვთ, ყურადღებით მოუსმინოთ ბატონ ჰიპოკრატეს.

ჩვენი დაწესებულების პარტბიუროს მდივანი ჰიპოკრატე მელაკუდაშვილი _ დაბალი, მელოტი, რიხიანი ხმით მოლაპარაკე _ წამოდგა და სათვალე გაიკეთა (ცოტა ხმასაც აუწია, რომ ნოშრევანის ოდნავ დამცხრალი ბურტყუნი დაეფარა):

_ გვაცალეთ, ბატონო, ერთი წუთით... სიჩუმე იყოს, მომისმინეთ, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც ბატონმა ბაქარმა მოგახსენათ... ყველა აქ დამსწრეთა და განსაკუთრებით პოლიტწრეების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!.. დღეს, საღამოს ხუთ საათზე, უნდა უზრუნველყოთ თანამშრომელთა გამოცხადება ჩვენი დაწესებულების წინ, ეზოში... ჩავსხდებით ორგანიზებულად სპეციალურად გამოყოფილ ავტობუსებში და წავალთ აეროპორტის გზაზე ლიუბომირ პოპოვიჩის გასაცილებლად...

_ ვინაა ეს პოპოვიჩი? _ აყაყანდა ხალხი. _ შინ შუაღამეზე უნდა მივიდეთ მაგის გულისთვის?

ჰიპოკრატემ, როგორც დეფექტურ ბავშვებს, ისე დაგვიწყო ახსნა-განმარტება:

_ ამხანაგებო, ამხანაგი პოპოვიჩი სოციალისტური ბანაკის ერთ-ერთი კომუნისტური პარტიის გამოჩენილი ლიდერია, მეორე თუ მესამე მდივანია. ჩვენ მითითება მოგვივიდა რაიკომიდან, რომ ამხანაგ პოპოვიჩს მოვუწყოთ სათანადო გაცილება... მონაწილეობა მივიღოთ საზეიმო გაცილებაში... დროშებსა და ტრანსპარანტებს საწყობში მიიღებთ სიის მიხედვით, უკვე ყველაფერი მზად არის. ყველაფერი ნათელია?

ნოშრევანის სულში, ეტყობა, ჯერ კიდევ თუხთუხებდა და არ განელებულიყო მდუღარე აღშფოთება:

_ რა არის ნათელი? _ ისე მოურიდებლად წამოიძახა, რომ ყველანი მას მიაჩერდნენ. _ რატომ უნდა გავაცილო მე ვიღაც პოპოვიჩი, რომელიც ჩემს დღეში არ შემხვედრია? არც კი იცით წესიერად, რომელი ქვეყნიდანაა ჩამოსული...

_ სტუმარს პატივი უნდა ვცეთ... _ დაიწყო ჰიპოკრატემ, მაგრამ ვინ გააგრძელებინა:

_ რა არის აქ პატივსაცემი? _ თვალმოჭუტვით მისჩერებოდა ჰიპოკრატეს ნოშრევანი და თავისი ფსიქოლოგიური ზეწოლით ჯაბნიდა, თვალებს ახრევინებდა. _ როგორ გგონიათ, იმ პოპოვიჩმა რომ იცოდეს, ჩემს ზარ-ზეიმით გასაცილებლად მოსული ხალხი ნახირივით არის მორეკილიო, ესიამოვნება? ასეთ საპატიო გაცილებას რა ვუთხარი! ვისი სტუმარიცაა, იმან გააცილოს, ჩვენ თავი დაგვანებეთ!

ნოშრევანი წამოდგა, სიგარეტს აუჩქარებლად მოუკიდა, გააფუილა და დინჯად გაემართა გასასვლელისკენ. ჰიპოკრატემ ვერ მოითმინა და უკან დაადევნა:

_ დიდი ხანია, ასეთი გაბედული გახდი? ინტრიგანი!

ჰიპოკრატეს დაბნეულ, საშველად მომლოდინე მზერას მგელიკამ მხრების უმწეო აწურვით და ტუჩების დაბრეცით უპასუხა. ხალხი ყაყან-ხმაურით დაუკითხავად აიშალა, მხოლოდ რამდენიმე კაცი არ ჩქარობდა წამოდგომას და დირექტორს შესცქეროდა.

_ გიჟია! _ გამტკნარებული სახით იძახდა მგელიკა. _ მაგას გიჟის ბილეთი აქვს!

_ ეგ ისეთი კოზირია, ვერაფრით გაჭრი! _ უდასტურებდა ცხვირჩამოშვებული ჰიპოკრატე მელაკუდაშვილი და ალბათ უკვე წარმოდგენილი ჰქონდა, როგორ გამოაპანღურებდნენ პარტიული მდივნობიდან სასტიკი საყვედურისა და უკანასკნელი გაფრთხილების გარნირით... მას კი იმედი ჰქონდა, ოცნება მალე ამისრულდება, რაიკომში გადამიყვანენ სამუშაოდ, იქ უფრო გავშლი ფრთებსო.

დანა კბილს არ უხსნიდათ დანარჩენთაც ძლიერთა ამა დაწესებულებისა...

_ არ უნდა ავყოლოდი, _ თავს დანანებით იქნევდა მგელიკა, _ მაგრამ მოთმენა არ გინდა?

_ გიჟს რა უნდა ელაპარაკო, _ ჩიოდა პალიკოც.

მხიარულ ოთახში დავბრუნდი და აბორიგენები განვანათლე მომხდარი ეპოქალური მოვლენების შესახებ.

_ გიჟი ნოშრევანი კი არ არის, ისინი არიან, _ კატეგორიულად განაცხადა ბაბუციმ. _ რა აღრიცხვიანობა და აქტების გაუთავებელი წერა აუტყდათ! მე რომ ვიცი ჩემი დამწვარი ბედის ამბავი, ჩვენი სართულის ინსპექტორად გამომჭიმავენ და ყველას გადამკიდებენ.

_ რაც მთავარია, სამსახურიდან ეგრე ადვილად ვეღარ გაიპარები! _ გაეცინა ლადიკოს.

_ ჭირი მაგათ! _ აიფოფრა ბაბო. _ შენ რაღა გიხარია, არ ვიცი. რა ემართებათ მაგ უბედურებს, ყოველთვის რაღაც მოარულივით ეპიდემია აქვთ შეყრილი. ჯერ აიჩემეს, გამომგონებლობა და რაციონალიზაციაა ყველაზე მთავარიო, ჩამოაყალიბეს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების წრე და შიგ ჩამჩხირეს _ რომელი გამომგონებელი მე ვარ? მაგრამ რაიკომიდან გეგმა ჰქონდათ დაშვებული, ამდენი და ამდენი რაციონალიზატორ-გამომგონებელი გვჭირდებაო და ლამის დამლაგებელი დაროც ჩაწერეს...

_ აბა როგორ, გეგმა გადაჭარბებით უნდა შესრულდეს, ჩაგვეთვლება! _ ამბობს სანდრო.

_ ჩაივლის ეს კამპანია, _ აგრძელებს ბაბო, _ და ახალი ტალღა აგორდება: შრომის მეცნიერული ორგანიზაცია გადაგვარჩენსო და წაიღებენ ყურებს რადიო-ტელევიზიაში ამ თემაზე გაუთავებელი ლაქლაქით; გაზეთს ვერ გაშლი, რომ გოჯისტოლა ასოებით ამაზე არ ყვიროდნენ სათაურები. რა თქმა უნდა, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებაში გამაწევრიანეს ხელად და რაღაც თემაზე რეფერატიც დამაწერინეს _ დავიდე წინ გაზეთები და ამაზე ადვილი რა იყო. მერე თავი წაგვჭამეს, არიქა, ხანძარსაწინააღმდეგო წესები დავიცვათო _ სემინარები, კურსები, ლექციები... შემტენეს ნებაყოფლობით ხანძარსაწინააღმდეგო საზოგადოებაში... პირდაპირ ცეცხლი მოგვიკიდეს. რომ არ გამოელევათ სალაპარაკო? ანგარიშთა ხარისხი!.. შრომის უსაფრთხოება!.. ბუნების დაცვა!.. სანიტარული ერთთვიური _ ქოლერა მოდის!.. მაწანწალა ძაღლები შემოგვესია!.. კოღოებმა შეგვჭამეს!.. ლოზუნგების ეპიდემიებით შეგვჭამეს და ეს არის. არადა, ხომ ხედავთ, ყველაფერი ეს, ბოდიში და, სულ ფეხებზე ჰკიდიათ, მთავარია, ხმაური...

_ შენ როგორ გინდა? _ ვეუბნები ბაბოს, _ ხელმძღვანელობის ყველაზე საუკეთესო მეთოდი სხვადასხვა ბრძანებებისა და განკარგულებების გამოცხობაა. უამრავი უსაქმური ამით ჭამს პურს, იკეთებს კარიერას, იწყობს ბედნიერ ცხოვრებას... იხარჯება უამრავი ქაღალდი, დრო, სიტყვები...

_ ესაა პოლიტიკა! _ წამოიძახა ლადიკომ. _ ვითომ რაღაც კეთდება!

_ არ მაინტერესებს! _ გაცხარდა ბაბო. _ რა გააჭირეთ საქმე ამ პოლიტიკით, თავი ამტკივდა!

_ შენ არ ლაპარაკობდი ახლა ამაზე? _ უთხრა სანდრომ პასუხად. _ ეტყობა, განათლებული ბრძანდები ამ სფეროში, ჰოდა, იმიტომაც არ დაბრძანდები სოციალიზმის ეკონომიკური თეორიის სემინარებზე. ამას ჩვენ გავითვალისწინებთ, როცა ხელფასის მომატების საკითხი წამოიჭრება ან შტატების შემცირებისა...

_ არც პოლიტწრის მეცადინეობებს ესწრები, გენაცვალე, _ ლადიკოც ბაბუცის მიუბრუნდა, _ ამიტომაც ხარ ცხოვრებაში ჩამორჩენილი ბაიყუში.

_ ეგღა მაკლია ახლა, ყოველდღე ღამე მივიდე შინ, ჩემს ქმარ-შვილს ესენი მიხედავენ?

_ რატომ არ გაინტერესებს? _ ღიმილით შეეპაექრა ბაბოს სანდრო. _ პოლიტიკით აუცილებლად უნდა იყოს ადამიანი დაინტერესებული. აპოლიტიკურობამ შეიძლება აპათიამდე მიგვიყვანოს, ეს კი ავადმყოფობას ნიშნავს. იმას კი არ ვამბობ, რომ ჩვენ შეიძლება პოლიტიკის მამა-შემქმნელები ვიყოთ, ამის პრეტენზია ჩვენისთანებს ნამდვილად არ შეიძლება ჰქონდეთ... აქ დროს ვატარებთ, ვლაყბობთ რაღაც წვრილმანებზე, ნაღდ პოლიტიკაში ჩაბმისგან ღმერთმა დაგვიფაროს! ეს ერთგვარი გართობაა, თამაშია ჩვენთვის, მაგრამ სრული აპოლიტიკურობაც არ შეიძლება. მღვიმეში ხომ არ ცხოვრობ, გამოქვაბულის ეპოქა წავიდა. დიახ, თუ საკუთარ პატარა პოლიტიკურ თამაშს არ მიჰყვები, ვარაუდებს არ აწყობ, მერე ამ ვარაუდების ახდენა-არახდენას არ აკვირდები, იცოდე, ბევრ საინტერესოს ჰკარგავ ცხოვრებაში და ბევრ სიამოვნებასაც იკლებ.

_ ესე იგი, ვიღაც პოპოვიჩის დამამცირებელ გაცილებაში მონაწილეობის მიღება პოლიტიკაში ჩართვად ჩაგვეთვლება? _ ირონიით მივმართე სანდროს, _ სადაურია ეს პოპოვიჩი, შენ მაინც თუ იცი? ჰიპოკრატეს ვერაფრით ვათქმევინეთ.

სანდრო არც ჩემს სიტყვებს აუღელვებია, მეც ღიმილით მიპასუხა:

_ ე-ე-ეჰ, ჩემო პეპე, ჰიპოკრატე მელაკუდაშვილი კბილებს აღრჭიალებდა და ცოტა ადრე სხვანაირად მოუვლიდა მაგ საქმეს... ახლა კუდამოძუებულია, დროს უწევს ანგარიშს... ჰო, პოლიტიკა დიდი სიამოვნების მომტანიც არის, ოღონდ უნდა მუღამი გაუგო. აი, შენ, მაგალითად, შეგეძლო ბატონ ჰიპოკრატესთვის კარგი რჩევა მიგეცა, რომელიც ნოშრევანსაც მოეწონებოდა და აგვაცდენდა მათ შორის შეხლა-შემოხლას, ანტაგონიზმს საერთოდ. რა გაკვირვებული შემომცქერი? ძალიან უბრალო და სასარგებლო რჩევაა. უნდა წამომდგარი-

ყავი, სკოლის ბეჯით მოწაფესავით აგეწია ხელი და გეთქვა: “ბატონო ჰიტოკრატე, არ ჯობს განა, ჩვენს მაგივრად აეროდრომისკენ მიმავალი ავტოსტრადის გასწვრივ თოჯინები დავამწკრივოთ? მათ არც სადმე ეჩქარებათ, არც არაფერი შეეშლებათ, არც გადაიღლებიან დროშების ფრიალით და მისალმებების ყვირილით, არც უკმაყოფილებას გამოთქვამენ _ მაგნიტოფონზე იქნება მზამზარეულად მისალმებები და ტაშისცემა, აუწიე ხმას და აყვირე, რამდენიც გინდა და რა დონეზეც გინდა!..

_ იქნება სხვადასხვა ენაზე ჩაწერილი მისალმებები და რომელიც დაგჭირდება, იმას ჩადებ! _ დაამატა ლადიკომ.

_ არა, ყველას ჯობს ნახირის ბღავილი! _ არ დავეთანხმე მე. _ ინტერნაციონალური ენაა, ყველას ერთნაირად ესმის და დიდადაც ესიამოვნებათ. რა განსხვავებაა, ჩვენც ხომ ნახირივით მიგვრეკავენ ხოლმე და გვაბღავლებენ. თანაც მხოლოდ დროშის გამოცვლა იქნება ხოლმე საჭირო.

_ ჰო, იცინეთ, იცინეთ და თუ არ გაგიყვანონ თქვენ ყველანი სულ კუნტრუშ-კუნტრუშით და არ გაბღავლონ, მაგასაც ვნახავთ! _ ნიშნის მოგებით გვეუბნება ბაბუცი. _ ნებისმიერი ქვეყნის დროშასაც კოხტად დაიჭერთ ხელში და აქეთ-იქით დაუღალავად გააქნევთ-გამოაქნევთ კიდეც.

_ ეჰ, პეპე, პეპე, მე წესიერი კაცი მეგონე და შენ კი ეს რა ჩაიდინე! _ მოულოდნელი საყვედურით ამავსო სანდრომ.

_ რა იყო, რა დავაშავე ისეთი?

_ განა დანაშაული არ არის, დაბნეული, გაუბედურებული, დემორალიზებული ჩვენი საყვარელი ხელმძღვანელობა ასე უგულოდ მიგიტოვებია და აქ სიცილით გვიამბობ მათ გასაჭირს!

_ აბა, რა უნდა ექნა? _ იკითხა ლადიკომ.

_ უჩემოდ რა გეშველებათ, არ ვიცი... _ ამოიხვნეშა სანდრომ. _ სულ მე უნდა დაგარიგოთ ჭკუა და დაგაკვალიანოთ? ბიჭო, ხომ იცი, ეგ კრება არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. აწი გაუტკბება ნოშრევანს მაგათი გაბიაბრუება და რაღა ეშველებათ იმ საცოდავებს? ხომ იცი, მგელიკა უტვინოა, არც ჰიპოკრატე, პალიკო და სხვებია აზროვნების ტიტანები, ჰოდა, კაცთმოყვარე თუ ხარ, სხვისი გასაჭირი არ უნდა გაითავისო? უნდა გეთქვა მათთვის: “მოწყალეო ბატონებო, დიდად ვწუხვარ, რომ მსგავსი კრებები კიდევ ბევრი მოგელით, თუნდაც მოკლე ხანში პროფკავშირის საერთო კრება იქნება და ნოშრევანის მსგავსი ინტრიგანები, საქმის წამხდენნი, დემაგოგები, მოშურნენი და ასე შემდეგ, ისევ შეეცდებიან წყლის ამღვრევას ნაკლოვანებებთან ბრძოლის დროშით. ამიტომ, თქვენო უკეთილშობილესობავ, წინასწარ უნდა მიიღოთ შესაფერისი ზომები, რათა მათ ვერ შეძლონ თავიანთი ვერაგული ჩანაფიქრის განხორციელება... ამისათვის საჭიროა, რომ ზემოხსენებული ნოშრევანი საპასუხისმგებლო კრების წინ იზოლირებული და გაუვნებელყოფილი იქნას”...

_ ყოჩაღ, სანდრო! _ გაეცინა ბაბოს. _ როგორ გინდა, ნოშრევანს მოერიო?

_ მოხერხებით, ჩემო კარგო, მოხერხებით! _ გაიღიმა სანდრომაც. _ ჩვენ ჰუმანისტები ვართ, ძალადობასა და აკრძალულ ხერხებს ხალხის გაფუჭებისა არ ვიხმართ, არა, არ გვჭირდება. უფრო დახვეწილი და ცივილიზებული მეთოდებიც არსებობს...

_ როგორ გიყვარს გაჭიანურება, მოკლედ ვერ იტყვი? _ შესძახა ლადიკომ.

_ მე, მეგობრებო, მაგალითად, ჩვენს საყვარელ ნოშრევანს დიდი ზრუნვითა და უაღრესი პატივისცემით შემოვევლებოდი თავს. საპასუხისმგებლო კრების წინ გავიგოთ, რა სტკივა, რა აწუხებს და ვუშოვოთ საგზური საუცხოო კურორტზე, რასაკვირველია, შეღავათიან ფასად და გავამგზავროთ, რათა ყოველმხრივ ძალ-ღონით სავსე და ხალისიანი დაგვიბრუნდეს და ძველებურად ენერგიულად განაგრძოს მისი სანაქებო მოღვაწეობა...

_ ეგ რომ ძალიან ძვირი მოეჩვენოთ? _ ეჭვი გამოთქვა ბაბომ. _ ყველაზე კარგ საგზურებს თვითონ დაითრევენ ხოლმე. რამდენი წელია, საოჯახო საგზურს ვითხოვ და ძაღლადაც არავინ მაგდებს.

_ შეიძლება სხვაგვარადაც მოგვარდეს საქმე, მაგალითად, გაამგზავრონ მივლინებაში, ჯობს _ მოსკოვში; იქ ავეჯს იყიდის იმპორტულს... შეიძლება, კრების წინა დღით დაჰპატიჟო და მაგრად დაათრო. მეტი რაღა ვქნა, დანარჩენი თქვენ მოიფიქრეთ, ტყუილად ხართ დიდი მეცნიერები? _ ხელები გაშალა სანდრომ.

_ ყველაზე ნაღდია, დაურეკო სამსახურში და უთხრა, რომ ზედა სართულის მეზობლიდან მის ბინაში წყალი ჩამოდის! _ თავისი აღმოჩენით გახარებულმა წამოიძახა ლადიკომ.

ამ დროს სილიამ შემოანათა ოთახში თავისი Mმელოტით და ხარის თვალები ლადიკოს მიაპყრო:

_ ღუტუშასთან მიბრძანდი, ჭირიმე, ვიღაცა ტელეფონზე გირეკავს.

ლადიკოს დაბრუნება დააგვიანდა. ამბის გასაგებად გასულმა ბაბუციმ გვამცნო: თურმე ლადიკოს ბინაში ზედა მეზობლიდან წყალი ჩამოსულა და ჭერის ბათქაში სულ ჩამონგრეულა...

XXXIV წკიპურტი. სანდრო და ავტომობილი

_ ცოტა მოცლილი რომ ვიყო, შემეძლო, კარგა მოზრდილი წიგნი დამეწერა სათაურით: “სანდრო და მისი ავტომობილი”! _ გამოვაცხადე მე, თან ეზოში ვიყურებოდი.

_ რაზე გაგახსენდა? _ იკითხა ლადიკომ.

_ სანდრო დგას ეზოში. ვიღაცას მანქანა მოუყვანია შესაკეთებლად და მასაც მეტი რა უნდა _ სალაპარაკო გამოელევა?

_ თუ გინდა, ასიამოვნო, მისალმების მაგივრად უნდა ჰკითხო: “სანდრო, მანქანა როგორა გყავს?”

_ დახედე ერთი საათს, საინტერესოა, რამდენ ხანში ამოვა! _ მეუბნება ბაბუცი.

ლადიკო გვერდზე დამიდგა, იმანაც გადაიხედა ეზოში:

_ ძველი “მოსკვიჩია”, მაგრამ, ეტყობა, კარგი მოვლილია.

_ აქედან რას შეატყობ, იქნებ ახალი შეღებილია.

გავიდა საათნახევარი მაინც და, როგორც იქნა, სანდროს ხილვას ვეღირსეთ, სამაგიეროდ, სილიასთან ერთად მობრძანდა. სილიას ქაქანის დაწყების საშუალება არ მისცა, მაშინვე მოყოლას შეუდგა, ჩვენს კითხვებს აღარ დაუცადა.

_ გვაჯის მანქანა დაურტყია! _ მოკლედ გვამცნო სანდრომ თავისი შეყოვნების მიზეზი; მერე კი, რაღა თქმა უნდა, დაწვრილებით მოგვახსენა: _ ჰო, თავისი დაფეხვილი “მოსკვიჩი” ვიღაც ჯიბესქელის “ჟიგული-07-ს” გლიჯა. ის საქმოსანი დატრიალებულა, ყველა ბაზის თუ საწყობის მუშაკები მისი ნაცნობ-მეგობრები აღმოჩდნენ და წუთში იშოვა ყველაფერი _ თავისიც და გვაჯის მანქანისთვისაც. “07-ის” წინა კარი მოუტანია გვაჯისთვის, აწი შენ გააკეთებინე ჩემი მანქანა, შეაღებინე კიდეცო, მე საქმიანი კაცი ვარ და ვერ მოვცდები, არ მცალიაო... აბა!.. უნდა იცოდე, ვის დაარტყა! მაგ კარს გვაჯი თვითონ ვერასგზით იშოვნიდა!

_ სულ რა დაუჯდა მანქანის შეკეთება? _ დაინტერესდა ლადიკო.

_ იმის მანქანის _ სამასი მანეთი, ახლა თავისაზე ჩალიჩობს.

_ არ ჯობდა, გვაჯის მაგ ფულით ტაქსით ევლო? _ ფილოსოფიურად ასკვნის ბაბუცი. _ ორი თვე ყოველდღე ისრიალებდა ტაქსით და ხურდაც დარჩებოდა!

_ ყველაფერს ბედი უნდა! _ ახლა მეორე ფილოსოფოსი, სანდრო, აგრძელებს: _ ამას წინათ ტაშკენტის ქუჩაზე ვიდექი, ერთი მანქანა დაგორდა და სატვირთო მანქანას დაეჯახა.

პატრონმა სატვირთოს შოფერს ფული მისცა, ისე, არაფრისთვის, ეტყობა, შეძლებული იყო. უიღბლო რომ იქნება კაცი _ ჩემი მანქანაც იქვე იდგა, რატომ იმას არ დაეჯახა!

_ შენი მანქანა კიდევ ცოცხალია?

_ ისეთი დამპალია, ტლაპოში რომ გავდივარ, ფეხებს მაღლა ვწევ! _ იცინის სანდრო.

_ მანქანების პროფილაქტორიუმში მიიყვანე _ აქ, ნუცუბიძის ქუჩაზე, _ ურჩევს ლადიკო. _ ამას წინათ ვიყავი, ვეუბნები ხელოსანს, თქვენთან რა სიწყნარეა, რა კარგია აქ-მეთქი. რა არის კარგიო, მეუბნება, კარგი მაშინ არის, როცა მანქანების დაჯახების ხმას გავიგონებ, საქმე გამომიჩნდებაო.

სილიასაც მიეცა საუბარში ჩართვის საშუალება:

_ უნდა გეთქვა ხელოსნისთვის: "შენ გზაჯვარედინთან უნდა ცხოვრობდე, საბურთალოსა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, ჩემს ძმაკაც სილიბისტროს გაუცვალე ბინა... ავარიების დიდი მოსავალია, დღე იქნება თუ ღამე. ტკბილად გეძინება, ოღონდ, როცა მანქანების დაჯახების ხმას გაიგებ, წამით გაახელ თვალებს და საწოლის გვერდზე დადგმულ საანგარიშოზე მორიგ ქვას ჩამოხვალ _ ესეც თხუთმეტი!"

_ სანდრო, მაშ შენს მანქანაში ჩაჯდომა არ შეიძლება? _ ეკითხება ბაბუცი.

_ ნუ ჩაჯდები, თუ გინდა, ახლა ვიწყებ ჭკუაზე მოყვანას. ამას წინათ მეზობელს მისი "ზაპოროჟეცი" გამოჰყავდა, წესიერად ვერ გამოიყვანა და ჩემს მანქანას გაჰკრა. თვითონვე დაიწყო ბუზღუნი: "რა ამბავია ეზოში ამდენი მანქანა!" მივედი, დავუყვავე: "ჩემო ამბერკი, ვეუბნები, _ მართალი ხარ! ცოტაც მაცალე და ეს მანქანა აღარ მეყოლება, ვყიდი, ერთ თვეში!" ამბერკის თვალები ჯერ გაუბრწყინდა, მერე დაუსევდიანდა, ალბათ შევეცოდე, _ როგორ ვიქნები უმანქანოდ? მე კი ვაგრძელებ, ვეუბნები: "სამაგიეროდ, ვერტმფრენს ვყიდულობ! პატარა ვერტმფრენები გამოსულა, ძალიან მოსახერხებელი, ზუსტად საჩემო: ჩემი ბინის თავზე მოვაწყობ მოედანს აფრენა-დაშვებისთვის!" "ი! _ გაუკვირდა ამბერკის, _ ვინ გაძლევს მაგის უფლებას?" ვატყობ, ისევ იბოღმება. "ვა! _ ისევ ვამასხრებ, _ ვინ დამიშლის?!. ჩემი სახურავია, შენი ხომ არა!.. მოდი, შენც გაყიდე მანქანა, მართლაც მეტისმეტად გადაიტვირთა ჩვენი ეზო!"

_ ამხელა კაცი ხარ, სერიოზული პიროვნება ჩანხარ და იმ შენს საცოდავ მეზობელს რას ერჩი, რას ატრიზავებ, გინდაც უჟმური და შურიანი იყოს? _ ჩხუბის ხასიათზე დგება ბაბუცი, მაგრამ სანდროს რას დააკლებს! ვითომც არაფერი, ისევ ღიმილით აგრძელებს:

_ რას ამბობ! ვერჩი კი არა, მზე და მთვარე იმაზე ამომდის! აღტაცებული ვარ, ვამაყობ კიდეც, რომ ასეთი კაცი ჩემი მეზობელია!

_ კარგი ერთი, ნუ გაახურე! _ აწყვეტინებს ბაბუცი.

_ სერიოზულად გეუბნები. მანქანის მონაა, ჭეშმარიტი მონა, მე მასეთი კაცის მნახველი არ ვარ! ორი წლის წინ იყიდა ის მანქანა ანუ, როგორც ხშირად უწოდებენ, "ზაპოროჟეცის" მარკის კონსერვის ქილა. წინათ ნორმალური ადამიანი იყო, ახლა _ დაჰკანკალებს ამ მანქანას, მთელი დღე რეცხავს რაღაც შამპუნის ხსნარებით, აკრიალებს სპეციალური პასტებით, გაუთავებლად რაღაც ლაქებს აცლის... შიგნით ხომ კრიალებს ყველაფერი: აქვს ორი კომპლექტი გადასაფარებელი შალითებისა; როცა ერთი გაჭუჭყიანდება და გასარეცხად მოხსნის, მეორეს მაშინვე გადააკრავს... რა გააჭუჭყიანებს, არ ვიცი, თვითონ შიგ თვეში ერთხელ თუ ჩაჯდება, სხვა ვინმეზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, ოჯახის წევრებსაც კი არ აკარებს. ჰო, ერთხელ ისე მოხდა, მე ჩავუჯექი და იატაკზე დაფარებულ გაზეთს დავწვდი, მეგონა, დაუვარდა. შეშინებულმა შეჰყვირა: "რას შვები, არ აიღო, თუ ძმა ხარ, მანქანა დაისვრება!" არადა, გაგანია სიცხე იყო, გაკრიალებული ფეხსაცმელები მეცვა. აღარც სამსახური ახსოვს, აღარც _ ცოლ-შვილი, აღარც _ ნაცნობ-მეგობრები, კინოც ეგ არის მისთვის და თეატრიც, წიგნიც და კონცერტიც. სულ თავის საყვარელ მანქანაზე ქაქანებს; უყვარს, როცა სხვებიც ამ თემაზე ლაპარაკობენ, ვარდივით გაიფურჩქნება ხოლმე. თუ გინდა, პირადად

გალანძღე, რაც გინდა, უთხარი _ ყველაფერს აიტანს, მაგრამ აბა, ერთი მისი საყვარელი მანქანის აუგი ახსენე!

_ მერე, სხვას რას უშავებს, არ ვიცი! იქნებ სულიერად მარტოა და ერთადერთი მეგობარი უყვარს, ხომ არ სძულს, რას ერჩი! _ ისევ ეკამათება ბაბო.

_ ჩემო სანდრო, ყველაზე სასაცილო, იცი, რა არის? შენც რომ იგივე ავადმყოფობა გჭირს, თუ ამჩნევ? _ ახლა მე მივდექი სანდროს. _ იმ შენი მეზობლისგან ხომ არ გადაგედო? შეიძლება შეგიყვარდეს ძაღლი, კატა, ცხენი... ყოველ ცოცხალ არსებას ახასიათებს ინდუვიდუალობა, მაგრამ მანქანა შეგიყვარდეს? კონვეირის ნაყოფი? რკინა და მავთულები?

_ ნაღდი ბაიყუში ხარ! _ შეეკამათა სანდრო. _ როგორ გეტყობა, რომ მანქანა რა არის, აზრზეც არ ხარ _ არასდროს გყოლია და ამის ბრალია... მანქანასაც აქვს, ბიძიკო, სული, მასაც შეიძლება შეეთვისო და შეეჩვიო _ ჰკითხე ძველ ავტომობილისტებს... ისე, რაღა თქმა უნდა, ცოცხალი არსება მაინც სხვაა, ამაში გეთანხმები. ერთი მეჯინიბე იყო კინოსტუდიაში, ცხენებზე შეყვარებული. დღედაღამ მათ დასტრიალებდა თავს, უვლიდა, დედა შვილს რომ ვერ მოუვლის, ისე. ღამეც კი ცხენებთან იძინებდა, უძნელდებოდა მათი მიტოვება... აი, ასეთი ფანატიკოსი იყო. მისთვის ცუდი ცხენი არ არსებობდა. ეტყოდნენ რომელიმეზე: "ეგ რა ცხენია, ბეხრეკი, ჯღანი, ცალი თვალი _ ლიბრიანი, დრუნჩი _ ჩამოშვებული, დორბლი სდის... კუდი? ორი ღერი, ისიც გაქუცული..." ისე გაბრაზდებოდა, რომ ზოგჯერ გასაქცევადაც გექნებოდა საქმე.

საკვირველი იყო, ამდენ ხანს ლაპარაკში როგორ არ ჩაერთო სილია, ახლა მე დამიჭირა მხარი:

_ შენს თავზე რატომ არაფერს ამბობ, შე ყვავო შენა, შენს მეზობელზე Uუკეთესი რით ხარ? მასავით შერეკილი ხარ შენც!

_ ჰო, კარგი, ეგრე იყოს... ყველანი შერეკილები არ ვართ? ახლა ერთი ამბავი გამახსენდა... ერთი ჭიჭინათელი შოფერი იყო _ ბახვა ლობიანიძე, ცუდ ვარსკვლავზე იყო დაბადებული _ წამდაუწუმ მანქანით ავარიას ახდენდა. უცნაურობა ის იყო, რომ მანქანას უბედურად დაანგრევდა, თვითონ კი ფრჩხილიც კი არ წამოსტკენია არასდროს, უმართლებდა. ერთხელ კაპარჩხანა მეზობლის ქალი ჩაუჯდა კაბინაში, სადღაც უნდა წაეყვანა. ბახვამ დაქოქა მანქანა, ჰოდა, ადგილიდან უნდა დაძრულიყო; უცებ ქალი აყვირდა: "გააჩერე, გააჩერე!" "რა იყო, ქალო?!" _ ეკითხება ბახვა. "მოიცადე, უნდა ჩავიდე!" "რატომ?" "დამავიწყდა, შვილებს უნდა დავემშვიდობო!"

_ ის ქალი შერეკილი კი არა ჭკვიანი ყოფილა, _ ვამბობ მე. _ ჩვენც ჩავიდოდით ამ უბედური მანქანიდან, ქვეყანა რომ ჰქვია, _ სულ ავარიებში და უბედურებებში არ ვათენ-ვაღამებთ? მაგრამ სად წავიდეთ?

_ მე სადღა წავიდე? _ რატომღაც მხიარულად კითხულობს სანდრო. _ ახლა ნახეთ, თუ ილიკო არ მომადგეს, მანქანა მომყიდეო!

მე მაშინვე ანკესზე წამოვეგე:

_ რა მანქანა? კარგი თუა, თანაც იაფი, აგერ არ ვარ მე?

_ დაჯე, დაჯე!.. საშენო მანქანა ჯერ არ გამოუშვიათ, ნუ ღელავ! ჰო, ამ დილით ვხედავ, აქ, ჩვენთან, გვაჯის თავისი "მოსკვიჩი" მოუყვანია, რაღაცეები აქვს გასაკეთებელი. რამდენიმე კაცი გარშემო შემოხვევია, ლაყბობენ _ ხომ იცით, მანქანა რომ გამოჩნდება და ერთი ვიღაც ჩხირკედელაობას დაიწყებს, ორი-სამი მოცლილი იქვე იწყებს ტრიალს. მეც დავდექი, გვაჯის ვუსმენ, როგორ დაარტყა იმ მანქანას. მოვიდა ილიკო-დურგალი, ძაღლს რომ უვლის, ხომ იცით. რა მოხდაო, კითხულობს. "აი, მანქანას ვყიდი იაფად, მეჩქარება, თორემ ასეთ კარგ მანქანას კაცი შეელევა?" _ ვეუბნები. დანარჩენები იღიმებიან, არაფერს ამბობენ. რომანოზი ეუბნება ილიკოს: "მანქანა თუ გინდა, აგერ ბედი პირდაპირ კარზე მოგდგომია. ხელიდან არ გაუშვა, ნახე, რა მანქანაა!" კაცმა რომ თქვას, გვაჯის "მოსკვიჩი" ძველთაძვე-

ლია, სულ ცოტა ოცი წლის მაინც იქნება. ახლად არის შეღებილი და ასე თუ ისე მოვლილიცაა, მაგრამ მაინც ძველია; ძველი მანქანა მაინც ძველი მანქანაა. “რა ღირს?” _ იკითხა ილიკომ. “იაფია, ჩემმა მზემ, მუქთია, მუქთი. ათასი მანეთი გაქვს?” _ ვეკითხები ილიკოს. “ძვირია! _ ცოტა ფიქრის შემდეგ ამბობს ილიკო, _ გაფორმება? გაფორმების ფულს ვინ დადებს?” “ე-ე, _ ვეუბნები, _ შენ რა კაცი ყოფილხარ! რომ იცოდე, ამ მანქანაში მეტსაც მაძლევენ, უკვე თითქმის გადაწყვეტილია საქმე. ნაცნობობით შეღავათი გაგიწიე, შენ კი ათასი მანეთიც არ გინდა მომცე, გაფორმების 200 მანეთსაც მე მაწერ?” ილიკო დაფიქრდა, ორ-სამჯერ შემოუარა მანქანას გარშემო, ხელი გადაუსვა, ფეხიც კი წაარტყა ბორბლებს... აგერ ნახე, თუ აქ არ მომაკითხოს!

_ რას ატყუებ საწყალ კაცს, შენი გასაბითურებელია?! _ ისევ საყვედურობს ბაბუცი, თუმცა თვითონაც იცინის.

როგორც სანდრო ვარაუდობდა, ამ ამბავს გაგრძელება მართლაც ჰქონდა.

მეორე დღეს, სანამ სანდრო ჩვენს ოთახამდე მოაღწევდა, ერთი ხუთმა კაცმა მაინც უთხრა ეზოში, ილიკო გეძებს სასწრაფოდო. ბოლოს, შეხვდნენ ერთმანეთს.

_ გაძლევ ათას მანეთს, გაფორმების ფულსაც მე გადავიხდი! _ უთხრა ილიკომ.

_ ოჰ, ჩემო ილიკო, შენზე უკეთესს ვის მივცემ მანქანას, მაგრამ გუშინვე რატომ არ მითხარი? უკვე გარიგებული ვარ 1500 მანეთად! _ ვითომ დანანებით უთხრა სანდრომ.

_ მეც მოგცემ 1500 მანეთს! _ მცირე დაფიქრების შემდეგ უკან არ დაიხია ილიკომ.

_ გაფორმებითაც შენ გააფორმებ?

ილიკოს პასუხი გაუჭირდა.

_ კარგი, აწონ-დაწონე, მანამდე კი მე იმ კაცს ვნახავ! _ უთხრა სანდრომ.

შემდეგ დღეს ილიკომ ისევ მოაკითხა სანდროს:

_ გაძლევ 1500 მანეთს და მევე ვაფორმებ!

_ დროზე ვერ თქვი, ჩემო ილიკო? ის კაცი 2000 მანეთზე თანახმაა და აფორმებს კიდეც, რა ვქნა, ვუთხრა უარი?

ილიკომ ცხვირი ჩამოუშვა, მეტი ფული არ მაქვსო. ფული როგორ არ ჰქონდა, ენანებოდა დახარჯვა. მერე დაშორებისას მიაძახა სანდროს:

_ ცოტა კიდევ მოიცადე, იქნებ რამე გავახერხო!

შემეძლო, კიდევ სხვა ამბებიც მომეთხრო ამოუწურავი თემიდან “სანდრო და ავტომობილი”, მაგრამ, ვშიშობ, თავი არ მოგაწყინოთ და სხვა დროისთვის შემოვინახავ.

XXXV წკიპურტი. სანდრო აშენებს

დღეს მოხდა სასწაული _ სანდრომ სამსახურში მოსვლა არ დააგვიანა!

_ როგორ მოხდა, როგორ მომივიდა, მეც არ ვიცი _ დროზე მოვედი! _ ამბობს გაკვირვებით სანდრო, თითქოს თავსაც იმართლებს, _ მოვედი და უფროსებიდან კი არავინაა, ბედი არ გინდა?!

_ აბა! მეც მასე დამემართა, _ მხარს უბამს ბაბუცი, _ ადრიანად წამოვბენტერდი, ბავშვები სოფელში გავლალე და თავისუფალი ვარ.

_ იქნებ ჩვენი სამსახურის გემი იძირება და ჩვენ ბაიბურში არ ვართ? ყველა ვირთხებმა თავს უშველეს, უფროსობა თითქოს ამოწყდა, _ გამოვთქვი არცთუ ორიგინალური აზრი მე.

_ გვხურავენ?.. გვეღირსოს იქნება! _ წამოიძახა სანდრომ. _ აი, მაშინ კი შევუტევ სამუშაოს!

_ რა იყო, სანდრო, მოათავე მშენებლობა? _ ეკითხება ლადიკო.

_ როგორც იქნა, დაადგა საშველი _ სააბაზანო გავაწყვე. _ სანდრო აღტაცებით განაგრძობს: _ ჩემი ხელით, გულდაგულ, მართლა მაგრად ვიმუშავე. თითქმის ორი წელი ვიჩალიჩე, სამაგიეროდ, ერთ რამედ ღირს! ვიღაც უტუ ხელოსანი ასე გაალამაზებდა? ჩემი გაკეთებული სააბაზანოს სანახავად ხალხი მოდის, მალე კოლექტიური ექსკურსიებიც მოეწყობა!

_ შესასვლელ ბილეთებსაც ხომ არ გაჰყიდი? _ ვეკითხები მე.

_ დარდი ნუ გაქვთ, ჩემს ძმაკაცებს შეღავათიან ფასად დაგათვალიერებინებთ! თუ ჭკვიანად იქნებით, იქნებ ტანიც დაგაბანინოთ!

ამ დროს სილიაც შემოჯლიგინდა ოთახში, პირდაპირ სანდროს მიადგა და დიდის ამბით ხელი ჩამოართვა:

_ სანდრო, შე ძველო, ჯიბიდან გავარდნილო, დეზერტირო, ყალთაბანდო, რომ არ ჩანხარ, მუშაობას თავი ხომ არ დაანებე, ჭირიმე?!

_ არა, კომუნიზმის შენებამ დამღალა, ნამეტანი მომივიდა და ცოტა დავისვენე.

_ მაშ, ააშენე კომუნიზმი?

_ ავაშენე და დავამშვენე კიდეც! და კინაღამ გადაგვაშენა კიდეც!

_ რა ქენი, მორჩი რემონტს? თუმცა, შენ რა გაგაჩერებს _ ერთ კაფელს რომ გააკრავ, ცოტა ხანში უკეთესს იშოვი, ამას ჩამოხსნი და ახლის გაკეთებას დაიწყებ! _ ღიმილით ამბობს სილია.

_ კაცო, მაღაზიაში ერთი ყეყეჩი ვნახე, ორი კაფელი ეჭირა ხელში და ერთმანეთს ადებდა, გაღუნული ხომ არ არისო, _ ამბობს სანდრო. _ საბჭოთა კაფელი სწორი ვინ გაიგონა!

_ განგებ არის გაღუნული, გაკვრისას ნაკლები ხსნარი სჭირდება! _ იცინის სილია.

_ როგორ შეიძლება მშობლიური ნაწარმი შეამოწმო, ეგ ხომ შეურაცხყოფაა!

_ შენ ეგ მითხარი, დაანგრიე თუ ააშენე? _ ექილიკება სილია.

_ დავანგრიე, სუ დედა ვუტირე და ავაშენე კიდეც!

_ მორჩი?

_ კი, სააბაზანო მოვათავე, ახლა სამზარეულოს ვიწყებ.

_ მერე, ცოლი რას გეუბნება, გინაზღაურებს?

_ მინაზღაურებს რომელია! გამომუშავებაზე ვარ. გუშინ სამი თუმანი გავაკეთე. მივალ უჯრასთან, გამოვაღებ და ამოვიღებ სამ თუმანს... ცოლი მომვარდება, რულეტკით დაიწყებს ზომვას, თან ყვირის: “ე-ე-ე, ზედმეტს ნუ იღებ, დადე თუმანი!” მერე მე ვზომავ და ვუმტკიცებ მტკიცედ და შეურყევლად, რომ ოთხი თუმანი მეკუთვნოდა, მე კი მხოლოდ სამი ავიღე! თანაც _ ხარისხი?! _ ცერა თითს მაღლა წევს სანდრო.

_ მაგარი ხარ, მაგარი! _ სილია სანდროს აიტაცებს ჰაერში და აჯანჯღარებს: _ აღარ მოისვენებ?

_ კაცო, არ ვიცი, რა ვქნა... _ დასერიოზულდა იატაკზე დასმული სანდრო. _ სახლი კი მინდა ჩავდგა ნაკვეთში, არადა, ნარგაობა მეცოდება. ბებერი კომშია ერთი _ კაი კაცია, ისეთ მსხვილ-მსხვილ და გემრიელ ნაყოფს ისხამს, თან ლამაზიც არის, განსაკუთრებით გაზაფსულზე რომ აყვავდება და შემოდგომაზეც, ყვითელი ნაყოფით დახუნძლული... რა ვუყო, არ ვიცი. ერთი ატამიც მიშლის ხელს, კაი ბიჭია ისიც. რა ხნისაა? ორი წლის, უკვე ნიშანი მოგვცა. რაღა ნიშანი _ ოცდაათი ცალი ნაყოფი გამოისხა, ძალიან გემრიელი და სურნელოვანი. მაგას გადავრგავ, ივარგებს. ჰო, კიდევ ერთი ბუჩქი უნდა გადავრგო: ვარდია, წითელი ვარდი, მუქხავერდოვანი...

_ მერე, რა შეწუსებული სიფათი გაქვს, მშობიარობას ხომ არ აპირებ? _ ქიმუნჯი უთავაზა ღიპზე სილიამ. _ ერთი რა არის, შენ ათ სახლსაც ააშენებ!

_ ვღელავ, სახლის დაბადება უფრო ძნელი არ არის? როცა გავიფიქრებ, მაციებს და მაცხელებს, მაციებს და მაცხელებს! ტყუილად კი არ უთქვამთ: სახლი ავაშენე და ოჯახი დავაქციეო.

_ შე ყვავო, ყველაფერს რომ თვითონ აკეთებ, ნაპოლეონი ხარ? კედლებიც ამოგყავს, ლესავ კიდეც, ღებავ, ელერქტროგაყვანილობასაც ახლაფორთებ _ სინამდვილეში გამოდის, რომ არც არაფერი იცი! _ ვითომ აბრაზებს სანდროს სილია.

_ ბიჭო, აქაოდა დიდი ცხვირი მაქვსო, იმიტომ კი არ დაგასაჩუქრა ღმერთმა, ყველაფერში ჩაყო! _ სიცილითვე პასუხობს სანდრო. _ შენ, ძმაო, მთელი ენერგია ლაქლაქში გეხარჯება, აბა, მანახე, შენ თვითონ რა გაქვს გაკეთებული?!

_ სანდრო, მოდი, სილია დაიქირავე, რაც მაგას ლაპარაკში ენერგია ეხარჯება, სამ წისქვილს ეყოფა! _ ვამბობ მე, _ წმინდად დაფქვავს, უმაღლეს დონეზე! შევქმნათ კოოპერატივი _ "ძველი წისქვილი"!

_ არა, არ მინდა: სილიას დღეში სამი კილო ხორცი არ ეყოფა, გაგაკოტრებს! ისე არ იმუშავებს. ხორცს კიდევ ხახვი უნდა, ტყემალი უნდა, ღვინო უნდა, სხვა რაღაც-რაღაცეები... არა, ზარალია!

_ არა, უმი ხორცის მეტი არაფერი უნდა, ლომია! _ ვამშვიდებ მე.

_ მაინც არ არის სახეირო, _ არ მეთანხმება სანდრო, _ სილია იტყუება, 120 კილო ვარო, მეტის იქნება; რა ხორცი ეყოფა, კაცო, მაგის სტომაქის ამოყორვას, ხომ დააქცია ოჯახი! სულ ჭამს და ჭამს, ჭამს და ჭამს!

სანდრო სილიასთან მივიდა, უცებ წელში შეუვარდა და ჰაერში ასწია; ერთი-ორჯერ შეაჯანჯღარა და ისევ იატაკზე დააბრუნა.

_ ვა-აჰ, ეს რა პენსიაში გასაშვებია, ამას კაცი უბატონოდ ხმას არ უნდა სცემდეს, ჩვენ კი აქ ვებაზრებით _ სად არის ზრდილობა? _ სანდროს მხარზე ხელს უტყაპუნებს სილია. _ ჩემზე თხუთმეტი წლით მაინც არის უფროსი და, კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ, არც ისეთი სუსტი ვარ, შეუძლია, ქაღალდის ფურცელივით დამჭმუჭნოს... ბიჭო, ის შენი მეზობელი, ამბერკი, როგორ გიბედავს ჭიჭყინს?

_ იჰ, ჭკუა ვინ მისცა, იმასთან დავა არც ღირს! _ იღიმება სანდრო. _ მე იმას სხვანაირად ვაგიჟებ... ვეუბნები: "სხვას კი არ უნდა უყურო, ჩემო ამბერკი! აი, მე, მაგალითად, ახალი აბაზანა გავიკეთე, მოდი, გაჩვენო! შიგ რადიოც მაქვს, ტელეფონიც, ტელევიზორიც თავის ვიდეოთი! რატომ არ უნდა ვუყურო? _ ვეუბნები, _ აუცილებლივ კიდევ უნდა დავაყენო დიდი სარკე _ მთელ კედელს უნდა ფარავდეს, მაშ!"

_ მოკლედ, სანდროჯან, კაციშვილი ვერ გიბედავს სიტყვის თქმას, მხოლოდ ცოლმა დაგჩაგრა! _ ექილიკება სილია, _ თქვი მართალი, მას რომ არ აეჩემებინა, სააბაზანოს ხელს ახლებდი?

_ ბიჭო, ქალი მე კი არა, ვისაც გინდა, იმას გადარევს! ერთი ნიჭიერი ბიჭი იყო, ვიცნობდი, სულ ფრიადოსანი იყო... გალოთდა, სამსახურში აღარსად გააჩერეს. დაიწყო მამაძაღლობა, რაღაც საბუთების კეთება. დაიჭირეს, ჩასვეს. ციხეში დაწერა სქელი წიგნი _ პოემა "გაბზარული გული". სულ ლექსად ჰქონდა ნათქვამი, რაც კი როდისმე აწყენინა ცოლმა.

_ ჰო, კაცები ყველანი ანგელოზები ხართ, ქალებმა დავაქციეთ ქვეყანა! _ მიხვდით ალბათ, ბაბო გადმოვიდა შეტევაზე.

_ ვინ ამბობს მაგას, ქალიცა და კაციც ათასნაირია, _ შეეპასუხა სანდრო. _ აი, ახლა გამახსენდა: ჩრდილოეთ კავკასიაში ვიყავი, ერთ-ერთ ქალაქში, უფრო სწორედ, ქალაქგარეთ... "ტალკუჩკას" რომ უწოდებენ რუსები, ხარახურის ბაზრობაზე წავედი. იქ ერთ დედაკაცს სხვა რაღაცეებთან ერთად ჰქონდა სამი დეკორატიული თეფში გასაყიდად გამოტანილი. "რა ღირს?" _ ვეკითხები. "ოთხი თუმანი", "ნაკლებად არ იქნება? სამი თუმანი!" "არა!" რამდენი ვევაჭრე, ფასს არაფრით დაუკლო. უკვე თავის დანებებას ვაპირებდი, რომ გვერდით

მჯდომმა ქალმა დაუტატანა: “წეღან ხომ მოკვდი დარდით, იმ კაცს რატომ არ მივეცი სამ თუმნადო, ახლა ეს გაძლევს და რატომ არ თანხმდები?” თეფშების პატრონს შერცხვა და მომყიდა. აჰა, ორი ქალი იყო, ორივე სულ სხვადასხვანაირი.

_ სხვა თემა ნახეთ! _ ბრძანა ბაბომ. _ გაგსიებიათ ეგ მუცლები, ისევ თქვენი ცოლების წყალობით; ჭამთ და სვამთ, მერე ქალებს მიადგებით გასალანძღად!

_ უყურე შენ ამას! _ ვითომ აღშფოთდა სანდრო, _ ოთახში ერთი ქალი გვყავხარ, ხელისგულზე გატარებთ, ცივ ნიავს არ გაკარებთ, შენი გულისთვის პაპიროსის გაბოლებასაც ვერავინ ბედავს ოთახში, რა ამბებსა და ანეგდოტებს არ გიყვებით გასამხიარულებლად _ მეტი რა ვქნათ?

_ ჩამსვით ამ ფუღუროში და უზრდელური ლაპარაკით მხდით სულს!

_ ფუღუროზე გამახსენდა... ომის დროს თბილისში ერთი მოხუცი კაცი ეზო-ეზო დამათხოვრობდა, _ ვითომც არაფერიო, ისე განაგრძო სანდრომ, _ შეხედავდი, ქართველს ჰგავდა, მაგრამ არ იყო ქართველი. შევიდოდა ეზოში და ამღერდებოდა:

“გიტლერი და შოშია
ისხდნენ ფუღუროშია.
მოუბრუნდა შოშია,
ჩაჰკრა კინკრიხოშია.
_ რასა შვები, შოშია?!.
_ ანგრე ჩემი ხოშია!
ამოდენა ჯიელებს,
რათა ჰღუპავ ომშია?!”

_ ხომ გამხიარულდი, ჩვენო კეკლუცო, ახლა თითო ჭიქა ყავასაც მოგვიდუღებ უცებ და საბოლოოდ შევრიგდებით! _ ხელი მოხვია ბაბოს სილიამ.

_ ყავას კი არა, შავ ჭირს მოგართმევ, არ გინდა?! _ ფართო ზურგზე მუშტი დაჰკრა ბაბომ სილიას. _ შენ ხარ ყველაზე მყრალად მოლაპარაკე, მომშორდი აქედან!

_ ბიჭო, ბაბუცის რომ გინების მოსმენას აჩვევ, სულ არ იცი ქალთან თავის შეკავება, რას ფიქრობ? _ მეც დავტუქსე სილია. _ შენი ნათქვამი ხშირი ხმარებისგან ფერმკრთალდება, ძალას კარგავს, ჩვეულებრივი ხურდა სიტყვები ხდება... მიეჩვევა ბაბუცი, თავის შვილიშვილებს იავნანის მაგივრად გინებას წაუმღერებს... მერე გამოაგდებს შინიდან ქმარი და ვინ დაიდებს კისერზე ამ ცოდვას? ბატონი სილიბისტრო! ეგრეა თუ არა?

_ ჰო, კარგი... აბა, დღეს რა შევიგინე? თქვენ შარზე ხართ, შარიან ხალხთან კიდევ საქმე არ უნდა დაიჭირო და რაც მალე მოსცილდები, უკეთესი იქნება! _ გაიცინა სილიამ. _ წავედი!.. ცოლმა ბაზარში რაღაც-რაღაცეები დამავალა...

_ დაგაგვიანდა, ლომო, ხორცი ბაზარში აღარ იქნება! _ დაადევნა სანდრომ.

როცა სილიამ კარი გაიხურა, საუბარი აღარ განახლებულა.

კარგა ხანს ვისხედით ასე, ჩვენ-ჩვენს საქმეებს თუ ფიქრებს ჩაღრმავებულები. ენაწყლიან სანდროსაც კი თავი მოხრილ ხელებზე დაედო მაგიდაზე და თვლემდა.

მდუმარება პირველმა ბაბომ დაარღვია:

_ სად არის ახლა ის გრძელცხვირა, იმის გინება მირჩევნია ასეთ სასაფლაოს სიჩუმეს!..

XXXVI წკიპურტი. კომისია მოდის!

დღეს დილიდანვე ოთახში გვეწვია ბათულა-ოსტატი, რომელიც ჩვენს ინსტიტუტში ყველაზე დაკავებული ადამიანი გახლავთ _ ერთ წამს უსაქმოდ ვერ ნახავთ: ხან მეოთხე სართულზე გადამწვარ ნათურას ცვლის, ხან მესამე სართულზე მოშლილ ონკანებს დას-

ტრიალებს თავს, ხან კიდევ სადღაც კარის მოშლილ საკეტს აკეთებს... და ასე მთელი დღე ფუსფუსებს _ აუჩქარებლად, დინჯად და საფუძვლიანად აწესრიგებს ყველაფერს.

_ პალიკო პოლოლიკაძემ გამამაგზავნა, კამისიას ველით და ოთახებში პლაკატები გააკარითო! _ მისალმების გარეშე პირდაპირ საქმეზე გადავიდა ბათულა და იღლიაში ამოჩრილი ქაღალდების საკმაოდ მსხვილი გორგალი სანდროს მაგიდაზე დააგდო.

გავშალეთ და ჩვენს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა _ ვეზიარეთ თანამედროვე პლაკატის საკმაოდ მრავალფეროვან გამოფენას!

“ვიშრომოთ ეფექტურად და ხარისხიანად!” _ ეწერა მახვილ-მსხვილი ასოებით ერთ პლაკატზე, რომელზეც გამოსახული იყო ჩარხზე საქმიანად დახრილი, ვაჟკაცური ღიმილით დამშვენებული, ჯანიანი მუშა.

მეორე პლაკატზე მტკაველიანი ასოებით ეწერა: “ნუ დაარღვევ უსაფრთხოების ტექნიკას!” და იქვე თვალნათლივ შეგეძლო გენახა შეშინებული, თვალებდაჭყეტილი პიროვნების მაგალითზე, თუ რა შედეგი მოსდევდა ამ ბრძნული რჩევის უგულვებელყოფას.

მესამე პლაკატზე ორი ხელი უხილავი პიროვნებებისა მჭიდროდ იყო ურთიერთჩამორთმეული დედამიწის ნახევარსფეროების ფონზე, წარწერა კი გვამცნობდა: “კოსმოსი _ მშვიდობისა და თანამშრომლობის ასპარეზია!”

მეოთხე პლაკატზე სტანდარტული ღიმილით დამშვენებული სტანდარტულსახიანი პიროვნება პირდაპირ თვალებში შემოგცქეროდა და საქმიანად მოგიწოდებდა: “ვიშრომოთ ყოველ სამუშაო ადგილზე კეთილსინდისიერად, სრული უკუგებით!”

მეხუთე პლაკატზე მისი ტყუპისცალი ქადაგებდა: “განამტკიცე შრომის დისციპლინა!”

_ ამაირჩიეთ!

_ ჩვენ რომ გვინდა, მაინცდამაინც ის პლაკატი არ მოგიტანია! _ შეიცხადა სანდრომ, გაიჯგიმა, მარჯვენა ხელი მაღლა ასწია და პათეტიკურად წარმოსთქვა: _ “შრომის დისციპლინა საზოგადოების ის სიმდიდრეა, რომელიც არ მოითხოვს კაპიტალდაბანდებას და იძლევა დიდ და სწრაფ მოგებას!” გაქვთ ასეთი პლაკატი?

_ არა ნახეთ თვითონ? მე რა ვიცი, რაც გამამატანეს, სუყველა აქაა! _ თავი იმართლა ბათულამ.

_ ჩვენ პლაკატები რად გვინდა, ბათულა ბატონო, _ ღიმილით მიმართა სანდრომ, _ ხომ ხედავ, კედლებზე კალენდრები გვაქვს გაკრული. ნახე, რა მშვენიერი ცუგებია, ძაღლების უნახავს გაგხდის კაცს. აი, ეს ლეკვები ბასეთ ჰაუნდის ჯიშისაა, თვალების როგორი საყვარელი გამომეტყველება აქვთ, რა ნაღვლიანად გვიცქერიან, თითქოს იციან, რომ მათ მაგივრად ამ კედელზე მალე პლაკატებს გააკრავენ... ესენი კი ტერიერთა ჯგუფიდან უნდა იყონ, მეტს ვერაფერს მოგახსენებთ. რა ცოცხლად, ცუღლუტურადაც კი იცქირებიან, ეტყობა, ბუნებით ოპტიმისტები არიან. რა ვქნათ, ჩემო ბათულა, ჩვენი არ იყოს, არც ამ ოთხფეხებს აინტერესებთ პლაკატები... პირდაპირ გეტყვი, დაუფარავად _ დასანახად ვერ იტანენ! ჩვენც იგივე აზრისა გახლავართ, ჰოდა, დერეფნებში გააკარით, უფრო მეტი ხალხი ნახავს და დატკბება!

_ დერეფნებში თავისუფალი ადგილი აღარ დარჩა, სუყველაფერი პლაკატებითაა დაფარული, _ პასუხობს ბათულა.

_ ავშენებულვართ და ეგ არის, აწი აღარაფერი გვიჭირს... აბა, ბათულა ბატონო, ცოტა ახლებური მაინც არაფერი გაქვს? ესენი ყელში ამოგვივიდა! _ ჩავები საუბარში მე, იქნებ როგორმე გადავურჩეთ პლაკატების შემოტევას-მეთქი.

_ ახლავე მოვიტან და ამოარჩიე! _ დაუზარელი ბათულა წავიდა და ხუთიოდე წუთში დაბრუნდა პლაკატების ახალი, უფრო დიდი გორგლით.

ორი ახალი პლაკატი აღმოვაჩინეთ; ერთზე ეწერა: “ფართო გზა გარდაქმნასა და საჯაროობას!” და მეორეზე: “უარი ვთქვათ წვრილმან მეურვეობაზე, ფართო გზა თითოეული ჩვენ-

განის ინიციატივას, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას!” ორივეზე ფრიად ენერგიული პიროვნებები გაშლილ გაზეთს ჩაჰკირკიტებდნენ, ოღონდ პირველ პლაკატში პიჯაკიან მკითხველს სათვალე ეკეთა, ხოლო მეორე პლაკატში მის ტყუპისცალს მუშის სპეცტანსაცმელი ეცვა და რატომღაც უფრო ახალგაზრდული იერი ჰქონდა.

სხვა გამოსავალი არ იყო და ბოლო ხერხს მივმართე:

_ ჩვენი ლაბორატორიის გამგეს ღუტუშა ტუშაშვილს ისე უყვარს ეს ცუგები, რომ მათ ჩამოხსნას ვერ შეელევა! მასთან არის საჭირო შეთანხმება...

_ წამომყევი აბა მასთან! რომელ ოთახში ზის?

რაღა მექნა, წამოვიზლაზნე და ვეახელით მე და ბათულა ბატონ ღუტუშას; რა თქმა უნდა, ის პლაკატებიც წავიღეთ.

ღუტუშამ ყურადღებით დაათვალიერა პლაკატები; ფურცლის ბოლოში წვრილად ნაბეჭდიც არ გამოუტოვებია _ გაეცნო მხატვრის, რედაქტორის და გამოშვებისთვის პასუხისმგებელი პირის ვინაობას, ტირაჟს, ფასს, გამოშვების თარიღს, სტამბას... ბოლოს, ერთხელ კიდევ წაიკითხა პლაკატების მომწოდებელი ლოზუნგები, სათვალე მოიხსნა და საქმიანად გვაუწყა:

_ მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო... პლაკატები თანამედროვეობის აქტუალურ თემებს ეხმაურება, პოლიგრაფიულადაც მაღალ დონეზეა შესრულებული, თუმცა... ეს პოლიტიკური საკითხია, პასუხისმგებლობას მთლიანად ჩემს თავზე ვერ ავიღებ... ჯობს, ამ საკითხის გადაწყვეტა ჩვენს უფროსს ვკითხოთ, განყოფილების გამგე აუცილებლად საქმის კურსში უნდა იყოს... მიდით ბატონ სამსონთან.

ბათულას დაჟინებითი თხოვნით განყოფილების გამგესთან ერთად მივედით.

_ ბატონო სამსონ, აი, ეს პლაკატები უნდა გავაკრათ ჩვენს ოთახში და რაიმე საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ?

ბატონი სამსონი შეფიქრიანდა, გაშალა პლაკატები, მათ საგულდაგულოდ გაეცნო და მოწყალედ მოგვცა დასტური, თითქოს დიდ საქმეს გვიკეთებდა:

_ კარგია, კარგი... არ არის ცუდი იდეა და მეც მანდა ვარ, გააკარით! ოღონდ... მოდი, ყოველი შემთხვევისთვის პარტკომი ჩავრიოთ ამ საქმეში. გამაგებინეთ, რა აზრის იქნება ბატონი ჰიპოკრატე!

ბატონი ჰიპოკრატე ორი წუთით გასული დაგვხვდა ბუფეტში და ორი საათი კი ვიყურყუტეთ მის მისაღებში. სამაგიეროდ, როცა გამოჩნდა, უნდა ვაღიარო, რომ დიდხანს არ უჯანჯლია, მაშინვე თქვა, უნდა დაიკიდოს ეგ პლაკატები აბა რაო, თან გაკვირვება გამოთქვა, მაგ ჩერჩეტები ჩემთან რომ გგზავნიდნენ, არ უნდა იცოდნენ, რომ პარტკომის თაოსნობით იქნებოდა ეგ ღონისძიება დაგეგმილიო?! მერე მაინც შეგვაქო, კარგი ქენით ჩემთან რომ მოხვედით, პლაკატების ჩამოსაკიდებელი ადგილი მე პირადად უნდა დავათვალიერო და პლაკატიც შევარჩიო.

_ ახლა მე არ მცალია და დღის მეორე ნახევარში გამოიარეთ! ხომ იცით, კომისიას ველოდებით!

_ კომისიისთვის ვაკრავთ სწორედ, ბატონო ჰიპოკრატე, _ შევბედე მე.

ჰიპოკრატემ ამოიხვნეშა, ერთხანს იფიქრა, მერე წამოგვყვა.

საბედნიეროდ, ოთახში ყველა ადგილზე დაგვხვდა. ჰიპოკრატე, მგონი, პირველად მოხვდა ჩვენს ოთახში.

_ ეს რამდენი ძაღლები მოგიშენებიათ, რა ამბავია!

_ ძაღლი ჩვენი მეგობარია!

_ ჩამოხსენით!

სანდროს მაგიდაზე ძველთაძველი საანგარიშო დაინახა და გაუკვირდა:

_ ეს ძველმანი რაღად ვარგა, გამოიწერეთ უახლესი ელექტრონული საანგარიშო მანქანა! გინდათ, სტუმრებთან თავი მოგვეჭრას?

ბატონი ჰიპოკრატე, რასაკვირველია, ვერ მიხვდა, რომ "ჩოთქი" შესვენებაზე დომინოს სათამაშოდ გვჭირდებოდა!

_ ეს ჭადრაკის დაფაც მოაშორეთ აქედან! _ განაგრძო ბრძანებების გაცემა ჰიპოკრატემ. _ რას ჰგავს თქვენი მაგიდების უჯრები?! ქვაბები, ბოთლები, თეფშები არ ვნახო ოთახებში! კომისია სადაცაა ჩამოივლის და თქვენ კი ოთახი რას გიგავთ? თითი არ გაგინძრევიათ, დამლაგებლებს რას უცდით, მათ საკმარისი სამუშაო აქვთ! საჩქაროდ გაწმინდეთ ფანჯრის მინები, დღის სინათლე არ მოგენატრათ?

დავფაცურდით, ატყდა სკამების ხრიგინი.

_ ჰო-ჰო, რა აბლაბუდებია! რა ნამყენი ობობები გვყოლია! _ ამბობს ლადიკო.

ბაბო ფანჯარასთან ტრიალებდა. ჰიპოკრატემ მისი მაგიდის უჯრა გამოაღო:

_ რა უბედურებაა, საქსოვი საამქრო გახსენით, ძაფის გორგლებით და წინდის ჩხირებით რომ გამოგიტენიათ ყველაფერი!.. ჰო, ხვალ არავინ დაიგვიანოთ, სამსაათიან შესვენებებსაც ბოლო მოეღოს! ყველანი თავთავიანთ სამუშაო ადგილებზე დაეტიეთ, ნუ დაყიალობთ დერეფნებში! დილიდანვე გაშალეთ ნახაზები, წიგნები გადაფურცლეთ, სამუშაო ატმოსფერო შექმენით, საქმიანი იერი მიიღეთ!.. გასაგებია?!.

სანდრო ეუბნება ლადიკოს:

_ ბიჭო, ეს ქაღალდები ათი წელიწადია, აქ ყრია, დაუძახე ნაგვის მანქანას, იქნება თუმნად წაიღოს... ბარემ ეს ბოთლებიც მიაყოლე, ხედავ, რამდენი დაგროვდა? თუ გინდა, მაღაზიაში ჩააბარე, ნახევარი თვის ხელფასს გააკეთებ ხუთ წუთში!..

_ აქამდე სად ვიყავით, როგორ ვსუნთქავდით? _ ამბობს ლადიკო. _ ღმერთმა ადღეგრძელოს კომისიის მომგონი, კინაღამ რ დავიხრჩვით ამდენ ნაგავში?

_ საინტერესოა, ვინ ურტყა ფეხები ამ სიმაღლეზე? ახლა კედლებზე სიარულიც დაიწყეთ? _ ხუმრობს ჰიპოკრატე. ჩვენ არაფერს ვპასუხობთ, ხომ არ ვეტყვით, ეს სილიას ნამოღვაწარია-თქო: როცა ჩვენთან შემოდის, ჩვეულებად აქვს კედელთან დგომისას ცალი ფეხი მუხლში მოხაროს და კედელს მიაყრდნოს ტერფი.

_ რა ეშველება იატაკის ამ გაქვავებულ საუკუნოვან ჭუჭყს? _ წუხს ბაბო, რომელმაც ფანჯრების წმენდა მოათავა და ახლა ცოცხით ხელში შუა ოთახში დგას.

_ წამოდი შენ ჩემთან! დამლაგებლები დერეფანს უვლიან და ისინი დაიხმარე. _ ბატონი ჰიპოკრატე გადის დერეფანში და მაშინვე იწყევლება: _ კისერი კინაღამ მოვიტეხე, ვინ დამთხვეულმა დადგა აქ კიბე?!.

ბაბომ ოთახიდან ყველანი გაგვყარა, იატაკს ცხელი წყლით და სოდით შევუტევ, სხვა გზა არაა, ოღონდ თქვენ მასტიკა მიშოვეთო.

_ დიდუ, მასტიკა გაგვითავდა! _ გვიპასუხეს დერეფანში მოფუსფუსე დამლაგებლებმა სონამ და დარომ. _ დარეფნებს კი ეყო, ლაზათიანად მოვუსვით, არ ვიცოდით, თუ ოთახებშიც საჭირო იყო... ძალიან ვჩქარობდით, თურმე დარეკეს, დღეს მოდიანო...

_ როგორ თუ მასტიკა გათავდა? _ გაბრაზდა ბატონი ჰიპოკრატე. _ ის პატივცემული ხალხი რომ ჩამოივლის, არ უნდა ვანახვოთ, როგორ კულტურულ გარემოცვაში ვმუშაობთ? თავი ვიმართლოთ, მთელი მასტიკა დერეფნებს მივახარჯეთო?

_ ეს ვინ უცხო ხალხი გვებლანდება ფეხებში, თავზე ცეცხლი გვიკიდია და ესენი რაღას დაბორიალობენ აქ? _ აწიკვინდნენ სონა და დარო; ჩვენც შემოგვიტიეს: _ გაგვეცალეთ!

აღარ ვიცოდით, საით წავსულიყავით _ ოთახში კიდევ ბაბო საქმიანობდა... ამ დროს სიცილი შემოგვესმა.

_ ჰა-ჰა-ჰა, უი, უი, ნახე, როგორ ატლინკა ფეხები იმ მსუქანმა!

დაროს სონა აჰყვა:

_ ის მაღალიც რა სასაცილოდ წაიქცა, რას ეშველებოდა, იმხელა კაცს ეგ გააჩერებდა?

_ კიდევ იტყვით, ბატონო ჰიპო, ცუდად გაგიპრიალებიათ იატაკიო? _ მიმართა დარომ ჰიპოკრატეს.

_ უი, საცოდავი ვეღარ დგება, მიეშველე, ქალო! _ სიცილით დაოსდა სონა.

_ რა გამხიარულებს, ქალო?!. _ მოულოდნელად დასჭექა ჰიპოკრატემ, _ მიეშველეთ კომისიის წევრებს!

_ ჩვენ ბოდიში, ბატონო ჰიპო, ვინ იცოდა ეს პატივცემულები ვინ იყვნენ? _ აწუწუნდნენ სონა და დარო.

_ ბიჭებო, თქვენ რაღას დგახართ გამოთაყვანებულებივით, მოდით, მომეხმარეთ! _ ისევ იყვირა ბატონმა ჰიპოკრატემ, უცებ ხელი აიქნია და ისიც იატაკზე გაგორდა. _ გავარდით სწრაფად, სასწრაფოს დაურეკეთ! დაგექცათ კერია, მგონი ხელი მოვიტეხე... მიშველეთ!..

XXXVII წკიპურტი. რა დროს ზღაპრებია!

_ ო, მზეჭაბუკ ბატონო, შემობრძანდი! შემოდი, შემოანათე!

ბატონ მზეჭაბუკ ორშაურაშვილის შესახვედრად სანდრო სკამიდან დგება, ფართოდ იღიმება და ხელებს შლის.

_ "ცივი ომის დამქაშებს არ ვაჭამოთ ხინკალი!" _ ღიღინით შემობრძანდება ჩვენს ოთახში ბატონი მზეჭაბუკი. _ ბავშვებო, დღეს კრება არ არის?

_ მოგენატრა ძალიან? სამწუხაროდ, არა, არ არის.

_ რა უბედურებაა, ყოველდღე კრებაა, დღეს რატომღა არ არის?

_ ავიტანთ მაგას როგორმე, შენ ეს გვითხარი, მზეჭაბუკ ბატონო, როგორა ხარ, ხომ კარგად?

_ კარგად როგორ ვიქნები, ყველას ჩემი მოტყუება უნდა!

_ ვინ ოხერი ბედავს მაგას?

_ გაზეთი, რადიო, ტელევიზია, ნაცნობი და უცნობი, მტერი და მოყვარე _ ყველა ჩემს გაცურებას ცდილობს!

_ მერე, შენც, შე კაცო, სამაგიეროდ მე მომატყუე! _ ხელს ართმევს სანდრო ღიმილით.

_ როგორ მოგატყუო?

_ მითხარი, კარგად ვარ-თქო! ერთი მეორეს ატყუებს, მეორე კომპენსაციის მიზნით _ მესამეს, მესამე – მეოთხეს... და ასე იკვრება ჯაჭვი რგოლად, როცა უკანასკნელი ისევ პირველს ატყუებს.

ბატონ მზეჭაბუკს ჭაღარა, კოხტად შეკრეჭილ ულვაშებში ეღიმება. წინათ სულ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოღვაწეობდა, ახლა პენსიონერია და თან ჩვენთან მუშაობს ინსტიტუტში. რას აკეთებს, კაცმა არ იცის, ეტყობა, შინ, ოჯახში ვერ ჩერდება და, მადლობა ღმერთს, ინსტიტუტის ხუთსართულიან შენობაში კარგა ბლომად ოთახია _ დილიდან საღამომდე ხან აქ შევა, ხან _ იქ (სილიასავით!) და ამასობაში სამუშაო დღეც მიიწურება.

_ მზეჭაბუკ ბატონო, ძალიან ჩქარი, საქმიანი სიარული იცი და, ეტყობა, ჩვენი ოთახის კარს ასცდები ხოლმე, იშვიათად გვესტუმრები, _ ეუბნება სანდრო.

_ ასე სიარული რომ საქმეს აკეთებდეს, აქამდე გენერალი ვიქნებოდი! _ იცინის სილია და მზეჭაქბუკს გამხდარ მხრებზე მკლავს მოხვევს. სილია ყველასთან თავისუფლად იქცევა, ძმაბიჭურად _ ასაკისა და სქესის მიუხედავად ერთნაირად არის გაშინაურებული.

_ თუ მიღწევები გაქვს, უნდა გვიპატაკო! _ რიხიანად მიმართავს ბატონ მზეჭაბუკს სანდრო.

_ მე რა უნდა გითხრათ, კაცი მოვხუცდი, ჩემი კალო რა ხანია, გავლეწე, აწი თქვენ უნდა იმარჯვოთ, თქვენია ბურთი და მოედანი. სამოცდაათი წლის რა ხანია, გავხდი და ისევ სტუდენტი ვარ _ არასდროს მაქვს ფული!

ოთახის კუთხიდან ლადიკო, ჩვენს შორის ყველაზე ახალგაზრდა, პასუხობს:

_ ბატონო მზეჭაბუკ, ახალი გინება არ გაგიგიათ? ჩვენ რომ გვამკობენ და ჩვენისთანებს კიდევ _ წყალწაღებულებს, უპერსპექტივოებს, ცხოვრების ბოლომდე მათხოვრებად რომ უნდა დავრჩეთ.

_ რაც ფრონტზე მე გინება მომისმენია, ახალი რა უნდა გავიგონო? _ უკვირს ბატონ მზეჭაბუკს. _ გამახარე, მითხარი აბა ერთი!

_ შე მეცნიერო, შენა! _ ლადიკოს არ აცლის სანდრო, _ ხომ კარგი გინებაა? გინდაც გითქვამს: შე მათხოვარო, შენა!

ბატონი მზეჭაბუკი თვალებს ქაჩავს, ტუჩებს პრუწავს; მისი ულვაშები იფხორება, რაც უმაღლეს ქებას ნიშნავს. შემდეგ კითხულობს: _ თქვენი ლამაზი გოგო სადაა?

_ ბაბოს დაადგი თვალი, შე ბეხრეკო? შეხედე, თვალები რა ეშმაკურად უციმციმებს! _ სილია ბატონ მზეჭაბუკს ისევ ხვევს ხელს და სიცილით განაგრძობს: _ ახალგაზრდობაში ბლომად აბამდა გოგოებს და ვერც ახლა ისვენებს, ახლაც აქვს მცდელობა. ამას წინათ მეხვეწება: "შემიშვი რა, შენს ოთახში კარგი გოგოებია!" "შედი, ჭაბუკჯან, ოღონდ რომ გაგპუტონ, მე ვერ მოგეხმარები!" _ ვეუბნები. შემოვიდა. "შეხედეთ, გოგოებო, ვინ გაგვაბედნიერა ძვირფასი სტუმრობით! _ იყვირა ელისომ, _ ბატონ მზეჭაბუკს ვახლავართ, როგორ სულ ახალგაზრდავდებით! პირდაპირ ჰყვავით მაისის ვარდივით!" ქალები შემოეხვივნენ გარშემო, გამოიჭირეს ჩვენი ჭაბუკა. "ცოლი როგორ გიშვებთ სახლიდან მარტოს, ბატონო მზეჭაბუკ, ქალებმა რომ მოგიტაცონ, არ ეშინია?" _ სახელოზე მოქაჩა ნათელამ. სხვებიც რას არ ეუბნებიან, აქანჯალებენ... შემოტრიალდა ჩვენი ჭაბუკა და სანამ დროაო, გამოვარდა გარეთ! შეგაშინეს ძველი ნახიშტარი?!

ბატონი მზქჭაბუკი ხმას არ იღებს, რაც ფრიად საკვირველია! ლაპარაკი უყვარსო, რომ ვთქვათ, ცოტაა; ზოგჯერ ისე გაუტევს ლაქლაქს გაუთავებლად, დაუსრულებლად, აღარ იცი, როგორ მოსცილდე და ნატრობ პატარა ხვრელს მაინც, რომ უცებ შეძვრე შიგ და დაემალო. ისე კი, მართალი უნდა ითქვას, მაგარი ერუდირებული გახლავთ: კარგად იცის საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებები, ერკვევა პოლიტიკაში, განსაკუთრებით უყვარს მედიცინა. საქიმო თემაზე როგორც პატარა ბავშვს, ისე გელაპარაკება:

_ ჩვენ ავიღეთ _ რა?.. თერმომეტრი, რასაკვირველია, და გავიკეთეთ _ სად? იღლიაში!.. ცხადია. რატომ?.. უნდა გავიგოთ, სიცხე თუ გვაქვს. თუ სიცხე გვაქვს, ესე იგი _ რა?.. ვერ გვქონია საქმე კარგად, ავად ვყოფილვართ, გაიგე?.. შემდეგ ვსვამთ წამალს და ასე შემდეგ... ხომ გესმის?.. კარგად გაიგე?..

დაახლოებით ასეთნაირად უყვარს ბატონ მზეჭაბუკს ჩვენი განათლება. დღეს ბედად ჩვენთან სილია გახლავთ და საუბრის სადავეს იგი დაეუფლა, თორემ ცუდად იყო საქმე.

ზონზროხა სილიას ბატონ მზეჭაბუკის გამხდარ მხრებზე აქვს მოხვეული თავისი ვეება ხელი კარგი ძმაკაცივით და ამკობს:

_ შენ, ხომ ვიცით, რა კაციც ხარ _ კაი კაცი, კაცური კაცი! პრინციპში ძალიან გიყვარს სტუმრების დაპატიჟება, მაგრამ არ გვპატიჟებ!

_ სად გინდა დაგპატიჟო, სახლში თუ რესტორანში? _ დაცინვით წკურავს თვალებს ბატონი მზეჭაბუკი და პირში ჩარიგებულ ოქროს კბილებს აბრჭყვიალებს.

_ დიახ, პრინციპში ძალიან გიყვარს ფიზკულტურა და სპორტსაც დიდ პატივს სცემ, მაგრამ არ ვარჯიშობ, ნახე, რა ჩხირივითა ხარ! _ აგრძელებს სილია.

_ ბიჭო, შეჯიბრებებშიც ხომ არ გინდა გამომიყვანო! იქნებ რეკორდების დამყარებაც მომთხოვო!

_ პრინციპში ბატონი მზეჭაბუკი წინააღმდეგია ყოველგვარი ზედმეტობისა ჭამა-სმაში, მაგრამ სვავის მადა აქვს და აქლემივით სვამს, განსაკუთრებით თუ სხვის ოჯახში მოხვდა სუფრაზე!

_ არა, ბიჭო, შენ გიყურებ! რაც მე ცხოვრებაში მიშიმშილია, მტერს არ ვუსურვებ, მტერს! მეტი რა შემრჩება _ საიქიოსაც გაშლილი სუფრა დაგხვდება თუ რა! _ ისევ აჩენს ოქროს კბილების რიგს ბატონი მზეჭაბუკი.

_ პრინციპში კაცთმოყვარე და ჰუმანისტია, მაგრამ თითიც არასდროს გაუტოკებია ვინმე გაჭირვებულის დასახმარებლად!

_ ვის უნდა დავეხმარო? _ გაკვირვებული კითხულობს ბატონი მზეჭაბუკი. _ გარშემო სულ მგლები ყმუიან და მე ერთი საწყალი, ცხვარივით კაცი, გაჭირვებული აქეთ-იქით ვაწყდები ამ დამპალ წუთისოფელში... ვინმეს გავხსენებივარ, როდისმე ვინმე დამხმარებია? ან ახლა, გაიხედ-გამოიხედეთ, ხალხო, რა ხდება? ჯერ აგერ ჩვენს ინსტიტუტში: სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება და _ ყვირილი, დედის გინება, მუშტი-კრივი, ქურდობა-მამაძაღლობა?!. სადაა სირცხვილ-ნამუსი, წესიერება, უბრალო ზრდილობაც კი... მე სხვანაირი კაცი ვარ! ყველაფერი მიყვარს აბსოლუტური! ვერ ვიტან პატარა გადახვევასაც კი!.. დაჯდება ვინმე ვიგინდარა ფულით დირექტორად და მაშინვე გარშემო თავის დამქაშებს შემოიკრებს, მასავით წამგლეჯებს, წურბელებს. ვის რად უნდა შენი პატიოსნება და ცოდნა! გაიგე?.. შენს ხარჯზეა ყველა, ყველა შენ გატყუებს, ყველა შენ გწოვს სისხლს...

_ მართალი ბრძანდები, ჭაბუკა ბატონო, ხალხი გადაჯიშდა, გადაგვარდა, გათახსირდა, ამას რაღა გამოასწორებს! _ დაეთანხმა სილია. _ მისმინე ახლა, ერთ იგავს გეტყვი... ცოტა ისეთია, ბაბო რომ იყოს აქ, სახაზავს გადამამტვრევდა ზურგზე. ჰო, კარგი, მისმინე... ღორებმა კრება მოიწვიეს, თავმჯდომარეობდა დიდი ტახი. “ჩვენაო, _ ამბობდა, _ აქამდე რომ იმას, ფინთს მივირთმევდით, დღეიდან შევეშვათ ამ საჯაყ საქმესო, ერთხმად დავადგინოთ ჩვენს საერთო კრებაზეო”. ამ დროს მატარებელმა ჩაიარა და ვიღაცა ფეხსალაგში საქმიანობდა. “შესვენება ხუთი წუთი!” _ იყვირა იმ ტახმა და მოუსვა ჩამოცვენილის სათქვლეფად. ასეა, თუ ერთი ცუდ რამეს მიეჩვიე, გადაჩვევა ძნელია.

_ ბავშვობიდანვე უნდა აღზარდო წესიერ ადამიანად, მერე გვიანაა! _ ჩაერთო სანდრო საუბარში; ისე იღიმებოდა, ძნელი გასარჩევი იყო, სერიოზულად ამბობდა თუ ხუმრობდა. _ აი, მაგალითად, ჩემს შვილიშვილებს ისეთ ზღაპრებს ვუამბობ, რომ არ შეეშინდეთ, არ გაბოროტდნენ _ ვეგეტარიანელი მგლებიც კი არ არიან ჩემს ზღაპრებში!

_ რა დროს ზღაპრებია, ზღაპრების ბავშვებსაც არ სჯერათ! _ გაცხარდა ბატონი მზეჭაბუკი. _ გაიხედე, თუ ძმა ხარ, რა ხდება _ ამოტივტივდა ნაგავი ხალხი და წალეკა ყველაფერი! ხომ ხედავ? არა, ხომ მშვენივრად ვხედავთ ყველანი?! სპეკულანტი, მექრთამე და ყაჩაღია ახლა პირველი კაცი. კარგი ბინა ვის? _ ფულის ტომარას; მანქანა ვის? _ ისევ იმას! აგარაკი ვის? კაი ჭამა-სმა და დროსტარება ვის?.. შენ კი იდექი რიგებში, დაიჭირე ხელში სიმწრით მოგროვილი კაპიკები და იმარჩიელე, შეგხვდება თუ არა სამათხოვროდ გადმოგდებული შაქარი და კარაქი... ამისთვის ვიბრძოდით, ამისთვის ვწვალობდით და სისხლს ვღვრიდით? ის კი არა, შინიდან შიშით ვერ გამოსულხარ, არ იცი, ცოცხალი დაბრუნდები თუ არა... გაიგე?

_ რა არის, ბატონო ჭაბუკა, რომ ამოგიჩემებიათ პესიმისტური ჰანგები, ქვეყანაზე ყოველთვის იყო ცუდიც და კარგიც, კარგს რა გამოლევს! _ ჩავეკვეხე მეც, ოღონდ რამე მეთქვა.

_ ამოჩემება ჩემი მოგონილია? _ ისევ ცხარობს ბატონი მზეჭაბუკი. _ ამოჩემებამ დაღუპა ქვეყანა! ლენინმა რომ ამოიჩემა, კაპიტალიზმის ჯაჭვი ყველაზე გაღატაკებულ ქვეყანაში უნდა გაწყდესო, ამ ამოჩემებას არ გადავყევით ჩვენ? მერე იყო და ლენინი ამოიჩემეს და ამოგვიყვანეს ყიაში _ წაღმა-უკუღმა ყველგან ლენინი, ლენინი, ლენინი... დღე და ღამე, გაზეთში, რადიოში, კრებაზე... უთო რომ ჩაგერთო, ისიც ლენინს გაჰყვიროდა. აგერ ახლა ახა-

ლი მოდა შემოვიდა: აღმოსავლური კალენდრით წელი ხან მაიმუნისაა და ხან კიდევ კატის, ვეფხვის და სხვა რაღაცის, ჰო, თუნდაც ცხენის... ჰოდა, რომ გააჭენეს ეს თეთრი ცხენი, შესხდნენ ზედ და ვეღარ ჩამოდიან, ვეღარ ჩერდებიან. გაზეთს ვერ გადაშლი, რომ ცხენის წელიწადზე და ცხენზე არ იყოს საუბარი, ფოტო არ იყოს დაბეჭდილი... საქმე აქვს ამ ხალხს გამოლეული? ანდა სხვა ამოჩემება ავიღოთ. ილია ჭავჭავაძე ყველას ძალიან გვიყვარს, დიდად ვაფასებთ, რასაკვირველია, _ ერის მამა და სხვა ასეთები, მაგრამ ლამის არის ისიც შემაჯავრონ, კაცო, _ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ილიას ხსენება მოდად იქცა; საჭიროა თუ არა, ყველა მას იმოწმებს, უზომოდ განდიდებით მისი უნივერსალური სიბრძნისა და ასე შემდეგ... ასეთი ზღვარგადასული და უადგილო ხოტბა, მგონი, მხოლოდ უკურეაქციას იწვევს, გაიგე? უფრო მარტივი მაგალითი: პაიჭაძე _ ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო, თქვენ არ გახსოვთ, მე ბევრჯერ მინახავს მისი თამაში. ნებისმიერი პიროვნების მეტისმეტი განდიდება--გაღმერთება უხერხულობის გრძნობას ბადებს... აჩემების უახლესი მაგალითებია: მფრინავი თეფშები, თოვლის კაცი, ექსტრასენსები, ექიმბაშები, მკითხაობა, რელიგიური დოგმეტიზმი და ფანატიზმი და სხვა მრავალი კიდევ...

_ რამდენს ქაქანებ, ბატონო ჭაბუკა, _ ისევ ისე ხელგადახვეული ეუბნება სილია, _ თუმცა ყოველთვის სიტყვაგრძელი იყავი, ახლა რა მეტისმეტი ლაყაფის მუზა გესტუმრა? ხომ არ დაბერდი, ჭირიმე?

_ აცალე, სილია, კაცი ფორმაშია, გაგვანათლოს, ჭკუა დაგვარიგოს, _ შეაჩერა სანდრომ. _ შენ კი გაქვს საკმარისი ჭკუა, მაგრამ კიდევ რომ მიუმატო ცოტა, არ გაწყენს. ბატონო მზეჭაბუკ, აი, ასეთები არიან თანამედროვე ახალგაზრდები, სიტყვას არ ათქმევინებენ კაცს, პირში ეცემიან.

_ მადლობას მოგახსენებ, რასაკვირველია, რომ ახალგაზრდებში ჩამწერე, _ სილიამ მელოტზე დაიტყაპუნა ხელისგული. _ ცოტა გვაცალე და პატიოსან სიტყვას არ გადავალ, დავჭკვიანდები! რა თქმა უნდა, იმ დონემდე, რაც ჩემს პოტენციურ შესაძლებლობებს არ აღემატება...

_ შენ კი ხუმრობ, სილიბისტრო, მაგრამ ჩემთან შედარებით მაინც ბავშვი ხარ, ნუ გეწყინება! რა თქმა უნდა, ასაკით, სხვა რამით კი არა, _ ეუბნება ღიმილით ბატონი მზეჭაბუკი და ისევ აბრჭყვიალებს ოქროს კბილებს. _ ეჰ, ახალგაზრდობა მაინც სხვა არის!

_ მაინც, მაინც? _ ისევ მოხვია ხელი სილიამ.

_ წინ არ იყურები, არაფერს ეპუები, გგონია, ყველაფერი შეგიძლია; ზოგჯერ ისე გაუტევ, წინ არ იყურები, არაფრად აგდებ, გინდაც შენი ქმედება უგუნურება იყოს ან სახიფათოც კი... ასე მინდა გავაკეთო _ მორჩა და გათავდა!

_ შენც ასეთი იყავი, ბატონო ჭაბუკა? _ ოთახის კუთხიდან ხმას გვაწვდის ლადიკო.

_ მე რა, წითელი კოჭი კი არ ვიყავი, მეც თავში ქარი მიქროდა! _ კოხტად შეკრეჭილ ჭაღარა ულვაშზე საჩვენებელ თითს ისვამს ბატონი მზეჭაბუკი (მეჩვენება, რომ ოქროს კბილებიც ბრჭყვიალით იღიმებიან); ეტყობა, სიამოვნებს წარსულის გახსენება. _ აი, მაგალითად, გავიდოდით ძმაბიჭები ტყეში მდელოზე... ვხედავთ, ვიღაცის ცხენები წყნარად ძოვენ. გაუხედნავი, ახლოს არავის იკარებენ. ჟინი მოგივლის, ერთმანეთს ვეხმარებით ცხენების დაჭერაში; დიდი ჭაპანწყვეტით ვახერხებთ რაღაცნაირად ამას, ძნელია. მერე ერთზე ავმხედრდები, ზედ მოვექცევი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ცხენისთვის მოულოდნელად... რა თქმა უნდა, გაუხედნავი ცხენი გაგიჟებულია _ ყალყზე დგება, იტლინკება, ნესტოებს ბერავს... პირზე დუჟი მოადგება, გიჟურ ნახტომებს აკეთებს _ უნდა როგორმე გადმომაგდოს... თუ თავი რაღაც სასწაულით შევიკავე, ისარივით გავარდება, განიერ თხრილებს, წაქცეულ ხეებს ჩიტივით გადააფრინდება, მე კი ფაფარს ვარ ჩაფრენილი და არ ვიცი, რა მომელის... ხშირ ჯაგნარში ჯიქურ იჭრება და უბედურ დღეში ვარ... ხეთა ტოტები მირტყამენ სახეში, მიკაწრავენ ხელ-ფეხს, მიფხრეწენ შარვალ-ხალათს _ არადა, სად იყო მაშინ ჩასაცმე-

ლი; არ იშოვებოდა, ძველმანებში დავდიოდით... ჰო, მიჯლიგინობენ ცხენ-მხედარი, უფ-სკრულის პირას ჩაიქროლებენ, მერე ისევ შევარდება ცხენი ჭიხვინით უსიერ ტყეში _ გზა--კვალს არ არჩევს და მსხვილი ტოტები შლაგბაუმივით გიკეტავენ გზას, თავის წაცლით გე-მუქრებიან, დროზე უნდა მოასწრო დახრა, სიკვდილ-სიცოცხლე სასწორზეა შეგდებული... კარგია ახალგაზრდობა!.. სიგიჟე!..

_ უყურე ამ ჩუმჩუმელას, თავიდანვე ეგეთი ავანტურისტი იყავი? _ ხვიხვინებს სილია და ისე უჭერს ბატონ მზეჭაბუკს მოხვეულ მკლავს, რომ საბრალო მოხუცი საწყალობლად აკრუსუნდა:

_ ფრონტზე გადავრჩი და ამ ოჯახქორმა უნდა მომკლას? _ ცდილობს თავის დახსნას.

ბოლოს, როგორც იქნა, ბატონმა მზეჭაბუკმა თავი გაითავისუფლა და მაშინვე კარს ეცა.

_ გამიგეთ, ბიჭებო? _ უკვე დერეფნიდან იკითხა.

_ ზოგი _ კი, ზოგი _ ვერა! _ სიცილით უპასუხა სანდრომ.

_ აბა, სხვა დროს უკეთ მოვემზადები, რომ უკეთ გამიგოთ! _ და ბატონმა მზეჭაბუკმა დაუმშვიდობებლად გაიხურა კარი.

_ ხედავთ, რა მშიშარაა? _ ბუბუნებდა სილია.

_ კარგი კაცია, ტკბილი კაცი! _ ლადიკო ფრიად კმაყოფილი აგრძელებს: _ მაგარი გულ-შემატკივარია ქვეყნის... ყველა რომ მასეთი პატიოსანი მშრომელი ყოფილიყო, ახლა არ ვიქ-ნებოდით ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში, არც ამდენი უსამართლობა და ყაჩაღობა იქ-ნებოდა. თან როგორი პოეტური ბუნებისაც ყოფილა, როგორ გაიხსენა ახალგაზრდობა.

_ ე-ე-ე!.. _ ლადიკოსთან სილია მივიდა, ორად მოიხარა ამხელა კაცი, ცალი თვალი მო-ჭუტა, მეორესთან კი ხელისგული მიიტანა, თითქოს მზის სხივებისგან იცავსო, _ ჭიტა! შენც მაგარი ყოფილხარ! ბიჭო, მაგ მზეჭაბუკს რომ უყურებ, უწყინარი ბებერიაო, იცი, სულით ეგ ნამდვილი განგსტერია! ახლა რომ პატიოსნების და წესრიგის მქადაგებ-ლად მოგვევლინა, ერთი ის რატომ არ ჰკითხე, რაებს კისრულობდა ჩვენი ინსტიტუტის ექ-სპერიმენტული ქარხნის მთავარი ინჟინერი და მერე დირექტორი რომ იყო! ნუ გეწყინება და, სხვა საქმეში, შესაძლოა, ტვინი გადმოგდის, ამ ამბავში ჩაჭრილი ხარ!

_ არ გამაგიჟო! _ არ იჯერებს ლადიკო.

_ აბა, რა გეგონა! შენ გეგონა, მზეჭაბუკი ღარიბია, ტილებს ჩაქუჩით დასდევს?!. არ ჭამო! ქრთამი მაგის მოგონილია! დაიბარებდა თანამშრომელს, შეაწერდა: “ახალი წელი მოდის, ათი მეტრი ჩურჩხელა უნდა მომიზომო! _ ეტყოდა, _ ტყუილი არ იყოს; გენდობი, მაგრამ... მე თვითონ გავზომავ არშინით... მიყვარს ჩურჩხელა, ხომ იცი!” აი, ასე, ჭირიმე! მეორეს ხუმრობით ეტყოდა: “ეს რა მიქენი, შე მამაძაღლო, ათის მაგივრად ცხრაწლიანი ანწლის არაყი დამალევინე?!. ჯარიმა გეკუთვნის! ორას ლიტრა შენს დაწურულ რქაწითელს მომარ-თმევ!”

_ ხუმრობდა, შე კაცო, ხუმრობას ხომ არ დაუშლი! _ ეცინება ლადიკოსაც.

_ დიახ, როგორ არა, სულ მასე ხუმრობა-ხუმრობით მასალები დაყიდა და ზოგი ახალი დაზგაც ჩამოწერა და ზედ მიაყოლა! აბა, თავის სიძეებს უცხოური ავტომანქანები რით უყი-და? ორი აგარაკი რით აიშენა, ბინები რით იყიდა?

_ კაციც ეგა ყოფილა! _ ისევ იცინის ლადიკო. _ ნეტავ ეგეთი სიმამრი მეც შემხვედროდა!

_ არც სხვა რამეში გწყალობს ბედი: ჭკუა შენ არ გაქვს და განათლება, რა გეშველება?!. _ ქოთქოთებს-როხროხებს სილია, თან დაიხრება და ლადიკოს მეგობრულად ხელს ხვევს. _ მაგას ნუ დარდობ, ჭირიმე, მე შენზე ბევრად უტვინო და წყალწაღებული ვარ, მაგრამ, ხომ ხედავ, სულ ვიცინი!..

XXXVIII წკიპურტი. ჭადრაკულადაა საქმე!

ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომლებს სამი ოთახი უკავიათ: ერთი დიდი, ერთი საშუალო ზომის და ერთიც მომცრო.

დიდ ოთახში ხუთი კაცი ზის: უჩა ტყემალაია, გუგუჩი ძველთაძველაძე, გუჯა უჯმაჯურაშვილი, შაქრო შაქარაიძე და ჯურხა ხახვიაური. საშუალო სიდიდის ოთახში მხოლოდ ორნი სხედან _ ლაბორატორიის გამგე ღუტუშა ტუშაშვილი და მისი მოადგილე ბახვა ვახვახაძე. პატარა ოთახში, მოგეხსენებათ, ოთხნი ვართ: ჩვენი ნატვრისთვალი ბაბულია ჭიჭინობელიძე, აგრეთვე "დიდი მეცნიერები" (როგორც ირონიულად ბრძანებს ხოლმე სანდრო): სანდრო კაიკაცაძე, ლადო ბედოვლათაძე და მე.

შესვენებისას ბაბო ჩვეულებისამებრ თავის დაქალებთან მიდის ხოლმე სასაუზმოდ და ჭორებით გასაძღომად სხვა ლაბორატორიაში. მხიარული ოთახის სამი მამაკაცი უფრო ხშირად ადგილზევე ვრჩებით (თუ სანდრო არ გამოგვაკლდა ავტონაწილების მაღაზიებში სახეტიალოდ ან მე _ წიგნის მაღაზიებში გასავლელად). ელექტროჩაიდნით წყალს ავადუღებთ, ჩაის მივირთმევთ შინიდან წამოღებული ბუტერბროდებით ან ბაბოს შინაური ნამცხვრით და, რასაკვირველია, ვქაქანებთ _ ამ უშნოდ მოწყობილი ქვეყნის ჩვენს გემოზე დალაგების გეგმებს ვადგენთ. ზოგჯერ დიდ ოთახშიც გავდივართ ხოლმე _ იქაური ხუთი ახალგაზრდიდან ყველა ჭადრაკის ტრფიალია და, რადგან მესამე წყვილს ვერ ადგენენ, რომელიმე ჩვენთაგანი ჩაებმება თამაშში (სულ სამი ჭადრაკის კომპლექტი აქვთ). რატომღაც ჩვენს ოთახში ამ ხუთიდან თითქმის არავინ შემოიხედავს ხოლმე, ალბათ ვერ იცლიან, თამაშს არიან გადაყოლილნი, თან ჩვენგან არავინ ეწევა თამბაქოს. სხვათა შორის, ჩვენი ლაბორატორიის გამგეც და მისი მოადგილეც შესვენებისას ხშირად თამაშობენ ჭადრაკს, ოღონდ მხოლოდ თავიანთ ოთახში და მხოლოდ ერთმანეთს შორის...

ერთხელაც ბედნიერი დღე გაგვითენდა!

ამ დიდ ოთახში ბლომად ხალხი შევიყარენით _ თამბაქოს ბოლში ხეირიანად ვერც კი გაარჩევდი, რამდენი ვიყავით.

ამჯერად მხოლოდ ორნი თამაშობდნენ _ უჩა და გუჯა. სწორედ ისინი აბოლებდნენ ყველაზე გამეტებით _ ორმხრივად მწვავე პოზიცია შეიქნა დაფაზე. დანარჩენები ასევე მწვავედ და უკომპრომისოდ ვიყავით ჩართული პოლიტიკურ დებატებში. როცა ზოგნი მეტისმეტად გაფიცხდნენ, სანდრო დროულად ჩაერია:

_ ხალხო, რას იწყვეტთ ნერვებს... დიდი მეცნიერები ხომ ხართ, ის იკმარეთ, დიდ პოლიტიკოსებად ნუ იქაჩებით! კარგი, ბატონო, ბრძანდებით პოლიტიკოსები, ჰოდა, მაშინ მათ ერთ რამეში უნდა მიბაძოთ...

_ არ გადამრიო! _ შეაწყვეტინა ბაბუციმ (ისიც დიდ ოთახში იყო ჩვენთან ერთად), _ რაში უნდა მივბაძოთ პოლიტიკოსებს? არ გაგიგია, პოლიტიკა ბინძური საქმეაო?

_ მოიცა, ჩემო ბაბო, ჩემო ლამაზო და ჭკვიანო, რატომ ჩქარობ? ბოლომდე მათქმევინე, _ დინჯად უპასუხა სანდრომ. _ დიახ, პოლიტიკოსებიც დავობენ, ეს მათი პროფესიაა, და ჩვენც ვდავობთ, მდაბიო მოქალაქენი. მდაბიო მოქალაქენი რომ პოლიტიკაზე პაექრობაში არიან ჩაბმულნი, ისე გაანჩხლდებიან, რომ გეგონება, სამკვდრო-სასიცოცხლო საქმეში ვერ მორიგებულანო. პოლიტიკოსები დავის შემდეგ ერთად სხედან რესტორანში, მათი პოლიტიკური უთანხმოებანი არც ახსოვთ. მდაბიო მოქალაქენი კი _ ერთი ინფარქტით წევს საავადმყოფოში, მეორეს წნევამ აუწია, მესამეც ძლიერ უქეიფოდ შეიქნა... მიხვდი, ბაბო, რაში უნდა მივბაძოთ პოლიტიკოსებს?

ქალბატონი ბაბულია, რასაკვირველია, საკადრის რასმე გამოაცხობდა და ცხელ-ცხელს მიართმევდა სანდროს, პირიც დააღო უკვე, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში შემობ-

რძანდა ლაბორატორიის გამგე ღუტუშა ტუშაშვილი; მას უკან შემოჰყვა ბახვა ვახვახაძე. ღუტუშამ ერთი-ორჯერ ძლიერად დააცემინა ცხვირი, შემდეგ ცხვირსახოცით თვალებზე მომდგარი ცრემლი შეიმშრალა; ერთხანს ცოცხალ ქანდაკებად იქცა, შემდგომ კი უკმაყოფილება გამოთქვა:

_ რას ჰგავს ეს, თავი თუ არ გებრალებათ, ქალს მაინც ეცით პატივი! გააღეთ ფანჯარა, დავიხრჩვი კაცი! _ ღუტუშა ღია ფანჯარასთან დადგა და განაგრძო: _ კარგია, რომ ყველა ერთად გნახეთ... უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ამ დღეებში დაიწყება ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ჩამოვლა ოთახებში და ვინც არ იქნება სამსახურში სამუშაო დროს საპატიო მიზეზის გარეშე, მას ჯერ საყვედურს გამოუცხადებენ და იმ დღის ხელფასს დაუკავებენ, შემდეგ კი, გამეორების შემთხვევაში, უფრო მკაცრ ზომებსაც მიიღებენ.

_ რა იგულისხმება უფრო მკაცრ ზომებში? _ იკითხა ბაბუცემ.

_ რა და, მიგაბრძანებენ სამსახურიდან... აი, ამას ნიშნავს. _ შემდეგ ღუტუშამ მოთამაშეებს მიმართა: _ შესვენების დროს არ გადაგაცილოთ! სამუშაო საათებში ჭადრაკის თამაში, ქსოვა, (ღუტუშამ ბაბოს გადახედა) და ასე შემდეგ გაპარვაზე უარესია და უპირველესად მეც მომთხოვენ ამისთვის პასუხს... გასაგებია?

შემდეგ ბატონი ღუტუშა მოთამაშეთა მაგიდასთან მივიდა და ჭადრაკის დაფაზე შექმნილ პოზიციას დააცქერდა. ერთხანს უყურა უჩასა და გუჯას მანევრებს, მერე პირი გააწკლაპუნა და ბრძანა:

_ მე რომ არ შემოვსულიყავი, ხომ გაიგუდებოდით წრუწუნებივით, ან იმ თამბაქოს მომწამლავ ბოლში ფიგურებს როგორ ხედავდით? თქვენისთანა მოთამაშეები კიდევ ბევრი გყავთ აქანა? _ დაამატა დაცინვით.

_ ბატონო ღუტუშა, ა ბურთი და ა მოედანი, _ მაშინვე უპასუხა ყოჩაღმა ბაბუცემ, თან ღიმილში წვრილი კბილები გამოაშუქა. _ თქვენზე არანაკლები მოთამაშეები მოიძებნება აქანა, ვისთან გნებავთ შებმა? _ სიტყვა "აქანა" განსაკუთრებით გამოყო.

_ ამათთან? _ თვალები ათვალწუნებით მოწკურა ღუტუშამ, _ მეხუმრები, თუ როგორაა შენი საქმე, შენ იცი, ვის ელაპარაკები? მე რაც საჭადრაკო ლიტერატურა მაქვს შინ, იმდენი შენ საერთოდ წიგნი არ გექნება წაკითხული... ესენი არიან ჩემი მომგები? მეხუმრები, ქალო?

_ ხუმრობას დიდი ხანია გადამაჩვიეს თქვენმა თანამშრომლებმა, სულაც არ ვარ ხუმრობის ხასიათზე! _ ჯიქურ შეეპაექრა ბაბო უფროსს. _ თუ გაქვთ თავის იმედი, უკან არ დაიხევთ, თუ არადა...

_ ჰაი-ჰაი, რომ თავის იმედიც მაქვს და ძალაც შემწევს ქადილისა! _ გაიჯგიმა ბატონი ღუტუშა, შემდეგ სრულიად მოულოდნელად ასეთი რამ შესთავაზა იქ მყოფთ: _ ჩავატაროთ ტურნირი და იქ გამოჩნდება, ვინ რას ფასობს!.. ორ წრედ!.. ვინც თავს აარიდებს ტურნირში მონაწილეობას, იმას ქალაჩუნას ქუდი შევუკეროთ _ მაღალი, წოპწოპა ჩაჩი; ზედ წავაწეროთ... რა წავაწეროთ? "მაგარი ვარ!" ან " "ჩემპიონი!"

ყველანი სახტად დავრჩით... ბატონმა ღუტუშამ ინება ჩვენთან ხუმრობა! თავი გაგვიყადრა, ხალხად ჩაგვთვალა! დიდი პატივიც დაგვდო _ ჩვენთან ერთად ითამაშებს!

_ იმ სასეირო ჩაჩზე წასაწერ დევიზზე კონკურსი გამოვაცხადოთ, ბატონო ღუტუშა, _ ისევ და ისევ ბაბუცი აქტიურობდა, _ "მძლეთამძლე", "გმირთაგმირი", "ბაყბაყდევი"...

აქა-იქ ჩუმი ფხუკუნი გაისმა. ბატონ ღუტუშას წარბიც არ შეუხრია.

_ წამობრძანდი შენ ჩემთან! _ მიმართა ბაბუცის, _ სახაზავი, ტუში და ფერადი ფანქრები გაქვს?.. ცოცხლად, ცოცხლად!

აი, ასე მოულოდნელად მოგვტაცეს ბაბუცი.

_ ბიჭებო, მგონი, ცუდადაა საქმე! _ წამოიძახა ლადიკომ მოულოდნელი სტუმრებისა და ბაბოს გასვლის შემდეგ. _ საწყალ ბაბუცის ალბათ მოუწევს საკუთარი გარდაცვალების შესახებ სამგლოვიარო განცხადების დაწერა!

_ ხედავ, ღუტუ როგორი საქმიანი, ენერგიული, შემტევია? _ თქვა სანდრომ. _ ერთ წუთსაც არ ჰკარგავს ფუჭად, მიკვირს, აქ რომ შემოვიდა, დიდი ზარალი ნახა _ ათი წუთი მაინც დაჰკარგა, ოქროს წუთები. ამას წინათ მეუბნება: "ეს რა ინსტიტუტია? აბა, ერთი ათი კაცი მაინც მუშაობდეს, თუ არ იქნება შედეგი! შეჰყარეს სამასი უსაქმური!". ახლა საჭადრაკო ტურნირის დამთავრების შემდეგ დაამატებს: "ჭადრაკის თამაში მაინც იცოდნენ!"

_ მაგიტომ ჩამოსტირის სულ მუდამ ცხვირ-პირი? _ იკითხა ორი თვის წინ ჩვენს ლაბორატორიაში სამუშაოდ მიღებულმა გუგუჩი ძველთაძველაძემ. _ გეგონება, რაღაც ძალიან ფინთი უჭამიაო... რას ჭამს ნეტავი ასეთს, თანაც ყოველდღე?..

ბაბუცი მხიარულ ოთახში მხოლოდ სამუშაო დღის დასასრულს გამოჩნდა:

_ წამოდით, ბაყბაყდევებო, ჩემპიონებო, მძლეთამძლეველნო _ დიდ ოთახში წილისყრა ტარდება!

დიდ ოთახში დიდ მაგიდაზე იდო სახაზავი ქაღალდის მოზრდილი ფურცელი ზედ ბაბოს მიერ ღუტუშას პირადი ხელმძღვანელობით დახატული, ლამაზ ჩარჩოში ჩასმული სატურნირო ცხრილით, ცხადია, ჯერ შეუვსებლით. ბაბომ გვაუწყა:

_ ღუტუშა დირექტორთან არის აუცილებელ საქმეზე შესული. დამაგვიანდებაო, მითხრა და მთხოვა, რომ თქვენთვის გადმომეცა მისი დანაბარები... ესაო, აი, ეს სატურნირო ცხრილი, იქნება დოკუმენტიო, რომელიც აქ, ამ ოთახში უნდა ეკიდოს კედელზეო, კარგა დიდ ხანს, რათა ჩვენმა ზოგიერთმა თანამშრომელმა არ დამიწყოს მტკიცება, გენიოსი ვარო; შეხედავს ცხრილს და ჩაიწყვეტს ხმასო... კარგად გაიგეთ უფროსის დანაბარები?.. ყველაფერი გასაგებია? ჰო, კენჭისყრა უჩემოდ ჩაატარეთო, გენდობითო, იმიტომ, რომ ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ნომერი მერგება ცხრილში, მთავარია, ტურნირის ბოლოს ვინ აღმოჩნდება პირველიო.

კონკურსი ქალაჩუნას ქუდზე საუკეთესო წარწერისა აღარ ჩატარებულა, ვინაიდან ლაბორატორიის უკლებლივ ყველა თანამშრომელმა გამოთქვა სურვილი ასპარეზობაში ჩაბმისა, მათ შორის _ ბაბომაც. ის კი არა, ბოლოს ამ დროს შემოსწრებულმა სილიბისტრო კოჭიბროლაძემაც მოინდომა, ჩვენთან ერთად ეთამაშა, რისი წინააღმდეგიც არავინ იყო _ მეთორმეტე მონაწილე შემოგვემატა და ამიტომ ყოველ ტურში ყველა მონაწილე ითამაშებდა.

ბაბუციმ თავისი მართლაც იშვიათი სილამაზის კალიგრაფიული ხელით მარგალიტებივით ჩააწიკწიკა მონაწილეთა გვარები ცხრილში, ამასთან პირველ ნომრად საკუთარი გვარი ჩაწერა _ ეს ნომერი გაუთამაშებლად მიენიჭა ერთადერთ მანდილოსანს მამაკაცთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით.

ასე დაედო დასაბამი ეპოქალურ მოვლენას ჩვენი ლაბორატორიის ცხოვრებაში. შეხვედრები სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ ეწყობოდა და ტურნირი თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. დიდი, დიდი ვნებათაღელვა ტრიალებდა ამ ხნის განმავლობაში; კომენტარები იმდენი დახვავდა, რომ ალბათ დიდ საერთაშორისო ტურნირსაც შეშურდებოდა.

ბევრი ჩვენი თანამშრომლის ხასიათი უკეთ წარმოჩნდა, გამომჟღავნდა ზოგის სრულიად ახალი, ჩვენთვის უცნობი მხარეც შინაგანი ბუნებისა...

ყველაზე სერიოზულად ტურნირში მონაწილეობას ბატონი ღუტუშა მიუდგა. თუ დანარჩენნი შეჯიბრში მონაწილეობას მეტ-ნაკლებად გართობად ვთვლიდით, ლაბორატორიის გამგე ძალებისა და ნერვების უკიდურესი დაძაბვით ჭეშმარიტად იბრძოდა _ თითქოს მისი პირადი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა! ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, დიდ პატივისცემას იმსახურებდა, მაგრამ, ამავე დროს, ერთგვარად სასაცილოც მეჩვენებოდა.

ლადიკო გაუთავებლად მერყეობდა, ხმამაღლა აწყობდა გეგმებს, ხშირად უკან იბრუნებდა სვლას... ყველაზე ხშირად მის მაგიდასთან იყო ხოლმე ჭიჭყინი და კამათი, მსაჯად მოწვეული გვაჯი გვარჯილაძეც მეტწილად იქ იდგა და კონფლიქტების მოგვარებას ხუმრობა-ანგლობით ცდილობდა.

ბაბო თითო სვლაზე იმდენ ხანს ფიქრობდა, რომ მისი მეტოქე იმ საღამოს შინ ყველაზე გვიან მიდიოდა.

_ ბაბო, ნუ ამომართვი სული, დროზე გააკეთე სვლა, გემუდარები! დაღამდა, ქალო, ქმარი შინ აღარ შეგიშვებს! _ ეუბნებოდა მოწინააღმდეგე, თან უნებურად პირში სიგარეტს გაირჭობდა, რითაც ბაბოს რისხვას იმსახურებდა.

_ ბაბო, ჩვენო ბაბუცი, დროზე მოვრჩეთ პარტიას, მარტო ჩვენ დავრჩით! შვილები ვეღარ გიცნობენ, სახე დახეულ კალოშს გიგავს! _ აშინებდა მეორე.

_ ბაბო, გენაცვალე, რას ერჩი ამ პატიოსან კაცს, მაგის ჯინი ხომ არ გჭირს? შეხედე, უკვე ცუდად ხდება... _ ამუნათებდა გვაჯი. და როცა ბაბო ჩხუბს დაიწყებდა, საგანგებოდ მიშლით ხელს, ჩემი წაგება გინდათო, მსაჯი ერთს ამოიხვნეშავდა და დაუმშვიდობებლად საჩქაროდ ტოვებდა მოპაექრეებს _ რად მინდოდა, ახალი ჭირი რომ ავიკიდე, ჩემს გასტრიტს კიდევ ნერვიულობა და შიმშილი აკლიაო?

სხვანიც არ აკლებდნენ მსაჯს დავას და ზოგჯერ უთანხმოება იმდენად მწვავე ხასიათს იღებდა, რომ გვაჯი გვარჯილაძის მცდელობა, დაძაბულობა ხუმრობით განემუხტა, ყოველთვის არ იყო წარმატებული. რას იზამ _ ჭადრაკი თამაშია და სად გაგონილა თამაში აზარტის გარეშე?

ბოლოს და ბოლოს, ახდა გვაჯის ოცნება, ნეტა როდის მოეღება ბოლო ჩემს ტანჯვასო, _ ორწრიანი ტურნირი დასრულდა!

შეივსო სატურნირო ცხრილის ყველა უჯრედი.

აჰა, ეს ცხრილიც!

NN	გვარი, სახელი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	ქულა	ადგ.
1	ჭიჭინობელაძე ბაბო		0 / 0,5	0 / 0	0 / 0,5	0 / 1	0 / 0,5	1 / 1	0 / 0	0 / 0,5	0 / 0	1 / 1	0 / 0	9	VII
2	კოჭიბროლაძე სილია	0 / 0,5		0 / 0	0 / 0,5	0 / 0,5	0 / 0,5	0 / 0,5	0 / 0	0 / 0,5	1 / 0,5	0 / 0,5	0 / 0	6,5	XI
3	ტუშაშვილი ღუტუშა	1 / 1	1 / 1		1 / 1	0 / 0,5	1 / 1	1 / 1	0 / 0,5	0 / 0,5	0 / 0	1 / 1	0 / 0,5	14	IV
4	ვახვახაძე ბახვა	0 / 0,5	1 / 0,5	0 / 0		0 / 0,5	1 / 1	1 / 0,5	0 / 0	0 / 0,5	1 / 1	0 / 0,5	0 / 0	10,5	VI
5	გუერაძე პეპე	1 / 0	1 / 0,5	1 / 0,5	0 / 0,5		1 / 0,5	0 / 0,5	0 / 1	1 / 0,5	1 / 1	1 / 1	0 / 0	14,5	III
6	ტყემალაია უჩა	0 / 0,5	1 / 0,5	0 / 0	0 / 0	0 / 0,5		1 / 1	0 / 0	0 / 0	1 / 1	1 / 0,5	0 / 0	8	VIII
7	ხახვიაური ჯურხა	—	—	—	—	—	—		—	—	—	—	—	7,5	IX

| | | |

_ ვისზედაც ფეხებს იწმენდ, ზოგჯერ სწორედ იმაზე დაგიცურდება ფეხი! _ ბრძნული აფორიზმი ბრძანა ბაბუციმ.

_ ეგ ერთი კაცი მუშაობს მთელ დაწესებულებაში, მაგით დგას ფეხზე, მაგით სულდგმულობს ინსტიტუტი და ასეთი მზაკვრული ხერხით გინდათ, ძირი გამოუთხაროთ ჩვენს დაწესებულებას? ხომ მიიღო მორალური ტრავმა კაცმა, ხომ გამოვიდა მწყობრიდან! ვინ იქნება დამნაშავე? ცხადზე უცხადესია! ბიჭო, _ ლადიკოსკენ მიტრიალდა სილია, _ ორივე პარტია ღუტუშას გუგუჩიმაც ვერ მოუგო და შენ ვინღა ხარ?

_ გუგჩიმ ვერც მე მომიგო ორივე პარტია! _ ხმა ამოიღო ლადიკომ თავისი კუნჭულიდან.

_ შენ მე ნუ მპასუხობ! _ გაუწყრა სილია ლადიკოს. _ შენთან მაინც ვარ მოგებული, ჩემთან ხმას ნუ იღებ!

_ ბედოვლათო, თხუთმეტი პარტია რომ წააგე, რაღა ჩემს ხარჯზე მოგინდა საქმის გამოკეთება?! _ ქორივით დააცხრა საწყალ ლადიკოს ბაბო. _ მაინც არაფერმა გიშველა, ბოლო მიჩანჩალდი თუ არა?!.

_ რა ყველანი მე შემდეგით და მთელავთ! _ მართლა გაბრაზება დაეტყო ლადოს. _ კიდევ კარგი, ბოლო ადგილზე გავედი, თქვენზე წინ რომ ვყოფილიყავი, მაშინ პირდაპირ შემჭამდით, ნაღდად!

სილია ლადოს მაგიდასთან მივიდა, ლადოსკენ დაიხარა და მეგობრულად მხარზე დაადო ტორი:

_ შენ ამათ, ჩემო ლადო, ყურს ნუ უგდებ, ბოღმა ხალხია... შურით სკდებიან, რომ პირველ ადგილზე გახვედი. მართალია, ბოლოდან იყავი პირველი, მაგრამ, ხომ იცი, ფარა რომ შემობრუნდება, კოჭლი ცხვარი წინ აღმოჩნდება. მეც მეორე ვიქნები...

ლადო მოულოდნელად ძალზე გაცხარდა:

_ ჰო, დამცინე, დამცინე, ახლა კოჭლიც გამხადე! გამომიჭირე, მნახე დაბალი ღობე!

_ აგერ პეპეს რატომ არაფერს ეუბნები? _ ჰკითხა სილიას სანდრომ. _ იმან რა, ტაბლით მიართვა ქულები ღუტუშას?

_ შენცა, კაცო? _ მომიტრიალდა მე სილია. _ სულ დამავიწყდა, შენც ქულანახევარი ააღლიტე ღუტუშას?!. ეს რა უტვინოები შეიყარეთ ამ ოთახში, მაპატიეთ პირდაპირობა! _ ხელები გაასავსავა და თვალები ჭერისკენ მიმართა სილიამ. _ ერთმა ჭკვიანმა ქულანახევარი წაართვა, მეორემაც _ ქულანახევარი, მესამემ, მთლად უნამუსომ _ ორი ქულა... ძარცვა-- გლეჯაზეა ხალხი გადასული, უფროსებსაც არ ინდობენ... აგერ ნახეთ, თუ საწყალ ღუტუშას ინფარქტმა არ ხია, პანჩურს ამოგკრავთ ყველას და ახიც იქნება. ეძებეთ მერე ასეთი სამსახური და ჩემსავით ძმაკაცები! ითამაშეთ ჭადრაკი, თავისუფალი დრო თავზე საყრელი გექნებათ!

_ კიდევ კარგი, ბაბუცი გვყავს, ეგ არის ჩვენი მშველელი და მფარველი ანგელოზი! _ აჰყვა სანდრო. _ მაგას რომ ორი ქულა არ ეჩუქნა ღუტუშასთვის, მართლაც ცუდად იქნებოდა ჩვენი საქმე, ოთახის კარს აგვიჭედავდა! ყოჩაღ, ქალო, ჩვენგან საჩუქარი გეკუთვნის _ თავი გასწირე და გადაგვარჩინე!

_ დაიღუპეთ იქით თქვენც და თქვენი საჩუქარიც! _ აწიკვინდა ბაბუცი.

სანდრომ არც სილიას დაუკარგა ამაგი:

_ შენც კარგად ეცი პატივი ბატონ ღუტუშას, შენც მაგარი ხარ!

_ აბა, თქვენ ხომ არ გიყურებდით, ჯერჯერობით არ დამიკარგავს ზრდილობა _ დამსახურებული და პატივსაცემი კაცია და ორი ქულაც მივართვი, თქვენც კარგი საქმე გაგიკეთეთ... მე, ბიჭო, სულ თქვენზე ვზრუნავ და მე გული მწყდება, რომ ამას ვერ ხვდებით და არ მაფასებთ... _ შემდეგ სილიამ სიცილით განაგრძო: _ შინ რომ ვბრუნდებოდი მორიგი წაგების შემდეგ, ცოლს ვეუბნებოდი დამწუხრებული: “კიდევ ერთი რომ წავაგო, ცოცხალი ვერ გადავრჩები!” ის კიდევ რას მპასუხობს, თუ მიხვდებით? “შენ რომ მაგით მოკვდე, არ

დაგიტირებ, იცოდე!” რა ხართ ეს ქალები! ვენაცვალე ქალებს, ესენია ჩვენი დაკოდილი გულების სალბუნი! ბაბუცი, ხომ ვარ მე ჯენტლმენი, მითხარი მართალი, ხომ არ დაგწყვიტე გული?

_ დაიქცეს შენი ჯენტლმენობა, გაიპარე იქით! _ ცერად ახედა სილიას ბაბუცომ. _ ძალით გამოგღლიტე ეგ ყაიმები, ახლა კი ბევრს ყბედობ აქ.

სილია ბაბოსთამ მივიდა, მიესიყვარულა:

_ ჰო, მართალი ხარ, შენ დიდი გამომღლეტი ვიღაცა ხარ!

ბაბომ პატარა მუშრი მუქარით დააკაკუნა მაგიდაზე;

_ ჰაი, თქვე საწყლებო, ბედი გქონიათ, კარგა ხანია, არ მითამაშია! ჩემს სადარბაზოში ყველას ვუგებ ულაპარაკოდ, სხვებიც მოდიან და არც იმათ ვწყვეტ გულს!

_ ერთი ამას დამიხედეთ, _ გამიკვირდა მე, _ ქმარსაც უგებ?

_ ჰი!.. _ აგდებით განაგრძო ბაბომ, _ ქმარს წინდაწინ ფიგურას ვაძლევ. ზოგ-ზოგებს რომ ჰგონიათ, თამაში ვიციო, სატრაბახოდ ის აქვთ, გუგუჩისთან ყაიმს მივაღწიეო... ერთი, ღმერთო, ნეტავ ცოტა გავარჯიშებული ვყოფილიყავი!

_ ხედავ, ჩემზე რას ჭიკჭიკებს? _ ლადო მამაკაცებზე მიმოატარებს ეჭვიან მზერას. _ ხომ ხვდებით, რატომ მკბენს? ჩემთან რომ წააგო, ვერ მოუნელებია. ისიც კი შურს, გუგუჩისთამ რომ ყაიმი გავაკეთე.

ჩვენდა გასაკვირად, ბაბომ ხმა არ გასცა, მხოლოდ გაიღიმა.

_ ჩემთან ხომ არ გაქვს პრეტენზია? _ მიმართა სილიამ ლადოს. _ რაც შემეძლო, ძმაო, გაგიკეთე, მეორე წრეში ნახევარი ქულა გაჩუქე, მეტი რაღა მექნა?

_ შენ თუ მჩუქნელი იყავი, პირველ წრეში რატომ დამჩაგრე? ერთადერთი მოგება გაქვს და ისიც ჩემთან! მაინცდამაინც ჩემთან მოინდომე გაკეთება?

_ უყურე ამ ყურუმსაღს, ბოდიშიც უნდა მომახდევინოს! შენთან, ბიჭო, შემთხვევით მოვიგე, შევცდი, არ უნდა მაპატიო? ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო... შენ კი რამდენჯერ შეცდი? რამდენი ნოლი მოგარტყეს შუბლზე? ისინიც ჩემი ბრალია? ჰოდა, მოდიხარ აქ და მიკიჟინებ, რატომ მომიგეო. ხომ ხედავ, ყველას დავუთმე, შენ რატომღა გამოგარჩევდი? ჩემს ძმაკაცს ერთ ქულას დავუჭერდი?

_ შენ, სილია, ცოტა გადააჭარბე, ყველაფერში არ გეთანხმები, _ ჩაერია დავაში სანდრო და თავისი სიტყვების საფუძვლიანობის ხაზგასასმელად გაშლილ ხელისგულს უტყაპუნებდა მაგიდაზე. _ რას ერჩით ამ კაცს? ლადო ახლა ისეთ ფორმაშია, რომ დიდოსტატებსაც წამოაჩოქებს! აცადეთ და პროფესიონალი გახდება!.. ჩემპიონი!.. მიხვალ ავტოგრაფის სათხოვნელად და ლადიკო არც შეგხედავს _ ვინ არის ეს მათხოვარიო... მხოლოდ ბატონ ღუტუშას დასდებს პატივს და, რასაკვირველია, ბაბულიას...

უცებ ლადიკო გაბრაზებული წამოხტა და ოთახიდან გავარდა.

მხიარულ ოთახში უხერხულმა სიჩუმემ დაისადგურა.

_ მორჩა და გათავდა, ამ ოთახში ჭადრაკზე ლაპარაკი აღარასდროს იყოს! _ განაცხადა ბოლოს სანდრომ და ხელისგული მაგიდაზე დაატყაპუნა. _ ხუმრობა-ხუმრობაში მაგრად შევტოპეთ და ლადიკო გავანაწყენეთ.

_ ეგეც არის რა! _ ამრეზით თქვა ბაბომ. _ რა ვუთხარით ახლა ისეთი!

_ ისეთი იყო ნათქვამი თუ ასეთი, ამას ახლა არა აქვს მნიშვნელობა, _ შეეკამათა სანდრო, _ ხომ ხედავთ, კაცი ისე გაბრაზდა, ოთახიდან გაგვექცა, ეს არის მთავარი, მაშასადამე, ცოტა გადავამლაშეთ.

_ მართლაც, ვერ მოვზომეთ... რა ვქნათ? _ შეწუხდა სილიაც.

_ უპირველესად შევეშვათ ჭადრაკზე ლაპარაკს... _ გაიმეორა თავისი წინადადება სანდრომ.

შემდეგ დღეებში მართლაც შევეშვით ჭადრაკზე საუბარსაც და ჭადრაკის თამაშსაც შესვენების დროს დიდ ოთახში, რადგან... რადგან მეორე კაციც აღმოჩნდა ფრიად განაწყენებული _ ღუტუშა ტუშაშვილი! მან ვერაფრით მოინელა, რომ ექვსი პარტია წააგო, ამასთანავე მხოლოდ მეოთხე ადგილი ერგო...

ბახვა ვახვახაძეს ყველა საჭადრაკო კომპლექტი თავის ოთახში მიატანინა და... სეიფში ჩაკეტა!

ბოროტი ენები იმასაც კი ამბობდნენ _ მერე შინ წაიღოო... არადა, ბევრს სახლიდან ჰქონდა ჭადრაკი მოტანილი _ საგანგებოდ ტურნირისთვის...

დიდ ოთახში კედელზე გაკრული ამ ისტორიული მოვლენის ამსახველი ცხრილიც რამდენიმე დღის შემდეგ უკვალოდ გაქრა.

XXXIX წკიპურტი. ძეხვის პატარა ნაჭერი

ეს დღე უსაშველოდ გაიწელა. ლაბორატორიის გამგემ, ბატონმა ღუტუშა ტუშაშვილმა საგანგებოდ გაგვაფრთხილა: დღის ბოლომდე თქვენ-თქვენი სამუშაო ადგილებიდან ფეხი არ მოიცვალოთ, დირექტორთან ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი უნდა განვიხილოთ თათბირზე და აუცილებლად უნდა გაგაცნოთ მისი შედეგი, თან სამუშაო დღის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ლაბორატორიების შემოვლა იქნება, შეამოწმებენ, ვინ გაიპარა დროზე ადრეო.

ვსხედვართ ასე, რა დასამალია და, ვყვინთავთ კიდეც, ლაპარაკის ხასიათზეც არ ვართ...

ლადიკომ ასწია მაგიდაზე დაწყობილი ხელებიდან თავი, თვალები გაახილა, გაიზმორა.

_ საინტერესოა, შესწავლილია თუ არა ზმორება მეცნიერების მიერ? _ იკითხა.

_ შე ბედოვლათო, აღარ ამოგეწურა უცნაური კითხვების მარაგი? _ პასუხობს ბაბო და ქსოვას განაგრძობს.

_ რატომ გაზმორებს უცებ? ასე ტკბილად, შვებას რომ გრძნობ და სიამეს... საიდან მოდის, რა მექანიზმი აქვს? _ ვითომ ვერ გაიგონა ლადიკომ ბაბოს ნათქვამი.

_ სხვათა შორის, იზმორებიან ცხოველებიც და ადამიანზე გაცილებით ხშირადაც, _ ამბობს ფანჯარასთან მდგომი სანდრო. _ მაგალითად, ძაღლები.

_ ჰო, შენ ძაღლების დიდი სპეციალისტი გვყევხარ, _ პასუხობს ბაბო.

_ მშია!.. _ იყვირა უცებ ლადიკომ.

დღეს ისე მოხდა, რომ არავის წამოუღია საჭმელი შინიდან და შუადღეზე ჩაიც არ დაგვილევია.

_ თუ გშია, ეგერ მანანა რაღაცას უყრის ძაღლებს და შენთვისაც ექნება გადანახული გემრიელი ძვალი... _ ფანჯარაში იყურება სანდრო. _ ნახე, შეხედე ერთი, მთლად გაუვსო რამდენიმე მათლაფა, ყველა ძაღლს ცალ-ცალკე!

_ აბა, მიწაზე დაყრა როგორ ეკადრებათ, შინიდან წამოღებული სერვიზის თეფშით უნდა მიართვას, _ ამრეზით ამბობს ბაბო. _ ეგ რომელი მანანაა, ბუღალტერიიდან?

_ არა, მეორეა, საგეგმო განყოფილებიდან, _ პასუხობს სანდრო.

_ მეხი კი დავაყარე! _ ბუზღუნებს ბაბო, _ ეგ რა ოჯახის ქალია, მიატოვა ორი თვით ბავშვები და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე წაბრძანდა მოსკოვში.

_ არა, შენსავით სვიტრებისა და პულოვერების ქსოვას გადაჰყვება! _ ამბობს სანდრო. _ აწი უკეთ დაგეგმავს ოჯახის შემოსავალ-გასავალს!

_ ...თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს რომელი განყოფილებიდანაა, ბუღალტრები და მგეგმავები შუადღეზე ერთად საუზმობენ, _ აგრძელებს ბაბო ლაპარაკს, სანდროს არც უსმენს. _ ისეთი სუფრა აქვთ ხოლმე გაშლილი, შენი და ჩემი მოწონებული, ნამდვილი სალხინო. ამ

ბოლო წლებში უკვე სამჯერ იყო შტატების შემცირება და აბა, მათ თუ ახლეს ხელი, პირიქით, ორი ქალი კიდეც დაემატათ!

_ ჩვენი დირექციის მარჯვენა ხელი არიან მამაძაღლობებში და აბა, რა გეგონა, _ ისევ გაიზმორა ლადიკო. _ რატომაც არ გაშლიან სუფრას, ჩვენზე მეტ პრემიებს ისინი იღებენ რატომღაც, დირექტორის ფონდიდან ხელფასის დანამატიც მაგათ აქვთ... მეცნიერ-მუშაკებს, კონსტრუქტორებს, თეორეტიკოსებს _ ყველას გაგვყრიან და დარჩებიან ჩვენს ინსტიტუტში მხოლოდ ბუღალტრები, ეკონომისტები, მომარაგების და საწყობის ვირთხები, კანცელარია-ადმინისტრაცია...

_ აი, მაშინ ნახე, რა ბრწყინვალე შრომებს გამოუშვებს ჩვენი ინსტიტუტი! _ ამბობს სანდრო.

_ დიახ, ბატონო, მკვდარი სულებიც ხომ ჰყავთ ბლომად გაფორმებული და ყველანი წილში ზიან! _ აღშფოთებულია ბაბუცი. _ შეხედეთ ერთი, რა გაპრანჭულ-გალაღებულნი დადიან, ბუზს არ დაისვამენ თავზე, არც არაფერს იკლებენ. იმიტომაა, ძაღლები რომ მაგათ ყველას ლაქუცით და კუდის ქიცინით ხვდებიან, მე კი ლამის არის შემჭამონ. მაინც სად იშოვეს ასეთი შტერი ძაღლები? თან რას ჰგვანან _ შავები ჯოჯოხეთის მუგუზალივით. ამდენი ხანია, აქ ვმუშაობ და ვეღარ უნდა მცნობდნენ?

_ შენი ბრალია, გენაცვალე, _ ეუბნება ბაბოს სანდრო, _ ახლა შაშხის დროა, უყვართ, ხომ იცი; დროდადრო წამოუღე ერთი-ორი კილოგრამი და ხმას უბატონოდ როგორ გაგცემენ, პირიქით, სიხარულით შემოგახტებიან და სულ ცხვირ-პირს აგილოკავენ...

_ ფუი!..

_ მეც მიყეფენ ხოლმე, ეგ ოხრები, შარვლზეც წამეტანებიან, _ ვთქვი მე. _ მანანამ თუ ძვლები მოუტანა, მე უნდა "გადავუჯოკრო", გოჭის ჩიჩია უნდა მივართვა. მერე ნახე, შეხვედრისას როგორ მომელაქუცებიან, თვალებში ალერსით შემომაცქერდებიან.

_ აბა შენ იცი, ძაღლების სპეციალური საკვები უშოვე უცხოური, ვიტამინებიანი, ძვლების გასამაგრებელი რაღაცეებიც ურევია, _ მაქილიკებს ლადიკო.

_ ბეწვი რომ არ გასცვივდეთ, საჭმელში ზეთის დამატება არ დაგავიწყდეს, _ ამატებს ბაბო.

_ შენს ძაღლს რას აჭმევ? _ დაინტერესდა სანდრო.

_ ყველაფერს ჭამს, რასაც ჩვენ, ყველაფერს, _ ამბობს ბაბო, _ კატა კი საშინელი პეწენიკი გვყავს, ცხვირაწეული _ პირიდან გამოგაცლის ლუკმას, ისეთი საზიზღარია. უყვარს: ხორცი! ყველი! კვერცხი! კარგი ქათმის ბულიონი!.. მაგრამ ძაღლს მაინც კატა მირჩევნია.

_ აი, ხომ ხედავთ, კატა და ქალი ერთია! _ საზეიმოდ აცხადებს ლადიკო. _ კარგ ძაღლს ცუდი კატა ურჩევნია!

_ რა გიკვირს, კატა და ქალი ნათესავებია! _ ავტორიტეტულად აცხადებს სანდრო.

_ კატა ალერსიანია, კრუტუნა, ზოგი ქალი რომ ანჩხლია? _ ვკითხულობ მე.

_ უნდა დაარეგულირო! _ მპასუხობს სანდრო. _ ინჟინერ-კონსტრუქტორი ტყუილად ხარ?

_ ჩემს ცოლს სარეგულირებელი სახელური მომტვრეული აქვს! _ ვჩივი მე.

_ ჩემსას კი _ გაჭედილი! _ არ ჩამომრჩა ლადიკო. _ არც იქით იძვრის და არც აქეთ...

_ ახალ ბინას რომ მიიღებ, ჯერ კატა უნდა შეუშვა და სადაც დაიკუნტება, იქ უნდა დადგა ლოგინი, იქ კარგი მიკროკლიმატია, _ ძველ ამბავს ამბობს სანდრო. _ ბაბო, შენი ქმარი თუ მაგარი მთვრალი მოვიდა შინ, აღრენილი, დაბოღმილი, დააჭერინე ხელში შენი კატა და ხელად დააწყნარებს.

_ კატა რად მინდა, ისედაც კარგად მოვუვლი! _ იცინის ბაბო.

_ რა ხართ ეს ქალები! _ ხელებს შლის სანდრო. _ ჩემი შვილიშვილი ჯერ სამი წლისაა და უკვე ნაღდი ქალია, სულ ბებიამისს ჰგავს, მასავით ანჩხლი იქნება.

_ გაწყდა კაცების ჯიში! _ წამოიძახა ბაბომ. _ სამი წლის უცოდველმა ანგელოზმა რა დაა-შავა ისეთი, რომ ასე ახასიათებ?

_ მოგიყვეთ? _ გემრიელად იფშვნეტს ხელებს სანდრო. _ ჩემს შვილიშვილს, სამწლინა-ხევრის ნათიას, ვასეირნებ ვერის ბაღში. იქ შადრევანია, მის კიდეზე ზის ხუთი წლის ბიჭი, გურული; ფეხები წყლის მხარეს აქვს გადაშვერილი და აქანავებს. ჩემს ნათიასაც მოუნდა, მის გვერდით დავსვი და ისიც ფეხებს აქანავებს. ბიჭი აფურთხებს წყალში. ნათიას ეს არ მოეწონა. "შენ რატომ აფურთხებ აუზში?" _ მწყრალად ეკითხება. ბიჭმა ცერად გადმოხედა _ ვიღაც ქინქლა ტუქსავს, თანაც პასუხს თხოვს? "უფრო მალე აივსება!" _ აგდებულად გადმო-უგდო.

_ მშია! _ ისევ იყვირა ლადიკომ. _ თუ კაცების მოვლა იცი, გვიშველე რამე! შე ქალო, შენ მაინც არ მოგშივდა?

_ რაღაც თუ არ მოგიხერხეთ, ვატყობ, მე შემჭამთ და ჩემს ორ დაობლებულ შვილს ვინ გაზრდის? _ ოხრავს ბაბო და ოთახიდან გადის.

ბაბუცი სამ წუთში დაბრუნდა, ხელში ხელსაწმენდ ქაღალდში გახვეული ერთი პატარა ნაჭერი ძეხვი ეჭირა.

_ ეგ რა არი, კბილებში გამეჩხირება! _ შეიცხადა ლადიკომ.

_ რა ვქნათ? _ დაფიქრდა ბაბოც, მერე წამოიძახა: _ მე ვიცი თქვენი წამალი!

ბაბუცი ცქვიტად დატრიალდა: თავისი ჩანთიდან ჯერ მრგვალი პური ამოიღო, მაგიდა-ზე გაფენილ გაზეთზე დადო და სანდროს უბრძანა, დაეჭრა, შემდეგ იგივე უძირო ჩანთაში კოჭის ძაფი მოძებნა, ძეხვის ნაჭერი ძაფს გამოაბა და ახლა ლადიკოს უბრძანა, მაგიდა ოთა-ხის შუაში გაეჩოჩებინა, ზედ ამძვრალიყო და იმ ძაფის მეორე ბოლოთი ძეხვის ნაჭერი ჭაღ-ზე ჩამოეკიდა.

_ შეხედეთ ხოლმე ძეხვს, ნერწყვი მოგივათ, მიატანეთ პური და იოლად გახვალთ! _ სი-ცილით გვაუწყა ბაბომ.

_ დასუნვა შეიძლება? _ ჰკითხა მაგიდაზე მდგომმა ლადიკომ.

_ მხოლოდ ერთხელ, მერე დაჯექი შენს ადგილზე და იქიდან უყურე ძეხვს, ნახავ, რა გემრიელად ჭამ პურს.

ხორხოც-ქილიკობაში ვიღმურძლებოდით, ერთმანეთს ვასმენდით ბაბოსთან: "იმან ზო-მაზე მეტხანს უყურა!", თან მართლაც დიდად მოშივებულებს, ხმელა პურიც გემრიელი გვეჩვენებოდა და ამ დროს ზათქით გაიღო კარი, ჩვეულებისამებრ შემოჯლიგინდა სილია; ამჯერად ჩვენი შემკობა მამაძაღლებად, აფერისტებად და ასე შემდეგ სხვა დროისთვის გა-დადო და მაშინვე ეძგერა ძაფზე ჩამოკიდებულ ძეხვის ნაჭერს; თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარით _ ყბების სამი-ოთხი გემრიელი მოქნევა, ზედ ორი-სამი ლუკმა პურის დაყო-ლება _ და ჩვენი სატყუარა გაქრა!

_ შე უჯიშო, დატოვე ბიჭები მშიერი?! _ გრძელი ხის სახაზავით მიეჭრა სილიას ბაბო, თან სიცილს ვერ იკავებდა.

_ ოჰ, ბოდიში, ბოდიში, ჩემი დიდი ცხვირის ბრალია! _ თავს იმართლებდა სილია. _ სა-მაგიეროდ, ფოკუსს გაჩვენებთ!

_ არ გაბედო! _ იკივლა ბაბომ და არცთუ უსაფუძვლოდ: სილია უკვე ხალათის თავზე-ვით აწევას და თავისი გაბანჯგვლული ტანის ჩვენებას აპირებდა.

სანდრომ წაიღიღინა:

_ "მომიტეხე მჭადი, _
მოგიფურჩხნი ყველს,
თუ არ გეყოფა და
ამ ჩემ ფეხებს..."

_ უკეთესი არაფერი იცი? _ აიმრიზა ბაბო.

_ დღეს ვერ ხარ რაღაც ხასიათზე, ალბათ მშიერი ხარ... _ გაუღიმა სანდრომ. _ თუ არ მოგეწონა, სხვას გიმღერებ:

“წავალ, წავალ, არ დავდგები,
მივალ თათრის უბანშიო,
შევიყვარებ თათრის გოგოს,
ხელს ჩავუყოფ უბეშიო”...

_ ჯან! _ დაამატა ბოლოში სილიამ, თან დაძუნძულებდა-ცეკვავდა მისებურად.

_ სანდრო, შენ რაღა დაგემართა, სილიას დონემდე დაეცი? _ ბაბუციმ სანდროს მეტი ვერაფერი შეკადრა და ჯავრი სილიაზე იყარა _ გამეტებით ჩასცხო ბეჭებში ხის სახაზავი.

_ რა გიკვირს, ჩემი ძმაკაცია; ხომ გაგიგონია: ხარი ხართან რომ დააბა... _ უდარდელად იცინის სილია, შემდეგ კი იხრება და დაბალ ბაბოს ხელს ხვევს მხრებზე: _ ხედავ, როგორ გაგავარჯიშე?! ჯანიანი გახდი!

_ გაიწი იქით, შე უჯიშო! _ წიკვინებს ბაბო.

_ ერთი კარგად გამომძღარი იყოს, მაშინ იგრძნობდი ჩვენი ბაბულიას ძალას! _ იქადნის სანდრო.

_ მშია! _ პატარა ბავშვივით არ ისვენებს ლადიკო.

_ რას ინებებთ, ლადო ბატონო, თქვენ ოღონდ ინატრეთ და, თუ ხელფასის აღებამდე მივაწიეთ, ერთი გემრიელად ვიპურმარილოთ! ახლა, ამბობენ, დიდი შემცირებაა ინსტიტუტში მოსალოდნელი და, შესაძლებელია, მომავალ წელს ვიღაცა მოგვაკლდეს, _ ამბობს სილია.

_ ვინ უნდა შეამცირონ? _ კითხულობს ბაბო.

_ შენ, რა თქმა უნდა, არა, ჭირიმე! _ ისევ ხვევს ხელს სილია ბაბოს. _ თქვე ბაიყუშებო, ეს პატარა ქალი ჟილეტის ჯიბეში ჩაგისვამთ ყველას და კიდევ სხვებისთვისაც დარჩება ადგილი. ეგ არაფერი, რომ ჟილეტს არ ატარებ, ჩემო ბაბო, ქალებმა კაცებს შარვლებიც წაგვართვით, ჩექმებიც, თმასაც ბიჭურად იკრეჭთ და არც ჟილეტის ჩაცმა გაგიჭირდება, ჭირიმე!

_ რაო, სილია, ახალი რა აღმოაჩინე? _ ვეკითხები.

_ რა და, თქვე ბედოვლათებო, შემცირება რომ იქნება, თქვენს ყურებამდე ჯერ არ მოსულა, ბაბომ კი უკვე “შეკერა” თქვენი უფროსი _ ბატონ ღუტუშას დღეს დილაადრიან ერთი ბოთლი არაყი და ყავის ნამცხვარი მიართვა.

ლადიკო კინაღამ გაგიჟდა:

_ ჩვენ აქ შიმშილით ვიხოცებით და ბაბომ იმ წურბელას ძღვენი მიართვა?.. ნაღდად?..

_ თუ შენ მეტი შეგიძლია, _ კარგი სამსახური უშოვო, _ ბაბუცი ბევრად უკეთესად გაგიმასპინძლდება, მამაპაპურად! _ ლადიკოს “ამშვიდებს” სილია.

_ შენ რა კუჭი გეწვის, შენს დაბადების დღეზე რომ არავის გაახსენდი, იმაზე დაიბოღმე? _ ისევ მივარდა სილიას სახაზავმომარჯვებული ბაბუცი.

სილიამ გაიღიმა:

_ არა, შენ გენაცვალოს სილია, ჩემი დაბადების დღე მეც არ მახსოვს... ნეტავ სულ არ დავბადებულიყავი!

_ ამხელა კაცი ხარ და როგორ გეხერხება თავის მოკატუნება! _ დუღს ისევ ბაბუცი.

_ მე? _ საცრისოდენა თვალები კიდევ უფრო უდიდდება სილიას. _ კარგი, მაშინ სერიოზულად ვილაპარაკოთ... მე რომ თავის მოკატუნება მეხერხებოდეს, გაძრომ-გამოძრომა ვიკადრო, ნახევარ წელიწადში საკანდიდატო დისერტაციას მოვახლაფორთებდი, გეფიცები ყველაფერს! სამ-ოთხ წელიწადში კი სადოქტოროსაც გამოვკრავდი ხელს, არც ეს იქნებოდა ჩემთვის პრობლემა. მართალი გითხრა, მე არ მინდა წყალწყალა შრომა გამოვაცხო _ პრინციპულად!

_ არც წყალწყალას აკეთებ და არც ნიგვზიან-თაფლიანს! _ წამოსძახა სილიას ლადიკომ, _ ნაღდად!

_ შენ კიდევ ცოცხალი ხარ? _ გაუკვირდა სილიას, _ თან რამხელა ენერგია გქონია, ჭირიმე. მშიერს რომ ამდენის შეძლება გაქვს, მაძღარი რას იზამ!

_ დაიძინებს, დაიძინებს! _ იცინის ბაბუცი.

_ თქვენ სუფრაზე დამსვით და რასაც ვიზამ, ნახავთ! _ იქადნის ლადიკო.

_ ძალიან გშია? _ ეკითხება სილია.

_ შენც შეგჭამდი!

_ შენ გენაცვალოს სილია, ახლავე მოვუვლი მაგ საქმეს! _ სილია ბაბოს მიუბრუნდა: _ გეყოფა მაგდენი ქსოვა, მაკრატელი არ გაქვს?

_ რად გინდა, ბიჭო, ენა უნდა დაიმოკლო? _ ბაბომ გამოსწია მაგიდის უჯრა და სილიას მაკრატელი გაუწოდა.

სილიამ მაკრატელი ჩამოართვა, მოიჭრა წინ ხალათის ნაჭერი და ლადიკოს გაუწოდა:

_ აჰა შენ მკერდის ნაწილი!

შემდეგ გვერდზე მოიჭრა ხალათის მოზრდილი ნაფლეთი და სანდროს მიართვა:

_ შენ _ ჩალაღაჯი, ჩემო სანდრო, იფ-იფ, რა ნაჭერია!

სილიამ ახლა უკანა მხარეს მოაჭრა ხალათს:

_ პეპე, შენ _ სუკი! ნახე, რა სამწვადეა!

_ მეც სუკი მინდა! _ აყვირდა ლადიკო.

ბოლოს სილიამ მარჯვედ მთლიანად ჩამოიხია ხალათის მონარჩენი და ტანზევით გაშიშვლებულმა, სიცილ-ხარხარში ბაბუცის გაუწოდა:

_ ესეც ჩვენს მარგალიტს!.. შინ სამი მშიერი ლომი გელოდება!

_ გადაშენდი იქით, შე უჯიშო! _ თვალებზე ხელი მიიფარა და იკივლა ბაბომ. _ ჩაცვით რამე ამ მაიმუნს, თორემ გადავირევი!

მართლაც, სილია ნამდვილ გორილას ჰგავდა, ისე უხვად დაეფარა ხშირ ბალანს მისი მკერდი, მხარ-მკლავი და ზურგიც კი.

_ შვილო, პატრონი არ გყავს? _ სანდრომ გაიხადა პიჯაკი და სილიას შიშველ ტანზე მოახურა. _ მაისური რატომ არ გაცვია? ამ სიცივეში უსვიტროდ, უპიჯაკოდ _ ნორმალური ხარ?

_ სულ მცხელა, კაცო, ოხშივარი ამდის... ბიჭებო, ასე ხომ ვერ წავალ შინ, ერთი ხალათი მიყიდეთ!

_ უყურე ამ ჭკვიანს! _ აღშფოთდა ბაბუცი. _ აქ ძველთაძველი ხალათით მობრძანდი და აქედან გინდა, ახლით წაეთრიო?

_ ბაბულია, სილიას შენთვის ხალათის ნაფხრეწის მაგივრად წესით თავისი ენა უნდა მოეცა, მაგრამ იძუნწა, ლაქლაქ-როხროხს ვეღარ შეძლებდა, _ აჰყვა ლადიკო.

_ შენთვის კიდევ, მკერდის ნაწილი კი არა, ჩემი ფეხები უნდა მომერთმია, მაგრამ შემეცოდე, შე უბედურო! _ არ დაახანა პასუხი სილიამ.

_ უშარვლოდაც გინდოდა, აქედან წასულიყავი? ვერ ხარ კარგად, ფსიქიატრიულში ერთი რკინის გალია შენთვისაც გამოინახება, _ შეამკო სილია ბაბუცემ.

_ ქსოვა ამშვიდებსო, შენზე პირიქით მოქმედებს, მე ვარ უჯიშო თუ შენ? _ არეხროხდა სილია.

_ გვეყოფა უსაგნო და უაზრო ლაილაი, საქმეს მივხედოთ! _ ჩაერია საუბარში სანდრო. _ ისე ვატყობ, პენსიაში აპირებენ ჩემს მიბრძანებას დროზე ადრე, ამაზე ბატონმა ღუტუშამ ერთი-ორჯერ გადაკვრით მაგრძნობინა. ჰოდა, ერთი გამოსამშვიდობებელი ლხინი არ დავაგუგუნოთ?

_ რამდენ კაცზე გავშალოთ სუფრა? _ გამოცოცხლდა ლადიკო.

_ აი, ვინც აქ ვართ _ ოთხი ლომი და ერთი დედოფალი საკმარისია.

_ ქალიც? _ დაეჭვდა ლადიკო, _ დაგვთარსავს, ნაღდად!

ბაბუცი ახლა ლადიკოს უნდა დასტაკებოდა, მაგრამ სანდრომ შეაჩერა:

_ ჰო, კარგი, ჯობს, კალმისტარი მოიმარჯვო და შენი ლამაზი ხელით პატარა სია ჩამოგვიწერო.. დაბრძანდი, დაბრძანდი!

_ ვერ გავიგე, რა სიას ადგენთ? _ კითხულობს ლადიკო.

_ ხუთი კაცის პურ-ღვინოს რაც დასჭირდება, აი, იმის სია, გაიგე? _ პასუხობს სანდრო და ბაბოს მიმართავს: _ დაწერე: პირველი... ერთი გოჭი _ 5 კილოგრამი, მეორე... ხაშლამა _ 2 კილოგრამი, მესამე... რამდენი ქათამი გვეყოფა?

_ ორსაც ვერ მოვერევით, რა ამბავია ამდენი ხორცი! _ ვამბობ მე.

_ კარგი, ბატონო. ბაბო, ჩაწერე: ორი ქათამი. მეოთხე... მწვადი სუკის...

_ ღორის? _ კითხულობს სილია. _ კილონახევარი ყელში ამოგვივა. ტყემალი არ დაგავიწყდეს.

_ მოიცა, კაცო, მივალთ საწებელამდეც. მეხუთეა ხომ? მეხუთე... კუჭმაჭი _ 5 ულუფა... თევზეული _ მეექვსედ ჩაწერე... ჰო, ზუთხი _ კილონახევარი, ცოცხალი ან კალმახი _ კილონახევარი და ხიზილალა _ 250 გრამი წითელი და 250 გრამი შავი. მეშვიდე...

_ მეტი რაღა გინდა, ნამეტანი მოგვივა, ოჯახები უნდა დავაქციოთ? _ შეაწყვეტინა სანდროს ბაბუციმ.

_ ბაბუცი, შენ, გენაცვალე, ნურაფერს დარდობ, ყოველგვარი ხარჯისგან განთავისუფლებთ, ოღონდ რაღაც-რაღაცეების მომზადებაში მოგვეხმარე. ასე არაა, ლომებო?

_ ასეა, ასე! _ ერთხმად დავუდასტურეთ კაცებმა.

_ ჰოდა, თუ ასეა, გავაგრძელოთ სიის შედგენა. მეშვიდე... პური _ 3 კილოგრამი, შოთის... ჩაწერე?

_ მჭადი? _ ისევ შეაწყვეტინა ბაბომ, _ კეცზე გამოგიცხობთ.

_ კარგი, მერვე _ მჭადი, ისიც _ 3 კილოგრამი. მეცხრე... ღვინო _ 20 ლიტრი...

_ იმერული! _ ჩაურთო სილიამ.

_ უნდა გამჭყიპო? _ ეწყინა ლადიკოს.

_ სწორია! _ თქვა სანდრომ. _ ჩაწერე: 10 ლიტრი იმერული და 10 ლიტრი კახური... კიდევ?

და სხვადასხვა მხრიდან მოზვავდა წინადადებები:

_ სულგუნი _ 2 კილოგრამი!

_ მწვანილი, სხვადასხვანაირი _ 2 კილოგრამი!

_ ჯონჯოლი _ 1 კილო!

_ წიწაკის მწნილი _ კილონახევარი!

_ ისპანახი ნიგვზით _ 1 კილოგრამი!

_ ვინეგრეტი _ კილოგრამნახევარი!

_ ჭარხლის ფხალი _ 2 კილოგრამი!

_ ნივრის მწნილი _ ნახევარი კილო! კიტრის _ 1 კილო!

_ გვეყოფა, გვეყოფა! _ თავს იკლავს ბაბუცი.

_ ხაჭაპური?.. ხინკალი?.. კუპატი?.. _ აღარ ვაცლით კაცები ერთმანეთს.

_ ეგენი _ მეორე დღეს, ნამცეცობაზე! _ ასკვნის სანდრო.

_ გაგიჟდით, ხალხო? _ ყვირის ბაბუცი.

_ ჰო, რა იყო?

_ რა და, 50 კილოგრამზე ბევრად მეტი დაგროვდა ჯამში, თითო კაცზე 10 კილოზე მეტი მოდის, დაიხოცებით!.. თუ გადარჩით, რას ეუბნებით მშიერ-მწყურვალ ცოლ-შვილს?

_ რასაც ვერ მოვერევით, იმას წავუღებთ! _ ამბობს ლადიკო. _ სად ვქეიფობთ?

_ ადგილის პრობლემა არ არსებობს, _ აცხადებს სანდრო. _ ამ ცხოვრების დედა ვატირე, ერთხელ მაინც არ ვიგრიალოთ? ჰო, ლიმონათი და ბორჯომი დაგვავიწყდა.

ამ დროს გაიღო მხიარული ოთახის კარი და ფრიად იშვიათმა სტუმარმა შემოყო თავი _ ღუტუშა ტუშაშვილმა (უფრო ხშირად თავის ოთახში გვიბარებს ხოლმე).

_ შენ აქ რა გინდა? _ გაკვირვებით მიაჩერდა სილიას და ოთახში შემოალაჯა. _ თათბირს რატომ არ ესწრებოდი?

სილია უხერხული ღიმილით მიაჩერდა.

_ ახლა ყურადღებით მისმინეთ! _ ღუტუშამ სილიას პასუხს არ დაუცადა და საქმიანი იერით განაგრძო: _ მოსალოდნელია დიდი შემცირება... ბევრს ალბათ პენსიაში გაისტუმრებან, კერძოდ, შენ, სანდრო. ორი წელი კი გიკლია საპენსიო ასაკამდე, მაგრამ ასეთი შემცირების დროს კანონით დასაშვებია... ჩვენს ლაბორატორიაში ახალი წლიდან სულ ექვსი კაცი რჩება, ასეთია ვარაუდი. ამ ოთახს გვართმევენ და ტექნიკური სტანდარტების განყოფილებას აძლევენ. თქვენ ალბათ სხვადასხვა ლაბორატორიებში დაგანაწილებენ... როგორ მოხდება ეს, არ ვიცი; ყოველ შემთხვევაში, აქედანვე დაიჭირეთ თადარიგი, იქნებ მოახერხოთ სადმე უკეთესი სამსახურის შოვნა... აი, ასეთი ამბებია... ახლა წაბრძანდით შინ და გირჩევთ, ხვალ სამსახურში არ დააგვიანოთ!..

როცა ღუტუშამ კარი მიიხურა, სანდრომ მითხრა:

_ აწი ჩემს ნაკვეთს აღარ წამართმევენ, დრო თავზე საყრელი მექნება; შენც წაგიყვან ხოლმე ჩემი "ჭიჭიკოთი"!

"მე არ მინდა აბაზი, _

ქალი მინდა ლამაზი!"

ჯან!..

XL წკიპურტი. სიყვარულო, ძალსა შენსა...

დღეს სასწაული მოხდა _ ბატონმა სანდრომ ყველას დაასწრო მხიარულ ოთახში მოსვლა.

_ კარგად ხომ ხარ? შუადღეზე გიყვარს მობრძანება და ამ დილით რა ბუზმა გიკბინა? _ გაუკვირდა ბაბოს.

სანდრომ მარჯვენა, გასივებულ ლოყაზე მიიდო ხელისგული:

_ მთელი ღამე არ დამაძინა ამ ოხერმა... ნახევარი ლიტრი არაყი გავათავე _ ყოველ ნახევარ საათში ვივლებდი, ორი კბილი ერთად ამტკივდა. ახლა არა მიშავს...

_ აფსუს, რა ტყუილად გააფუჭე, ახლა ის არაყი ნამდვილად მოგვნათლავდა, _ წამოიძახა სილიამ. _ რა არის, ბიჭო, ორი კბილი შეგრჩენია და იმასაც ვერ მოუარე? პროთეზი მოგიხდებოდა კიდეც.

_ ჩიფჩიფი უფრო მიხდება, რა ვქნა, _ გაიღიმა სანდრომ. _ ერთ-ორ კბილს კიდევ დავიძრობ და მთლად კარგად იქნება საქმე.

_ შენ იმას ხომ არ უცდი, ახალი კბილები თავისთავად ამოგივა? _ გაეხუმრა ლადიკო.

_ რატომაც არა, გამოიგონებენ რამე ელექსირს ან აბს, დალევ და ახალი კიჭები ამოგივა!

_ ვაი, შე უბედურო, სულ Mმთლად ბავშვობაში გადავარდნილხარ! _ უჩვეულოდ უკმეხად მიმართა სანდროს ბაბუციმ. _ არ გამიკვირდება, მართლა რომ ამოგივიდეს კბილები.

_ სანდრო ბატონო, ვეტერანი ხარ? _ ჰკითხა სილიამ. _ თუ ხარ, მიხვალ საღამოს 5 საათზე პავლოვის ქუჩის 12 ნომერში, იქ ვეტერანთა საბჭოს სხდომაზე ჩაიწერენ შენს თხოვნას, ერთი კარგი კბილის პროთეზის მოჩეჩება არ გაუჭირდებათ. კბილები კი გაკლია, მაგრამ

თუ მეტი მადა გაქვს, შეგიძლია მოითხოვო ბინა, მანქანა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, კბილების საწმენდი ჯაგრისი...

_ ერთი ლამაზი, მაქმანიანი ცხვირსახოცი თხოვე, სანდრო, _ იცინის ბაბუცი. _ ღრანჭს მაინც აიკრავ და ისე გამოხვალ ქუჩაში, როცა კბილის ტკივილი შეგაწუხებს.

სანდრომ ირონიულად მოწკურა თვალები:

_ არა, მე მირჩევნია, მიხაილ სერგეევიჩის პორტრეტიანი დიდი, დიდი ცხვირსახოცი მიბოძონ! როცა გავბრაზდები რამეზე, ამოვაძრობ ჯიბიდან და ერთს გემრიელად მოვიხოცავ ცხვირს!.. თუმცა, რას ვერჩი, მე მეგონა, დავავიწყდებოდი, მაგრამ არა, კაცო, ამას წინათ უკითხავს, სად არის სანდრო, დიდი ხანია, არ მინახავს, რაღაც საკითხები გვაქვს გადასაწყვეტი, რჩევა მინდა ვკითხოო...

_ მაგარი ხარ, ჭირიმე, ეგ ჭიანი კბილები რომ არ გიჭირებდეს საქმეს, ახლა ერთს მაგრად შეგაჭანჭყარებდი ნაკლული ტიკივით, _ ხვიხვინებს სილია და მხრებზე ხელს ხვევს სანდროს. _ სანამ სხვებს მისცემდე რჩევას, ერთი მე მომისმინე... ძმა ხომ გყავს ექიმი? რატომ დროზე არ აგიწია ყური?

_ ბონდო? ის კბილის ექიმი არ არის, Fფტიზიატრია, _ უპასუხა სანდრომ და განაგრძო: _ მაგარი ექიმია, მთელ კახეთში იცნობენ. ისე, ერთხელ მასაც მოუწია სტომატოლოგობა, დიდი ხნის წინანდელი ამბავია. სამედიცინო ინსტიტუტი რომ დაამთავრა, დედაჩემი დატრიალდა, ვიღაც-ვიღაცეები შეაწუხა, ადგილის შოვნა ძნელი იყო. მამაჩემი გაუბრაზდა, თუ ნამდვილი ექიმი გინდა გამოვიდეს შენი შვილი, წავიდეს განაწილებით რაიონშიო. ბონდოც თანახმა იყო, ჰოდა, გააგზავნეს ქლუხორში. იქ მაშინ სვანები და რაჭველები იყვნენ ჩასახლებულნი, ომი სულ ახალი დამთავრებული იყო. ბონდო ცოტა კი დაიზაფრა _ როგორ იმუშავებს, რა ხალხთან ექნება საქმე _ გამოუცდელია, პრაქტიკა არ აქვს. ერთხელაც ზის თავის საექიმო კაბინეტში თეთრ ხალათში გამოწყობილი და უცებ კარი შემოაღო დევკაცმა, სვანმა. ბონდოს თქმით, წელზე რომ ხანჯალი ეკიდა, მარტო ის იქნებოდა ერთი კაცის სიგრძე. "რაზე შეწუხებულხართო", _ წამოდგა ზეზე ბონდო. გოლიათმა პირი დააღო: "კბილი მაწუხებს, ექიმო, ერთი კვირა არ მიძინია, მიშველეო". ბონდოს ელდა ეცა, პროფესიით ფილტვების დაავადებათა მკურნალია, ფტიზიატრი, კბილებთან საქმე არასდროს ჰქონია. რაღას იზამდა, "დაბრძანდით, ჩემო ბატონოო", _ მიიპატიჟა ავადმყოფი. თვითონ ფერფური მისდის, წარმოდგენა არ აქვს, როგორ უნდა კბილის ამოღება, თან პაციენტის უშველებელ ტორებს შეჰყურებს, იმ ხანჯალზე რომ ჩამოუდვია. გავიდა, სხვა ოთახებში მიქექ-მოქექა რაღაც ინსტრუმენტები, გაემზადა და გოლიათს პირი დააღებინა. კიდევ კარგი, ის ავადმყოფი კბილი ისეთი მოფამფალებული გამოდგა, რომ თვითონ აპირებდა მოძრობას, მაშინვე ამოვარდა. "თავისუფალი ბრძანდებითო", _ უთხრა ბონდომ. სვანმა არ დაიჯერა: "უკვე ამოიღეთ კბილი? მე არც კი გამიგია, როდის მოასწარითო", დიდი მადლობა მოახსენა და წავიდა. მეორე დღეს მთელმა დასახლებამ იცოდა, რომ "ნამდვილი ექიმი" ჩამოვიდაო. მას შემდეგ მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა. ორი წლის შემდეგ კაჭრეთში გადავიდა სამუშაოდ, იქაც თვალში რომ ვინმეს ჩაუვარდეს, ხელს არ ამოისვამს... _ დაამთავრაა სანდრომ.

_ ახლა ერთი ამბავი მეც გამახსენდა, _ თქვა ბაბუციმ. _ ჩემი ქმრისთვის არც გამიმხელია... არ დაიწყოთ ახლა ხორხოცი და ქილიკი. თუ არა და, არაფერს გეტყვით...

_ ჰო, კარგი, რაღამც დაიწყე, გააგრძელე, ჭირიმე, _ მეტისმეტი სერიოზულობით უპასუხა სილიამ. _ ვინც ხელს შეგიშლის, იმ წუთსავე მოვახერხავ თავს. გააგრძელე.

_ ძალიან გთხოვთ, არ შემაწყვეტინოთ... _ გაუბედავად დაიწყო ბაბუციმ. _ ორი-სამი წლის ამბავია, მაგრამ თითქოს გუშინ მოხდა, ისე მახსოვს, ისე თვალნათლივ მიდგას ყველაფერი თვალწინ... ზაფხული იყო, მივედი კბილის ექიმთან პოლიკლინიკაში პლეხანივის გამზირზე. ერთმა ამხანაგმა მიმასწავლა, კარგი სპეციალისტია, მხოლოდ იმასთან მიდი,

ისეთი ჯადოქარია, ვერც გაიგებ, ისე ამოგიღებს კბილებსო. ოთხი კბილი მქონდა ამოსაღები, სოფელში ვაპირებდი ბავშვებთან ერთად წასვლას დასასვენებლად და ეს გაფუჭებული კბილები იქ რომ ამტკივნოდა, უარესი იყო. პირველ მისვლაზე ამ ექიმმა გამსინჯა და მითხრა, როდის უნდა მივსულიყავი ამოსაღებად. მართლაც, ყურადღებიანი კაცი გამოდგა, იქნებოდა ასე 45-46 წლის, საკმაოდ სიმპათიური. მივედი მეორედ დათქმულ დროს, ამომიღო ოთხივე კბილი. მეტკინა, საშინლად მეტკინა, მაგრამ რა მექნა. რა ვიცი, წესიერად ვერ გამიყუჩა თუ დიდხანს მოუნდა და ნარკოზი გამომინელდა... სიმწრის ოფლმა დამასხა, სავარძლიდან თითქმის ჩამოვხოხდი იატაკზე; სახელურებს ვიყავი ჩაფრენილი ხელებით, ვერაფერს ვამჩნევდი, ვერაფერს ვხედავდი გარშემო, ტკივილმა დამიბნიდა გონება. მხოლოდ იმას ვგრძნობდი, რომ თვალებიდან ცრემლი მომდიოდა ღაპაღუპით და ლოყებზე მოედინებოდა... ხმა მაინც არ ამომიღია, თავს ვიკავებდი. თან ექიმიც ისეთი გულკეთილი იყო, სულ მამშვიდებდა, თბილ სიტყვებს არ იშურებდა. საერთოდ, თავიდანვე, მეტად თავაზიანი და კეთილი ჩანდა, ამიტომ ყველაფერს ვიტანდი, მაგრამ ალბათ სახეზე მეტყობოდა, რასაც განვიცდიდი _ ერთი წამით ვიღაცამ შემოაღო კარი და გავიგონე, ჩემზე თქვა, უი, რა საწყალი, საცოდავი სახე აქვსო. ჰოდა, როგორც იქნა, დაამთავრა თავისი საქმე, დამადო ღრძილებზე ტამპონები... მერე შემხედა, ჯერ კიდევ ღვარად მომდიოდა ცრემლები და თქვა: “უი, როგორი გაფითრებული ხარ, როგორ გაგაწვალეო”, შემდეგ... დაიხარა ჩემსკენ და ტუჩების მარცხენა კუთხეში ორჯერ მაგრად ჩამკოცნა. ისე დავიბენი, რომ წამოვხტი სავარძლიდან და მადლობაც კი გადავუხადე... და გავექანე კარისკენ. ექიმმა მომაძახა, მაქ მომიცადე, ტამპონებს გამოგიცვლი ცოტა ხანშიო, მაგრამ იქ გამჩერებელი ვიყავი? გიჟივით ჩავირბინე კიბეზე და ქუჩაში გავვარდი. ვაიმე, რა დღეში ვიყავი! საშინლად აღელვებული მივდიოდი, თითქმის მივრბოდი, თან ვერაფრით გამეაზრებინა, როგორ მოხდა ყველაფერი, რატომ ვუთხარი მადლობა, იმის მაგივრად, რომ მეტკლიცა სიფათში... იმასაც ვფიქრობდი, რამე საბაბი ხომ არ მიმიცია მისთვის, ასე რომ მომეპყრო... არა, არავითარი... თან მიკვირდა ისიც, იმ კაცს როგორ არ შეეზიზღა, ეკოცნა ტუჩებში _ სისხლი მდიოდა ღრძილებიდან... რა ვიცი... ისე შემეზიზღა საკუთარი თავი, თითქოს ლაფში ამოვისვარე, წუმპეში ჩავვარდი. შინ დეიდა დამხვდა და იმას ვუამბე ყველაფერი, ცოტა გულს მომეშვა... მაინც, მთელი კვირა მოშხამულ გუნებაზე ვიყავი, ვნერვიულობდი, ხომ გეუბნებით, საკუთარი თავი მეზიზღებოდა, თითქოს სხვა ვიღაც ვიყავი, უცხო... ნეტა იმ ექიმის გულში ჩამახედა, ვერაფერი გამიგია...

_ ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა, _ თქვა სანდრომ, _ შესაძლოა, მისი საქციელი სიბრალულის გრძნობით იყო გამოწვეული.

_ თუ ის გამოცდილი გაიძვერაა? – არ დაეთანხმა ლადიკო. _ მე მგონია, მისთვის მსგავსი ქმედება პირველი არ იქნებოდა _ იყენებს ქალის დაბნევას და აფორიაქებას ტკივილისგან.

_ მას მერე აღარ აგტკივდა კბილი? _ ეკითხება ბაბუცის სილია.

_ არა, რა იყო? _ ეჭვით მიაჩერდა სილიას ბაბუცი. _ რატომ მეკითხები?

_ რა ვიცი, იქნებ...

_ რა იქნებ, შე ოხერო, არ თქვა ახლა რამე სისულელე! _ მოუღერა სახაზავი ბაბუციმ.

_ რა მოხდა, ქალო, სიყვარული სამარცხვინო საქმე კი არ არის, _ გაშალა ხელები სილიამ, თან, ყოველი შემთხვევისთვის, ოთახის შუაგულში მდგომ სანდროს ამოეფარა. _ დაწყნარდი, ჭირიმე, ერთი ამბავი მეც უნდა გიამბოთ, სულ მთლად ახალი, ცხელ-ცხელი... ძალიან სერიოზულ საკითხს, სიყვარულს ეხება.

_ რაღა დროის შენი სიყვარულია! _ წამოიძახა ბაბუციმ.

_ რატომ, სიყვარულს ყველა ასაკი ემონება! _ ეწყინასავით სილიას, _ თუმცა ახლა ამას არ აქვს მნიშვნელობა. ჩემზე კი არა, ვახუშტიზე უნდა გითხრათ... მეხუთე კლასშია ვირისთავი და ამ ბოლო დროს დილით ეჩხუბება დედამისს: “რატომ ადრე არ გამაღვიძე!” სასწრა-

ფოდ იცვამს და ზოგჯერ უჭმელიც გარბის სკოლაში. ასეა ყოველ დილით. დამაინტერესა, რა მოხდა? თურმე ბიჭი შეყვარებულია! თანაკლასელი გოგო მოსწონს. ის გოგო ჩვენი მეზობელია, მესამე სართულზე ცხოვრობს. დედას გოგო ზარის დარეკვამდე ათი წუთით ადრე მიჰყავს სკოლაში და ვახუშტი იმიტომ ჩქარობს, რომ ერთად წავიდნენ. მაგარი გოგოა, მზია ჰქვია, ათი მეტრით ასწრებს ყველას სირბილში, ყველაზე შორს ხტება. შავტუხაა, ეშხიანი. ერთ ბიჭს, თანაკლასელს, გული კინაღამ წაუვიდა: "ბიჭო, რა გოგოა!"

_ შენ საიდან იცი ამდენი? _ დაინტერესდა ბაბუცი.

_ ვახუშტიმ საიდუმლო თავის დას, ნათელას, გაანდო, იმან დედამისს ჩაუკაკლა, იმან კიდევ _ მე...

_ მერე, რა ნამუსია ეს? ბიჭი გენდოთ, საიდუმლო გაგანდოთ და თქვენ კიდევ მთელ ქვეყანას მოსდეთ!.. _ შეუტია ბაბუციმ.

_ მთელი ქვეყანა ხართ თქვენ? _ იხტიბარი არ გაიტეხა სილიამ. _ ჰო, დამნაშავე ვარ, შევცდი... ამ ოთახში სიყვარულზე არასდროს გვილაპარაკია, ეგ შენი ბრალია, ბაბულია.

_ ნუ გაიტლიკე ენა!

_ აგერაა პატივცემული დამსწრე საზოგადოება და ის დამიდასტურებს. კაცები, ხომ იცი, ცოტა მუტრუკები ვართ, უხეშები, არ გვიყვარს ნაზ გრძნობებზე საუბარი, შენ კი ჩვენი სულების გაფაქიზების, გაკეთილშობილების მისია გაკისრია; ამიტომ სწორედ შენ, ქალმა, უნდა გაგვანათლო, ისაუბრო სიყვარულზე...

_ შეაყარე კედელს ცერცვი! _ შეაწყვეტინა სილიას ბაბუციმ. _ რაღა დროს თქვენი გაკეთილშობილებაა, აღუები აღარ ხართ, ისეთი მოსარკული თავები გამშვენებთ, ბუზი ფეხს ვერ მოიკიდებს.

_ სამაგიეროდ, სანდროს ისეთი ქოჩორი აქვს, ყველას გვეყოფა! _ ეუბნება ლადიკო.

_ რად გინდა მაგის ქოჩორი, ერთი ღერი შავი აღარ ურევია, _ პასუხი არ დააყოვნა ბაბუციმ.

_ შენ საკუთარ ხუჭუჭთმიან ქმარს მოუარე, დიპლიპიტოს რომ მიუგავს თავი, _ აღარ დავინდე ბაბუცი მე.

_ საწყალი შენი ქმარი! _ ბოლოს სანდრომაც შეგვაწია სიტყვა. _ დევი ტყუილად ჰქვია სახელად, მართლაც თმახუჭუჭა ბიჭი იყო და როგორ გაპუტე, ბალიშების გასავსებად სხვა ვერაფერი მოძებნე?

_ ჰო, დამესიეთ საწყალ ქალს სამი მართლაც დევი, სამი კი არა, ოთხი მუტრუკი და კიდევ სიყვარულზე და სათნოებაზე გინდათ გელაპარაკოთ? _ გაფიცხდა ბაბუცი.

_ გვაპატიე, ჩვენო ლამაზო მტრედო, _ ბაბუცისთან მივიდა და ხელი მოხვია სილიამ. _ ხომ გითხარი, უჯიშოები, ტლანქები, გაუთლელები, წყალში გადასაყრელები ვართ...

_ გაიწი იქით!.. გადაშენდი!.. _ სახაზავი ორჯერ ზედიზედ სდრუზა ფერდში სილიას ქალბატონმა ბაბულიამ, მერე ჩანთა ამოიღლიავა და კარისკენ წავიდა.

_ მოიცა, სად გეჩქარება! _ დაადევნა სილიამ. _ დარჩი, ჩვენთან დარჩი ცოტა ხნით, სანამ ნორმაში ჩადგები, შინ არ დაცოფო უდანაშაულო ქმარი!.. თუ გინდა, ახალ, უფრო დიდ სახაზავს მოგიტან, ჭირიმე!

_ მე ამ სახაზავითაც მოგივლით!

_ უჰ, რა მწარე ხელი გაქვს, ქალო, პენსიაში დროზე ადრე გამისტუმრებ! _ ბაბუცის მაგიდას მიუჯდა სილია. _ ყველაზე სუსტი რომ ვარ, იმიტომ მჩაგრავ?.. ა-ა, მივხვდი! შენ ჩემზე შეყვარებული ხარ!

_ ჭირი შენ! სწორედ შენს დიდ ცხვირზე ვგიჟდები!

_ არა? _ ვითომ დიდად გაუკვირდა სილიას, _ მაშინ სანდროზე ხომ ნაღდად ხარ შეყვარებული! დათვივით კაცს რომ ბავშვივით მლახავ, სანდროს რატომღა ზოგავ?

სანდრომ დოინჯი შემოიყარა და სიმღერა შემოსძახა:

_ “გამოაღე კარი ჩქარა,
ისე, როგორც ფანჯარა,
ვინაც კოცნა არ იჩქარა _
უკოცნელი დამრჩალა!”
_ ჩერჩეტები! _ აპილპლებული ბაბო გავარდა გარეთ.
ოთხი მამაკაცის ხარხარს გაჯახუნებული კარი გამოეხმაურა.

XLI წკიპურტი. ლხინი

კი ვართ მიჩვეულები, რომ ბაბულია ხშირად ესტუმრება ხოლმე სხვა ლაბორატორიებში ქალებს საჭორაოდ, მაგრამ დღეს ნამეტანი დააგვიანა და ერთგვარი უკმარისობის გრძნობაც კი გაგვიჩნდა _ სადა ხარ, ბაბუცი, შენი პილპილიანი სიტყვა (და ხანდახან _ ლანძღვაც!) მოგვენატრა!

სამუშაო დღის დასრულებას ბევრი არაფერი უკლდა, როცა, როგორც იქნა, ბაბომ ჩვენი ოთახის კარი შემოაღო.

კაცებმა ხმა არ გავეცით.

_ არ გაგიკვირდათ, სად დავიკარგე?

_ ალბათ სადმე ჩვენზე მაგარი, შენი შესაფერი მოჭადრაკე ნახე და აადინე კიდეც ზურგზე ბოლი, _ ეუბნება ლადიკო.

_ უკეთესს გეტყვით! ადამიანებს შორის ურთიერთობა ჭადრაკზე ბევრად უფრო რთულია და საინტერესოც! მეცხრე ლაბორატორიაში ვიყავი... იქ რომ ჩახლართული “საჭადრაკო პარტია” გაიმართა, კინაღამ სიცილით გავიგუდე!

_ ო, იქ მშვენიერი გოგოების თაიგულია, ჩვენს ლაბორატორიას კი არ ჰგავს! ბატონი მზეჭაბუკ ორშაურაშვილი ხომ არ გართობდათ იქ? _ იცინის სილია.

_ მართლაც, საკვირველია, ჩვენს ლაბორატორიაში სულ კაცები ხართ, მე ვარ მხოლოდ ქალი, ნეტა რა დავაშავე?

_ მერე, არ გიხარია? სულ ხელისგულზე გატარებთ! _ ხვიხვინებს სილია და ვითომ მართლა ხელისგულზე უნდა დასვას ჩვენი ბაბო.

_ გაგიხმა თავი! _ უტყაპუნებს ხის სახაზავს ბაბუცი სილიას ხელზე, _ მაცალე! როდის აქეთ გახდი ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომელი?.. მეცხრე ლაბორატორიაში რვა ქალია და მხოლოდ სამი მამაკაცი, სამაგიეროდ, სამივე “ნაჩალნიკობს” _ ყველას უფროსობა უნდა, ყველა იქაჩება “სკამის” დასათრევად, საოცარია! ის რვა ქალი გაყოფილია ჯგუფებად და ამ სამი დასიდან ერთი ლაბორატორიის გამგეს, ნურის, უჭერს მხარს, მეორე _ მის მოადგილეს, ვახტანგს, მესამე კიდევ _ “ძველ გამგეს”, რაჟდენს, ამ ერთი წლის წინ რომ გადააყენეს კონკურსის წესით არჩევნებში დამარცხების გამო.

_ ეგ მე მკითხე, რა კონკურსიც ჩატარდა და როგორ იყო “ჩაწყობილი” საქმე! _ იქაჩება სილია.

_ მაცალე, ხომ გითხარი! _ სახაზავს იმარჯვებს ფეხზე წამომხტარი ბაბუცი. _ ეგ სხვა ამბავია და მერე მოყევი, თუ გინდა... ჰოდა, იმას ვამბობდი... ვზივარ ვარდივით გაშლილი გოგოებში ლაბორატორიის დიდი ოთახის ერთ კუთხეში და ვქაქანებთ...

_ წარმომიდგენია ამდენი ქალის ერთად ლაპარაკი; მაგარი გაძლება ჰქონია ნურის, მიკვირს, როგორ არ გამოგყარათ, _ ამბობს სანდრო.

_ ... მოვიდა ლირა, ხომ იცით, გაუთხოვარი ქალი რომ მუშაობს მეათე ლაბორატორიაში, გრძელცხვირა. იმ ლაბორატორიის გამგეს, ბონდო თაგვაშვილს და ნური გაჭეჭილაძეს დაძაბული ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან კარგა ხანია...

_ რატომ? მიზეზი, მიზეზი მოგვახსენე! _ ცნობისმოყვარეობას ვერ მალავს სილია.

_ რა ვიცი... ამბობენ, რომ ერთ ოთახზე მოუვიდათ ცილობა, ორივეს მაინცდამაინც ის უნდოდა ლაბორატორიის გამგის კაბინეტად... მერე კიდევ, ვგონებ, ბონდომ ნურის შავი კენჭი ჩაუგდო ლაბორატორიის გამგის არჩევნებში...

_ მაგაზე სხვა დროს გაგვანათლე, ახლა გააგრძელე ამბავი, ხვალ დილამდე აქ ვერ დავრჩებით, _ ურჩია სანდრომ.

_ ჰოდა, იმას ვამბობდი... ლირა შემობრძანდა. იმანაც მოიჩოჩა ჩვენსკენ სკამი და ჩაერთო მუსაიფში. ნურის, რასაკვირველია, არ ესიამოვნა ლირას მოსვლა _ ბონდოს მოგზავნილი იქნება ჩემთან ჯაშუშადო. შუბლი შეიჭმუხნა, მაგრამ არაფერი უთქვამს, თავი შეიკავა. სასაცილო ის იყო, რომ აპირებდნენ დიდ ქეიფს _ ლაბორატორიის დაარსების მეათე წლისთავი უნდა აღენიშნათ შინაურულად. ამიტომ იყო, რომ რვავე ქალბატონი გამოცხადდა სამსახურში, შინიდან საჭმელი მოიტანეს, ნურიმ ღვინო და ლიმონათი იყიდა და სწორედ სუფრის გაწყობას უნდა შედგომოდნენ, როცა ლირა დაბარებულივით შემოტანტალდა... ლირა სხვა დროსაც ხშირად შედის იქ გოგოებთან საჭორაოდ და ნურის წინდაწინ უთქვამს, არ დამანახოთ ეგ ალქაჯი სუფრაზეო...

_ შენ საიდანღა მოხვდი მიწვეულებში? _ აწყვეტინებს მონოლოგს ლადიკო.

_ შე ბედოვლათო, აქამდე არ იცი, რომ თითქმის ყოველი შესვენებისას ჩაის იქ მსვამ? _ პასუხობს ბაბო. _ თანაც, ამ სამსახურში რომ მოვედი, მეცხრე ლაბორატორიაში მიმიღეს პირველად. თითქმის ერთი წელი ვიმუშავე იქ და მერე აქეთ გადმომიყვანეს...

_ გაბედნიერდი ჩვენთან გადმოსვლით და კიდევ უკმაყოფილო ხარ? _ კითხულობს ლადიკო.

_ ვითომ რატომ გავბედნიერდი? _ აიმრიზა ბაბო, _ შენი მელოტი ჩერჩეტი თავის ყოველდღე ხილვით?

_ შე მართლა ჩერჩეტო, ლადიკო მართალს გეუბნება, _ ჩაერთო მათ კინკლაობაში სილია, _ ხომ ხედავ, ბედნიერად გათხოვდი, იქ კი რომ დარჩენილიყავი, ახლაც ყავის ნალექზე იმარჩიელებდი, როდის გამომიჩნდება საბედოო. იმ ლაბორატორიის რვა ქალიდან ხუთი გაუთხოვარი დარჩა, ერთი ქმარს გაეყარა.

_ მართლაც საოცარია, _ ამბობს სანდრო, _ მახსოვს, ციალა და ციური რომ მოვიდნენ პირველად, რა ელეთმელეთი დაემართათ ბიჭებს _ ღმერთივით გოგოები იყვნენ...

_ არც ვალიდა და ნატო არიან შეუხედავები, _ ვამატებ მე.

_ რას ამბობ, მართლა ლამაზი გოგოებია და ძალიან მწყდება გული, გაუთხოვრად რომ ბერდებიან, _ თქვა სანდრომ.

_ დაბერებული შენ თვითონ ხარ! _ ჩვენდა გასაკვირად ეცა სანდროს ბაბუცი: სანდროს მიმართ შიშს თუ არა, მოკრძალებას მაინც განიცდის და იმის მეათედსაც ვერ უბედავს, რასაც ჩვენ გვეუბნება ხოლმე.

_ ვარ, მაშ არა ვარ? _ გაიღიმა სანდრომ. _ მე ბებერი ქოფაკი ვარ, საპენსიოდ გამზადებული.

_ შენ მაინც ყველას ჯობნი! _ მოხვია ხელი ბაბოს სილიამ და ქათინაურის საზღაურად ხის სახაზავით ხმაურიანი დარტყმაც იგემა მხარში, თუმცა აშკარად ჩანდა, რომ ჩვეულებრივზე ლმობიერი პასუხი გახლდათ ბაბუცისგან. _ გააგრძელე შენი ბრწყინვალე მონათხრობი, გაგვანათლე და შენც გული მოიფხანე...

_ კარგი... ჰოდა, მოვიდა კიდეც შესვენების დრო _ ლირა ფეხს არ იცვლის! _ აძგიბა ახალ მთვარესავით ამოქნილი წარბები ბაბუცემ. _ ნური ნერვიულობს, არ იცის, როგორ მოიცილოს ეს ქალი თავიდან... წრიალებს, წრიალებს, ხან ვალიდას და ციალას დაავალებს რაღაცას, ხან ნატო გაიხმო გვერდზე და ეჩურჩულა, იმასაც საქმე გამოუჩინა. ლირა კიდევ _ ვითომც არაფერი, ფეხი ფეხზე გადაუდვია და ქაქანებს გემრიელად, თან სიგარეტს აბოლებს.

ნური მიჯდა კუთხეში პატარა მაგიდასთან, რაღაცას წერს, მერე გაგვიჯავრდა, ხმას დაუწიეთ, ხელს მიშლითო... ბოლოს ისიც თქვა, თავი ამტკივდა სიგარეტის ბოლისგან და ვისაც მოწევა მოგესურვებათ, მიბრძანდით დერეფანშიო. მოკლედ, ლირაზე არაფერი ჭრის, ზის საფუძვლიანად. მოვიდა დამიანე, ნურის ძველი მეგობარი, ინსტიტუტი ერთად დაამთავრეს, მეორე სართულზე მუშაობს. ეტყობა, ისიც დაჰპატიჟა ნურიმ, _ დაგვხოცა ქალები ანეგდოტების მოყოლით. სხვათა შორის, გიტარაზე მშვენივრად უკრავს და მღერის კიდეც _ სხვა დროს მინახავს. ჰოდა, ანეგდოტების ამოუწურავი მარაგი აქვს, ვართ ერთ ხორხოცში. მხოლოდ ნური ზის სახეჩამჟავებული თავის კუთხეში... დაუძახა დამიანეს, ისიც მიუჯდა გვერდით და გააბეს მუსაიფი რაღაც სამეცნიერო საკითხზე. მერე ნურიმ ნატოს დაუძახა, ისევ ეჩურჩულა კარგა ხანს, მერე ნატო წავიდა და ათიოდ წუთში დაბრუნდა. სად წავიდა, რატომ _ ჩვენ არაფერი გვითხრა, თუმცა ჩუმ-ჩუმად ხან ერთი ვეკითხებოდით, ხან _ მეორე. ისე, კი ვხვდებით, რომ ნურიმ გააგზავნა რაღაც საიდუმლო დავალებით... გავიდა ხანი და ბუღალტერიაში რომ გაჩხინკული შავი გოგო მუშაობს, ნათელა, იმან შემოყო თავი გაღებულ კარში და ლირას უთხრა, დირექტორის მოადგილე გიბარებსო. ლირა ფეხათრევით წამოდგა და კართან მისულმა მოგვაძახა: "აბა, მხიარულ ქეიფს გისურვებთ!" ნურიმ კბილები გააღრჭიალა, გუნებაში ალბათ შეუკურთხა კიდეც, მერე ეცა კარს და სასწრაფოდ ჩაკეტა. გავაწყვეთ სუფრა, ყველანი მოშივებულები ვართ; ნური გრძელი სუფრის ერთ ბოლოში დაჯდა, დამიანე _ მეორეში. ვახტანგი არ იყო, მივლინებით არის წასულიო, რაჟდენიც არ ჩანდა, ალბათ საგანგებოდ არ მოვიდა დღეს... ლაბორატორიის ყოფილი გამგეა და თავი აარიდა მოგონებებს იმ დროებისა, როცა თვითონ იყო უფროსი და გასაქანს არ აძლევდა ნურის... ნური სხვაგან გადავიდა, საკანდიდატოც დაიცვა, სადოქტოროც, რაჟდენი კი დარჩა კანდიდატად... ჰო, ნური მიხვდა, რა დიდი ამბავი ამას უნდოდა, რომ თავისიანებიდან ვიღაცამ ლირას წინდაწინ უთხრა, ქეიფს ვაპირებთ და ნურის შენი დასწრება არ უნდაო. ლირა ჯინაზე მოვიდა, რომ ლხინი ჩაეშალა. ვინ გასცა საიდუმლოება? ლაპარაკში ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ვალიდა და ციური იყვნენ "შეთქმულნი"... თუმცა, ამის მიხვედრა სულაც არ იყო ძნელი _ ნურიმაც მშვენივრად იცოდა, რომ ისინი რაჟდენის "ბანაკს" ეკუთვნოდნენ, მაგრამ ერთი სიტყვა საყვედურისა არ დასცდენია, ჭკვიანი კაცია. თითო-ოროლა ჭიქა დავლიეთ და ყველა გამხიარულდა. და სწორედ მესამე სადღეგრძელო იყო _ ჩვენი კოლექტივის ერთსულოვნებისა და მეგობრობის, _ რომ უცებ კარზე დააკაკუნეს. სიჩუმე ჩამოვარდა, გავისუსეთ... დამკაკუნებელი წასვლას არ აპირებდა, ცოტა ხნის შემდეგ გამეტებით დასცხო მუშტი კარს... ნური იძულებული გახდა, წამომდგარიყო, მივიდა კართან და ჰკითხა, რომელი ხარო. "ბატონ დამიანეს მისი უფროსი იბარებს!" _ ვიცანით ლირას ხმა. "დამიანე არ გახლავთ აქ", _ უპასუხა ნურიმ. "მაქ არის, ახლა არ ვნახე?" _ არ აპირებს წასვლას ლირა, ეტყობა, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ნურის ჩააშხამოს ლხინი. "წავიდა, ქალო, გეუბნები!" _ უყვირა გაჯავრებულმა ნურიმ. ლირა კი ისევ უბრახუნებს კარს და ისიც ყვირის: "გამოვიდეს დამიანე, უფროსი ეძახის! გააღეთ კარი და ვნახოთ, მაქ არის თუ არა!" "წავიდა, წავიდა, სხვაგან მოძებნე!" _ უყვირა ნატომაც. "გამიღეთ კარი, ვნახავ, თუ წავიდა!" "ვაჰ, ვინა ყოფილა ეგ თავხედი!" _ დაბოღმილია ნური და თან ვითომ ჩუმად იგინება, მაგრამ ყველას გვესმის. ლირამ კი ხელი არ იკმარა და ახლა ფეხით დაიწყო კარზე ბრახაბრუხი: "გააღეთ!" ამ დროს წამოხტა ნატო, მივიდა ნურისთან და ყურში რაღაც უჩურჩულა, შემდეგ დამიანეს ანიშნა ხელით, წამომყევიო. გავიდნენ უკანა ოთახში, იქიდან მეორე დარეფანში _ გააპარა დამიანე. ნატო სუფრასთან დაბრუნდა, ლირა კი ისევ და ისევ დამიანეს ითხოვს, თითქოს იგი მისი დიდი ხნის საქმრო იყოს, ახლა კი მოსტაცეს და აღარ უბრუნებენ. ნური ხმას აღარ სცემს, არც კარებს უღებს... რაღა ბევრი გავაგრძელო, როცა ლირამ დაუშინა მუშტები კარს, ნურიმ უცებ კარი გამოაღო და ქალი კაცს შეასკდა. "აღარ გნახო აწი აქ მოსული, თორემ გაგხეთქავ ნაკერავზე, შე თავხედო!" _ უყვირა ნურიმ. ლირა, ეტყობა, კარ-

ზე იმდენი ბრახუნით არანაკლებ აღგზნებული იყო და იმანაც უყვირა: “დამიანეს რატომ მალავ, თუ წესიერი კაცი ხარ! გამოდი, დამიანე, ნუ იმალები, უშენოდ აქედან ფეხს არ მოვიცვლი!” ქალები წამოვხტით მაგიდიდან, მივარდით კართან _ გვეშინია, ნურის ნებისყოფამ არ უღალატოს და ლირას ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიაყენოს... ლირა იქოჩრება, ნამეტანი მოსდის, მოკლედ, სადაცაა დასცხებენ ერთმანეთს, არც ერთი არ თმობს... გავიხედეთ _ დერეფნის ბოლოში დამიანე არ გამოჩნდა? “ეგერ, ქალო, შენი დამიანე, ე, გაიხედე! _ ხელით მიატრიალა ნატომ ლირა. _ რა დააქციე ქვეყანა, საქმე გამოგელია?” ჩავბჟირდით ყველანი სიცილით. ლირა გაწითლდა ჭარხალივით, მიტრიალდა და გაიქცა დერეფანში, დამიანესკენ არც გაუხედავს...

_ კარგად გიმხიარულია და ჩვენც გაგვართე, _ ეუბნება სანდრო ბაბუცის, _ ახლა კი ჩვენც ყველანი გავიქცეთ, სამუშაო დრო, რა ხანია, დასრულდა.

_ როცა ლირა შეგხვდება, ჩვენგან დიდი სალამი და ნახვის ნატვრა გადაეცი! _ ხვიხვინებს სილია.

_ ნურისთან აღარ მიესვლება და აწი ჩვენს ოთახში შემოყოს თავისი გრძელი ცხვირი, აქ უკეთ გაერთობა! _ ამატებს ლადიკო.

XLII წკიპურტი. საახალწლო ნაძვის ხე

დეკემბრის მიწურულის ერთ ქარიან დღეს ქალბატონი ბაბო თავისი ორი შვილით მოვიდა სამსახურში _ ვახოთი და ბროლათი (ამ უკანასკნელს რობერტი ჰქვია და შინაურულად ბროლას ეძახიან).

როგორც მოგახსენეთ, ქარი ქროდა, საკმაოდ ციოდა, ბაბო ცოტა გაცივებულიც იყო და ამიტომ ვერც ზოოპარკში წაიყვანა ბავშვები და ვეღარც სხვაგან. ერთხანს ბავშვებმა შინიდან წამოღებული გუაშის საღებავებით ხატეს, მერე მობეზრდათ და დერეფანში გადაინაცვლეს _ დასდევდნენ ერთმანეთს, დამალობანაც ითამაშეს და როცა მეტისმეტად გაცელქდნენ, ბაბუცემ ამჯობინა მათი ისევ ჩვენს ოთახში შემორეკვა.

ბატონმა სანდრომ მათ რამდენიმე ზღაპარი უამბო, მათ შორის კურდღელზეც, ლომი რომ დაიჭირა და ყურები დააჭრა. მერე მე გადმომილოცა ბავშვები, ახლა შენ გაართე, მე წლის ბოლოსთვის ჩემი ბოლო ანგარიშის ეს ნაწილი უსიკვდილოდ დასამთავრებელი მაქვს, თორემ პრემიასაც დავკარგავ და ღუტუშა ხომ ცოცხლად შემჭამს, პენსიაში გასვლას არ მაცლისო.

მე ჩემი საქმე გადავდე და ბავშვებს შევთავაზე, შეჯიბრი გაგვემართა, ვინ უფრო ლამაზ თოვლის პაპას დახატავდა. ამ პატარა კონკურსში გაიმარჯვა... ბაბუცემ! ნახევარ საათში დაგვადგა თავზე და ჩვენი ნამოღვაწარი სულ კრიტიკის ქარცეცხლში დაფერფლა. (ისე, გულახდილად ვიტყვი, ჩემი “ნამუშევარი” მართლაც არაფრად ვარგოდა, ბროლას თოვლის პაპა საკმაოდ კარგი გამოუვიდა, ხოლო ვახოსი კი _ ნამდვილი შედევრი იყო და, ჩემი აზრით, ბავშვთა ნახატების კონკურსზე ჯილდოსაც დაიმსახურებდა).

სულ მალე ბაბომ სახატავი რვეულის ფართი არ იკმარა და ჩვენი ოთახის ფანჯრის დიდ შუშაზე დაიწყო თოვლის პაპის გამოსახვა... ბარაქალა! ჩვენ არც კი ვიცოდით _ თურმე ოთახში ნამდვილი მხატვარი გვყოლია! ისეთი კოხტა თოვლის პაპა გამოგვიჭიმა, რომ შენი მოწონებული! წითელცხვირა, თეთრთმაწვერულვაშა _ ბეწვის ქუდით, ქულაჯით და, რაღა თქმა უნდა, მშვენიერი ჭრელი ხურჯინით! ოღონდ მხარზე გადაკიდებულ ხურჯინში ტრადიციული საახალწლო საჩუქრების ნაცვლად ნახაზები და სქელი ანგარიშებია; ალაგ-ალაგ ეს ხურჯინი ნაკერებმორღვეულია და იქიდან ცვივა მოხსენებითი ბარათები და საყვედურები (ალბათ ჩვენი სამსახურში დაგვიანების გამო)... მაინც, ისე როგორ დაამგვანა თოვლის

პაპა ჩვენი ლაბორატორიის გამგეს ღუტუშა ტუშაშვილს _ სახის ტიპიური გამომეტყველება საოცრად უბრალოდ, მარტივი ხაზებით გამოხატა, საოცარია! ანდა ბატონ ღუტუშას მუდმივი თვითდაჯერებულობა და თვითკმაყოფილება სავსე სახეზე როგორ ზუსტად დაიჭირა! პირწავარდნილი ღუტუშაა! მის გვერდზე გამოსახა ნაძვის ხეც, ოღონდ მისი მორთულობა-მოკაზმულობის მიხატვა ის-ის იყო დაიწყო, რომ ოთახში ბატონი სილია შემობრძანდა.

უფროსთ ზედაც არ შემოგვხედა, ბუზადაც არ ჩაგვთვალა, პირდაპირ ბავშვებისკენ გასწია:

_ საამაყო მამულიშვილებს, ფრიადოსან მაგარ ბიჭებს, სახელოვან ლომებს _ ჩვენი მხურვალე სალამი! _ ორად მოიკეცა და საზეიმოდ ხელი ჩამოართვა ოდნავ შემკრთალ ბავშვებს (ამხელა ბიძია დიდსაც შეაკრთობდა!), მერე ფრიად სერიოზულად გამოჰკითხა სწავლა-განათლების ამბები... თან თვალები უცინოდა და, ბოლოს, ისე ფართოდ გაიღიმა, რომ ბავშვებს ყოველგვარი რიდი გაუქრათ.

_ ეს საქმეა? _ ახლა ჩვენ მოგვმართა საყვედურით, _ დახატვა, ბოდიში, რა ჩემი ფეხებია, ლომებს ნამდვილი ნაძვის ხე უნდათ! აქიდანვე შეაჩვევთ ყალთაბანდობას (თუმცა ეს ოთახი ნამდვილი ყალთაბანდების ბუდეა და სხვას რას მოველოდი?), შეაჩვევთ მამაძაღლობას და მომავალში რას მივიღებთ? წამოდით, ლომებო, ამ ხალხისგან ხეირს ვერ ნახავს კაცი, ჩვენ თვითონ წავიდეთ და ვიყიდოთ ნაღდი ნაძვის ხე!

ბავშვები, რასაკვირველია, მაშინვე პალტოებს ეცნენ, საჩქაროდ ჩაიცვეს და ქუდებიც დედის გახსენების გარეშე დაიხურეს... და სილია ბიძიას მიაჩერდნენ მომლოდინე თვალებით.

_ ბიძია სილიას დაუჯერეთ ყველაფერი, თქვე ურჯულოებო, გამიშრეთ სისხლი! _ დაადევნა ოთახიდან გასულებს ბაბომ. _ ქარია და ნუ ირბენთ!

წასულები კარგა ხნის შემდეგ მობრძანდნენ ნაძვის ხის გარეშე, თუმცა მაინც კმაყოფილნი.

_ მთელი ქალაქი დავიარეთ, ნამდვილი კი არა, ხელოვნურიც ვეღარსად ვიშოვეთ! _ გაიკვირვა სილიამ.

_ ბიჭო, აქ რომ მოგვთხარე, არ იცი, რომ ნამდვილი ნაძვის ხით ვაჭრობა აკრძალულია? _ უთხრა სანდრომ. _ შენს ბავშვებს თუ უშოვე ნამდვილი?

_ დედიკო, ჩვენ ზოოპარკში ვიყავით! _ ახარა თვალებგაბრწყინებულმა ვახომ ბაბოს.

_ მერე ნამცხვარიც ვჭამეთ ბევრი, ნაყინიც გვიყიდა! _ დაამატა ბროლამ.

_ გაგიჟდი, სილია? _ მერე ბაბო ბავშვებს მიუბრუნდა: _ ერთი დაგიხველებიათ, დაგაჭრით თავებს! სილია, აწი ამომართმევენ სულს _ საწანწალოდ წაგვიყვანეო და მაგის თავი მაქვს? უი, თითი გავიჭერი, გაგიხმა თავი! გამითალე ფანქარი!

სილია არობრობდა:

_ ღმერთმა გიზღო სამაგიერო თბილი სიტყვებისთვის! ამ ლომებს მამა ჰყავთ და ის მოუვლის მაგ საქმეს... ისე, ვისაც რა აქვს ზედმეტი, იმას იჭრის. შენ თითი გაიჭერი, ლადიკო აგერ თავს მოიჭრის, მაინც ტყუილად აბია!

ლადიკო, ჩვენდა გასაოცრად, მკვირცხლად წამოხტა და გუაშის საღებავები მოითხოვა:

_ ნახეთ, თუ ცარიელი თავი მაბია!

ცნობისმოყვარე ბავშვები ლადიკოს ფეხებში ებლანდებოდნენ, მას კი საყვედური არ დასცდენია, გულმოდგინედ შრომობდა: ბაბოს მიერ ფანჯრის მინაზე დახატულ ნაძვის ხეს მიუხატა ტოტებზე ჩამოკონწიალებული ღვინის ბოთლები, პაპიროსოს კოლოფები. ყავის ფინჯნები, ჭადრაკის ფიგურები, ყურთბალიში, საანგარიშო, საქსოვი ჩხირები... ამით მისი შთაგონება სამხატვრო სფეროში ამოიწურა.

_ ახლა მე მაცალე! _ ბაბუციმ ლადიკოს გამოართვა ფუნჯი და გაცხარებით შეუდგა შემოქმედებით წვას _ ნაძვის ხის ტოტების შემამკობელ საგნებს, ყველას მისკენ ხელგაწვდი-

ლი თავისი “კლიენტი” გამოუჩნდა: საქსოვს თვით ქალბატონი ბაბო ეპოტინებოდა, ჭადრაკის ფიგურებს ჩვენი ლაბორატორიის ჩემპიონი ჭადრაკში გუგუჩი ძველთაძველაძე ელაციცებოდა, ყურთბალიშისკენ იწევდა უკვე თვალებმილულული ბატონი სანდრო, საანგარიშოს შეყვარებული მზერით მისჩერებოდა ისიდორე ბუღალტერი, ნაძვის ხის ძირში ტკბილად ჩაძინებული, თავჩაქინდრული სილიას მელოტზე ირეკლებოდა ღვინის ბოთლი...

_ სილიას ლომის ფაფარი სადაა? დაუმატე!

დიდებიც ბავშვებზე არანაკლებ ვმხიარულობდით, განსაკუთრებით კი მაშინ ავჟივჟივდით, როცა ბაბომ ქურდულად მიმპარავი მგელი და მელა გამოხატა. პირდაფჩენილი, ხარბთვალება მგელი რომ ბატონი მგელიკა, ბაქარ კრავიჭამიაშვილი გახლდათ, ეჭვი არავის გამოუთქვამს, ოღონდ მის გვერდით ადევნებული მელიას შესახებ დამსწრე საზოგადოების აზრი ორად გაიყო. ერთნი მასში კვიპრიანე კურკუმიას ჭვრეტდნენ, მეორენი _ პალიკო პოლოლოკაძეს.

_ მოდი, ბარემ ჩვენი ინსტიტუტის რამდენიმე გამორჩეული პიროვნება კიდევ მიუმატე! _ შეეხვეწა ბაბოს სანდრო. _ ცოდვაა, ასეთი ნიჭი ფუჭად დაიკარგოს!

_ ადგილი რომ აღარ დარჩა?

მაგრამ ბაბუცი ბაბუცი აღარ იქნებოდა, გამოსავლისთვის რომ არ მიეგნო: ახალი პერსონაჟები პირდაპირ ნაძვის ხის ტოტებზე “ჩამოჰკიდა” თოჯინებივით (მხოლოდ თავები!) შუშის ბურთების, სათამაშოების და სხვათა გამოსახულებების მაგივრად!

ასე ჩამოკონწიალდნენ და დაამშვენეს ნაძვის ხის ტოტები ჩვენმა ძველმა ნაცნობებმა: გადამდგარი პოლკოვნიკის არისტო ჭრიჭინაძის გამოცნობა არ გაგვჭირებია _ აირწინაღით, ბატონ მზეჭაბუკ ორშაურაშვილს ამშვენებდა ოქროს კბილების გამოშუქება ფართოდ გაღებული პირიდან; არც სილია დავიწყებია (მეორედ!) _ ცარიელი თვალებია, საცრისტოლა, ცნობისმოყვარე თვალები, უზარმაზარ, თითქმის ხორთუმივით ცხვირს ხომ ნუღარ იტყვით... მეც გამომჭიმა: უზარმაზარი წიგნი მაქვს ამოჩრილი იღლიაში, თავი კი ბუსავით გასივებული. ლადიკო? გაკვირვებული სახით _ ვერ გაუგია ამ ჭრელი ქვეყნის ასავალ-დასავალი, ვერ გარკვეულა ცხოვრების შუქ-ჩრდილებში და მისი სახე უამრავი კითხვის ნიშნებითაა აჭრელებული... აგერ ჯანსუღ გორგოლაჭაძეც _ ბრექია, დაბერილი კუნთებით ყველას განცვიფრებას ცდილობს...

_ სანდრო? სანდროც დაგვიხატე! _ აყვირდა ლადიკო.

_ სანდრო ხომ არის აგერ, ვერ ხედავ? _ მიუთითა ბაბომ, _ ყურთბალიშს რომ შესცქერის მილულული თვალებით... კარგი, რახან დაიჯინე, მაგასაც მოვახერხებ...

და რამდენიმე წუთში ბატონი სანდროც ვიხილეთ ხის ტოტზე _ კეთილი ღიმილით დამშვენებული თეთრთმიანი თავი-ბურთი ნაღდად სანდრო ბატონი იყო!

_ ამ თავს რაღაცა აკლია! _ წამოიყვირა ლადიკომ. _ ნაღდად!

ლადიკომ ბაბოს ფუნჯი გამოართვა და სანდროს თავს ქვევით მიუხატა წითელი მანქანა _ ვითომ სანდრო მასში იჯდა.

ბავშვებმა ტაში დასცხეს, თუმცა, რა თქმა უნდა, ვერ მიხვდნენ ლადიკოს ირონიას _ მათ მანქანა მოეწონათ.

_ ეჰ, არ ვარგივართ, ასე უნდა კაცის დაფასება? _ ამოვიოხრე მე. _ ჩვენი ლადიკო რა ყოფილა, ხედავთ? ბარბაროსულად ვეპყრობით ნიჭს _ ხატვა შეძლებია ღმერთივით, აქ კი ადამისდროინდელი ანგარიშებიდან სისულელ;ეებს იწერს და საკუთარ სისულელეებს ამატებს...

_ მაგის ნიჭი მაინც არ არის მიწაში ჩაფლული! _ აიტაცა თემა სანდრომ, _ შინ ხატავს, კედლები სულ გადაჭრელებული აქვს! სასადილო ოთახში _ შემწვარი ქათმები, აშიშხინებული მწვადები, ბოთლები და თიხის თასები ჩამოარიგა ლამაზად...

_ შესასვლელში მანქანები დახატა! _ ჩაერთო სილია, _ მანქანები რეალურ, ნატურალურ ზომებშია, მართალი გეგონება, მთელი გარაჟია. სტუმრები რომ დათვრებიან, ზოგი მანქანის კარის გაღებას და შიგ ჩაჯდომას ლამობს... მით უმეტეს, მანქანაში, იქით სავარძელში, უკვე ლამაზი გოგო "ზის"... ისეა დახატული, ხელის მოკიდება მოგინდება!

_ ლოჯიაში რომ შეხვალ, ალუბალია დახატული, მწიფე ნაყოფით დახუნძლული წელიწადის ყველა დროს და ზოგიერთი სტუმარი მის მოწყვეტას და პირის ჩატკბარუნებას ცდილობს... _ განაგრძო სანდრომ.

_ თავიდანვე ეტყობოდა, რომ ძალიან ძლიერი იქნებოდა! _ ყალბი თამასუქი გასცა სილიამ, მერე მოულოდნელად თვითონაც მოითხოვა ფუნჯი.

_ ბიჭოს, რამდენი გენიოსი გვყოლია, სამხატვრო აკადემია უნდა გავხსნათ!

_ მაცალე! _ შემომიღრინა სილიამ, _ სანდროს თუ მანქანა არგუნეთ, მზეჭაბუკმა რაღა დააშავა?

_ რა შუაშია მზეჭაბუკი?

_ მაცალე-მეთქი! ყვავი ხარ, გეუბნები!

სილია ფანჯარასთან მივიდა და ნაძვის ხის ტოტზე ბაბოს მიერ დახატულ მზეჭაბუკს ქვევიდან რაღაცა მიუხატა, უცნაურ ცხოველს ჰგავდა.

_ რა არის, ბიჭო, ეს? _ გაუკვირდა ბაბოს.

_ უცხოპლანეტელი უნდა იყოს, ამ ბოლო დროს ძალიან შემოგვეჩვივნენ! _ გამოთქვა ვარაუდი ლადიკომ.

_ ცხენია! _ ცოტა არ იყოს, ნირწამხდარმა გვამცნო სილიამ.

_ მომეცი ფუნჯი აქ! _ უთხრა ბაბომ, _ აგვიხსენი, რა შუაშია აქ ცხენი?!

_ მზეჭაბუკის და ცხენის ამბავი არ იცით? _ გახალისდა სილია, _ ჭაბუკა რომ არტილერისტი იყო, ის ხომ იცით? ჰოდა, მზეჭაბუკ-არტილერისტი ომის დროს სხვებივით ცხენზე იჯდა ხოლმე, როცა ახალ პოზიციაზე გადაადგილდებოდნენ. ერთგან მაგარი დაღმართი იყო და ყველანი ჩამოქვეითდნენ _ ემანდ ქვემეხი არ დაგორდეს და არ გაგვჭყლიტოსო... მხოლოდ ჭაბუკამ ვერ შეძლო ცხენიდან ჩამოხტომა _ შეეშინდა... და ასე, გულის კანკალით, ცხენზე ამხედრებულმა, ჩაათავა დაღმართი... "აი, თქვე დედლებო, _ უთხრა დანარჩენებს კაპიტანმა, _ ნახეთ, ჭაბუკა რა ვაჟკაცია, დაღმართში ცხენიდან არც კი ჩამოვიდა, თქვენ კი არ გგავთ!"

_ გადაიკიდეთ, ჰო, მთელი სამსახური! _ გაკილვით ამბობს ბაბო, თან სილიას მიერ შეთითხნილ ცხოველს ფუნჯის ზუსტი მონასმებით ცხადად ამგვანებს ცხენს. _ ჭაბუკა თუ იყო მშიშარა, ვნახავ, თქვენ რა გულადებიც ხართ... შემოვიდეს ერთი ჩვენს ოთახში მგელიკა!

_ შიში კარგი რამ არის, ნუ გეშინია! _ უტყაპუნებს სილიას მხარზე ხელს სანდრო, _ შენ თმები ამოგივა!.. ხუჭუჭი!..

_ ადგილი აღარ არის თავისუფალი, თორემ ყოველ პერსონაჟს შესაბამის გამონათქვამსაც მივუწერდით! _ ვამბობ მე, _ მაგალითად, ჭაბუკა იტყოდა: "მე პატიოსანი ადამიანი ვარ!", მგელიკა: "ვერ გავძეხი, მშია!", ჯანსუღ გორგოლაჭაძე; "მე ვარ, რაცა ვარ!" და ასე შემდეგ.

_ მე მიმაწერეთ: "მეძინება!" _ ამბობს სილია. _ სულ მინდა, დავიძინო, ლამაზი სიზმრები ვნახო, იქ მაინც გავიმართო ცოტა წელში!

_ ძალიან კარგი! _ პასუხობს სანდრო, _ ზამთარია, უნდა დაიძინო, აბა რა! ხომ იცი, დათვი საახალწლოდ ძილქუშად ვარდება... გაიღვიძებ გაზაფხულზე, რამდენიმე თვის ჭამა-სმის ეკონიმიაა, თანაც ამხელა კაცისა!

_ ეშინია, არ დაიძინებს _ ცოლმა არ დამკლას საახალწლოდო, _ ცოტა არ იყოს, ამლაშებს ლადიკო, _ ხუმრობ? 120 კილოგრამი ხორცი! თუ ძმა ხარ, შენს ცოლს უთხარი, დაგვპატიჟოს!

_ როგორ დაგპატიჟებთ, თუ ძილში ვიქნები! ისე კი, რა თქმა უნდა, ყველას გეპატიჟებით, გელით ჩემი მოტვლეპილი თავი და სტუმართმოყვარე ცხვირი! ვახო და ბროლა ნამდვილად მოვლენ, ბიძია სილიას ახალ წელს მიულოცავენ! რომელიც უკეთ ისწავლის, იმას თამადად დავნიშნავ! მაგათი იმედი მაქვს, დანარჩენებს მოგმართავთ _ მობრძანდით ვირისთავებო, ჩაცვენილებო, ხელიდან წასულებო, ჯიბიდან გავარდნილებო, ყურუმსაღებო, ბაიყუშებო, ბედოვლათებო, ლუყურტებო, ბოთეებო, გაგრიებო, წვინტლიანებო, ტაკიმასხარებო!..

რა მოულოდნელად მოგვადგა ახალი წელი!

მოულოდნელადაც მივადექი ამ ამბების ბოლოს!

გემშვიდობებით მე და გემშვიდობებათ მხიარული ოთახის ფანჯრის მინაზე დახატული ნაძვის ხე, აგრეთვე მის მწვანე ტოტებზე ჩამოკონწიალებული ამ წიგნის პერსონაჟები.

მრავალ ბედნიერ ახალ წელს გილოცავთ, მრავალ ახალ მხიარულ წიგნთან შეხვედრას გისურვებთ!..

1983-2000 წწ.